

დავით დეფი

დილა სასწაულებების წინ

რომანი

თუ წიგნმა თქვენამდე მოაღწია და ახლა ჩემს გზავნილს კითხულობთ, ნიშნავს, რომ ამდროისათვის უკვე ცოცხალი აღარ ვარ და იმ მხარეს, რომელსაც აქ აღწერილი ამბების გავლით მივაგენი, ცაზე ვარსკვლავად ნანახი უკანასკნელი სასვენი ნიშანი ამხელს.

არქივარიუსი სერაფიტე.
ქალაქი მარგორა.

დილა სანაულებს წინ

I

გობიო და ფატალინა

... სადაა, სად წავიდა?! რომ აღარ მოვიდეს?! სად წავიდა... ფიქრობდა ბაჩანა, პატარა ბიჭი მოედანზე მდგარი, როცა ჭაში ცის ვარსკვლავებიან ჩრდილს ჩაჰყურებდა.

მშვიდი ცა შეუმჩნევლად ვერცხლით აიხვრიტა და ღამეს მიენდო ზღვისპირა ქალაქი მარგორა. ჭასთან იდექი, ფეხი არ მოიცვალო, ახლავე მოვალ, პერანგს გიყიდი და მოვალ, დედამისის სიტყვები უტრიალებდა სულ მუდამ თავში, უკვე მეორე დღე. ეს ბოლო იყო, რაც მან უთხრა, ბაჩანას კი სჯეროდა. აბა, რომელ ბავშვს არ სჯერა, რომ დედა ახლოა და მოვა. ის არ სჩანდა. უკვე მეორე დღე. რომ არ მოვიდეს? მე უნდა მოვძებნო? ხომ დამპირდა?! მაშინ მოვა. ეძინებოდა, მაგრამ ღამეში გაყურებული სიბნელე აშინებდა და მისმა სიგრილემაც გვერდი წაკრა – დედამისის ხმა ეცნო? არა, ხმა არ იყო, უფრო სურვილი, მისი გამოჩენის დიდი სურვილი, რამაც ერთ ადგილას გაყინა პატარა ბიჭი და ამ ჭასთან მდგარს ორი ღამე თვალი არ მოახუჭინა – იმედით გამვლელების მაცქერაღს...

... მოედანი ყოველ დღით ხელახლა ჭრელდება: „ნოხები, ნოხები, დედაშენი არ მინახავს? მე რა ვიცი, ვინაა დედაშენი? აბრეშუმი, ძვირფასი აბრეშუმი! რა? რა ვიცი მე, თუ გითხრა მოვალო, ალბათ მოვა... პერანგების მეტი რა მაქვს, ვინა? არ ვიცი, მომწყდი“. – და კვლავ ჭასთან დგებოდა, რასაც გვერდით ვინრო წყალსატევი ჰქონდა, ქვის ავაზანი, სადაც აქლემებსა და სახედრებს არწყულებდნენ, მაგრამ ახლა არავინ იყო ირგვლივ, ბნელი სიჩუმის გარდა და ამ მდუმარებას მიტოვებული ბაჩანას დალღაც ემატა. მან არ იცოდა, რომ ლოდინით გადაიღალა, რომელიც მხოლოდ იმედით იყო დამძიმებული, რაც იჭერდა, აქვავებდა, რის გამოც ველარ სცილდებოდა ამ ადგილს, ამ ჭას და კიდევ მის მკაცრ პატრონს, რომელსაც სამუდამოდ ჩააბარეს, თითქოს აღსაზრდელად და ტყვედ – სიმარტოვეს, რისთვისაც თითქოსდა განწირულიც იყო, რადგან ამ ორმა დღემ და ორმა ღამემ სამუდამოდ გააქრო მისთვის დედა და პირისპირ შეახვედრა მისი ახალი დედა, მამა, ღმერთი, ის რაც გვერდიდან აღარ მოცილდება, მის უკანასკნელ დღემდე გზის მანათობელი ვარსკვლავი იქნება და...

მაგრამ ბაჩანა ჯერ ბავშვი იყო, უფულოდ მიტოვებული. მან ეს არ იცოდა და მოედანზე ჭასთან ჩამჯდარს ეძინა.

– გაუშვი ეძინოს, ბავშვია ვიღაცა, არ გააღვიძო, – გაისმა ხმა სიბნელეში.

– შუალამეს რო წევს, რა? დედ-მამა, ვინმე არა ჰყავს? – გაისმა მეორე ხმა.

– რას მეკითხები, მამამისი კი არა ვარ, დამაბანინე ჩქარა! სანამ გათენებულა, ქალაქიდან უნდა გავქრეთ. მიდი.

– ხო, ხო, გაცისთან.

– ჩუმად, შე თხა, ნუ ამბობ მაგ სახელს, ნურც ფიქრობ, – ორნი ჩურჩულებდნენ შეუმჩნევლად მოახლოებულნი, წვერებიანი ახმახები. სიბნელეში გაურკვეველად მოჩანდა მათი სახეები; მუქი სამოსელი, ტუნიკა და შემოხვეული მოსასხამები ღამიდან ამოკეცილიყო შავად. როგორ დავუსვრივარ, ფიქრობდა ერთი, გვერდითა ავაზანში გამალებით იბანდა ხელებსა და სახეს, ვინ დაგვინახავდა – არც არავინ, ფიქრობდა მეორეც, კიდევ კარგი, უკან ვედექი და სისხლი მე არ შემეხსა, ისე რამდენჯერ, რამდენჯერ ურტყა და მაინც არ კვდებოდა, მარა ბოლოს ხომ მაინც, როგორც იქნა, ჩვენ რა შუაში ვართ, მე რა შუაში ვარ? ჩემი საქმე რაც იყო, გავაკეთე, რა შუაში ვარ.

– რა შუაში ვარ-მეთქი!

– რა?

– არაფერი, ჩემთვის ვფიქრობდი.

– დრო არ გვაქვს. იქით ნახე, არავინაა?

– სად იქით?

– სად და ჭაში! რამ დაგაშტერა? ხომ არ გინდა ყელში შენც გამოგისვა? ასეთ საქმეზე როგორ წამოგიყვანე. ხმა არ ამოიღო, წავედით.

ნავიდნენ.

კი არ ნავიდნენ, გაქრნენ, ისევე უხმოდ, როგორც თავიდან, ჩრდილებიდან თითქოს როცა ამოცურდნენ. ბაჩანას არაფერი ესმოდა. სიზმარი სადღაც შორს მიაქანებდა.

გობიომ ხვრინვა შუადღეს შეწყვიტა. მოზეთილ ლოყებში ჩამალული ტუჩები ენით გამოისველა. როგორ ეზარებოდა ადგომა, მაგრამ მის მაღას მოწყენა არ შეეძლო და ნითურ, უხასიათო, გამოქონილ სახეს ისეთი გამომეტყველება მიაღებინა, თითქოს გმირობა უნდა ჩაედინა.. დაამთქნარა, მაგრამ მისი მთქნარება ღმუილი უფრო იყო ზამთრის ძილიდან გამოღვიძებული დათვისა. ნახევრადმორყეული ხის საგებელიდან ზღაზვნით გადმოხობდა და ტაბლას მიუჯდა – აუჩქარებლად, ნელი ლეჭვითა და ზოგჯერ მთქნარებით იწყობდა. თვალები დაუბატარავდა, ისევე როგორც ყოველთვის, როცა სიამოვნებისგან გონს თითქმის კარგავდა, ეს ორი მწვანე ნერტილიც სადღაც ქრებოდა. დამძიმდა. მოკლე თათებით ტუჩები მოინმინდა და ცოტა ხანი მერხზე გაუნძრევლად იდო, არც მოწყენილი, არც ჩაფიქრებული – დროებით შესვენებული. ამოისუნთქა და განაგრძო.

ჯამში ნვნიანი ესხა, ორივე ხელში პურის ნატეხი ეჭირა და შიგ ანობდა, მაგრამ მობეზრდა თუ ველარ მოითმინა, ჩანობას მოეშვა და მთლიანად მოიყუდა ჯამი, დიდი ყლუპებით დოქიდან წყალ-ღვინოც ხაპა და ხორცის სქელი ნაჭრები კბინა, ცერა თითით პურზე ყველი დაჭყლიტა და ჯერ წინა ლუკმა გადასანსლული არ ჰქონდა, ესეც ჩაიტენა. ხელებით ტაბლას დაანვა, დაიჭიმა და გადაყლაპა. პირი რომ გამოტენილი აღარ ჰქონდა, თითი ღრუში გაირჭო და ჩიჩქნა, სანამ კბილებიდან რაღაც დაუღეჭავი არ გამოიღო, დააკვირდა და სახემინაბულმა ეს თითიც გალოკა.

გასეირნებაც მოუნდა.

ზეთისხილის ქალებში ნავიდე თუ ზღვაზე? გაიფიქრა.

ზეთისხილის ქალაში ხესთან ჩაცუცქულიყო თმაგაშლილი ფატალინა. ძონისფერი სელის კაბა, თხელი ბამბის მოსასხამით შემოხვეული, ბალახზე გადმოეფინა და მკრთალი სახე, ლოყაზე ჭიამაიად მიმჯდარი ხაღით, მზისთვის აეშვირა თვალდახუჭულს. ბრონეულად გადმოხლეჩილი ტუჩები დაეკუმა და პატარა, ფაქიზად მისანთლული ცხვირით ისუნთქავდა ქალის მსუყე სურნელს. სამაჯურებით დახუნძლული ხელები მუცელზე ეწყო.

გვერდით მოხუცი ქალი ეჯდა, ბალახზე დაფენილ ყვითლადნაქარგ ტერზე ასევე ჩაცუცქული. შავ მირინოსში ჩახვეული ხელის მტევნებისა და სახის დამჭკნარი, მოყავისფრო კანი ზეთისხილის ქალაში ხის ქერქებად მოჩანდა და თავშალიანი მოხუცი ნუგემისმცემლის მზერით ხელზე ეფერებოდა ფატალინას:

– არაუშავს, ნუ განიცდი, – ეუბნებოდა, – გობიო უცნაური კაცია, ეგეთი მადიანი არავის ახსოვს, კაცს ჭამა-სმა უყვარს და შენც რა ძალა გადგია, ადექი და გაშორდი, თუ მასთან ცხოვრება აღარ გინდა, – მოხუცის ხმაში დედაშვილური მზრუნველობით გათბა ყოველი სიტყვა, ბაგეზე რაც მიფერებულიყო მშვიდად მომცინარი.

– ქალის ხასიათს კაცი ვერ გაიგებს, – ფატალინას ნამტირალევი ხმა განწირულად აკვნესდა, – უბედურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი, სიყვარულს ვერ ვეღირსე, – მოხუც დედაკაცს შეხედა, მთვრალ პირისახეზე სევდით დანამულიყო მისი ქარვისფერი ცქერა. შეხედა, თითქოს იმედს ითხოვდა, პატიებას თუ ნუგემისცემას, – მე ბოზი ვარ? – მიამიტური უტიფრობით ჰკითხა.

– რა ჩურჩუტი ხარ, ღმერთო ჩემო, – შეცბა მოხუცი, – ჰერაკლეები მითებში არიან ძლიერნი, მამაცნი, ცხოვრებაში კი ასეთები არ სჩანან, ამიტომაც გიცრუვდება იმედი. ბევრი გყოლია?

– ვინა, კაცები? – წარბები შეკრა, – უუჰ! – ტუჩები გამობერა, – საკმაოდ, მაგრამ ყველა ერთნაირი დამპალია.

– მითხარი შენი სიზმარი, – ფხებთან გადმოუჯდა მოხუცი.

– ღაზარენელი ხარ, ვიცი და რაც ადრე მითხარი, ყველაფერი ახდა. მაგრამ ხომ იცი, მე სიზმრების არ მჯერა.

– ცუდია, მატყუარას სახელი არ მაქვს. კარგად იცი, ვინ ვარ და რა ხალხი მოდის ჩემთან. მითხარი, რა ნახე.

– უბედურება.

– ასეა, როცა ცუდ სიზმარს ხედავ, გელვიძება და შვებით სუნთქავ, იცი, რომ ყველაფერი იქ დარჩა, მაგრამ ის არ იცი, თუ რა ბრძოლაა შენს სხეულში. ხალხმა ეგ რომ იცოდეს, თავიანთი სიბრწყინით სამყაროს შეწუხებას მოეშვებიან. წყლისთვის ხომ არ მოგიყოლია ან ცეცხლისთვის, მიწისთვის ან შენთვის ხომ არ ჩაილაპარაკე? შეიძლება არ იცი, მაგრამ სამყარო გისმენს.

– არა.

– მაშინ თქვი.

– ვითომ ლაბირინთში დავდიოდი და კიდევ ვილაცხები დადიოდნენ... ექვსი კაცი დავთვალე. თავზე ტომრები ჰქონდათ ჩამოცმული, ბარბაცებდნენ, კედლებს ეჯახებოდნენ, ერთს გულა პირზე ჰქონდა გახეული. რატომღაც მივხვდი, რომ ბიჭი მეყოლება.

– ორსულობის არაფერი გეტყობა. რომელ თვეზე ხარ?

– მესამეზე, – ფატალინამ მუხლები მოკეცა, ხელები შემოხვია და ნიკაპი დაადო. ხვეული გრძელი თმები ბუჩქად ჩამოეკიდა.

– მამა გობიოა, იმედი მაქვს.

– იცი რას გეტყვი?! – აპრიხა თვალები, – შეიძლება თავქარიანი ვარ, მაგრამ არა ცნობისმოყვარე! ეგლა მაკლია მარჩიელობა დავინყო გობიოა თუ არა ბავშვის მამა, – გაიბერა ფატალინა, – მოკლედ, გზა გავაგრძელე, ვიღაცის ხმა შემომესმა, თუ ჩემივე ხმა იყო, ვერ გავიგე. ყურში ჩამესმა – შენი შვილი დალუპვის ძეა, მაგრამ მას უარესი ლეგიონი დაამარცხებსო.

– რომელი ლეგიონი, ქა? რომის ლეგიონი?

– რავი, შენ უნდა იცოდე.

– რომის ლეგიონს აქ რა უნდა? თუმცა ყველგან არიან, როდისმე აქაც მოვლენ.

– მოიცა, ახლა იწყება, – თვალები მოინმინდა, მაჯებზე მრგვალი სამკლაურები ჩაუჩხრიალდა, – ლაბირინთში ღორის ღრუტუნი გავიგონე. გავჩერდი და მოვტრიალდი. დიდი ღორი იდგა, დინგით კედელს თხრიდა, მერე გვერდულად მიეყუდა და ფხანა დაიწყო, თან ღრუტუნებდა, მერე შემომხედა და გამიცინა.

– ვინ, ქალო, ღორმა?

– ჰო, მიყურებდა და მიცინოდა, – თავი ნამონია ფატალინამ, თითებით თმები გადაიყარა, ყურზე დიდი საყურე შეუქანდა, – მერე ვითომ იმ ლაბირინთის კედლები ალაპარაკდნენ: – თუ ჭკუით არ იქნები, გათახსირდებით და შენი შთამომავლობაც გათახსირდებაო, და უცებ ის გიჟი ღორი გაქანდა და დერეფნიდან გასასვლელი რომ იყო, იქ გადახტა, ზღვა იყო თუ ტბა, არ ვიცი, იქ გადაეშვა. შემეშინდა და გამეღვიძა. რას ნიშნავს?

– ცუდის ნიშანია, მაგრამ არ შეშინდე, არც ეგერა საქმე, – მოხუცმა ცხვირი გაიფხანა. დაამთქნარა.

– ადრე მუცელი მინდოდა მომეშალა, მაგრამ ვერ ვქენი.

– არც ახლა ქნა. მეოთხე თვეში ხარ. გაგიჟდი?

– ვიცი, მაგრამ ბავშვს ვერ გავზრდი. იქნებ, ბოშებს გავატანო? ცოდვას ჩავიდენ? ან ბერძნებს?

– რა გითხრა. მისრებსაც მიჰყავთ ხოლმე, ზრდიან. ბოშები ზოგჯერ იპარავენ.

– ასე ბევრი აკეთებს. არიან ქალები და კაცები, შვილი რომ არ უჩნდებათ, მათთვის მადლია გაშვილება.

– მათთვის კი, შენთვის არა. დაფიქრდი და გადაწყვიტე. როცა მშობიარობის დრო მოგივა, შემოდგომაზე აქ ყოველთვის ჩამოდინ მოხეტიალე ბოშებიც და მისრებიც, მარგორა მათთვის სამოთხეა. სოვდაგრები, ბედუინები, ჰინდუებიც ბევრნი არიან, ბერძნებიც ახლა ჩამოვლენ, შესთავაზე. მე სიზმარს კი აგისხნი, მაგრამ შენი საქმისა შენ იცი.

– ეგ მერე იყოს. სიზმარი მითხარი.

ლაზარენელმა დედაკაცმა შავი თავსაფარი გადაიწია და წვრილი ნაოჭებით დაჩხაპნილმა, გრძელულის თითქოს უმანკო სახემ ფერი იცვალა, ზეთისხილის ფოთლებიდან ჩამომდგარმა მზის სხივებმა კეთილად დაუთბილა კანი, მოხუცის დაძქრალ თვალებში დაწმენდილი, თითქოს ოდესღაც განცდილი სიხალისე დაბრუნდა, – ლეგიონი კარგად იცი რაცაა, – თქვა გრძელულმა, – რომელი მეომრების უშველებელი ჯარი.

– დაილოცოს ჯანმრთელი კაცი, – მკერდი გამობერა ფატალინამ.

– მომისმინე! ღორი თუ იცინის, ესე იგი, არანმინდა სულითაა შეპყრობილი, სიზმრის პირდაპირი გაგება არ შეიძლება, თან მნიშვნელობა აქვს, როდის ნახე? ვგრძნობ, რაღაც დაუჯერებელთან მაქვს საქმე. ხომ გჯერა ჩემი?

– სხვა რა გზა მაქვს.

– ის ექვსი ადამიანი შენი მოდგმაა. შენ გააჩენ მათ.

– ექვს შვილს?

– არა, გოგო, არა. რადგან თავზე ტომრები ეხურათ, უბედური ხალხი იქნება, შენ უბედური ხალხის დედა შეიქნები, ისინი თავსაც გატანჯავენ და სხვებსაც – თუკი არ გაფრთხილდი, ბებო და გონს არ მოეგე. ღორის გადავარდნა მიმანიშნებს, რომ ზღაპრის ბოლო კეთილია, მაგრამ ვინც ბოლო იქნება შენი მოდგმიდან, მან უნდა მოიშოროს დატრიალებული უბედურება. ვინ იქნება ის, ან როგორ იზამს ამას, მე არ ვიცი და სიმართლე გითხრა, ვერც ახსნას ვუძებნი. ექვსი კაცი შენი შთამომავლობაა და გუდა ვისაც პირზე ჰქონდა გახეული, გობიოა, არა შთამომავალი, არამედ მონაწილე.

– მაგას რაღა უნდა? – გამკვავხდა ფატალინა.

– ლაბირინთი შენი ბედისწერაა, შენი მოდგმა საიდანაც ვერ გამოდის, თუ რამე სასწაულმა არ იხსნა. სიზმარმა უცნაური ნიშანი მომცა, რაღაც უცხოსთან მაქვს საქმე, – ლაზარენელმა ამოიოხრა, – გაფრთხილდი ქალო და ერთი გოჭი დაკალი, შესწირე. ამაზე მეტი, რაც გითხარი, შეიძლება დელფოს სამისნოშიც არ ეთქვათ, – კანი აეხორკლა, გააჟრჟოლა, „სამყაროს კიდესთან“ – ჩაესმა მოხუცს, – „დედა გულში ჩაიკრავს შვილს“, – ჩაესმა ისევ საიდანღაც, იქიდან მწყარალი ექოთი მონაბერი ქარი, თითქოს ნიჟარა მიედო ყურზე და გულდასმით უსმენდა უცნაური სიჩუმის საიდუმლო სიტყვებს: „ჯაჭვი განყდება, ყრმა

თეთრი პერანგით შეიმოსება“. – ლაზარენელს ფიქრებს მიღმა გადაეწეოდა ექო და იმავე შორეთშიც მიქრა, ნიჟარაში ჩაესუნთქა.

ხელები მიიღო. ისევ დაამთქნარა.

– რა მოგივიდა, ცუდად ხომ არ ხარ?

– მომდის ხოლმე, არაფერია. უბრალოდ, გავიფიქრე... ანდა, არაფერი...

– ეჰ, სიზმარში რა არ ხდება, – ნამოცოცხლდა ფატალინა, – ერთხელ ორთავიანი კაცი დამესიზმრა, იმხელა ება, რომ...

– რა დროს ეგაა, ბავშვზე იფიქრე!

– რომელი დედა მე მნახე.

– თავს გაუფრთხილდი, ჩურჩუტო და წადი ახლა მშვიდობით.

ფატალინა ხელებით მიეყრდნო ხეს. ადგა. ძონისფერი კაბა კოხუნჯებამდე ჩამოეშალა, მოსასხამი თავზე გადმოიწია და მუცელთან შეიკრა თასმით. თმები, ყვრიმალეტან ჩამოკლაკნილი, ბამბის მოსასხამს მიექარგა თითქოს, – მადლობა, საყვარელო, – უთხრა მოხუცს, შავებში ჩახვეული რომ მოკუნტულიყო დაფენილ ტერზე და ზეთისხილის ქალაში შეფარფატდა.

ლაზარენელი დედაკაცი თითქოს თვლემდა. ფიქრში ნებივრობდა... და ქალაშიც აგრილდა დაუნაყრებელი სიცხის დევნით.

რით ვერ დავნაყრდი? – თითქოს ვინმეს კითხვას უპასუხა გობიომ, მოზეთილი ტუჩები მოიტლიკა, – მე რა ვიცი. იმიტომ რომ მობეზრებული მაქვს ყველაფერი და ყოველთვის მობეზრებული მქონდა. რაღა უნდა იყოს მთავარი, ამაზე კარგი, აბა, სხვა რა არის ცხოვრება? გაუმადლარი ხარო, მეუბნებიან. ის არ იცინა, რომ ეს შენი გაუმძღრობა სილარიბესავითაა? თვითონვე არჩენს თავს. ცხოვრებამ რაც გვიანდერძა, ესაა – შრომა, თავაუღლებელი შრომა ლუკმის მოსაპოვებლად, რაც საბოლოოდ, კუჭის გავლით, ნემომპალად დაგრჩება. ბოლოს ყველაფერი მაგად დაგრჩება, არავისთვის ცუდი არ მინდა, ყველა კარგად იყოს, ოღონდ მე შემეშვიტ. აგერ, ცოლიც მყავს, ბოზიარო რომ ამბობენ ჩემი ფატალინა, რაც მინდა, იმას მიკეთებს და იყოს რა, მირჩევნია ჩემთვის წყნარად ვლექდე რამეს. ჰო, რა იყო? ეგაა სიამოვნება, როცა მაგის მულამი გაქვს, თორემ ისე სულერთია რას ჭამ. დროის ფასი არ იციო. დროის ჭამით ვცხოვრობ და მე არ ვიცი? მეზადურებმა თუ დაიჭირეს რამე, ვიყიდი და მოვხარშავ. ფატალინა სად წავიდა? თუმცა, მეძინა, რას მეტყოდა. ვინმეს თუ აძლევს ოხერი. არა, ორსულადაა, მაგას არ იზამს, დღე-დღეზე უნდა გააჩინოს. მაშინ რომ მითხრა, გოჭი რომ დაკლა ზაფხულში, უნდა შევწიროთო, ვის-მეთქი, რაკი სიზმარი ვნახეო. შტერი, რა დროს ბავშვია, ამ შემოდგომას ბავშვი მინდოდა? ვა, რა წყნარი ზღვაა, ამ დროს არ იცის ხოლმე, წვიმებია... ბადებებიც გაუჭიმიათ, ესე იგი, თევზი არის, ერთი ვერცხლი ეყოფა. კალანჩხაში თვითონვე ჩამინყობენ. ამიტომ მიყვარს ეს საქმე. კაის ვჭამ, კაის ვსვამ, რისი უნდა მეშინოდეს, – შენა! აჰა, ეს ერთი ვერცხლი გამომართვი და დიდებით გამივსე, – გობიომ მეზადურს კალანჩხა გაუნოდა. ნაპირზე გამოყვანილი ნავი სავსე იყო თევზებით და კიბორჩხალებით, – ლიფსიტები არ ჩაყარო, ჯიგრიანები ჩაყარე.

მეზადურმა ვერცხლი ქამარზე ჩამოკიდებულ ქისაში ჩაიგდო, კალანჩხის შევსებას შეუდგა... ჰოდა, იმას ვიძახდი, რომ... მოიცა, რას ვიძახდი? ხო, რისი უნდა მეშინოდეს-მეთქი? უკან რა წავა! ვეუბნებოდი, ფრთხილად იყავი, ბავშვი რად გინდა-მეთქი, არაუშავს, არაუშავსო. აჰა, თუ არაუშავს, იაროს და აჩინოს, რა ვუყო. ინაშუსა მეთევზემ, რა მძიმე კალანჩხაა. მაგრამ თრევა რომ მეზარება? ვინმე მაინც გამოჩნდეს, სახლამდე მიმატანინოს. ისე, იმაზე მეცინება, რომ სხვისთვის რაც აუცილებლობაა, ჩემთვის სიამოვნებაა, მთელი ქალაქი რომ მოიარო, კაცს ვერ ნახავ, შიმშილს რომ უძლებდეს. ჰოდა, ამიტომ მოისვენეთ, ფეხებზე მკიდხართ ყველა, რამდენია სასიარულო, ამდენს რა ივლის, რა საკვირველია.

ბაჩანას ის არ უკვირდა, თუ ასე მალე როგორ დაათენდა ორღამენათევს ჭასთან. უკვირდა, ბოლო რომ აღარ ჰქონოდა მის ლოდინს. მისი ბავშვური გონის დანიხლულ, არამეოცნებე სიღრმეში გამოყვინთა ამ ნანატრმა ხმამ, თბილმა და ტირილმოჭერილმა, ყელში გაჩხერილმა ხმამ, რომლის კვალი, ყოველთვის ხელიდან გამსხლტომი ექო სადღაც სირღმეშივე იკარგებოდა და ქრებოდა. პერანგს გიყიდი და მოვალ, მოედანზე დადიოდა ზემოთ მაცქერალი და ქვემოდან უყურებდა ყველას, ვინც იქ იყო. წინ მხოლოდ ხალხის ფეხები ჩანდა და საზიდრის დიდი, ხის ბორბლები, აქლემების ქაჩაჩი და სახედრების და ცხენების ჩლიქები და ისევ ფეხები. ბევრი ფეხი – ჭრელი ტყე მოედანზე უეცრად გაშენებული, მათ შორის ბალღი ბაჩანა ძლივსლა იკვლევდა გზას. მაგრამ სად? საით ცდილობდა წასვლას? თავს ძალას როგორ ატანდა, რათა დაბურულ ტყეში – ადამიანთა ტყეში დაკარგული, უფრო წინ წასულიყო, სადმე გაეგნო, სულერთია სად, ოღონდ ამ მოედანს ნულარ ნახავდა, ამ ჭას, მთელ ამ სამყაროს, რომელიც ქალაქის მოედნიდან იმ საზღვრებამდე იყო გადაჭიმული, რის იქითაც ბაჩანა ველარ ხედავდა. დედის გამოჩენას ელოდა ყოველწამს, ღია ნატვრით, მაგრამ ამ მოლოდინმა, დედის სილამაზის მუნჯმა ნდობამ გააცია, დააეჭვა და წამით დააჯერა, რომ მის გარეშე ცარიელია ყველაფერი და რომ ტყუის ეს ყველაფერიც, რაც გარშემოა, რომ მარტოა, რომ მარტოდ დარჩა. ძალიან ადრე ეზიარა ბაჩანა ტკივილს და ადრევე იგრძნო ამ ტკივილის

დაუნდობელი მზერა – ის ერთადერთი, რაც არ ატყუებდა, არაფერს პირდებოდა, რამაც დაატყვევა, ჩაკეტა და თითქოს დაუსახიჩრა ის ბავშვური ნატვრა, რითაც გაძლო ორი ღამე ღია ცისქვეშ, რასაც ახლა ხალხის კენწეროები უფარავდა, ველარ ხედავდა და აცრემლებული ოღრო-ჩოღროდ მიინევდა.

მოედანი დახლებით შეივსო. შუადღისათვის ტევა აღარ იყო.

ჩასრუბაზარი, მარგორას მოედანი, შფოთით სავსე, აფორიაქებული და დატალღული, ცოცხალ გალიას წაგავდა, ხაფანგს დამსგავსებოდა, რომელიც ატყვევებს, ხიბლავს, აჯადოებს და სურვილისამებრ, მსხვერპლის საკუთარი არჩევანით ატყავებს.

ზოგს ახსოვდა, ზოგს არა, რომ ოდესღაც მარგორა დიდად მშვენიერი ქალაქი იყო. მასზე ოცნებობდნენ და ეთაყვანებოდნენ არა მხოლოდ მაშინ, როცა ის თავისი სიამაყით იყო დიდებული, არამედ ახლაც, როცა ბაზრადქცეული და სიამაყემოძარცული შებლალულიყო. ასეთი შებლალვა თითქოს იმ სათაყვანებელი უკვდავების ნაწილი იყო, სადაც წარსულის ნანგრევებისა და გზაბნეულთა მოდგმის განწირული ნარჩენები უკანასკნელი ძალებით ცდილობდა კიდევ ერთი წამი ეცოცხლა დღევანდელიობაზე უნაყოფოდ დამყნობილ ანწყობში, დაე, ჯანდაბას ხვალინდელი დღეც, ასევე ნაწილი იყო იმ სავალალო თვითდამკვიდრების, რომელიც ქალაქში ცხოვრებისეული განურჩევლობის და ვნებათა კატეგორიების ყოველი აქტით უცნაურ უმანკობასა და პირობითულ კოლორიტს ამტკიცებდა – მფლანგველობით, მეძავობით, ქურდობით, მათხოვრობით; გინდ მათხოვრებით, თავიანთ ბედს ხშირად რომ ვერც აცნობიერებდნენ, გინდ დავრდომილებით და კეთროვნებით ქალაქის შესასვლელებთან, რომელთაც აღარაფრის სჯეროდათ, უიმედობასა და სევდას მინდობილთ. და მეზადურებიც და ხუროებიც ხალხის ნაწილი იყო და თუკი ბედნიერებას განიცდიდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ის უდრეკობა და სიმტკიცე აძლებინებდათ – ზრუნვისა და სიტყვის საქმედგების სისხლში გამჯდარი უნარი, რომელიც არა უკეთესი ცხოვრების რწმენით იყო გამოწვეული, არამედ უსაზღვრო მოთმინებისადმი გაუცნობიერებელი და უცნაური მიდრეკილებით. იგი თვისება იყო, რაც ეხმარებოდათ – ყოველდღიურობის უბირ ჟამსაც კი თავი ხელში აეყვანათ და ისე ეცხოვრათ, რომ თუ თავიანთ ცხოვრებაში ველარანაირ სარგებლობას ნახავდნენ – სასწაულს არ დალოდებოდნენ და მის მოლოდინში სასონარკვეთაში ჩავარდნილიყვნენ, ამტანობისა და იმედის გარეშე, რადგან თითქოს მითიურ უკვდავებას თუ ცხოვრებისადმი ყველა ვალის პატიოსნად მოხდის სურვილსა და ამავე ცხოვრებასთან ჭიდილსა და შემართებას დამსგავსებოდა მათი ყოველი ფიქრი, ნაბიჯი, თუნდაც წამიერი გააზრება და ყოფიერებით ნებადართული იგივე მოთმინება, რის გამოც აგონიაში არ ცვივდებოდნენ, რითაც თითქოს მტვერიც კი გაჟღენთილიყო, რასაც ყოველწამს სუნთქავდა – სიმდიდრესთან და სიღარიბესთან, სამართალთან და უსამართლობასთან, მფლანგველობასთან და შიმშილთან, იმედთან და უიმედობასთან გვერდითმყოფი, ჩვეული ყოველდღიური ცხოვრება.

მარგორა მართლაც რომ მთლიანად ამოშენებულიყო ამ მედგარი, გართობისა და ტანჯვას ჩვეული მტვერით და მასში ჩამდგარი, როგორც პირქუში ხილვა, უსახო სიჭრელის ხმაურს იკრებდა.

დახლებს ქვემოთ, ხალხის ფეხებქვეშ მიძვრებოდა ოთხზე მდგარი ბაჩანა, მოედნიდან გასასვლელს კი ვერ პოულობდა. სადაც არ უნდა მისულიყო, მიცოცებულიყო – ყველგან ურმები, ხალხი, დახლები, ბამბუკის ღეროებზე გადაფენილი საჩრდილობლები ხვდებოდა. ცოტა კიდევ გახობდა, დიდი მონდომებით თავისი სუსტი ხელებით ვილაცის ფეხები განი-გამონია და ისევ იმ წყეულ ადგილას აღმოჩნდა, მისი მიტოვების ნიშანთან – ქასთან. მოედანზე დაგუბებულმა ზმუილმა ბოროტად მოუჭირა, ტკივილისაგან შეწუხებულმა ხელები ყურებზე აიფარა და სიმწრით დაიყვირა. ხმა არავის გაუგია, ან ვინ გაიგებდა, მოედანი იკუმშებოდა, ყველა ერთმანეთს ეჭყლიტებოდა... გაღიზიანებული და აცრემლებული ავაზანზე ავიდა, იქიდან ჭაზე აძვრა, მაგრამ პირზე შემდგარმა თავი ძლივს შეიკავა – მოედანი გარს დაუტრიალდა და ბაჩანამ ნათლად დაინახა ქალაქის ქუჩები, ყველა აქეთ, შემოსასვლელი თაღებისკენ, ოთხივე მხრიდან როგორ მოიკლაკნებოდა. დაინახა, თუ რა ახლოს ყოფილა გასასვლელები, მაგრამ გაბრუებულსა და დაბუყებულს ჭის სველ პირზე ფეხი დაუცდა და წამით, თითქმის ჩავარდნილი და სუნ-თქვაგამქრალი ჰაერში დაეკიდა... ვილაცის ხელზე.

ჩაეკიდა ვილაცის ხელზე, ზევით აინია და როცა მინა იგრძნო და ის ხელებიც, ლოყებში მოხვედრილი – ჩაისუნთქა. თვალები ახსნა.

მომღიმარი კაცის სახე მდორედ ჩამოიკვეთა ბაჩანას ზემოდან. ბავშვი ხმას არ იღებდა, გაკვირვებული აჰყურებდა და აკვირდებოდა მის თვალებს, თითქოს რაღაც ნაცნობ, უკვე სადღაც ნანახ, მანუგეშებელ და ძალზე ახლობელ მზერას, ოდნავ კეხიან, მაგრამ წნორ ცხვირსა და მძიმე ნიკაპს და რაც პირველივე შეხედვით თვალმისაცემი იყო – მისი დიდი შუბლი, უკან გადაყრილი, თითქოს იასამინისფერი ჩრდილით დატალღული თმებიდან ამოყვანილი, თავისი სიმძიმით მთელ სახეს რაც აწვებოდა. ეცნო ეს ნათელი ღიმილიც, სევდიან, თითქოს შორიდან მოფრენილ მზერასთან ერთად.

ბაჩანა აჰყურებდა კაცს და ფიქრობდა, სიზმარში ამ კაცთან ერთად კენჭებს ვისროდი ზღვაში, ბევრ კენჭებს ვისროდი...

სალამოხანს, როცა ზღვის კიდე ბინდის ნაპრალებით აიჭრა და მალლა მკრთალი ვარსკვლავი აციმციმდა, გობიო თავის სახლში მოვიდა – ერთსარულიანი, ქვის თეთრი, ოდნავ მონაცრისფრო იერის

კაცრილობა – ბანიანი სახლი, ხის კართა და კედელში გაჭრილი ერთადერთი სარკმლით, სანაპიროზე მდგარი, ქვისავე ყორეთი შემოღობილი ზღვის ბორგვით გადაზნექილიყო. მარგორა სავსე იყო ასეთი სახლებით, ერთმანეთის მიბჯენით რომ სტარტულებს ქმნიდნენ. ვინრო ქვაფენილებში ფინიკის პალმები ამოშვერილიყო და მთიანი ქედის ძირში ჩაშენებულ ქალაქს, სამხრეთ-დასავლეთით ზღვა ესაზღვრებოდა, როგორც შეყვარებული მთელი ამ ხნის მანძილზე, უხსოვარი დროიდან დღემდე, ყოველთვის ნაზად ეფერებოდა მის სანაპიროს. ჩრდილოეთით დიდი და უნაყოფო უდაბნო გატრუნულიყო, უმონყალოდ ჩუმი, სადაც ყველასგან შორს სამყაროს მპყრობელი სიმარტოვე თუ ცხოვრობდა, ხოლო აღმოსავლეთით – საუკუნეებში გამქრალი, წარსულის ქარით ლეგენდებში გადახვეტილი შუამდინარეთი.

გობიო იატაკზე დაგებულ ნოხზე დაჯდა და კალანჩხა გვერდით მოიღო. დაჯდომისას თითქოს გონება გაუვიდა, გული გაუჩერდა, გაუნძრევლად იდო ვეებერთელა კასრი, მაგრამ როცა თავისი მოკლე თითებით ღიპის ფხანა დაინყო, საბოლოოდ გაშტერდა: ცარიელი მწვანე თვალები, არსადმიპყრობილი, ქკუანაკლულის მხერით თითქოს სამარადისო ამაოებას გამოსცქეროდნენ, ლაბაბი და კისერი ერთნაირად დაებორცვა, ცხვირსა და შუბლზე ცვარად დაედო ოფლის წვეთები, ქვედა ტუჩი ჩამოუვარდა და დორბლი ჩამოენელა, განყდა და უკანვე აინია, შეინია, როგორც ლოკოკინას თვალი.

სარკმლიდან დაცემულ საღამოს სხივში მტვერი ირეოდა და ოთახში, სადაც კედელში შემდგარ თაროში სპილენძისა თუ თიხის ჯამები ენყო, ერთი ხის საგებელი იდგა და ტაბლა მერხითურთ, ერთმანეთზე რომ ეყარა ხმელი და დაობებული პურის ნატეხები, გამოხრული ძვლები, ჭუჭყიანი და გაქონილი ჯამები – ტეხილი მარყუჟებით ბუზები ფრენდნენ, დაუღალავად და უტიფრად ბზუოდნენ და გობიოს კეფასა და ტუჩებზე ასხდებოდნენ. ის გაუნძრევლად იყო და ფხანას აგრძელებდა. მეორე ხელით, ტაბლაზე დახვავებულ ნაგავში რალაცის ძებნა დაინყო, არც გაუხედავს ისე, თითქოს უსინათლო ყოფილიყო და უკუნეთ სიბნელეში აცეცებდა ხელებს – ყველს მიაგნო, აიღო და პირში გააქანა, როგორც ყოველთვის, ნელა დაინყო ლეჭვა და იქნებ ამან მოიყვანა გონს, კმაყოფილმა დაამთქნარა. მთქნარებისას ჩაულეჭავი ლუკმა გადმოუვარდა, მყისვე წვდა, თითქოს ძვირფასი ქვა ხრამში უვარდებოდეს, მუჭით დაიჭირა და უკანვე შეიგდო პირში. ნამოდგა, გაიხედ-გამოიხედა, ოთახში, რომელიც მძალე სუნით იყო შემჟავებული და მთლიანად სახლში, რომელიც საძირკვილიდან ჭერამდე თითქოს უხილავი მსუნაგობით იყო დამკვიდრებული – ამ უღიმღამოდ ატალახებული, პატარა ეზოთიც კი, სადაც ერთი ხეც არ იდგა და მხოლოდ მოყავისფრო, თითქოს მინიდანვე უკვე გამხმარად ამოსული ბალახი, აქა-იქ თუ ცდილობდა მიგდებოდა და უდარდელით შეჭმული მიწის სირცხვილისა და წყენის დამალვას – არაფერი დარჩენილიყო სასიცოცხლო ნიშნით თვალმისაცემი, რაც თვითშენარჩუნების საშინელებას გაუმკლავდებოდა გობიოს მადასთან ორთაბრძოლაში და კალანჩხაში ერთმანეთზე დატკეპნილი თევზებიც მორჩილად ეგუებოდნენ თავიანთ ბედს.

გობიო გარეთ გამოვიდა. კართან ახლოს, ზღურბლიდან ოდნავ მოშორებით, ცეცხლი დაანთო, სანამ ადულდება, უნდა დავწვე, გაეზლისა ფიქრი, ცეცხლზე სპილენძის ქვაბი შემოდო, პირამდე წყლით ავსებული და სახლშივე შებრუნდა.

საგებელმა მტკივნეული ჭრიალი გამოსცა, როცა გობიო პირაღმა გაიშხლართა. ხელები მუცელზე დაიდო და დაიძინა. თითქოს ისევ გაუვიდა გონი და გული გაუჩერდა. ამჯერად მკვდრისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ პირღია სუნთქავდა ზურგზე დანოლილი, მისი უზარმაზარი მთა-მუცელი მძიმედ ადი-ჩადიოდა. თავხედ ბუზებს კი, როგორც არასდროს, არც ახლა არაფერი უშლიდა გობიოს ტუჩებსა და ნესტოებზე მიწებებულიყვნენ და ფეხებით თავიანთი ფრთები გაელორნათ.

კოცონის მოქანავე მუჭი, კარში შემოსული, ირიბად ანათებდა ბნელ ოთახს, საიდანაც გამოსულ ხვრინვასა და ბზუილს, შეშის ტკაცანი ჭრიდა.

– დამელოდე, ფატალინა, სად ჩქარობ?

– დღეს არა-მეთქი, გითხარი.

– აბა, როდის?

– როცა გინდა, ოღონდ დღეს არა.

– მოიცა, ნუ გარბიხარ, – კაცმა ძლიერად ნაავლო ხელი ფატალინას კოჭებამდე დაშვებულ შალის კაბას. სახლებშუა, ვინრო და მტვრიან ქვაფენილებზე მიდიოდნენ, პალმების დიდი ფოთლები რასაც დაჰყურებდა.

– შემეშვი, ახლა არაფრის თავი მაქვს, – ფატალინამ მოსასხამი და კაბა შემოისწორა, – ლაზარენელი რომ გარდაიცვალა, გაიგე?

– და რაა, რო?

– იცი, რა საყვარელი იყო? – ფატალინამ ნაბიჯი შეანელა, – ბოლოს ზაფხულში ვნახე, სიზმარი ამიხსნა, ეჰ.

– რა შუაშია.

– თითქოს ილიმებოდა, აი ისე, როცა გემშვიდობებთან და იცი, რომ ველარასოდეს ნახავ.

– სისულელეა, მოდი ნახე, რა მაქვს.

– რა გინდა?

– ხომ იცი, თუ გამახარებ?..

- გაგიჟდი? ახლა როგორ, უკვე სახლთან ვართ, თანაც ამას ვერ ხედავ? - ფატალინამ გაბერილ მუცელზე ჩამოისვა ორივე ხელი.

- ეგ მე არ მიშლის, - თქვა კაცმა, - ორსულს როგორ ვეფერო ვიცი, აბა, ერთი შემომხედე, - კაცმა ხუჭუჭი თმები გაივარცხნა და თითქოს წინ გამოენია სახე, ცხვირიც გამოუნისკარტდა, ნელზე შემოხვეულ რამდენიმეფად მორტყმული ქამრიდან ოქროს ძეწკვი ამოაძვრინა, - ნაღდი ოქროა, არ ღირს ერთი შენი მოფერება?

ფატალინას მკრთალ ლოყებს ლანდმა დაჰკრა. ძეწკვს მიაპარა ეშმაკი მზერა, - რა ლამაზია, - ნელა და ფრთხილად თქვა, - ბინდში რომ ასე ბზინავს, მზეზე რა მოუვა. მისრეთიდან ხომ არაა?

- აქ არავის აქვს ასეთი.

- ო, რა გარყვნილი ხარ, ეგრე იყოს, მომე აქ, - ფატალინამ ძეწკვი გამოსტაცა, - სახლში შევიხედავ, - ყორეს ეცა.

- სახლში?

- გობიო თუ არაა, მაშინ იქ, - თქვა და მონგრეულ ყორეში შევიდა. იმავნამს გამოუჩურჩულა, - შემო, ჩქარა.

კაცი კატასავით შეხტა უხმოდ, მოქნილი გაუჩინარებით და ქალის მკერდს სწვდა.

- რას შევები! - გაიშიშინა ფატალინამ, - აქ არა, სახლის უკან გავიდეო, იქიდან ვერაფერს გაიგებს, სძინავს. ანდა გაიგოს, ეგეთები გაუგია?

- რაა? რო გამომივარდეს, მაგას ვეჭიდავო?

- ვინ უნდა გამოგივარდეს ბიჭო, გობიო? - ვნებიანი იყო ფატალინას დამცინავი ღიმილი, - გემინია?

- მეე?

- ჰოდა, მაშინ მოდი. მაგას როცა სძინავს, ამ ქვეყნის არაა, ბევრჯერ მიქნია ასე, პირველი კი არ ხარ.

- აბა, რო ამბობდი... სახლიო?..

- მოდი, ცოტა ჩქარა, ნვიმას იწყებს.

ჩამოჟინულა. ზღვაც აიტალლა.

- აქა ვარ, მოდი, - ღზნებით ხმადობოებული ეცა კაცი და ხარბად დაენაფა უბეს, ბრონეულის ტურებში უწყო კოცნა. არ გაჩერებულა, სახლის უკან შეიყვანა, სადაც ნამებში ჩაატარეს ალებ-მიცემობის აქტი.

გობიო თითქოს თავისივე სიმსუქნეში დაყვინთულიყო, საგებელზე დატლანქული, ძილში ჩაქონილი.

- დღე-დღეზე უნდა გავაჩინო, რა დროს ეს იყო, - ფატალინამ შეხსნილი საკინძე წესრიგში მოიყვანა, საიდნაც ქორფად ამობურცული ძუძუების სუსხიანობა ნერწყვებს ადენდა ძალიან ბევრთ, რომლებიც მარგორაში განგებაც კი ჩამოდიოდნენ ავბორცობის სიტკბოში თავდავიწყებისთვის.

ქალმა შალის ცისფრად ფაქიზი მოსასხამი მხრებზე შემოიცურა და ადგა. მძივს დაუნყო თვალიერება, ცალი ხელი მუცელს ამოღო.

- მოგწონს? - თქვა კაცმა. იწვა ნანატრი სიმხურვალით ნაგემი.

- მომწონს, ოღონდ წადი ახლა, ჩემო სიცოცხლე, და ფრთხილად, არ იხმაურო, კარგი?

- როდის გნახავ კიდევ?

- მნახავ, შენ ასეთი ძეწკვები მომიტანე და მე თვითონ გნახავ, ახლა წადი, აქედან გადი, აი.

- ფატალინა.

- ა.

- აბა, ესეც ნახე, - კაცს ნეკა თითზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა გრეხილ-ხვეული.

- ეჰ, მოდი ერთიც, - ამოიოხრა ფატალინამ, - ოღონდ მერე მართლა წადი, გეხვეწები, - კაბა აინია და სახეგაბადრულ მამრს კობტად ჩამოაჯდა, რომ ხვნემოდა თვალეზდახუჭული.

გობიომ ხელები ღიპზე გადმოიღო, ხვრინავდა, თითქოს ჰაერსაც ჭამდა.

- გეყო, ძალიან მაქანავებ, გეყო-მეთქი, მუცელი ამტკივდება, - თქვა ფატალინამ, - ცოლისთვისაც შეინახე თავი.

კაცი თითქოს წნეხის ქვეშ იწვა გონმიხდილი, - რა ბოროტი ხარ, - თქვა ძლივს, თითქოს ველარასოდეს მონყებოდა მიწას. ყორესკენ გაიხედა, - აქედან გავიდეო, რა თქვი?

- აქედან და იცოდე, სხვა დროს გელოდები.

კაცი წავიდა.

ქალმა, მრავალნაცადი დახვეწილი მოძრაობებით თავი ხელმეორედ წესრიგში მოიყვანა და თითქმის ჩამქრალი კოცონისკენ წამოვიდა.

ცეცხლი ლამის ჩამქრალიყო, მაგრამ წყალი ეს-ესაა დულილს იწყებდა. თევზი მოუტანია, გაიფიქრა ფატალინამ, პირდაპირ ჩავყარო? ცეცხლს შეშა შეუჩხირა და ისიც ნამოცოცხლდა, ქვაბიდან ორთქლი ამოძვრა, თითქოს ფაკირის სტვირი უხმობდეს ტომრიდან ოდითგანვე დაწყველილს. წყალიც უმალ აფორიაქდა, ფეხდაფეხ მიჰყვა თავის თავს ორთქლადქცეულს - ადულდა.

ფატალინა ფერუმარილს იცხებდა სახეზე, როცა ჩუხჩუხის ხმა გაიგო. ანთებული ბაზმა გადმოიღო, კალანჩხა ქვაბთან მოახოხა და თევზები სათითაოდ ჩაყარა შიგ. აჰა, სულ ჩაგიყრი, შე მართლა ღორო, მერე კიდევ რამე არა თქვა.

ქვაბი გაივსო. ხის სავარცხლით წელამდე ჩამოშვებული თავისი მშვენიერი თმები დაისწორა, ახლახანს მოპოვებული ძენკვითა და ბეჭდით დამშვენდა და იატაკზე ნოხის კუთხე წამოწია, მუჭისოდენა სამალავს ქვა მოაცილა, სამაჯურები ამოიღო, წვივებზე და ხელებზე აიკვია, სამალავი ქვითვე დაფარა და ნოხი გადააგო. კაბის ფართე, მაჯებამდე ჩამოშლილი სახელოები ქალს უცნაური ზღაპრული ფრინველის იერს აძლევდა.

ბაზმა ჩააქრო და ჩაქრობასთან ერთად ჭერსა და კედლებზე ქალაქის იდუმალების ათინათიც მიქრა. ფატალინა ოთახიდან გავიდა, კარი არ მოუხუროავს, გაიარა ყორეც და ვინროდ ცარიელ ქუჩებში მიიქარა. დაიწყო წვიმა.

და მასთან ერთად ზღვიდან მოსულმა ქარმაც იმატა. ცაზე ღრუბლები შეიკრა, შემადრწუნებლად ჩამოხნულდა. შემდეგ კი უფრო, კიდევ და კიდევ ისე მკვეთრად, დიდი შავი ფარდა დაეშვა თითქოს ციდან და როცა ღამემ საიმედოდ მოხვია მკლავები ყოველივეს, ზღვაც ამას თუ ელოდა, შმაგად დააცხრა მარგორას ქვიშიან სანაპიროს. „ჩქარა, ჩქარა“ – ისმოდა მებადურების გადაძახილი, „მოქცევა დაიწყო“, ალბათ ნავებსა და ბადეებს ექაჩებოდნენ, ასეთ სიბნელეში ვერავინ გაარჩევდა რამეს. მხოლოდ ჭექა-ქუხილი და ბასრი ელვა დროდადრო თუ დაანათებდა ზღვის მუქ ზედაპირს. პირქუში ცის ზანზარი წყვდიადში ქრებოდა, ისევ სიბნელე და მისი ხმაური ფარავდა.

დაულალავი და მტკივნეული ხმაური, საჭიროების აუტანელი ტვირთით – ადამიანთა სიცოცხლეზე მბრძანებლობით დათრგუნული მოედნისა, მოედანი-ბაზრისა, რომელმაც მათ ბედსა და ყოფაზე უსაზღვრო ძალაუფლება მოიპოვა, შეუმჩნევლად მათივე წყევლად იქცა, რამაც შეუმჩნევლადვე გაათავისუფლა ისინი სირცხვილისა და პასუხისმგებლობის სატანჯველის შიშისგან, რადგან აქ მოსული ნებისმიერი ადამიანისთვის ძალზედ ძნელი იყო საჭიროების ცდუნების გაძლება. მხოლოდ ეს კაცი, ვის სახესაც სიკვდილისგან დახსნილი ბიჭი ამტერდებოდა, თითქოს უცხო იყო ამ ხმაურისთვის, რომელსაც არ ძალუძდა მასზე ბატონობა, – ნუ გეშინია, გინდა წყალი? – ეუბნებოდა, – მოდი ჩემთან, ნუ გეშინია.

ბაჩანამ იგრძნო, რომ ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი, მაგრამ მაინც იყო მასში ისეთი, რაც განასხვავებდა მას არამარტო ალექსანდრიელი, კაპუელი თუ მემფისელი სოვდაგრებისგან, რომლებიც ყიდდნენ თუ ყიდულობდნენ აბრეშუმს, ატლასსა თუ სტავრას, ფარჩას და ხალიჩებს, ძვირფას თვლებს თუ სამკაულებს, თიხისა და სპილენძის ათასგვარ ნაკეთობას, გინდ ცხენებს, აქლემებს, მონებსაც კი, რომლებიც ხელმეორე გადასაყიდად მიჰყავდათ მზით, ზედამხედველთა მათრახებითა და ბორკილებით სანამებლად ქცეულ მშენებლობებზე და ქვის სამტეხლოებში, ნიჩბოსნებად გემებზე და უამრავი სეირმონწყურებული თვალის წინაშე, გლადიატორთა არენაზე მოსაკვდინებლად ან ახალ გმირად, ქალებს – საროსკიპობისთვის და დიდებულთათვის, ძღვევამოსილი მდიდრებისათვის, რომელთა წარმოგზავნილიც – საგანგებოდ ლამაზმანების საყიდლად ჩამოსული, სოვდაგრების ნაწილიც იყო – მოსამსახურეებად და ორგების თავანყვეტილი ღრეობების გასახალისებლად, როგორც ერთგვარი ახალი ხილი, არამედ განასხვავებდა მას ყველა იმ ადამიანისგან, ვინც ამ უსახელო ბრბოს ქმნიდა, რადგან გაბმულიყვენ საჭიროების ცდუნებით დაწულ წნულში. ბიჭი დამშვიდდა.

ნამტირალევი თვალები დაუწყნარდა. გაუთბა. შესიებული ქუთუთოები დაეწმინდა, ნამიანი წარბებიც შეუშრა. შვებანაგრძობს გაელიმა კიდევ, უხაროდა, ვილაც რომ იგრძნო გვერდით. იგრძნო, რომ სანდოა კაცი, რომ უნდა ენდოს და მეტი არაფერი. ჩუმად იყო, მხოლოდ ფიქრობდა: „დამესიზმრა, გუშინ დამესიზმრა, ყველგან დამყვებოდა და ბოლოს დიდი თეთრი ცა დამანახა“.

– მოდი, გინდა, მხრებზე შეგისვამ? – თქვა კაცმა, – აქედან გავიდეთ, რამდენი წლის ხარ?

– შვიდის, – თქვა ბაჩანამ.

– აქ არ შეიძლება შენი მარტოდ ყოფნა, შემოსასვლელთან აქლემი მყავს დატოვებული, ტიკს ვავსებდი, როცა ხელი გტაცე. ნავიდეო, ფინიკებს გაჭმევ და თავფლს. რა გქვია?

– შენ?

– სერაფიტე.

– მე – ბაჩანა.

– არქივარიუსი ვარ, – თქვა სერაფიტემ, – იცი, ეს სიტყვა რას ნიშნავს?

– მწიგნობარი? მარგორას რომ არქივუმი აქვს, იმის მცველი?

– ეგრეა. აქ რას აკეთებდი? მშობლები სად არიან?

ბიჭი მის სითბომეტყველ სახეს მიაჩერდა და იასამნისფერ ლაბადას, მინამდე ჩამოსულს, სახელოები მაჯებზე აკეცილი რომ ჰქონდა და ჩახსნილი მკერდი ლაბადის ნახვრეტებში შეწული თასმით იყო ამოკემსილი. ქალამნებიც ასეთივე ღვედებით ჰქონდა დაწული.

სერაფიტემ მხრებზე შეისვა ბიჭი, ერთი ხელი მის ფეხს მოჰკიდა, მეორეთი კი ტიკი დაიჭირა და ხალხის მეჩხერში ყოჩაღად იწყო გზის გაკვლევა.

– იქით რა ხდება, რა ამბავია? – თქვა ბაჩანამ.

მოედნის ერთ შემოსასვლელში, სადაც თალი იყო ქვებისგან აშენებული და ალაგ-ალაგ მარმარილოს ფილები შერჩენოდა, რაც ერთ დროს დიდებულ იერს აძლევდა როგორც ამ თალს, ასევე გარშემო მყოფი, ოთხივე, მოპირდაპირედ შემოსასვლელი თალების მთლიანობას, სწორედ იმ შემოსასვლელებისა და გასასვლელებისა, რომლებსაც ბაჩანა ეძებდა და მხოლოდ მაშინღა დაინახა, როცა ჭაზე აძვრა, ამ თალის ქვეშ ჩამჯდარი აქლემი უნაგირით სვეტზე მიბმულიყო და იქვე ერთი თმაგანენილი ქალი, აცრემლებული და აღელვებული რალაცას ეუბნებოდა მის წინ მდგარ ალბათ რომ უბედურებით თავზარდაცემულ ხალხს. ისმოდა: „ვინ ნახა, ვინ თქვა, ხომ გეუბნებით, დილას მისი სახლიდან მსახურები გამოვიდნენ, სახეებს იკანრავდნენ, ყველამ გაიგო: „ჩვენი გაცი მოკვდა!“ „რისგან, რა მოხდა?“ – ემატა ახალშემოსულთა ხმები. „ვერავინ უშველა, სანყალი გაცი. ამბობენ, ასპიტმა დაგესლაო, წარმოდგენის წინ დაგესლაო. ნიღბების ტომარაში შემძვრალა წყეული“.

სერაფიტემ კუზზე გადადებულ სკამში ჩასვა ბაჩანა, ფერდებზე ჩამოკიდებულ კაუჭზე ტიკი მიამაგრა და თვითონაც უკან მიუჯდა ბიჭს. ჩამოძონძილებენიანმა აქლემმა ლაგამის მოქაჩვისას ხრინწიანად აიღმუჯლა და უკანა ფეხებზე ზანტად დადგა. აკიდებული ბარგი წინ გადმოიხარა და ფეხების გამართვისას, ნელი შექანებით ყველაფერი თავის ადგილზე დასწორდა. აქლემმა დინჯად და მედიდურად იწყო სვლა. „ორი დღე რომ მჭყლეტდნენ უშველებელი ფეხებით, არც ისეთი დიდები ყოფილან“, – გაიფიქრა ბაჩანამ, ჩამოხედა რა ხალხს აქლემის ზემოდან, ახალმოსულთ რომ უყვებოდნენ ღამით მომხდარ ამბავს: „მართლა? იმიტომაც ჩაიშალა წარმოდგენა. რომ დაუგესლავს, ჯერ გონება დაუკარგავს, მერე გასიებული და ველარ გადაარჩინეს“.

– უყვარდათ ეს კაცი, – თქვა სერაფიტემ.

– დედაჩემი კი არსადაა, – წამოიძახა ბაჩანამ, – მე დედასთან მინდა.

– იქნებ ისე დაიკარგე, რომ ველარ გპოულობს, – თქვა სერაფიტემ, – იქნებ, გეძებს. რა ჰქვია, როგორია?

– გულსუნდა ჰქვია და კეთილია.

– მაშინ ჯერ ჩემთან წავიდეთ. ვიპოვნით, სად ცხოვრობ?

– შენ?

– წიგნთსაცავში. განახებ, სულ თაროებია, ეტრატები, პაპირუსები, წიგნები. იქვე გასაუზმებ და დაგასვენებ.

შორს, სახლების გადაღმა მარტომდგარი თეთრი სვეტები მოჩანდა, ეულად ცაში ანეული და ძველი სასახლის ნანგრევებიც იქვე. ბიჭი აქლემზე ირწეოდა, სვეტებს გასცქეროდა, სიციხით დაშანთული ფიქრობდა თავისთვის: „რამხელა სვეტებია ნაქცეული, ეს სასახლეც დაიკარგა? თუ მიატოვეს?“

სასახლის სვეტებიან დარბაზში – სადაც იატაკი მარმარილოთი მოგებულიყო და ნაწერი მოზაიკიდან აღმომართული თეთრი სვეტები, ჩირალდნებისა და ბაზმების შუქში თითქოს იმედებისა და მისწრაფებების სიმბოლოდ ამოზრდილიყო, ამ წვიმიან ღამეს მისრელი სოვდაგრების ზეიმობა იმართებოდა.

ელვის ლურჯი ნათება, ქუხილით დაბზარული, ზოგჯერ თუ შეანჯღრევდა მათ ღრეობას, სადაც გრძელ ტაბლაზე უხვად რომ ეწყო ხილი, თევზეული, ღვინის სასმისები, ენთო საკმეველიც – ნელსურნელების საამო თხელ ბურუსში, ვნებიანი ამოძახილების, სიცილისა და კვნესის გარემოცვაში ფატალინა ცეკვავდა.

ყოველ სვეტთან გაუნძრევლად, მუდამ მზადყოფნაში გაქანდაკებული მონები იდგნენ, რათა ნებისმიერი ბრძანება მყისვე შეესრულებინათ, ლარის ბალიშებსა და ძოლოებზე გადანოლილი, მდიდრულ სამოსლებში გაპრანჭული სოვდაგრებისა, რომელთაც ზოგი ნახევრად და ზოგიც მთლიანად შიშველი ქალები ეალერსებოდნენ, რომელთა თეძოებსა და მკერდებს შორის სრიალებდა ოქროთი და ზურმუხტით, საფირონითა და იაგუნდით დამძიმებული ვაჭართა თითები, მაგრამ ავხორცობით გახურებული სუფრა, ორგიაში ჩაფლული ნადიმი – ყველა ერთმანეთზე სადაც შეზელილიყო და ნიჟარების თუ მარჯნის მძივებით, ნეფრიტის საყურეებითა და სამაჯურებით მორთული ფერუმარილცხებული ქალები ერთმანეთსაც ლომინდნენ სიტყვებით გაბრუებულნი და გარდა ამისა, რამდენიმე მონისთვისაც კი ნება დაერთოთ აწვდილი ასოების ქნევით დამცხრალიყვენ... მუხლებზე მდგარი, მოდუნებული უკანალებით მიკრული მამაკაცები... და მთელი დარბაზი, ყოველი აქ მყოფის ტკბილი დამრუშებით განეპილი ალგზნებულობა, არა ღრეობისათვის დამყოლი გრძობის უსაზღვრო თავისუფლებით იყო მოხიბლული, ან თუნდაც გალიაში მჯდარი შავი ავაზით, თათებთან ციკნის ბეჭი რომ ეგდო სისხლიანი – არამედ მაგიდაზე მოცეკვავე ფატალინათი. „ორსული მრუში რომშიც არ მინახავს“, – ფიქრობდა ერთი მისრელი, „აუ, რას გიკბენ მაგ ბაყვებზე“, – ფიქრობდა მეორე, მესამე და ყველა ერთს ფიქრობდა, როცა ქალების გასლიპული მკერდები, თეძოები, ენები ისრისებოდნენ.

წვიმა გადაღებას არ აპირებდა, უფრო იმატა ძლიერი თქემით.

გობიო ტალახში იჯდა მთლიანად სველი და უკუნეთ თავსხმაში, ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფი, თევზებს წინწინდა ერთი მეორეზე მიყოლებით. ბევრისთვის ფხები არც დაუცლია, ისე ჩაიყარა პირში და წვიმისგან გაღრუბლული და დამბალი პური ჩაიგლისა. ფხები გადმოაფურთხა და ხის კოვზი ისევ ქვაბში

ჩაყო, რომელიც სველ და შავ ნახშირზე იდგა, მაგრამ სითბო მაინც შერჩენოდა – გადანიტლებული კიბორჩხალები ამოიღო, მარწუხები გააძრო და ჩაახრამუნა. ნამში გამოცალა ქვაბი, შიგ წყალი და დარჩენილი ნვიმისგან დაჭუჭყიანებული. როცა ველარაფერი ნახა, ეს თბილი ქვაბიც მოიყუდა. სმისას ზევით-ქვევით უმოძრავებდა ლაბაბითფარული ხორკლიანი ყელი, ნახევარი არც დაუცლია, ქვაბი იქვე მიაგდო. მღვრიე წყალმა ამოასხა. ერთიც ამოაჯლოყინა და სახლში შეგორდა, პირდაპირ ნოსზე გაიშალა გულალმა.

ფატალინა თეძოების ქნევითა და წელის ტრიალით ტაბლიდან ჩამოვიდა. ქალებმა კაბა ახადეს და ფატალინამ, თითქოს დედოფალი ყოფილიყოს ვინმე, ისეთი სიამაყით გამოაჩინა ჯანმრთელი ბარძაყები, მაღალი ფეხები, გამობერილი მუცელი და ძუძუები მარწყვისებრი დვრილებით. ორმა შიშველმა ქალმა – შეზნექილი წელითა და გაგდებული უკანალებით ბალიშებზე რომ ირხეოდნენ, კოცნებითა და ენების თამამი გასმა-გარბენით ტანი გაუნამეს, ხელისგულების ფრთხილი შეხებით წელსაცხებელი და სურნელოვანი ზეთი სცხეს და ტაბლაზევე გადაანვინეს, სადაც სხვებს უკვე მოემზადებინათ მისთვის ადგილი.

განრისხებულ ღამეში წვიმისა და ქარის საზარლად არეული ხმა ისმოდა. ტალებს გრიგალი თითქოს ნიჩბებით ხაპავდა ნაპირისკენ, მოქცევა ადიდდა, სამკვდროდ მოინევდა წინ.

რას აკეთებენ, ფუ თქვენი, ფიქრობდა სვეტთან მდგარი მონა, როცა მისრელმა ფეხები გაუნია ფატალინას და შეაჯდა ქალს, ტაბლასთან ერთად დაანყებინა ძიგძიგი. მინაბული ფატალინა ენისწვერით ტუჩებს ილოკდა და ოდნავ ჩახუჭული მისი ქარვა თვალებიც მწველი სიამოვნებით ერწყმოდა გაზინტლულ ღზნებას. ყურძნის მარცვლებს იყრიდა პირში, თავისი სარკვეპილებით ხეთქავდა და ჭამდა.

გააჩენს სიკვდილს, – აწრიალდა ავაზა, თითქოს მიწისძვრის მოახლოება იგრძნო.

და უეცრად: – მუცელი! – იყვირა ფატალინამ, – ცუდად ვარ, მუცელი!

ალარასოდეს და არცერთხელ! აწრიალდა ცეცხლიც ჩირალდნებსა და ბაზმებში.

მეტი და მეტი! აშფოთდნენ წვიმა და ქარი ერთად შეხლართულნი.

დაუსრულებლად დასასრულებლად! აბნელდა ღამეც.

გობიო თვალდახუჭული ეგდო და ხროტინებდა. ქარი კარს ეცეკვებოდა სიკვდილის ცეკვით, რომელიც მკვეთრად იღებოდა ყოველწამიერი მიხურვისთანავე.

– ვერ ვსუნთქავ! სუნთქვა მიჭირს! – წიოდა ფატალინა ცივად გაოფლილი.

გობიომ დაიხროტინა და ამოარწყია. მდორე სითხის ამოღვრისას, ნიკაპსა და ლოყებზე მიეკრო ნარწყევს ამოყოლილი თევზების ნახევრად უმი და გამჟალი ნარჩენები.

– წყლები დაღვარა, რა ვქნათ?! – აყვირდნენ ქალები. ზოგი ტანისამოსს ეცა. მიიფარა. შერცხვა.

გობიოს პირში დაგუბებული ნერწყვი ბუყბუყებდა. ხროტინი მომაკვდინებლად ისმოდა.

– შეეცადე შეიკუმშო, ხო, აი ეგრე, აი ეგრე, – ეუბნებოდნენ ქალები, – მიდი, არაუშავს, მიდი, – ფატალინა კი წიოდა.

გობიო ველარ სუნთქავდა, სქელი სითხე მდორედ ჟონავდა მისი პირიდან.

– ერთიც, ნუ გემინია, ერთიც, – ქალები ჯიუტად მოთქვამდნენ.

გობიოს მახინჯი კმაყოფილებით ემანჭებოდა სახე, სხეული ეკრუნჩხებოდა, უხილავი ბორკილებისაგან ცდილობდა თითქოს თავის დაღწევას.

– აჩენს, ხელები დაუჭირე, აჩენს. ღრმად ჩაისუნთქე, ღრმად ჩაისუნთქე, – ქალები ატყდნენ.

ჩემი ბედი რა ვთქვი, დღეს მოუნდა ამასაც, გაიფიქრა იმ მისრელმა, საშოს რომ სწვდა. – აჩენს, ბიჭო, აზრზე მოდი, ბავშვს აჩენს, – რას შვრება? ბავშვს აჩენს? ააქ?.. ბედი არ გინდა, აქ დაბადო? – აჰა, ეს რა არის? სისხლით დაითხვარა... როგორ ტირის!.. ე, გააჩინა?! აუ, რას ჭყავის? გაჩნდა... ბავშვი გაჩნდა... ამ ორგაში როგორ უნდა გაჩნდე?!

გობიო გატორტმანდა.

ფატალინამ შვილი გვერდით გადმოინვინა. გაიცინა. შიშველ და სველ დედაშვილს ქალებმა მოსასხამი შემოაფარეს, – ბიჭია, გილოცავ, – გვერდით შემოუსხდნენ, ოფლი მონმინდეს.

სანაპირო კი აღარ ჩანდა. მხოლოდ აზვირთებული და გაგიჟებული ბნელეთი იყო, – ტალებს რომ ყორე მოენგრია და ზღვა ეზოში რომ შემოდიოდა – სახლის დატბორვას იწყებდა, სადაც თავისივე თავით დამხრჩვალ გობიო ეგდო, ვისაც სახე და ყელი საკუთარ ნარწყევში დასვროდა.

– დედა! – ძილში იყვირა ბაჩანამ. არქივარიუსის ოთახში დაგებული სანოლიდან შეშინებული წამოფრინდა, ქვითინი მორთო. თვალები არ გაუღია.

სერაფიტე იქვე იჯდა, მაგიდასთან. სანთლები ენთო გვიან ღამით პაპირუსებზე დაკვირვებულს, – აქ ვარ, პატარა, – თქვა ხმადაბლა, ბიჭთან გადაჯდა სანოლზე, – ცუდი სიზმარი თუ გესიზმრა, – თავზე დაადო ხელი. თბილი ხმა ბიჭის მთვლემარე ფიქრებს მიესაღებუნა და ბაჩანაც უდარდელად გადაწვა, თავი მუთაქაზე გადადო. ძილი განაგრძო არქივარიუსის მყუდრო სამყაროში მოკალათებულმა – ირგვლივ დაყურებულ თაროებზე დამტვერილი და დახვავებული ეტრატები ეწყო, ღამისას მისვენებული გრაგნილები, პერგამენტები და პაპირუსები, წერილები, ფოლიოები.

მთვარის შუქი სარკმლიდან დაჰფენოდა ოთახს. ბაჩანა საყვარლად მოკუმული ტუჩებით იწვა საბანში ჩამძვრალი, ლოყებდაბერილ სახეზე შვება ამოფენოდა, რომელსაც არქივარიუსიც გრძნობდა, ზოგჯერ რომ გაყოფდა სარკმელში მზერას, მიღმა შორეთში რომ მხოლოდ მდგარი სვეტები, ლოდები და მშრალად დაღამებული, ღორღმიყრილი ნანგრევები მოჩანდა. სერაფიტემ პაპირუსები გადააწყო, საკუთარი ფიქრები გამალებით გაქექა – გამოსავალი უნდა ვეძებო, უნდა ვიპოვნო, გიჟი ვარ? არა, გიჟი არ ვარ, მაგრამ რალაცამ უნდა მიხსნას ყველაფრით გარშემორტყმული, ფიქრობდა ის, ამ გადაულახავი წინააღმდეგობის წინაშე მხოლოდ განხეთქილებას თუ ვხედავ, საკუთარ ქმნილებათაგან ჩვენ ყველას რაც გვაშორებს, ვიცი, თუ არ ვიჩქარე, ამ მყისიერ წამსაც უყურადღებოდ დავტოვებ – სასონარკვეთილ უიმედობაში ჩაძირული გონების ძილი – სანამ მას სძინავს, წამის ერთიანობაში, ყველაფერი მონესრიგდა და დანამდვილდა, უთვალავი ნაპრალი გაჩნდა იმას შორის, რაც წარმოგვიდგენია, რომ ვიცი და რაც ვიცი სინამდვილეში, კარგად მესმის ჩემი ნადილი წამის თანმიმდევრობით ერთი ხაზით ახსნისა უფრო ძლიერია, ვიდრე თვით ამ წამში თავის დანახვა. მაგრამ იმასაც ვხედავ, ასეთი ნადილი პარადოქსის გამოწვევას რომ ნიშნავს, რომელსაც გონი ველარ ხსნის – ო, დომინუს ჩემო, როგორ მჭირდება ახლა, ეზრა, დიდო ოსტატო! როგორი საჭირო ხარ ჩემთვის! ჰო, გონი ველარ ხსნის, რაც წამის წინაშე ადამიანის უსუსურობის აღიარებასაც შესაძლოა ნიშნავდეს, თუკი ის თვლის, რომ წარსული იყო და მომავალი ჯერ არ დამდგარა; როცა უკვე ვიცი, ვხვდები და ვგრძნობ, რომ ერთიც და მეორეც ამ წამშია მონესრიგებული. მეშინია, საბოლოოდ მართლაც პარადოქსის წინაშე არ დავდგე.

სერაფიტე ფიქრობდა, თითქოს ღრღინდა თავს. ფიქრობდა მარგორაზე, საკუთარ თავზე, ბაჩანაზე – დედამისი რომ გაქრა ასე უეცრად, მართლა მიატოვა?

ოთახში გაიარ-გამოიარა, ქვის იატაკზე მიძიმედ გადადგა ნაბიჯები, ნიკაპი დაისრისა, თაროებზე დანყობილ პაპირუსებსა და გრაგნილებს შეავლო თვალი. მეტყველი მდუმარება მათი შფოთვამოდარცული რომ ჩასაფრებულყოფი ოთახის ოთხივე კუთხეში. სიტყვები სამყაროს ოთხივე მხარეს, სიტყვები და არაფერი სიტყვების გარდა. სიტყვა – ბედი, სიტყვა – სიჩუმე, ფიქრობდა სერაფიტე, სიტყვა – პირველი და ბოლო, როგორც ადამი – თავდაპირველი კაცი. ვინ იქნება ბოლო? ვინ დააღწევს თავს? ვინ გაუძლებს უმნეო და გამოუცდელი ამ გულგრილ, ვრცელ და შემოვლით გზას, რომელიც მის ცხოვრებაზე გაივლის და ადგილს მოუძებნის ამჟამინდელ ცხოვრებაში – დაბადებიდან სიკვდილამდე. ან მოკლე ბილიკით გადავა ცხოვრების ყველა ზღვარს, უკანასკნელსაც კი და გვერდს აუვლის ბედისწერის მუხრუჭებს, რადგან მისივე ბედის კირთის ქვეშ იქნებ და ძალზე ძნელია გაძლება – თავის შეგრძნება სრულფასოვან ადამიანად.

თაროზე – თიხის ფირფიტები სადაც ელაგა, ზედ ლურსმული დამწერლობის ნარჩენი კვალით, ფოლიოები ასირიული, სპარსული, ძველი ებრაული, ბერძნული, ლათინური ტექსტებით; იქვე კაბაბლა, ყოველ გვერდზე რიცხვებისა და ასო-ბგერათა მარჯვნიდან მარცხნივ დაყოლებული ქარაგმებით, ეტრატები და პაპირუსები, მისრული იეროგლიფების ნახატი – ხარის ბეჭი იდო. გამობრული თუ გამოფიტული, მოყვითლებული და მოტლანქებული ბრტყელი ძვალი, რასაც სერაფიტემ სამოსლის სამკლაურით მტვერი გადაუწმინდა და დახედა, – რას კითხულობდა ამაზე ეზრა? გაიფიქრა, – და რატომ არაფერი სჩანს ახლა, დომინუსმა, თვალისჩინივით მოუფრთხილდით, მიანდერძა, – დმანისიდანაა ჩამოტანილი და გადმოცემით ვიცი, რომ ძვალმა სულის სიკვდილის შვიდი სიტყვა იცისო. სერაფიტემ ახლოს მოინათა ბაზმა, ხარის ბეჭს გულმოდგინედ დააკვირდა, ყოველ ბზარს და ნაჩხაპნს დააცქერდა, მაგრამ მწუხარედ თავდახრილმა მძინარე ბაჩანასკენ განია მზერა, როცა სიტყვები ველარ იხილა ისევ. დიახ, ისევ, – გაიფიქრა, რამდენს ვაკვირდები, მაგრამ ჯერ ვერაფერი. ეზრა ამბობდა, ნათქვამია: დუმილი ოქროა რჩეული, ბრძნად მეტყველება ვერცხლია წმინდა. ბეჭი კალთაში დაიდო, ბაზმა იატაკზე დადგა, ვერცხლია წმინდა გაიმეორა ფიქრში და მძინარე ბაჩანას გადახედა, სულის სიკვდილის შვიდი სიტყვა, კიდევ ერთი გამოცანა, ეზრას წერილთან ერთად. რაც დამრჩა მისი ანდერძი.

ხარის ბეჭი თაროზე დააბრუნა, სანთლები და ბაზმაც ჩააქრო, სარკმელი ღია დატოვა და მაგიდის გვერდით დანვა, იატაკზე გაშლილ ტყავებზე. თავისი იასამნისფერი მოსასხამი შემოიხსნა, დაკეცა და თავქვე ამოიდო. ჩაძინებისას ბაჩანას მონაყოლს იხსენებდა, დედამ რომ მოედანზე მიიყვანა, პერანგს დაპირდა და აღარ მოსულა; ბიჭს რომ ეშინოდა, რომ ელოდა, რომ ჭასთან დარჩა ნატკენი და დამფრთხალი, რომ სახლიც არ ჰქონდათ, ნასახლარებში აფარებდნენ თავს, ცხოვრობდნენ და ოცნებობდნენ, რომ დედა ზღაპრებს უყვებოდა, ეფერებოდა, უვლიდა და ზრდიდა ისე, როგორც შეეძლო, მომთაბარე ცხოვრების წესით, რომ არც მამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა ბაღმმა. გათენდება, გაიფიქრა არქივარიუსმა, და მარგორას მოვივლით. იქნებ ვინმე ამოიცნოს ბიჭმა, თუმცა პატარაა, ბაჩანა ჯერ ძალიან პატარაა.

სარკმელში საიდუმლოდ სუნთქავდა ღამე – ჭრიჭინებით გაცრეცილი. ცაზე დიდი მთვარე აკრულიყო, ღრუბლით მოლაქული, თავისივე ბატონობის ჟამს რომ დაეკიდა მძინარე ქალაქის თავზე. შეფენილ სახლებში პალმები ამოხსნილიყვნენ, მორჩილად რომ დაჰყვნენ ქალაქის თვლებას, როცა ყველას ეძინა უდროო წამით აცდენილ სიზმრებში.

სადაა ჩემი შვილი? თითქოს ვინმეს კითხვას უპასუხა ფატალინამ, ჩემი პატარა. რა ვიცი, ბავშვებისათვის მე არ მეცალა და იმის შემდეგაც რამდენი წელი გავიდა, რა არ გადამხდა, მართლა რა ერთი წამივით გაქრა მთელი ცხოვრება და მხოლოდ ცალკეული მოგონება დამრჩა. აი, ისევ მეტკინა შიგნით, რომ გავიხსენე, ისევ მეტკინა. არა, გული არ დამწყდა, მაგრამ ვნანობ, იმათ რომ გავატანე. რა მექნა? ვერ გავზრდიდი, ახლა კი ასე დავბერდი. რას ვიფიქრებდი, ამდენი ხანი თუ ვიცოცხლებდი, რომ ამბობენ ჩემზე – ბებერი კახპაო, ეჰ, რა დრო იყო, რა ქალი ვიყავი მაშინ ფატალინა, მთელი მარგორა მუხლის ჩოქით მთხოვდა, ერთი კოცნა გაიმეტეო, მარგორა – ჩემი სილამაზის ქალაქი, ახლაც კობტა, ოღონდ მე დავბერდი და თანაც ეს ომი! რა კაცები იხოცებიან, ერთი აურუმის თავი მომცა და მე ვიყო ახალგაზრდა, დავავინყებდი ყველას და ყველაფერს, რა ცხოვრება მოისპო, სულ ფული უნდა იხადო, ქუჩაში ველარ გაივლი, ხვეტავს და ხვეტავს ოქრო-ვერცხლს, დიდი ქონების პატრონია, დიდი. მე რა ვქნა, ბებერმა, თორემ ყველა უშველის თავს. ეჰ, სადღა მაქვს რამის თავი, ვილას სცხელა შენი ფატალინასთვის. ასაკი ჯოჯოხეთია ჩემთვის, ჩემს სახეს საკუთარ თავსაც ვუმაღავ. აღარავის ვუნდივარ, არადა, რა გოგო ვიყავი? გაგიჟებული მყავდა ყველა, რას არ იმეტებდნენ, საიდან არ ჩამოდოდნენ, რიგები რომ იდგა, მაგას რა დამავინყებს. ქალი ვიყავი ღვთაება, ახლა რომ დავჭკნი და გავუბედურდი. ყველაზე კარგად ვიცვამდი, ყველაზე ძვირფასი სამკაულები მეკეთა და ყველაზე ლამაზი ვიყავი. ო, რა ლამაზი ვიყავი, რა ტანჯვაა ჩემთვის ვინმემ თუ იცის? ასეთი ბებო ვის რად უნდა? წესიერად ველარც ვხედავ. წესიერად კი არა, რომ შებინდდება, საერთოდ ველარ ვარჩევ, ათასში ერთხელ ვინმე უბედური ან ბრმა თუ მოვა, თვალის დახამხამებასაც ვერ ვასწრებ, უკვე აღარ არიან და მაშინ კი იცოცხლე, ვინ არ მოდიოდა, სად არ ვიყავი. ბებრული ტანჯვა დამრჩა, რა დავაშავე ასეთი? ამას ხომ სჯობდა ადრევე მოვმკვდარიყავი?! მაგრამ მაშინ სიცოცხლე მიხაროდა, ერთ-ერთმა იმ სოვდაგრებისგან იმდენი გადამიხადა, კი ვიფიქრე, სულ რომ შვილები ვაჩინო და ვყიდო, ჩემზე ბედნიერი და მდიდარი ქალი არ იქნება-მეთქი. მაგრამ შვილები ჩემი საქმე არაა. სიყვარული კი გაქრა სილამაზესთან ერთად. „ბებია ფატალინა“, – მებრაზებენ ქუჩის ბავშვები. არადა, დრო იყო, მათი მამები, ბიძები და ბაბუები დავავაჟკაცე-დარდი რა იყო, არ ვიცოდი; „დედა ფატალინა“ – ასე ამბობდნენ ჩემზე. მეზღვაურები, აი ხალხი! ქალთან ქცევაც იციან და პატივისცემაც. ან იმ ჯარისკაცებთან რომ მივედი და აბა, ბიჭებო, მანახეთ, როგორ გიყვართ დედასამშობლო-მეთქი და რო ატყდა ამბავი, რა დამავინყებს. ახლა კი, ცარიელი დარდი ვარ, აი, თურმე ეს ნაოჭებიც რა ყოფილა... ის ღორი არ მაფასებდა, თორემ სხვები, იცოცხლე! ბოროტად ვექცეოდი მათ? ყველას ჩემსავით მოუვა ბოლოს, გიხმარენ და გადაგადებენ. ქონებაც აღარ შემრჩა, ყველაფერი გავანიავე. მეტირება, მაგრამ ცრემლები ვერ გამაახალგაზრდავებს და ვერც ვერაფერს დამიბრუნებს. რა დღესასწაულები იმართებოდა... კი, ახლაც ცას აყრუებს, როცა აურუმს მოუნდება მაშინ, მაგრამ მე რა?! მაშინ, როცა გალავნის მშენებლობა ახალდანყებული იყო, ეს ომებიც წესად იქცა და თავლაში რომ შევედი და ჩემ გამო ზედამხედველებმა მართლა ომი რომ ატეხეს, ჩემზე კარგად ვინ იცის, თუ რას ნიშნავს, როცა ასე უნდისარ ვინმეს და სიყვარულიც ალბათ არაა და ნურც ნურავინ იტყვის ვინმეზე მრუშიაო, ან ყველა მრუშია და სიძვა, ან არავინ, რადგან ყველა ერთს ეძებს, ერთი რამე უნდა და ელის, ადამიანს კი ყველაფერი ეპატიება, როცა შეყვარებულია. დღეს სხვა გოგოები მოსწონთ, მაგრამ იმათაც ასე ეტკინებათ, თუ სიბერეს მიალნიეს. სიყვარული წამიერია და მაშინაა მუდმივი, როცა ერთ წამში ცოცხლდება და კვდება. მხოლოდ ჭრილობას გიტოვებს, რომლის შესახორცებლად დრო აღარ გრჩება. ბევრი გმირი ვიცი, ვინც ამ წამს თავი შესწორა, მაგრამ შემდეგ? შემდეგ ტკივილია. ასეთი ჭრილობებით დავრჩი მეც. ადრე რომ მცოდნოდა ის, რაც ვიცი ახლა, ან ახლა შემეძლოს ის, რაც შემეძლო ადრე, ალბათ, დროც გაჩერდებოდა, არც სიბერე იქნებოდა, არც ტკივილი და არც მონატრება. გამოჩნდეს ნეტავ ვინმე, ვისაც ვახსოვარ, მაგრამ როგორ? ქალაქში ომია და შიმშილობა, ვილას ვემახსოვრები.

– კი, ვიცი ერთი მოხუცი ქალი, აგე, იქ ცხოვრობს, მგონი ფატალინა ჰქვია, – მებადურმა მეომარს უპასუხა და ვინრო, სახლებს შორის ასასვლელი აღმართისკენ აიშვირა ხელი, – მაგრამ ბებერი ქალი რა ჯანდაბად გინდათ? – სამი ჯარისკაცი ეჭვით აათვალიერა, ტყავის ტუნიკები, დიდი მრგვალი ფარები, ქამარზე დაკიდებული მოკლე ხმლები.

- თევზებს მიხედე, – თქვა ერთმა ჯარისკაცმა, და სამივემ აღმართისკენ გასწია.
- როგორც იტყვით, თქვენია ეს ქვეყანა, – თქვა მებადურმა, ჩქარა გაეცალა.
- გამასწარი, სანამ ცოცხალი ხარ, – გამოსძახა ჯარისკაცმა და მეორეს მიუბრუნდა, მუშტი ხია მხარზე, – დაგენძრა?
- არაფერი არ დამენძრა, – გადააფურთხა იმან, – ნიძლავი ნავაგე, სიტყვა სიტყვაა.
- შეგვიძლია მოვილაპარაკოთ, – თქვა მესამემ, ფარი ზურგზე გადაიდო, – ორ-ორი ვერცხლი რომ მოგვცე, ვილაც ბებერის ხეხვა არ იქნება საქირო.
- ა, თქვე ახვრებო, – მოიჭმუნა წინ მიმავალი, – ნავაგე, მორჩა. ითქვა? უნდა გაკეთდეს.
- ჩვენში დარჩეს და, არ გეზარება?
- მეზარება ერთია, ნიძლავი და სახელი – მეორე.
- რა გათამაშებდა, მთელი დღე იგებდი და რა მოგივიდა?

– ჰო, ცუდი არ იყო, ნაგებული ბებერს ხეხავს, მოგებულისათვის კი ჩვენ ყველას უნდა ქორფა გოგო მოგვეყვანა. მოგეგო და ეგ იქნებოდა.

– მერე, რა გინდა. ვამბობ რამეს? მივდივართ საქმეზე. როგორც კი მოვრჩებით, ნაწილში ვბრუნდებით და თავიდან ვითამაშოთ. მოსულა?

– მოსულა.

– ეგრე იყოს.

გზას აგრძელებდნენ.

ალმართის ალმა პატარა მდელო გამოჩნდა, მის იქით კი ხევი, რომლის კიდის გაყოლებაზე გალავანი განელილიყო.

– მოვედით? მიდი და გაიგე, სად ცხოვრობს, – თქვა ჯარისკაცმა.

– თქვენნაირ იხვევს რომ კაცი აყვება, უარესის ღირსია, – თქვა მეორემ.

– აი, იქ რო რალაც სახლია, ეგ ხო არაა? – თქვა მესამემ და სამივენი სახლებს შორის ჩარჩენილ საცალფეხო დერეფნის ბოლოში, პატარა ქობთან თუ ნასახლართან მივიდნენ.

ბანიანი სახლის შესასვლელთან, რომლის კარიც შეხსნილიყო, ფინიკის გრძელი პალმა იდგა, დამტვერილ, დაჭუჭყიანებულ კედლებს შორის აწვრილებული.

– არის ვინმე?

– მობრძანდიიით, – სახლიდან დედაბრის ხმა გაისმა.

– ეგაა, სწორად მოვსულვართ. რა ვქნათ? შეხვალ?

– რა უნდა ქნათ, იმიტომ ხართ აქ, რომ მიყუროთ, მერე რამე არა თქვათ.

– ჩვენ არაფერს ვიტყვით, მაგრამ ამბობ, რომ უნდა გიყუროთ ამ ბებერს როგორ იხმარ?

– აბა, თქვენ რა გგონიათ? გათქმევენებთ ჩაიჯვარო? მოდით და კარგად დაჭყიტეთ თვალები, – ჯარისკაცი სახლში შევიდა, – არის-მეთქი, ვინმე?! – ხმამაღლა დაიძახა.

სახლი დაულაგებელი ჩანდა. აყრილი ფარდაგებით და მტვრიანი ბალიშებით დაფეთხემებული. ნახევრად ბნელოდა და მიყრუებული სახლი-ოთახი, მარგორას სადღაც ჩიხში ჩავიწყებული, უხერხული მჟავე სუნით იწრიტებოდა.

– არავინაა და აბა, ვისი ხმა იყო? – მიუბრუნდა ის ერთი იმ ორს.

– როგორ არ ვარ, შემობრუნდი რაინდო, – გაისმა ნახევრადბნელიდან.

– ბიჭებო, ერთი ეს კარი კარგად გააღეთ, სინათლე შემოვიდეს, – თქვა ჯარისკაცმა და როცა ღია კარში სინათლის რბილი სვეტი გადიდდა, სამივემ იხილა – მუთაქისა და ნოხის ნაყმიდან, თითქოს შემოსული შუქით ამოკანრული კონტურები – ერთი ბენო, მოკუზული, ჩამონაოჭებული და ჩამოხუნებული სილუეტი კუთხეში მიმჯდარ დედაბერს რაც წარმოაჩენდა.

– მოდი, ჩემო მზეჭაბუკო, – ჩაიკისკისა.

– ფატალინა? თქვენ ხართ, დეიდა? – დაიბნა ვაჟი.

– მე ვარ, მოდი.

ბებრის დანახვისას სამივემ ენა ჩაიგდო. დედაბერს კი გაეცინა, უკბილო ღრძილები უსირცხვილოდ გაუტიტვლდნენ. ფატალინამ ტურზე აკანკალებული, დამჭკნარი ხელი მიიღო, მაგრამ გახარებულმა თავი ვერ შეიკავა და ისევ აკისკისდა, ბებრულად, რიოშად, კუდიანივით.

– ეს რა დღეში ჩავვარდი, – ჩაილაპარაკა ჯარისკაცმა, – ჯარისკაცი ვარ, წადი რა, ან სამშობლო დაიცავი ან იომე, ეს რა უბედურებაა, – მიაშტერდა ბებერ ფატალინას, წინწკლებიანი კანის ქვეშ გაბმული ძარღვები ცივად რომ ამოკრთოდნენ.

ჩაჭყილიყო ფატალინას ჩამქრალი ქარვა მზერა და შემხმარი ლოყები, ავადური ჩრდილი რასაც გადაკვროდა, მაგრამ ამ ერთდროს სანატრელმა და ხიბლით მომაჯადოებელმა მზერამ, გაძარცვულმა და დაკნინებულმა, ახლა უცნაური ნაპერწკლით იბრწყინა, – მოდი, ძვირფასო, მე ვიცი შენ რაც გჭირდება, – თქვა ფატალინამ, აიიმ ძველი ავხორცობის ნამგლეჯი ხმით.

– არა, დეიდა, იცით, რაშია საქმე?..

– მომიახლოვდი, – შეაპარა, – არ ვიკბინები.

– მე პეტრიდიდეს ქემიკი ვარ... მეომარი ვარ...

ფატალინამ გაჩონჩხილი ხელებით ძლივს აიჩოჩა კაბა და ავად გამხმარი ფეხები გაფარჩხა, – ნუ გერიდება, შემოდი, – თქვა.

– ეს გიჟია ვილაცა, – კარისკენ გაიხედა ჯარისკაცმა. იქ არავინ იყო, – ამ ახვრებმა ხომ არ ჩამინყეს? – მიუბრუნდა ბებერს, – იცით? მე... ნიძლავში ისა... და თქვენც თურმე ეს გინდოდათ ჰო? – ვაჟიშვილურად გაიბნა.

– შენ რა, არ იცოდი, ვისთან მოდიოდი? – გაიცინა ფატალინამ, – მოდი, დედა გენაცვალოს.

ჯარისკაცმა ზიზლი იგრძნო პირში. გადააფურთხა, სუნთქვა შეიკავა და თქვა: – რაც არის არის. მე ავიტყებ! – მიუცუცქდა და დაიწყო ნაგებული ნიძლავის გამთავრება.

– მიდი, ველურო, მიდი, არ გაჩერდე, – იძახდა ვნებაშემთხვეული ქალი, საგებელზე დათხვრილ ზენარს ექაჩებოდა, იჭიმებოდა, იშხვართებოდა თავისივე სანუკვარი სტიქიით აყვანილი, ჟინიანი და შერყეული, ნელად მიმოქცევი სისხლი რომ ნელადვე ეწვოდა სადინარებში, სიმწვავე რომ ძლივძლივობით ატანდა კანქვეშ და გარყვნილ სულსაც ნელ-ნელა დევნიდა სხეულიდან.

მოკვდა. მოკვდა ბებერი ფატალინა, როგორც ცხოვრობდა – ისევე ისე.

– ე? – პირი დაალო ჯარისკაცმა, – ბიჭებო, შემოდით, რალაც ხდება!

– რაო? – გადახედეს კედლის უკან მოფარებულებმა.

– შემოდით-მეთქი! დროზე!

ქეშიკები შემოცვივდნენ. ოთახის მჟავავე სუნი თითქოს დაიკუმშა.

– მგონი მოკვდა, – თქვა ნიძლავნაგებულმა.

– რას ჰქვია, მოკვდა?

– რამ მოკლა? თუმცა, ჰო.

ერთმა დედაბრის ლოყებს დაადო ხელი, მეორემ საფეთქლებზე.

– ეგეთი რა მოკვდა, რომ ხმას აღარ იღებს.

– ფუ, მე ამის, – უკან გაინია ჯარისკაცი. ნიფხავი და ტუნუკა ჩამოინია. ფარი აიღო, – ახლა რა უნდა ვქნათ?

– ქალიც ეს ყოფილა.

– ნოხი გადავაფართოთ და აქ დავტოვოთ. ვინ გაიგებს?

– სწორია. იტყვიან ბებერი იყო და მოკვდაო.

– ზღვაზე ჩავიდეთ, უნდა დავიბანო. გული მერევა. ჩქარა.

– ვინ რას გაიგებს, ეგერ პეტრიდიდემ ყველას თავები დააჭრა მოედანზე. ხმის ამომღები არავინაა, ამისთვის სცალიათ?

– მერე რა, ჩვენ ჯარისკაცები ვართ თუ?..

– ბიჭო, ომია! სინდისი ახლა განუხებს? სანაძლეო შეასრულე, მეტი რა გინდა?

– გვეყო.

მიცვალეულს სამოსელი შეუსწორეს, ნოხი დააფარეს და იქვე დატოვეს. კარიც გაიხურეს ცივად და უხმოდ.

სიცივე ჯერ არსად იგრძნობოდა, თუმცა განთიადის ახალი ნასუნთქი ყოყმანით ეცხებოდა ძილიდან ამოყვანილ მარგორას და მარადუძინარი ზღვაურიც დიდი ხალისით შხეფდა.

– დღეს დედიკოს მოვძებნით? – საგებელზე დასკუპებული ბაჩანა ქალამნების თასმებს იკრავდა, დახრილ მხრებზე ტუნუკა ჩამოეცვა.

– აუცილებლად, – თქვა სერაფიტემ, ბიჭისკენ ზურგით იდგა, სარკმელში იყურებოდა, მხრებზე ჩამოჩრილი იასამნისფერი მოსასხამი თავზეც გადმოეფარა, სახელოები მაჯებთან აეკეცა, – უპატრონოთა ბანაკში არ მინდა მიგაბარო, ცოდო ხარ, ჩემთან იქნები, სანამ დედას არ ვიპოვნით.

ბაჩანა იჯდა, ხმას არ იღებდა, დაჭყეტილი თვალებით არქივარიუსის ოთახს ათვალეერებდა, ხის სკამებს, მაგიდას, თაროებსა და პაპირუსებს, – და გუშინ ამდენი რომ ვიარეთ და ვერსად ვნახეთ, დღესაც ვივლით? – თქვა ბაღლმა.

– დღესაც. კარგია რომ სიცხე აღარ გაქვს. ორი ღამე ცივ მინაზე, ღია ცის ქვეშ... ავად რომ არ გახდი, ყოჩაღ! გამოიძინე? როგორ ხარ?

– კარგად. ეს შენი ბიბლიოთეკაა, ხომ?

– კი, ჩემი ნიგნოსაცავია.

– რამდენი ნიგნია, – გაიზმორა ბიჭი, – ამდენი ერთად არასდროს მინახავს.

– ამაზე გაცილებით დიდი ალექსანდრიის ბიბლიოთეკა იყო. ომის დროს დაწვა კეისარმა.

– და შენ ყველა ნაიკითხე?

– სხვა რა საქმე მაქვს.

– და რეები წერია შიგ?

– ასოები, სიტყვები, ამბები.

– მეტი არაფერი?

– ყველაფერი ეგაა, მეტი რალა გინდა?

– ყველაფერი როგორაა? განა ასე ცოტაა ყველაფერი, რომ შენს ოთახში ეტევა?

ბაღლი ფეხებს აქნევდა საგებელზე მჯდარი.

– რა ენაზე წერია?

– სხვადასხვა ენებზე: ფინიკიურად, შუმერულად, ბერძნულად, ლათინურად, არაბულად...

– რატო?

– რა რატო?

– რატო წერია?

- ადე, ხელ-პირი დაიბანე, ვისაუზმოთ და ზღვაზე გავიდეთ, მეზადურები ვნახოთ. ჩავალ, აქლემს დავხედავ.

- და ის რა არის, აი, იქ?

- სად, პატარა? - შემობრუნდა სერაფიტე.

- აი, კუთხეში რო ოთახი მოჩანს და იქაც თაროები რომაა და დიდი ძვალცი რომ დევს, აი, ვხედავ, რატო? იქ კიდე რალაცეები ასხია ჭურჭლებში, ტიგელები ერთმანეთზე რატო?

- იმ ხსნარებთან არ მიხვიდე, დაგნვავს, მჟავებია, კანზე არ უნდა მოგხვდეს. საერთოდ, იმ ოთახთან შენ საქმე არ გაქვს, იქაც ეტრატები და პაპირუსებია, მაგრამ იქ არაფერი გესაქმება. ის ძვალი კი ხარის ბეჭია, ძალიან ძველია.

- და რათ გინდა რომ ინახავ?

- ოჰ, რამდენი გინდა იცოდე, ადე, ადე, პირი დაიბანე, მე გარეთ გავალ, - სერაფიტემ კარი გააღო და სახლიდან გამოვიდა, ქვის სამი საფეხური ჩაიარა, ქვაფენილზე ჩამდგარი, ქუჩაშივე ბოძთან რომ ჰყავდა მიბმული აქლემი, თეთრი ქვითკირით მოპირკეთებული სახლის კედელთან ჩაკეცილი, ლობიდან მორკალული კისერი ვისაც ამოეყო და ზღაზვნით ამოძრავებდა ყბას. უცნაურობა მჭირს, ფიქრობდა არქივარიუსი, უცნაური წინათგრძნობა, მაგრამ რისი, არ ვიცი. თითქოს ჩემი წინათგრძნობა მხოლოდ მოთხოვნილებით არაა გამონვეული, ან მიზნით - მთავარ კითხვაზე პასუხი ვიპოვნო, აქ რალაც სხვაა, უფრო ძლიერი, უფრო ცოცხალი ძალა მექაჩება წინ, ვიდრე ცნობისმოყვარეობა, მიმონვლილვას წინ რაც უსწრებს - აი, ის. მარგორაში ან სხვაგანაც კაცი თუ ჩემსავითაა, მაშინ გამიგებს, თუ როგორი საქიროა დღეს ფიქრის ახლებური ფორმით გადმოცემა და არც ფილოსოფია, არც პოეზია, მათემატიკა, ასტრონომია, გინდაც მისნობა ჩემს კითხვაზე პასუხს არ იძლევა - რატომ? არ ვიცი. სინთესის ვითხოვ, საგნის შესწავლის უნიკალურ მეთოდს, მოვლენას რაც მთლიანობაში განიხილავს და ნაწილაკებთან ურთიერთკავშირშიც, სინთესისი - როგორც ბედნიერების წინაპირობა, ჩემს გულჩათხრობილებას დისციპლინად რომ მიქცევს ალბათ, როდისმე, სადღაც, ვილაცა წრეს გაარღვევს, მეცნიერი თუ მოხეტიალე რალაცას აღმოაჩენს. ეზრა მეუბნებოდა, - ქვეყნად ერთი მთავარი სასწაულიაო, აღმოჩენის სასწაულიო, მაგრამ გავა დრო და ყოველი აღმოჩენა ასევე წრეში დარჩება, უფრო გადიდებულ წრეში. იქნებ ახალ ემოციაზე ვოცნებობ? და ჯერ არ ვიცი? მე საყოველთაო სიტყვაზე ვოცნებობ, რომლის სიხარულიც არაა ხანმოკლე. ვოცნებობ საყოველთაო ანბანზე, ნიშანზე, ერთ დედაენაზე. მთელი ცხოვრება ეტრატების ქექვას რომ მოვანდომე, ახლალა ვხვდები - ყველაფერი საეჭვოდ მეორდება და თითქოს უკვე ნანახის განცდა თავს მახსენებს - განწრულია სამყარო, თუ კითხვაზე პასუხი არ იქნა ნაპოვნი, ამ წრეში დაინთქმება იგი, ყველაფერი მეორდება და აი, ისევ სიტყვები, ყველგან სიტყვები და არაფერი სიტყვების გარდა. სამყარო უნდა გაიხსნას, სხვაგვარად გადარჩენა არავის უნერია. ახალი ნიშანი მინდა, ახალი ენა, ოღონდაც ვინმე მიპასუხოს იმაზე, რასაც ვკითხავ.

ზღვა იყო ლალი და მშვიდი. თოლიები ფრენდნენ. მეზადურები ნავებს ათრევდნენ და ბადებებს ჭიმავდნენ.

- ნახე, ვინ მოდის? - თქვა ერთმა მეზადურმა, საჩხრეკ ბადეს რომ ახვევდა, - სერაფიტე არაა?

- ჰო, ეგაა, - თქვა მეორემ, - თავისი აქლემით წინდაუკან რომ დაეხეტება. ის ბავშვი ვინლაა?

- მაგისას რას გაიგებ, - თქვა კიდევ ერთმა, ბადეს წყალმცენარეებსა და გაჩხერილ კიბორჩხლებს აცლიდა, - მასზე ამბობენ, არავინ იცის, ბრძენია თუ გიჟიო.

- პრეტორიუმში მიღებული კაცია, გიჟი როგორ იქნება. მძიმე ხასიათი კი აქვს, მაინც პატივს სცემენ, - მეზადურმა კალანჩხები გადმოყარა, ნავთან დადგა და სამჭედური დაიჭირა.

ბაჩანა სერაფიტესთან ხელჩაკიდებული მოაბიჯებდა ქვიშაზე და თოლიებს ასცქეროდა, ციდან რომ დაესმოდა ფრინველთ ყივილი.

- რამხელა ზღვაა, - თქვა ბიჭმა, - და რა ლამაზია.

- გუშინ რომ გაგელვიდა, გახსოვს? - თქვა სერაფიტემ, - ცუდი რამე გესიზმრა?

- არ მახსოვს. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ვილაცები მომსდევდნენ და გაქცევა მინდოდა, მაგრამ ვერ გავრბოდი. ერთი კაცი იყო დიდი და მსუქანი და მეორე ქალი იყო, უსირცხვილოდ იქცეოდა.

- ეგ რას ნიშნავს?

ბაჩანას ლოყები ამოუნითლდა. მორცხვად დახარა თავი.

- მაგიტომ ნამოიყვირე?

- რა ვიცი. ჩემი შეჭმაც უნდოდათ. მე კი გავიქეცი, მაგრამ იცი რა? მე ამაზე მაგარი სიზმარი ვნახე.

- როდის?

- ადრე.

- მომიყვები? - სერაფიტემ მეზადურებს ხელი აუწია, - გაგიმარჯოთ!

- არქივარიუსს ჩვენი გამარჯობა, - თქვეს მათ, - ამას შემცვლელად იმზადებ? - ერთმა ბიჭისკენ გაიშვირა ხელი.

– თქვენი საქმე არაა, – სერაფიტემ ილღიებში მოკიდა ბაჩანას ხელი, ასნია და მებადურებს დაანახა, – ბაჩანა ჰქვია, – თქვა ხმამალლა, – დედამისს გულსუნდა, მამა არ იცის, ვინაა. მეტყვიით რამეს, რაც საქმეს ნაადგება? დაიკარგა, ჭასთან ვიპოვებ მოედანზე.

მებადურებმა მხრები აიჩეჩეს, ერთმანეთს გადახედეს.

– რა გაგიკვირდათ? პირველად გესმით, რომ ბავშვები იკარგებიან?

– ჩვენ რა ვიცით, ეგ ვინაა, მარგორა მანანალეებითაა სავსე.

– ბანაკში ჩააბარე, რომში წაიყვანენ. იქნებ კაცი დადგეს, – მებადურმა ბიჭს თავზე გადაუსვა ხელი.

– შეეშვი, – სერაფიტემ უკან მოიყენა ბაჩანა, – თქვენი გასარჩევი არაა მე რას ვიზამ და არც შემცვლელად ვამზადებ. ეს ბავშვი განსაკუთრებულია.

– აუჰ! – ერთად დადგნენ მებადურები, – ვარსკვლავებს წყვეტს ციდან?

– მე ჩემი გითხარით, – სერაფიტემ აქლემს ალვირი მოქაჩა, – თუ რამეს გაიგებთ, შემატყობინეთ, – თქვა მიმავალმა.

– ტყუილად იცი გაჯიქება, – თქვა მებადურმა, – ჩვენ უბრალო ხალხი ვართ, ყველას გვიყვარხარ, გეტყვიით თუ რამე გავიგეთ.

სერაფიტეს თითქოს აღარ ესმოდა მათი, მიდიოდა დინჯად, სველ ქვიშაში ეფლობოდა ფეხები. ბაჩანაც უხმოდ მისდევდა და უკან-უკან გააქცევდა მზერას. მასაც ენამებოდა კოტიტა ფეხები და წნიკა რამ კალიასავით ხტოდა, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა.

– უხეში ვინმეა ეს ჩვენი სერაფიტე, – თქვა მებადურმა, – კეთილია და თავისი სიამაყეცა აქვს, მაგრამ...

– ჯერ იყო და მოედანზე ორატორობდა, გამოილვიძეთ, ნუ გძინავთო. ჩვენ გვძინავს? გამთენიიდან დაღამებამდე ნავში ვაგდივართ. რომს როცა დედა ეტირება, თქვენ ისევ ესე დარჩებითო, თუ თავი არ შეიცანითო. გამომივიდა არისტოტელე.

– კაცია და გუნება. კაცმა არ იცის, ვინაა, სად არ უნახავთ, ხან საათობით კატარლაში იჯდა მარტოდ მარტო ზღვაში გასული, ხან მთაში უნახავთ ბედუნიებს, იქაც მჯდარი და ცაში მაცქერალი და ხან იმ თავის არქივებიდან დღე და ღამე არ გამოსულა, ან ეს იასამნისფერი ტანისამოსი სად ნახა? მოდი, მოდი, საქმეს მივხედოთ.

II

პეტრიდიდე

მხედართმთავრის კარავში ვეზირი შემოვიდა.

– ჩემო კომანდერო, – მიმართა პეტრიდიდეს, – ვილაც მხედარია შენთან.

– რა უნდა?

– ამბობს აურუმისგან ვარო, წერილი მაქვსო.

– გადი.

ვეზირი გავიდა. კარვიდან პეტრიდიდეც გამოვიდა – დაბალი კაცი. მხლებლები და კარვის მცველი ქეშიკები გაძელებულეები იდგნენ. ხმას არავინ იღებდა.

კომანდერმა მის წინ მდგარ შინდისფერ მოსასხამში გახვეულ მაცნეს შეავლო თვალი. კაცი სადავეთი ცხენს იჭერდა, ოდნავ თავანუელი თითქოს არც კი უყურებდა მხედართმთავარს, მაგრამ ალღევებულმა მტაცად შეათვალიერა კომანდერი – მისი ღრმადმეხვრეტილი თვალები და წინგამოვარდნილი ყბა, რაზეც ნიკაპი ორ პატარა ბორცვად მიკრულიყო. კეხიანი ცხვირი და განზეგაგებული ნესტოები, საიდანაც ჩამოცოცხილი ბალანი ნაბლისფერ ულვაშებში იკარგებოდა. მისი მოყავისფრო კანი, თითქოს ნილბად რაც გადაკვროდა სახეზე, რაზეც მიუხედავად უკან გადანუელი, ასევე ნაბლისფერი უხეში თმებისა, საერთოდ არ მოუჩანდა შუბლი, თუ არა წარბებისა და თმებს შორის დარჩენილი კანის თითისსისქე მინისფერი ზოლი.

ჩაფსკვნილ ტანზე აბჯარი ეცვა. თავისფერი ჯაჭვის პერანგი, მჭიდროდ შემორტყმული ტყავის ქამრითა და ზედ დაკიდებული ხმლით. პერანგის სახელოები მხრებთან გადაჭრილიყო, საიდანაც ორი პატარა დაკუნთული ხელი იყო გამოყოფილი; ტანიც ორ პატარა ფეხზე იდგა და მაცნემ თვალმოკვრით დაინახა მისი თითქოს ბავშვური თუ განუვითარებელი ტერფები, ისედაც დაბალ კაცზე რომ შეუმჩნეველი იყო. მხოლოდ უცნაური კოხუნჯები თუ ხვდებოდა თვალს ქვემიდან ამორტყმული ქუსლებითა და საბანდებით შეკრული, რაც პეტრიდიდეს შეუმჩნეველ სიმაღლეს, მაგრამ მეტ თვითდაჯერებულობას მატებდა ალბათ.

შორიდან გნოლის ხმა მოისმოდა და მწერის ბზუილი, კალიების შრიალიც ახლო.

კომანდერი კარავთან დადგა და იქვე დაინყო შარდვა.

– უუ, არ ამოვისუნთქე? – თქვა მჭახედ, – გეგონა, შენ შესახვედრად გამოვედი? მომე ეგ წერილი, – დამცინავი აგდებით თქვა. მხედარმა თავი დაუკრა და პერგამენტის გრაგნილი გაუნოდა, თასმა რომ ჰქონდა შემოხვეული და ბეჭდით შეკრულიყო.

პეტრიდიდეს შარდვა არ დაემთავრებინა, ცალი ხელითა და კბილებით თასმა გააძრო, ბეჭედიც გატეხა, პერგამენტის ერთი ბოლო პირით დაიჭირა და იმავე ხელით გრაგნილი გაშალა. ამასობაში შარდვასაც მორჩა, ხელი წელზე შეინმინდა, პერგამენტი პირიდან გამოიღო და კითხვას მოჰყვა.

წერილში ეწერა: „კომანდერო, გთხოვ ჩემი წარმოგზავნილი მიიღო, რომელიც ორ დღეში, ქველთობის ოცდასამში კეთილი ცნობით გეახლება. ის ჩემი ნდობით აღჭურვილი ეჯიბია, ჩემს სიტყვებს გადმოგცემს. უმორჩილესად გთხოვ, გულდასმით მოუსმინო, რადგან მე ზავსა და მეგობრობას გთავაზობ, აგრეთვე თავდაუსხმელობის შესახებ პაქტის დადებას. გაქვს თუ არა სურვილი – მიიღო ჩემი კაცი, წერილის მომტანს გამოატანე პასუხი.

შენი ზავი ჩემი დარია.

აურუმი.

ქველთობის ოცდაერთი“.

– აქ იდექი, – თქვა კომანდერმა, – შენ! შემოდი ჩემთან, – ვეზირი პეტრიდიდეს კარავში შეჰყვა. შესული არ იყო, უკანვე გამოვიდა და იქვე, ალვის ხეებს შორის მდგარი მეომრებისკენ გაიქცა. სამ კაცთან ერთად დაბრუნდა. კარვის შესასვლელთან დადგა. დანარჩენი სამნი შიგნით შევიდნენ.

– გადახედეთ, აურუმისგანაა, – თქვა პეტრიდიდემ. სკამზე იჯდა. წერილი ხის კუნძზე იდო. სამივემ დაკვირვებით გადაიკითხეს პერგამენტი, უმნიშვნელოდ გადაიჩურჩულეს და კუნძზევე დადეს, – რისთვის მყევხართ მრჩეველები, აბა, ჰე! მითხარით რამე, – ტაში შემოჰკრა კომანდერმა, თითქოს სეირის საყურებლად მოემზადა. მუშტი ტურჩებზე მიიღო და ცერა თითზე ნიკაპით დაეყრდნო.

სამივე მრჩეველს გრძელი ნაცრისფერი ლაბადა ეცვა და თეთრი მოსასხამები, მხრებსა და წელზე შემოხვეული. მრუმე კარავში, მათი სილუეტების გარშემო, რბილი ნათების ქანდას რომ კრავდნენ და მათ თვალებსაც რალაც ცბიერი, რალაც ვერაგი დაკრავდათ.

– ცხადია, რომ... – დაიწყო ერთმა, – აურუმთან ხელსაყრელი გარიგების დადება შეიძლება.

– ცხადია ისიც, – ჩაერთო მეორე, – აურუმი შენგან იმას ელის, რომ მარგორას არ დაარტყამ, – გვერდით მჯდომს გადასცა ცბიერი მზერა.

– თავდაუსხმელობის შესახებ თუ პაქტს დადებ, მაშინ აურუმმა შენი ინტერესების სფეროდ უნდა აღიაროს, – თითებზე ჩამოთვლა იწყო, – შემდეგი მიწები: ფინისი, ლატისი, არაბისი და ესტისი.

– სამაგიეროდ, შენ ხელს არ დაადებ აურუმს და მეტიც, ლატისის მისი ინტერესების სფეროდ აღიარებ.

– ვფიქრობ, ამის გარდა, კიდევ ერთი საიდუმლო ოქმი უნდა დამზადდეს.

– ოქმი? – თქვა პეტრიდიდემ, – რა შუაშია ოქმი?

– საიდუმლო ოქმი პოლინისის გაყოფას გაითვალისწინებს. რომის საკითხია გასათვალისწინებელი.

– მართალია. შენთან მდინარეების აღმოსავლეთით მდებარე მიწები გადმოვა.

– ამ ხელშეკრულებით საკუთარ უსაფრთხოებას უზრუნველყოფ.

– ჭკვიანურია, – წამოიმართა პეტრიდიდეც, – მაგრამ ეგ თქვენი ოქმი, გინდა გითხრათ, რას გამოიწვევს?

რას და აურუმი ეგრევე პოლინისში შეიყვანს ჯარს... თუმცა შეიყვანოს, ომიც დაიწყება, – კომანდერს თვალები აუბრწყინდა, კუნძზე მუშტი ძლიერად დაარტყა და დაიყვირა: – მე ხომ მიყვარს ომი! ომი! მიყვარს!

– სკამიდან ადგა, – კაი, აიღეთ სანერი და მიწერეთ აურუმს რასაც გიკარნახებთ.

ერთ-ერთმა ხილინდარიდან პერგამენტი, მელანი და ბამბუკის ლეროდან წათლილი კალამი ამოიღო, –

მზად ვარ.

პეტრიდიდე ჯერ ხმას არ იღებდა, კარავში ბოლთას სცემდა. მუშტი ისევ ტურჩებზე მიეღო. შემდეგ

თქვა: – დანერე.

მრჩეველი მოემზადა. კალამი ჩააწო და პერგამენტს შეახო თითქმის.

– დანერე. მზად ხარ?

მრჩეველმა თავი დაუქნია.

– კი! – ამაყად თქვა კომანდერმა, – ხო, აი ასე, კი!

– კი? – შეშინებულად გაიმეორა მრჩეველმა, – და მეტი არაფერი?

– მეტი არა, სიყვარულს ხო არ ავუხსნი?! ეგ არი და მორჩა, მაიტა ბეჭედს დავარტყამ და გარეთ როა ისა, მიეცით, ნაუცუნცულოს. ხოდა კიდევ! უთხარით, სიტყვით გადასცეს აურუმს, რომ მე დილაადრიან

შევახვედრებ მაგის კაცს ჩემსას, – ჩაფიქრდა კომანდერი, – სად? სად უნდა შევახვედრო?

– აქვე აჯობებს, მინდორი როა ტბასთან, – თქვა მრჩეველმა, – ხელისგულივით სჩანს ყველაფერი, არც შორსაა, არც ახლოს. რამე რომ მოხდეს, მზად ვიქნებით.

– ეგრეც გადაეცით, – თავისთვის გაილაპარაკა, – დაგაჩოქებთ, ოღონდაც ზღვაზე ჩავიდე.

ზღვა საამოდ გამჭვირვალე იყო. სანაპიროზე ნიჟარები ეყარა.

– ხედავ ნიჟარებს? – თქვა სერაფიტემ, – ყურზე მიიდე.

ბაჩანამ ხვეული და განვეტებული ნიჟარა აიღო, – ყურზე რომ მივიდო, ზღვის ხმას გავიგებ?

– ასე ამბობენ, მაგრამ ის რას ეუბნება, არავის ესმის.

- დედა სადაა, მეტყვის?

სერაფიტე გაჩერდა. დადგა აქლემიც, - მომე, - ნიჟარა გამოართვა, - რაც თავი მახსოვს, ნიჟარებს ვუსმენდი, თითქოს მართლაც ვილაც გიხმობს, რალაცას გეუბნება, მაგრამ ღმერთმა უწყის რას, - ყურზე მიიღო და თვალები დახუჭა.

ბაჩანას ხშირი, ქერა თმები შუბლზე ჰქონდა მისველებული, თვალს არ ახამხამებდა, თითქოს ელოდა მისგან ახალს, ახალს დედაზე, თავის თავზე, ელოდა სიხარულს იქნებ.

- აჰა, - გაუნოდა სერაფიტემ, - მიიდე და ყური უგდე.

მიაყურადა რა ნიჟარას, აფორიაქებული და უტყვი ექო ბაჩანას სმენას წვდა. სიტყვები, სიტყვები, - გაიფიქრა არქივარიუსმა, - სიჩუმის სიტყვები.

ბიჭმა ნიჟარა დაუშვა.

- რაო, - თქვა სერაფიტემ, - რა გაიგე?

- სიჩუმეა, - სადაფის სიპრიალეს თითები გადაუსვა, - ქარს ჰგავდა და ზღვის ტალღებს. ადრე მე და დედაც ვიდებდით ყურზე და მაშინაც იგივე ხდებოდა. რატო? ყველა იდებს ყურზე ნიჟარას? და ყველას ასე ესმის?

- ყველას.

- იცი რა?

- რა, - სერაფიტემ კენჭი აიღო და ზღვაში ისროლა.

- შენ რომ გუშინ ქასთან მნახე და წამომიყვანე, მანამდე სიზმარში გნახე, - ბიჭმაც აიღო კენჭი, ტალღებზე გაასრიალა ბრტყელი ხტომით.

- მე?

- ჰო, შენ.

- მერე, რას ვაკეთებდი?

- რასაც ახლა.

- ნიჟარებს ვუსმენდით?

- არა, კენჭებს ვისროდით სადღაც მინდორში, ტბასთან თუ ზღვაში, არ მახსოვს. ზუსტად ასე ვისროდით, როგორც ახლა ისროლე. შენ მეუბნებოდით, შეხედე, როგორი წრეებიაო, სადაც ქვა ვარდება, ცენტრუმი ისაა და ტალღები წრეებს იმიტომ წარმოქმნიანო.

- რეები დაუმახსოვრებია... კიდეც რა გითხარი?

- რომ ყველა ადამიანი ამ კენჭითააო.

- რატომ? - შუბლი აჭმუხნა არქივარიუსმა. ბაჩანასთან ჩაიმუხლა.

- თავისი ბედის ცენტრუმი და იმიტომო. რაც უფრო ძლიერად ეცემა წყალს, ტალღებიც უფრო დიდია და წრეებიცო. რატომ?

- გადამრევ, - თქვა სერაფიტემ, - ფილოსოფოსიც ყოფილხარ. ამდენი როგორ დაიმახსოვრე?

- თავისით.

- თავისით ასეთი სიზმრები არ ამახსოვრდებათ.

- მე დავიმახსოვრე და ახლა რომ მეზადურებს ჩემზე უთხარი განსაკუთრებულიაო, რატომ?

- არ ვიცი, მინდა მჯეროდეს, რომ ასეა.

- რატომ გინდა გჯეროდეს?

- წამოდი. ისევ ქალაქში შევიდეთ. დედა აქ არსადაა, იქ ვნახოთ.

- მითხარი.

- მოდი აქლემზე დაგსვამ. აბა, მოდი, - სერაფიტემ ალვირი დაქაჩა, აქლემი დახარა, მუხლები ჩაუკეცა, ბიჭი სკამზე შემოსვა, - ხელები მაგრად მოკიდე, - ცხოველს წნელი გაკრა, - უჩემოდ რომ ზიხარ ხომ არ გეშინია?

- არა, იცი, აქედან რა სხვანაირია ყველაფერი? - ბაჩანა მობუზული იჯდა, ტყავის სქელ შესადგმელში ჩარგული თითქმის არ ჩანდა.

აქლემი აიზანტა და გაბოდილდა.

- სანამ გასადილებ, ისევ ქუჩებში უნდა ვიაროთ, - თქვა არქივარიუსმა, - მაშ, სიზმარში მნახე მინდორში, ტბასთან? გაიფიქრა, კენჭებს ვისროდით.

მრუჯავ დილას მინდორში აურუმისა და პეტრიდიდეს წარგზავნილი ეჯიბები ერთმანეთს შეხვდნენ. კალიების ჩქრიალი მინდორს სულდგმული ხმით აბნევდა. ბაყაყების ყიყინთან ერთად მოისმოდა ტბის ნესტიანი სუნიც, მათი მოლაპარაკების ერთადერთი მოწმე რაც ყოფილიყო, რომლის მოგვარებას დიდი დრო არ ნაუღია.

პეტრიდიდეს ეჯიბი ორი გრაგნილით მობრუნდა უკან.

- რაო? - კომანდერმა გრაგნილები გამოართვა, - ყველაფერი რიგზეა?

- ყველაფერი, - თქვა ეჯიბმა, - უარი არაფერზე უთქვამს, შენს სიტყვას დაეთანხმა და თქვა, აურუმიც ამას ელოდა შენგანო.

კომანდერის გვერდით ქეშიკები და მრჩეველები იდგნენ, ვერაგი ყყყინობა აკროდათ, გამჭრიახობით რომ მოეგოთ გული, – ეტყობოდა, რომ ლელავდა, – განაგრძო ეჯიბმა, – თქვა, აურუმი ერთ თვეში კიდე მოგწერსო, პოლინისში შეიყვანს ჯარს, რომი ჩუმადაა, მისთვის ჯერ არ იცლის. შევთანხმდით, ენკენის ჩვიდმეტისთვის აღმოსავლეთ პოლინისი ცარიელი იქნება, შეგეძლება დაარტყა. ომის წინაგარიგება საბრძოლო თანამეგობრობით განმტკიცდება, კომანდერო, აურუმს დიდი ვერაფერი ჯარი ჰყოლია, სოფლებს რომ ეყოს – იმდენი. საშიში, მე მგონი, არაფერია. ისე ლელავდა, ეტყობოდა შენი შიში აქვთ. ყველაფერი ისეა, როგორც გინდოდა.

– რაზე შეატყვე, რომ ჯარი არ უვარგა? – თქვა პეტრიდიდემ.

– თითქოს ნამოცდა, თუ განგებ თქვა: ცოტა ვაცალოთ, მოვმაგრდებით და მინებს გავიყოფთო. ნაღდად ეგრეა.

– ყოველთვის გონიერი და ჩემი ერთგული იყავი, – პეტრიდიდემ ლოყაზე მიარტყა ხელი, – ჩემი მარჯვენა ხელი ხარ, – ისევ შეუთამაშა მტევანი, – შვილად გთვლი და არ უნდა შემარცხვინო, ხომ იცი?

– როგორც მიბრძანებ, – აიჭიმა ახალგაზრდა ქეშიკი, პეტრიდიდეს მართლაც ერთგული და ვაჟკაცი მეომარი, საქმისთვის ვისაც თავი გაერთვა და გახარებული ფიქრობდა: ჯერჯერობით ცუდი ამბავი არ მომიტანია და ანი რა ღმერთი გამინყრება, გავოფლიანდი საუბრისას, თითქოს შიგნიდან მცხელოდა.

სიცხე დამლელად დაეხუფა ქალაქს. ქუჩებში ხალხი ირეოდა, სამოსლებზე მარგორას მტვრით დათქორილი. მზით გაბზინებულ წითელ აბჯარში რომელიღაც გაინათებდნენ, სპილენძით დაბრწყინებული სამკერდე ნიშნებითა და მუზარადებით. სახლებს შორის ჩარჩენილ ნიშებში, აქა-იქ ჰინდუები ჩამსხდარიყვნენ, სტვირის ჯადოთი რომ კობრას იტყუებდა ზოგიერთი თავიანთი დაწნული კალათებიდან. მტრედების გამყიდველებიც მოჩანდნენ და მეძავებიც ფარჩის ჭრელი კაბებით; მოხუცი, ნახევრადმიშველი, ბამბუკის ჯოხზე დაყრდნობილი მათხოვრებიც, ლანდად დაბეჩავებულნი რომ ითხოვდნენ მონყალეხას, ქურდბაცაცა ლანირაკებიც ფიცხად მოთამაშე გაქცეული მზერებით, ფეხშიშველნი რომ ტანტალებდნენ, მარგორას ცხელ ქვაფენილებზე გაირბენდნენ და გამოირბენდნენ.

გზაჯვარედინებზე ორთვალეებით და ეტლებით დაქროდნენ პრეტორიუმის შიკრიკები.

– პროკურატორის ხალხი მუდამ საქმიანია, – თქვა სერაფიტემ, ღია ეტლს თვალი ააყოლა, ქუჩაში მტვერი აირია, – ისინი რომაელები არიან, თეთრ ტოგებში.

– ის ორი კაცი? – თქვა ბაჩანამ.

– ჰო, ისინი და აგე, იმას ხედავ? ის სპარსია.

– რომელი?

– აი ის, კედელთან რომ დგას ნარინჯისფერ სამოსელში, სამკაულების გამყიდველს რომ ესაუბრება.

– თვალებს რომ აბრიალებს?

– ხვეული წვერი და თმა რამსიგრძე აქვს, გაცეცხლილი სახით იყურება, თითქოს ყოველწამს ელის დარიოსის მოვლინებას.

– ვინაა დარიოსი?

– მათი მეფე იყო, სახელოვანი, ადრე. და მისი შვილიც – ქსერქსე პირველი, დიდი მეფეები იყვნენ. არის ასეთი ქალაქი პერსეპოლისი, ადრე მაკედონელმა გადაბუგა.

– იყვნენ და აღარ არიან?

– არა.

– აბა, ახლა ვინ არიან?

– სად ვინ არიან?

– აქ.

– ახლა რომია აღზევებული. არ იცი? მარგორა რომის პროვინციაა, თავისუფალ ქალაქად კი დარჩა, მაგრამ პროვინციაა. იმპერატორია დედამინის მეუფე ნერონი, – სერაფიტემ ცხვირზე ჩამოქაჩა, – პატარა ცნობისმოყვარე, წამო ერთი, იმ ფაკირთან მივიდეთ, იქნებ რამე იცის, დღე და ღამე აქ ზის.

– ის გველები სტვირს უსმენენ? გოდრებიდან რო ამოდიან.

– ყურებიანი გველი მე არ მინახავს და რა გითხრა. მოდი, ვნახოთ.

ჰინდუ კედელთან ჩამჯდარიყო, ლოყებდაბერილსა და თეთრ ნაჭრებში ჩახვეულს, წვრილი, ყავისფერი ფეხები ჯვარედინად შემოენყო, ამღვრეული თვალები გადმოეკარკლა და სტვირი ტუჩებზე მიედო. გოდრიდან ამოსრიალებული კობრა კი ოდნავ ირხეოდა, სარივით არჭობილი და კისერგაფლამული.

– ახლოს არ მიხვიდე, – სერაფიტემ ბაჩანა გვერდით დაიყენა, ზურგიდან კი ხალხის ლაპარაკი მოესმა: – „გუმინ ერთად დამარხეს ძმები გაცი და ახპეროზ, ეჰ, დიდი უბედურება კი მოხდა და რაღა გაენყობა. პროკურატორს საგამოძიებო ჯგუფი შეუდგენია, წარმოგიდგენია რა ხდება? ახპეროზისთვის ოთხი თუ ხუთი ჭრილობა მიუყენებიათ დანებით. საწყლები, ასეთი რა დააშავეს, რომ იმას გველმა უკბინა, ამას დანები მოხვდა. საგიჟეთია“.

ბაჩანას საუბარი არ ესმოდა, გველის გაფლაშულ კისერზე მიხატულ სვირინგს არ ამორებდა თვალს. რატომ არ ვარდება? – ფიქრობდა ბაჩანი, – ხელები და ფეხები არა აქვს და რატომ არ ვარდება?

სერაფიტემ და ფაკირმა თვალელები გაუსწორეს. ჰინდუმ სტვირი დახარა. გველი გოდორში ჩაიხორკლა, ფაკირმა დაწნული სახუფი დააფრა. არქივარიუსმა ვერცხლის მონეტა ჩაუგდო ქისაში, – ამ ბიჭს ხომ ხედავ? – თქვა სერაფიტემ, – დაიკარგა, ორი დღე მოედანზე ბანცალებდა, ბაჩანა ჰქვია და დედას ეძებს. არაფერი იცი?

ფაკირმა ბიჭი შეათვალიერა. თავი გააქნია.

– რას ამბობს? – თქვა ბაჩანამ, – რაო?

– არაო, – თქვა სერაფიტემ, – კარგად დაფიქრდი და გაიხსენე, სულ აქ ზიხარ, იქნებ რამე გეცნობა.

ფაკირი კიდევ ჩუმად აჰყურებდა სერაფიტესა და ბიჭს. ის იყო ნასვლას აპირებდნენ, რომ თქვა: – მნივობარი ხარ და განა არ იცი? რასაც წინა გვერდებზე კარგავ, მომდევნოზე რომ პოულობ?

– რაო? – შემობრუნდა სერაფიტე, – რა თქვი?

– რა იყო სირინოზების სიმღერა? – განაგრძო ფაკირმა, – ანდაც, რა სახელით იმალეობდა აქილევის ქალებში?

– მეთამაშები? – პირქუშ შეიკრა სერაფიტე.

– შენთან თამაში რას მარგებს? – თქვა ფაკირმა, – ჩემგან როდი გესწავლება, რომ ჩვენ დროში ხშირად მხოლოდ პასუხები არსებობენ, ვიდრე კითხვები.

– შენი თავი ვისა აქვს, – სერაფიტემ ბიჭუნას ჩაკიდა ხელი, – თუ რამე იცი, პირდაპირ თქვი.

ფაკირს თითქოს არც სიცხე ანუხებდა, არც არარა, იჯდა მყუდროდ, თითქოს კაქტუსი ქვიშებში გაფარჩხული. აღარაფერს ამბობდა, მხოლოდ იყურებოდა და მოცარულ ღიმილს ითამაშებდა სახეზე.

– წამო მამა, ეტყობა დაისიცხა საბრალო, – თქვა სერაფიტემ.

„მამა“ – ცხენი რომ დაფრთხება, როცა მგლის სუნს აიკრავს, ისე გაკრთა ბაჩანა, თითქოს ჯერ უგებარი, ბუნდოვანი სიტყვის გაგონებისას. „მამა“ – ბიჭუნა არ შეშინდა, მხოლოდ დაცხრა სერაფიტეს გვერდით მდგომი. დაცხრა და აენთო მყისვე ჯერ არასდროს ნაგრძნობი, მტკიცენული თუ ბედნიერი ძალითა და მფარველობით, თავად სიცოცხლით – ამ ერთ სიტყვაში ჭეშმარიტად ჩათესილით, კეთილშობილი – კეთილშობილით, უცნაურად რამაც შეუხურა ხელისგული და სერაფიტეს ხელს შეახორცა თითქოს სამუდამოდ.

მინამ ჩაყლაპა? ფიქრობდა სერაფიტე, ან ბავშვი მარტოდ როგორ დატოვა? რა მოხდა? ძმებიც დაილუპნენ, პროკურატორს ჩემთვის არ ეცლება. საღამოს მანაც მივალ, თუ დედამისი მანამდე ვერ ვიპოვე. მაგრამ სიგიჟეა, დიდი საყოველთაო სიგიჟე, ერთი და იგივე ამბავი როგორ მეორდება? რა ძალით მოქმედებს დრო? ისევე სიტყვები გაუთავებლად.

– დედა პერანგის ყიდვას დამპირდა, – თქვა ბაჩანამ, – იქნებ ისევე მოედანზე მივიდეთ?

– იქაც მივალთ და სხვაგანაც, – თქვა სერაფიტემ. ადამიანის დანიშნულება ყოველთვის რალაცის ძებნაა, გაიფიქრა, ძებნა და პოვნა. მაგრამ რატომ? ხშირად ვფიქრობდი, როგორ ამეხსნა ცხოვრების აი ეს, ჯანდაბა მის თავს – ურთიერთგამომრიცხავობა. ვეძებდი გზებს, რალაცას მივაგენი, რალაცას – ვერა. ამ ხნის მანძილზე კი მივხვდი იმას, რომ როგორც დღე და ღამეა მთლიანი დღის ორი მწვერვალი, საპირისპირო პოლუსებსაც ასევე უნდა შევხედო, რათა საპირისპიროს დანიშნულება სწორად გავიგო. თავიდან როგორც იდეა – საპირისპირო მხარეების და შემდეგ, როგორც ერთი მთლიანობის ორი მხარე, როგორც გარესკნელი და უკანასკნელი და მასზე შევუღლად ჩაკიდული ზესკნელი და ქვესკნელი და მე, გადაკვეთის ნერტილზე მდგომი, ბაჩანას სიზმრისა არ იყოს, წრენირის ცენტრში. ყოველი ჩვენგანი მხოლოდ ადამიანია, მხოლოდ მცდელობაა, ყველა მოძრაობს, მაგრამ განა სადმე მიდის ვინმე? სიარული სრულყოფისკენ. სათქმელად ადვილია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ დგება? ო, მაშინ ოო, მე ჩემი ცენტრუმისკენ ვისწრაფვი და ყოველთვის ასე ვიყავი, მიზანი ყოველდღიურობის გარე და უკანა სკნელების აღმოჩენაა, მათი შერწყმაა. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ვნების გარეშე გაშიშვლებული სურვილის უდიდეს ძალას ამ ცენტრუმისკენ მივმართავ, სრულყოფისკენ, ჭეშმარიტი ყოფიერებისკენ. ყოველთვის მძულდა ფილოსოფიური ტვინისჭყლეტა, მაგრამ რას იზამ, ბრძენი ყოველთვის დინჯი და ჩუმი, თითქოს შეუმჩნეველი, განწონასწორებული, მშვიდი, ვიდრე მაძიებელი ვნებიანი კაცი. გონება ნიჭიერებას ქამს, ყველაფრის ცოდნა შემოქმედს სპობს. თითქოს ბრძენი არ იწვის შინაგანად? მისი ცეცხლი უხილავია? და არც კამათობს? ან კამათისას არ აენთება, თითქოს ვნებამ გაშოლტა? ჩემო თავო, მე გეუბნები, უნდა იწვოდე და უნდა ენთო, ყოველთვის, დილიდან ღამემდე, სანამ მიზანს ან მიაღწევ, სანამ ცისკრის ვარსკვლავი არ ამოვა, დილის პირველი მაცნე.

მოვიდა მაცნე, ახალგაზრდა ყოჩალი ბიჭი, პეტრიდიდეს ერთგული და ვაჟკაცი მეომარი, ვინც ეჯიბობა გასწია მინდორში, ტბასთან. ჩამოქვეითებულს მხარზე ხელი მიარტყა მხედართმთავარმა, რომელიც შუალამიდან ამ დილაამდე, ამ პირველ გაცისკრებამდე, მინდორზე ჯერ კიდევ ნისლი როცა იწვა და მოლუშული ცა ეს-ესაა ღამეში გამქრალი ნათების დაბრუნებას იწყებდა – მოუთმენლად ელოდა მის

მოსვლას და მისი არგამოჩენით გალიზიანებული, თავის თავისფერ ჯაჭვის პერანგში გამოწყობილი, ბოლთას სცემდა.

ქეშიკები საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. მთელი ღამე იდგნენ, თითქოს არც სუნთქავდნენ და ვერც ახლა ბედავდა ვინმე ხმის ამოღებას – ყველამ იცოდა, რომ უბრალო გადაჩურჩულებასაც გაიგებდა კომანდერი, ვილაცა მაინც დაასმენდა და შიშაკრული დაძაბულობის დამრღვევი დაისჯებოდა.

პეტრიდიდემ თავით ანიშნა კარვისკენ. შესასვლელებში დროშები აღმართულიყო, შუბოსანი კერკეტონები იდგნენ. ჯერ პეტრიდიდე შევიდა, შეჰყვა მაცნე. როგორ ვუთხრა, ხომ ადგილზე გამათავებს? ფიქრობდა ის. შესაძლოა, უკვე ყველაფერი იცის.

ჰო, პეტრიდიდემ იცოდა, რომ ხიდი დაკარგა. მოჭიმული ტუჩებითა და ქმენისგან ნესტოების ბერვით, რუკას დაჰყურებდა. იცოდა, რომ ის სოფელმა თავად ჩაანგრია. მისთვის დაუჯერებელი იყო, რომ ამ მხდალმა და უბრმა ხალხმა თავხედური წინააღმდეგობის განევა გაბედა; არც დაქირავებულმა ჯარმა, არც შეიარაღებულმა მეომრებმა, არამედ მოხუცებმა, ქალებმა, პატარა ბიჭებმა, ომებსა და ლაშქრობებში გადარჩენილმა მამაკაცებმა ასეთი მარტივი გადანყვეტილებით, თუნდაც დროებით უძლური გახადეს მთელი მისი სპა. სანამ ხიდს თავიდან გადებდნენ, სოფელი მთებში გახიზვნას მოასწრებდა, იქიდან კი – გალავანშემორტყმულ მარგორაში. პეტრიდიდესთვის დანვრილებით არავის უთქვამს სინამდვილე, მას ბოლომდე არ სჯეროდა სამარცხვინო მარცხი და ბრაზობდა იმაზეც, რომ მარგორაში დიდი ხნის წინათ შეგზავნილი მსტოვრები არ ბრუნდებოდნენ.

მაცნემ იცოდა – თუმცა პეტრიდიდეს ერთგული კი იყო და მას იგი შვილივით უყვარდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გაზრდილი იყო, სალაშქროდ განვრთნილი და დაგეშილი – იცოდა, რომ როგორც კი ხმას ამოიღებდა და კომანდერი მისგან შეიტყობდა საზარელ ამბავს, ყველაფერი იყო მოსალოდნელი. რადგან სხვა არაფერი ისე არ აგიჟებდა პეტრიდიდეს, როგორც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ბრძოლის წაგება. მაცნე იდგა უხმო, სიკვდილთან სახით, თუ გაგიჟდა და ყველაფრის მტვრევა დაიწყო, იქნებ მე მაინც არ გამწიროს, ფიქრობდა ის, იქნებ დამინდოს, რომ ერთი საწყალი სოფელი გაექცა, მე ხომ ვუყვარვარ. მაგრამ მაცნემ ისიც იცოდა, რომ პეტრიდიდე – ვისაც ზეპირად ახსოვდა არა მხოლოდ ასისთავების სახელები და მათი ჩვევებიც კი, არამედ ყველა ქეშიკის სახელი, ყველა იმ რიგითი მეომრის სახელი, ვისაც კი ხმალი ეჭირა მის ჯარში და ვისაც ყველას ერთნაირად მიმართავდა ლოყაზე ან მხარზე ხელის მიტყუვით – შვილო ჩემო – როგორც უამრავ სარდალსა თუ სპასპეტს აქვს ეს ჩვევა გამჯდარი, უპირატესობისა თუ ერთგვარი მამამარჩენალის თვისებების სამტკიცებლად, მეომრული სიახლოვის საჩვენებლად – მხედრებისა თუ ქვეითების, შუბოსნებისა თუ მშვილდოსნების, ოსტიგანისა თუ ზედმოურნეების, კერკეტონების, მსტოვრების, ათეულების და ოციულების მეთაურების, მედროშეების, მეზუკეების სახელები, რომელთაც აჯილდოვებდა ან უმოწყალოდ სჯიდა და ყოველთვის თავად ესწრებოდა მათ დასჯას, მრისხანების ჟამს ჯალათს რომ ხშირად ხელიდან სტაცებდა ნაჯახს და პირადად აჭრიდა თავებს – უღმობელი იყო მათ მიმართ, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც საუკეთესო ჯარისკაცი – რომ პეტრიდიდე არავის ინდობდა, როცა ბრძოლის წაგებას ატყობინებდნენ და ის ერთადერთი, რაც მაცნეს დაჯაბნილ გულს სიმამაცეს მატებდა, იყო იმედი – რომ კომანდერი ამ დილას წაგების, დამარცხებისა და შერცხვენის დილად არ ჩათვლიდა, რადგან ბრძოლა არ შემდგარიყო, ერთი ისარიც არ გავარდნილა, სისხლი არ დაღვრილა, არავინ მომკვდარა, არც დაჭრილა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ფიქრობდა მაცნე, მაგისას ვერაფერს გაიგებ, თუ ააფრინა, მიდი და სდიე.

– ჰა, რას იტყვი! – პეტრიდიდეს თავი არ აუნევიან, – მართალია?!

გაფითრდა მაცნე. კრუნჩხვა იგრძნო ზურგიდან მოჭიმული.

– ჰო, ჩემო კომანდერო, – ნერწყვი გაუშრა, ფეხებზე კუნთები დაეჭიმა, მუცელშიც გაუჩნდა ჟრჟოლვა და პეტრიდიდემაც დაიყვირა: – როგორ გაბედეთ! – ორივე ხელით კუნძი ააგლიჯა მიწას, კარავში მოისროლა, ხელები თავზე მიირტყა, სახეც თითქოს შეუღურჯდა და გაფითრებული და ამღვრეული, კარვიდან გამოვარდა. კერკეტონები უმალ აიჭიმნენ, არავინ განძრეულა, ცხენებიც კი არ აქნევდნენ კუდებს, მხოლოდ დილის ნიავი ოდნავ თუ შეარხევდა დროშას. პეტრიდიდემ დაფუფქული სახე მოსცხო არეს და ჯაჭვის პერანგი ისეთი მკვეთრი მოქნევით დაიგლიჯა, ისეთი სისწრაფით და გაშმაგებით, თითქოს შიგნიდან წვავდა ან თითქოს ნაჭერი ყოფილიყო, ფაქიზად ნაქსოვი. ღმერთო მიშველე, გაიფიქრა კარვის შესასვლელთან მდგარმა შუბოსანმა, აქეთ მოდის, ოლონდ მე არა, ოლონდ მე არა, მაგრამ პეტრიდიდე კარვის შესასვლელის მიღმა საბრძოლო მაცნეს ხედავდა და სხვა არაფერს, ამ ახალგაზრდა ყმანვილის გარდა ყველაფერი მრისხანების ბურუსს დაეფარა, სახე რამაც დაუქაჩა, მარცხენა მხარე ჩამოუჭიმა, ყელის კრუნჩხვითა და კუნთის სივინროვით დაუმახინჯა. სპაზმამ მთლიანად მოიცვა სახე და ყელი, მარცხენა მხარეც აუზნიქა, თვალები აუტრიალა, მხოლოდ თეთრი მოკამკამე გარსი მოჩანდა ქუთუთოებს შორის, მრისხანების ალით მარცხენა ხელიც გაუკავდა, თითქოს აღარ უჯერებდა სხეულს და დამოუკიდებლად თამაშობდა, ჰაერში ძერწავდა რაღაც უხილავს. სხეულმა ცახცახი იწყო, ნელმიც დატყდა და სიკვდილის შემყურე ყმანვილი ნატრობდა, რომ მძაფრი შეტევა მხოლოდ მაშინ უნდა დამთავრებულიყო, თუ პეტრიდიდე გონს დაკარგავდა. მაგრამ კარავში შემოსვლისთანავე კომანდერი გაჩერდა – და თითქოს მასთან ერთად წამიც შეჩერდა, ის საბედისწეროდ დაძაბული წამი, როცა მის დამთხვეულ სახეში, ასევე

ნამიერად, როგორც ლანდი, შვილთამკვლელის ამოცნობა შეიძლებოდა, როცა თითქოს დაკარგა მესხიერებაც.

რა არის მესხიერება, ფიქრობდა არქივარიუსი, ან ვინ ვიქნებოდი მესხიერების გარეშე? არავინ. კაცის სახელის უცნაური უკვდავსამყოფელი მხოლოდ მესხიერება არაა? და რაც მე მახსოვს – ყოველი გარდასული დრო, იმ დროს თუ ვემახსოვრები? ან ჩემს მესხიერებასთან ერთად თუ ვემახსოვრები ვინმეს, ჩემს შემდეგ და ჩემთან ერთად ისიც ემახსოვრება, რაც მე მახსოვს?..

– ყველა ბავშვი ასეთია, როგორც მე და მაშინ რატომ ვარ განსაკუთრებული? – მოულოდნელად წამოიძახა ბაჩანამ.

სერაფიტემ არაფერი თქვა, არ ვიცო, მხოლოდ გაიფიქრა, დაბნეული ვარ. ნაბიჯს უმატა. დაბნეული ვარ, როგორც მაშინ, როცა მთვარეს ავყურებდი ღამით, სიჩუმეში რომ გაიტრუნება და სუნთქავს შეუმჩნეველად, შავ-ლურჯი ღამის ზღვაც რომ თითქოს გადიდდება და უფრო შიშველი სჩანს, ვიდრე დილით; წყვილიაღში რომ კიდე წაეშლება, კაცს რომ ყოველთვის გიზიდავს ის საიდუმლო დასალიერი, ყოველთვის მიუწვდომელი და მანიშნებელი, რომ თითქოს იქიდან იწყება და იქვე იწურება ის, რასაც ადამიანის ცხოვრებაში ოდესღაც მნიშვნელობა ჰქონია, ყველა დასასრული და ყველა დასაწყისი, და ბედი? ის უფორმოება, რამაც ფორმა წარმოშვა და პირველი ატომიც – ზეცის ატომი, შემდეგ ცეცხლის, შემდეგ ჰაერის, წყლისა და მიწის, მიწიდან კრისტალის და მისგან კი იშვა მინერალების სამყარო, მაგრამ ყველაფერ ამას ბგერა იტევს, ფერიც და სიტყვაც და ისევ სიტყვები, გაუთავებელი სიტყვები, გარს რაც მეხვევა ყოველი მხრიდან.

– იქ, ნაქარგი ფარდები რომ კიდია და ძოლოები, მე და დედა იქაც ვიყავით ერთხელ, – თქვა ბაჩანამ.

– ხალიჩებს სადაც ყიდიან? – სერაფიტემ ქუჩის ბოლოსკენ გაიშვირა ხელი.

– ჰო, იქ.

– მაშინ ნავიდეო, – სერაფიტემ კისერზე ჩამოიჯინა ბაღლი და ვინრო ქვაფენილებით ბამბუკის ჯოხებზე გადაჭიმული საჩრდილობლებისკენ გასწია, კარავით რომ ეფარა ძოლოებით მოვაჭრის დახლს. მე ვფხიზლობ, გაიფიქრა სერაფიტემ, მაგრამ სიფხიზლე სიმშვიდეში არ მამყოფებს და არც იმით ვინყნარებ თავს, რომ საოცნებო მომავალი ცოცხალს ვეღარ მომაგნებს, მაგრამ წარსულიც ხომ აქაა თავისი განსაკუთრებული ძალით. ის ყოველფეხისნაბიჯზე ცოცხლობს, არა ისტორიული წარსული, ან კეისრები, ან მეუფე აურუმი, ან პეტრიდიდე, მოედანზე დაუჯერებელი სიკვდილით განგმირული, არამედ წარსული ცოცხალი, რომელიც მომავლისთვის მეორდება და ჩემზე, ანუ აწმყოზე გავლით ცოცხლობს. როგორ ხდება ეს საიდუმლო, არ ვიცი, მაგრამ მწამს, ასეთ საიდუმლოს მხოლოდ ცხოვრებისეული გაუთავებლობა არ წარმოშობს. ხომ ვამბობ, აქ რაღაც სხვაა, აი იმ გარესკნელსა და უკანასკნელს შორის რაცაა მოქცეული, ჩვენ რომ ყოველდღიურობას ვეძახით და ზესკნელსა და ქვესკნელს შორისაც მერყეობს. ჩემი ფიქრების დიდი ნაწილიც თითქოს მომავალი უბედურებებისგანაა განუმორებელი, ამიტომაც ვუკრძალავ თავს, რომ ოცნებითა და წარმოსახვით, ჩემი გასაკეთებელი მომავალს გადავულოცო. საოცარია პლატონის მიმზიდველობა, როცა სჯერა, რომ ბრძენმა უნდა მართოს სახელმწიფო, ფილოსოფოსმა და მეცნიერმა, მაგრამ პლატონი აქაური არ იყო, კეთილშობილი წარმომავლობისა კი იყო, როგორც ალბათ ბევრი მარგორიანელი, მაგრამ ის არასდროს ყოფილა აქ. მართალია, მარგორას აზნაურები თავიანთ წილად კეთილშობილებასაც ჰპოვებენ, მაგრამ აქაური აზნაურობა ან სულსმიერია ან ხორცის, სისხლით რომ გადადის თაობებში, დანანევრებულია და არა გამთლიანებული, სინთესისი მინდა-მეთქი ვამბობდი... ალბათ, არსადაა ისეთი ქვეყანა, სადაც სულით და ხორციით მთლიანი აზნაურები იბადებიან, ასეთი მთლიანობის მიღწევა იდეალური სახელმწიფოს ხვედრია, მიზანიც ეს თუ უნდა იყოს, მაგრამ რაც მევალება კარგადაც ვიცი, რაშიც ვერკვევი და რასაც ვასრულებ, თითქოს პაპირუსებზე დატოვებული დროისა და ცოდნის მცველი ვიყო, ბედისწერათა სიბრძნის სათუთად შემნახველი, თითქოს კი არა, მართლაც ასეა. სხვა რაღაა ჩემი არქივები, თუ არა კაცთა მიხვედრილობისა და ბედის სამახსოვრო საცავი, წარმავლობისთვის დალუქული, სულიერ თუ სისხლისმიერ გამოცდილებათა ანბანური შესაკრებელი, ის მესხიერება, რაც შეცდომას აღარ დაგაშვებინებს.

ძოლოების დახლთან მივიდნენ. სერაფიტემ ბიჭი ჩამოსვა და მიმოიხედა. დახლთან ნოქარი არ იდგა, – ალბათ შიგნითაა, – თქვა და კარვის შესასვლელი ფარდაგი გადასწია.

კარავში მხედართმთავართან ვეზირი შემოვიდა.

– ჩემო კომანდერო, – თქვა მან, – ისევ ის მხედარია შენთან, აურუმისგან წერილი მოიტანა, – ვეზირმა გრაგნილი გაუწოდა. პეტრიდიდემ გამოართვა. გახსნა.

– გადი და უთხარი, ფეხი არ მოიცვალოს... და იმ სამ ქუისკოლოფს დამიძახე.

ვეზირი გავიდა. პეტრიდიდემ კითხვა დაიწყო. აურუმი წერდა: „კომანდერო, გთხოვ ჩემი წარმოგზავნილი მიიღო, რომელიც ორ დღეში, ენკენის ოცდარვაში კეთილი ცნობით გეახლება. ის ჩემი ნდობითაღჭურვილი ეჯიბია, ჩემს სიტყვებს გადმოგცემს. უმორჩილესად გთხოვ, გულდასმით მოუსმინო,

რადგან მე მეგობრობასა და საზღვრების გაყოფას გთავაზობ. გაქვს თუ არა ჩემი კაცის მიღების სურვილი, წერილის მომტანს გამოატანე პასუხი.

შენი ზავი ჩემი დარია.

აურუმი.

ენკენის ოცდაექვსი“.

პეტრიდიდემ წერილი ჩაიკითხა და მრჩევლებიც შემოვიდნენ, – მიდით, ეცით თქვენებურად, რა უნდა ერთი, გავიგოთ.

მრჩევლები დასხდნენ. წერილის კითხვა დაიწყეს, ერთმანეთს თავები დაუქნიეს, პერგამენტი გულდასმით შეათვალიერეს და კუნძზევე დადეს.

– ამაზე რას იტყვით? – სკამზე მჯდარმა ფეხები კუნძზე შემოაწყო, – რა საზღვრები აუტყდა, პოლინისი ჩემია, ერთი კაცი არ დამიკარგავს, ისე ავიღე, ხარკს ყველა იხდის.

– ვფიქრობ, მას პოლინისის გაყოფა არ აკმაყოფილებს. რაღაც სხვა უნდა, – თქვა ერთმა.

– ხომ არ აჯობებს, მივცეთ პოლინისი? – თქვა მეორემ, – თავის მდინარეებით.

– შესაძლოა, აურუმს ეგ უნდოდეს, ოქროთია შეპყრობილიო, ამბობენ, მდინარეშიც ეძებს იქნებ, – თქვა მესამემ.

– ისედაც ღირს მიცემა, იმ შემთხვევაში თუ ის პოლინისის მეზობელ სოფლებს გადმოგვცემს და...

– და მერე ერთიანად ვხიო და ავახიო არა? – ანთო პეტრიდიდე, – ეგ ხომ ჩემგან ომს არ ელის? აბა, ის პაქტი სხვა რაჩემიყლევ? ჰგონია, პოლინისი მაგას შერჩება?

– დიდი შესაძლებლობები იხსნება, – თქვა მრჩეველმა, – რომი რადგან საქმეში არ ერევა, შესაძლოა აურუმის მოშორება უნდა. შემდეგ ტიბერიუს კეისართანაც შეიძლება მოლაპარაკება, როცა ამ ომით შენი ჯარის განმათავისუფლებელ მისიას დაამტკიცებ. აურუმმა რა მიწებიც შემოიერთა...

– მომწონს, – თქვა კომანდერმა, – მაგრამ პოლინისის დათმობის სანაცვლოდ, ლიტისი უნდა მივიღოთ უკან.

– დასაშვებია.

– თორემ დმანისი, ურბნისი, რუისი, ნავკისი, სულ ჩემი არაა, ეგ ისი? კიდევ რა დარჩაა?

– შინდისი, ყინწვისი, ბოლნისი, – გადმოაწყო ერთმა, – ქუთაისი და თბილისი.

– ჰოდა, ომის მერე თუ რომში გაფრენთ, ამ მიწებს უნდა ერქვას... რა უნდა ერქვას? მნიშვნელობა არა აქვს, რამეს დავარქმევ, ხო და კიდევ ისა, – გაიბრიქა პეტრიდიდე, – რუმისს რომ არაბისი ავახიეთ, მაშინ აი ხიდი, ფინისში რომ ვერ შევედით, იმის ბოლმა მკლავს.

ახლა არ აისხას, ერთფიქრად იაზრეს მრჩევლებმა, მაშინ იყო და ის უბედური მოკლა, შვილია, მიყვარსო... მაგრამ არაფერი, პეტრიდიდეს წარბიც არ შეუხრია, – რაც იყო, იყო, ერთი შტერი სოფელი აღარაფერს წყვეტს. მოკლედ! – ამოიღო ომახიანად, – ეს ყველაფერი, რაზეც ვილაპარაკეთ, ახლა კარნახის დრო არ მაქვს, ეს ყველაფერი დანერეთ, ბეჭედს დავარტყამ და აურუმს გაუგზავნეთ. ერთ-ორ კვირაში ვინყებთ დიდ ლაშქრობას მარგორასკენ. რომიც კმაყოფილი დამრჩება და მერე წყნარად ტიბერიუსთანაც საერთო ენას ვიპოვნით. კეისარი კაცია, გაგვიგებს. თუ გინდათ, ისე გავაკეთოთ, რომ ვითომ თვითონ აურუმმა დაიწყო ომი, თუმცა არც ამასა აქვს მნიშვნელობა, ვინ გადაგვიდგება?

– ნამში მზად იქნება წერილი, – თქვეს მრჩევლებმა, კარვიდან გამოსასვლელად მოემზადნენ.

სერაფიტემ კარვის შესასვლელი ფარდაგი უკანვე გადმოწია, – არავინაა, სად წავიდა? აქვე იქნება, – მობრუნდა და ქუჩაში დაუნყო გამყიდველს ძებნა.

– აქ ვარ უფალო, ჩემო, გნებავთ რამე? – მოიბრინა სელის გახუნებულ, გრძელ სამოსელში ცმულმა გამყიდველმა, მტვრითა და მზით თითქმის გამოჭმული რაც ჩამოსცმოდა მოსუქებულ ტანზე. გამონვერებული და გაბანჯგვლული თავი უქანავებდა.

– ხალიჩებზე არ გეკითხები, – თქვა სერაფიტემ, – ეს ბავშვი და დედამისი შენთან რაღაცას ყიდულობდნენ ან ეძებდნენ. ვერ იხსენებ?

– აბა, რავი, აქ იმდენი ბავშვი დარბის და იმდენი მანანწალაა, ყველას ვერ დავიმახსოვრებ, – თქვა მეფარდაგემ.

– ყველაზე არც გეკითხები, მხოლოდ ამაზე, – სერაფიტემ ბაჩანას ჩამოხედა, – დაიკარგა, დედამისს შენთან უსაუბრია. გაიხსენე.

– ჩემო კეთილო, აქ იმდენი ხალხი მესაუბრება, მითხარი, როგორი იყო, რა ერქვა.

– გულსუნდა, – ამოსძახა ბაჩანამ.

– ჩვენებური არ უნდა იყოს. უცნაური სახელია, – დახლიდან გადმოიწია, ბაჩანას ჩამოხედა, – როგორია შესახედავად?

– ლამაზი, – თქვა ბიჭმა.

– არა, მართლა.

– არ გატყუებ, მართლა ლამაზია. გრძელი თმები აქვს, ნაზი სახე, თბილი ხმა. ცისფერი კაბა ეცვა და მწვანე, გრძელი თავსაფარი ჩამოშვებული, აი, ეგეთი, – გადაფენილ ნაჭრებზე მიუშვირა თითი.

– არ მახსოვს და რა ვქნა, – დალონდა გამყიდველი, – ანდა მოიცა, პერანგის ყიდვა ხომ არ გინდოდათ?

– ეგ არი! – წამოცოცხლდა ბაჩანა, – გაგახსენდა?

– მართალი ხარ, მე ვუთხარი პერანგებით არ ვვაჭრობ, მოედანზე ნახეთ-მეთქი.

– მეტი არაფერი? – თქვა სერაფიტემ.

– არა. მერე წავიდნენ, – ხელები გაშალა მეფარდაგემ, – ალბათ მოედანზე წავიდნენ. მარგორაში ყოველთვის ჩამოდიან გალილეიდან, რომიდან, მისრეთიდან. თქვენც იქ უნდა ნახოთ.

– მადლობა, – თქვა სერაფიტემ, – ნახვამდის, – ბიჭს ხელი ჩაკიდა, – გზა გავაგრძელოთ, ამ ქალაქში ადვილად დაიკარგები, მაგრამ ძნელად გიპოვნიან.

– ისე, – გამოსძახა გამყიდველმა, – უცნაური სითეთრის ქალი იყო, თითქოს შიგნიდან იყო თეთრი. სერაფიტე ნახევარი სახით მოტრიალდა, – ჯერ ვერაფერს იხსენებდი, ახლა კი სითეთრეო, რეებს როშავ.

– სიცხეა, მაპატიე უფალო, მაგრამ ეგეთი იყო, გამახსენდა.

– ხომ გითხარი, დედაჩემი ძალიან ლამაზია-მეთქი, – თქვა ბაჩანამ.

– სითეთრე რაღაა?

– იმიტომ, რომ კეთილი და სუფთაა და მე ვუყვარვარ.

– რომელ დედას არ უყვარს შვილი, – სერაფიტემ მოსასხამის კალთა თავზე ჩამოიფარა, – თუმცა... უაზრობაა? გაიფიქრა, იქნებ რაიმე ნიშნები მეძლევა და ჯერ ვერ ვხვდები, – თან ხალხში იყურე, – უთხრა ბაჩანას, – იქნებ თვალი მოკრა, – სიარული განაგრძეს. რამდენი მტვერია, თავბრუ დაეხვევა კაცს, ისევე გადაენნა ფიქრი. ამ მტვერში რას გაარჩევ, ეგ მეც ვიცოდი დედა-შვილი რომ მოედანზე იყვნენ, რამე ახალი მითხრან. ღამე, როცა ვერაფერს ხედავ, შესაძლოა ელვამ გადაანათოს ქვეყნიერება და წამით დაგანახოს სამყარო ისეთი, როგორც არის ის სინამდვილეში. ეზრა ამბობდა, – ქვეყნად ისეთი რამეები არსებობს, ზოგჯერ ფიქრობ კაცი, ალბათ ჯობია არ იცოდეო, მე კი ისიც მინდა ვიცოდე, მაგრამ გაელვების შემდეგ უფრო ბნელდება, ელვაც უკვალოდ ქრება და ამ დროს კაცი იმ საკვირველი წამის დაჭერას ცდილობ, როცა დაინახე წყვილიაღმე გაჩუმებული სამყარო, მეხსიერებით ნანახ სურათს აღიდგენ და სიბნელეში თამამად იკვლევ გზას. იმ წამს მიელტვი, როცა რაღაც დაინახე, აი, თურმე როგორი ყოფილა სამყარო – უძრავი განუზომელი გარეშე ყოველთა ცათა, რომელსა ზედა არს სასუფეველი და მხედრობა ცათა და ძალნი ცათანი, არტისტული სიამოვნებით აათამაშა ფიქრი მარგორას ცხლად დამტვერილ ქვაფენილზე მოსიარულემ.

მარგორა გაძვალტყავებულ ძროხას დამსგავსებოდა აურუმის ბატონობის ჟამს. მისგან ყველაფერი გამოიწველა, რისი გამოწველვაც შეიძლებოდა. მართალია, ქალაქი ერთმანეთზე შეფენილი სახლებით, კაცრიელობათა მდიდრული ფასადებით, პორტალებითა და გარეორნამენტიკით – მთავარი მოედნის სრული არქიტექტურით, ოთხი შემოსასვლელის მედიდური, მარმარილოთი მოპირკეთებული თაღებით საგულდაგულოდ იყო შელამაზებული, მაგრამ კაცი ადვილად დაინახავდა ვინრო ქვაფენილებში მოსრიალე დაძაბულობას და იმასაც, რომ ამ სილამაზის მიღმა, მთლიანად გამოშიგნული, გამოფიტული, გამოძარცული და გადაყიდული ქალაქის მრავლისმნახველი მოთმინება გაყურებულიყო, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ტკივილების ატანა და თითქოს იმ წარსულის ხათრით, რომელიც თითქოსვე თვალთ არც არავის ენახა – დღეს აღარავის სჯეროდა და ალბათ არავის ახსოვდა, რომ ძალიან ადრე, ბალნარად აყვავებული მარგორა ოცნების ქალაქად ქცეულიყო ყველასთვის, თავის ბედის საპოვნელად ვინც კი აქეთ მოიწვედა, როცა მარგორას ეთაყვანებოდა, აღმერთებდა და ადიდებდა ნებისმიერი მოგზაური, სოვდაგარი, პოეტი თუ ვარსკვლავთმრიცხველი ან ფილოსოფოსი, რომ მარგორა მართლაც საოცარი სიკეთის ადგილი იყო, ყოველი დღე ამ ქალაქში როგორც ზეიმი ისე ითრევდა და ახალისებდა ადამიანს, მისი ნაწილი ხდებოდა, რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო მისი მომავალი ცხოვრება და დროებით მაინც ავიწყებდა იმას, რითიც მას უკანმოუხედავი ყოველდღიურობა ტენიდა.

მარგორას ფერადი დღეები, სიცილითა და მზით დაწნული, ყვავილების გვირგვინით თავზე შემოკვროდა ყოველ აქ მოსულს, რომელთაც იქ დაბრუნება აღარ უნდოდათ, საიდანაც მოვიდნენ და ყოველთვის ყელშიმომჭერი სევდით წყდებოდათ გული განშორებისას და სამუდამოდ ახსოვდათ აქ გატარებული დღეები და ის სუნი, რაც კაცს თავს ყოველთვის კეთილად შეახსენებს, თან ზუსტად იმ დროს, როცა მას ყველაზე მეტად სჭირდება ის – მონატრებაში ამოტივტივებული სიმარტოვის ნასაშლელად.

ახლა კი, ომების დროს მარგორაში შეგზავნილმა პეტრიდიდეს მსტოვრებმა, საფუძვლიანად გამოიძიეს რა მარგორას პოლიტარქი აურუმი, კარავში ეახლნენ კომანდერს, სადაც ის კბილებს ილესდა, აფთრის სიშმაგით სისხლის სმას ელოდა.

კარავი შუშხუნით იყო განათებული და იქ შეკრებილთა ჩრდილები ტოტებივით დაბურულიყო მათ გარშემო. ერთი მსტოვარი ყვებოდა: – აურუმს მართლაც დიდი სიმდიდრე აქვს და სასახლეში ცხოვრობს. ქონების დიდი ნაწილი სადღაც სამალავში აქვს ჩატანილი, იმ ადგილს ჩვენ ვერ მივაგენით, დიდი გაიძვერა

ჩანს, ორმოცნულამდე იქნება, შენთან დადებული ზავის დარღვევას არ აპირებს და არც დარტყმას ელის, მაგრამ სანდო არაა. ამ თხის ტყავზე მარგორას გეგმაა, თითოეული ქუჩაა მინიშნებული, ჰყავს...

- მაიტა აქა, - პეტრიდიდემ რუკა გამოართვა, - რა ჰყავსო?..

- ჰყავს მეუღლე. მე არ მინახავს, მგონი არც არავის, ამბობენ, ჭკუიდან გადაუხვიაო.

- რა უქნიაო?

- გაგიჟდაო, სულით ავადმყოფი გახდაო, აურუმმა სადღაც სოფელში გაამწესა, ორი შვილი ჰყავს, ორივე ბიჭი, ათი წლის გაცი და ერთი წლით უფროსი ახპეროზი, უთვალავი მასწავლებელი დაასია, ყველაფერს ასწავლიან - გეომეტრიას, რიტორიკას, ლოგიკას...

- ათი წლის ბავშვს ამდენს? - კომანდერი რუკას სწავლობდა, მარგორას გეგმას, ზღვას, მთებს...

- მეტიც, ასტრონომიას და პოეტიკასაც. თავის ასაკთან შედარებით გონიერები არიან და ნიჭიერებიც, გაციმ უკვე სოფოკლე იცის.

- რა იცის?

- სოფოკლეს დრამები, ტრაგედიები, პოეზია.

- ა, ლექსები? - გაებადრა სახე, - თუ ძმა ხარ, მეტი რამე სამხედრო ხერხი თუ იცის, - მშრალად დაახველა, - განაგრძე.

- სასახლე, - ჩაერთო მეორე მსტოვარი, - ესე იგი, როგორც იტყვიან, სასწაულია: ჯერ მარმარილოს კიბეებია, ვრცელი და ფართე. მთლიანად ქვის გალავანი აქვს შემოვლებული, ჩიტი ვერ შეფრინდება, გუშაგები დგანან. როცა სასახლიდან ბუკების ხმა ისმის, ქალაქის ყველა ქუჩა, ჩიხი და მოედანიც კი გადაიკეტება, არავინ იღებს ხმას, ყველამ იცის, რომ ამ დროს აურუმი გამოდის და სადღაც, რომელიღაც ქუჩაზე უნდა გაიაროს. პირადად მას პოლისერები იცავენ.

- რა პოლისერები?

- ეგრე დაარქვა, ანუ ქალაქის კაცები, მომწესრიგებლები. კენტურიონებს ბაძავს, ასეულის დანაყოფებით, ყველა გააპოლისერა, ყოველი მეოთხე ან მეხუთე პოლისერია. ქუჩების გადაკეტვის მერე მოხსნიან ბრძანებას და ისევ იგივე იწყება და იმ მოედანზეც: - აბა, ბანანი იაფად და აბა, აქეთ მობრძანდით ხორცი სამეფო და არის ერთი ამბავი. სხვათა შორის, ეს მოედანი მაგარი რამე ყოფილა თავის დროზე, არც ახლაა ცუდი, შემოსასვლელები აქვს ლამაზი, მარმარილოში და გრანიტში, ყოველდღე ბაზარი აქვთ გამართული, აურუმიც ყველფს ყველას, ყველაზე დიდი წილი მაგას მისდის.

- ვინაა საერთოდ, - თქვა პეტრიდიდემ, - საიდან მოვიდა, რომში მიიღო განათლება?

- კაცმა არ იცის, პატარა ბიჭი იყო მარგორაში რომ გამოჩნდაო, უკვე საკმაოდ მდიდარიც. ხალხს არ უყვარს.

- ჰო, კაი, მერე? ნაბიჭვარია ვიღაცის.

- იმ კიბეებს როგორც კი აივლი, სვეტებიან დარბაზში შედიხარ, სადაც სასახლის დაცვის საგანგებო ქვედანაყოფი დგას და პოლისერთა საიდუმლო ოცეულიც. ეგ სასახლე ადრე ბერძნებს აუშენებიათ რომელიღაც ქალღმერთისთვის. ამან იყიდა და სასახლედ გადაიკეთა. ჯერ ჰინდუების იყო, მერე მისრელების, მერე კი ამან იყიდა. იმ სვეტებიან დარბაზშიც კიბეები იშლება და სხვადასხვა მხარეს, გინდა ქვევით, გინდა ზევით დერეფნებში და ოთახებში შედიხარ, მაგრამ პირველი დარბაზი კარგია, ესე იგი, ბრწყინავს იქაურობა, როგორც იტყვიან, მარმარილოს იატაკი წყალივითაა გამჭვირვალე, შუაში მრგვალი მოზაიკაა და შევარდენი ხატია.

- შევარდენი რაღაა? მაგის ტოტემი?

- ალბათ, მოსწონს, პოლისერებსაც ეგ დააკრა სამკერდე ნიშნებად, თეთრი სვეტები კი ისეთი თეთრია და ისე პრიალებენ, თვალს მოგჭრიან, ხოლო ეგრეთნოდებული ჭერი მთლიანად მოხატული აქვს.

- ხედავ შენ რეები უქნია? - თქვა პეტრიდიდემ, - არ მოინყო კაი ცხოვრება?

- სასახლეში ფარშევანგები დაუდიან, გალიაში ჯიქი ჰყავს და ბალი გაიშენა, ნალკოტი, არაფერი აკლია.

- მაგ ბალს გადაუვული თავის სასახლიანად, ეგ არაა მთავარი. ჯარზე მითხარი, რამდენი ქვეითი ჰყავს, ცხენოსანი და ასე შემდეგ.

- როცა მისი ჯარი აღვსუსხე, - თქვა პირველმა მსტოვარმა, - და მათი საბრძოლო მზადება ვნახე, გამიკვირდა საქმის აბსოლუტური, როგორც იტყვიან, უფიცობა.

- რა ქაჯებივით ლაპარაკობთ! - ატყდა კომანდერი, - როგორც იტყვიან, როგორც იტყვიან! ჩქარა მითხარი, რა ხდება!

- ქვეითების რიცხვი, გაგეცინებათ და, ორასია.

- ორასი? რა არის, ბიჭო, ორასი? - სიცილი მიუშრა სახეზე.

- ეგრეა, დაქირავებული ჯარის იმედზე რომ იყოს, რამეს ვიტყოდით, მაგრამ ისინიც რა, სამოცდაათი ქვეითია და ოცი თუ ოცდაათი ცხენოსანი. ესაა სულ. სპასპეტი მე იქ ვერავინ ვნახე და საომარი ეტლებიც რომ არ ჰყავს, ესეც ვიცით. ერთი ცალია და იმითაც თვითონ დადის. პოლისერების ოთხი ქვედანაყოფი დავთვალეთ. ასი მშვილდოსანი, ორმოცდაათი ცხენოსანი. დანარჩენი ქვეითები.

- არა, რალაცაშია საქმე, - დაეჭვდა კომანდერი, - თუ მართლა ასეთი სიმდიდრის პატრონია, ასეთი შტერიც არ იქნება. იქნებ ლეგიონის იმედზეა? თუმცა, რომი ხმას არ იღებს, - პეტრიდიდემ მუშტებზე ჩამოდო ნიკაპი, - რა თამაშს თამაშობს ეგ გოთვერანი?

- საომრად არ არიან მომზადებულები, გალავანი და მისი ჯანი, სხვა არაფერი, ნესიერად ხმლის ჭერა, სულ განი-გამონი, ჰა-ჰა, ოთხმოცდაათმა კაცმა იცოდეს, ჯარი პატარა ბიჭებისგან შედგება, ფანჩარიც რომ არ ამოსვლიათ, ციხეში კი ბლომად ხალხი ჰყავს.

- სოფლები რომ შემოიერთა, - თქვა მეორემ, - ციხეებიდან იმ პირობით გამოუშვა ხალხი, რომ თუ ომს მოიგებდნენ, უკან აღარ ჩასვამდა, მაგრამ რა ომი, რის ომი, მიუშვა ათასი ნაცინხარი და ეგაა, შედიან და ძარცვავენ ყველას.

- ჩემგან უსწავლია, - გადაიცინა კომანდერმა, - წილი არ უნდა მიხადოს?

- მაგრამ აურუმის სიტყვა არაფერს ნიშნავს, ერთს ამბობს, მეორეს აკეთებს.

- მაგალითად?

- ქალაქი გაატყავა, ყველაფერზე გადასახადი დაანესა, ხალხმა ააფრინა, კაცი ვერ გაივლის ქუჩაში, უნდა იხადოს. გადასახადებიდან აკრეფილი თანხა ქალაქს ხმარდება და უსაფრთხოებასო. ზოგს სჯერა, ზოგს არა. ვინც ბევრს ლაპარაკობს ან ხალხს რამისკენ მოუწოდებს, იმას ან იჭერს ან ყურს არ იბერტყავს ან თავისთან სამსახურში იყენებს, მერე აწინაურებს და მერე ახრჩობს თავისივე საქციელით, პოლისერებს საქმე არ აკლიათ.

- ქუჩაში კია წესრიგი, - თქვა პირველმა, - მაგრამ ყალბი - ჰო... და კდევ ჭა!

- ჭა?

- ჭა! რაც მოედანზე აქვს, იქიდან უბრალო კაცი კი ვერ დაღვეს, იმხელა გადასახადი ადევს.

- კარგია, ძალიან კარგია, მაგათ რისი თავი ექნებათ, - გაკმაყოფილდა პეტრიდიდე, - აგროვოს და აგროვოს თავისი ქონება, მთლიანად მიანც ჩემი ნამოსაღებია, - და უცებ თითქოს რალაცას მიხვდა, კისერი წამოჭიმა, - გითხრათ, ეგ ვის იმედზეა? ჯერ ერთი, მართლა ლეგიონის, მაგრამ ნახავთ, რომი ბოლომდე არ ჩაერევა ომში, მაგას ისე გაუბერავს, ვინ შეარჩენს, კეისარი ეგეთ რამეებს ვერ იტანს, მეორეც კიდევ ის, რომ ეგ თავის პოლისერების იმედზეა. თავისი სილორე დალუპავს. მარგორა ჩვენია.

- მარგორა შენია, კომანდერო, - ერთხმად გამოაცხადეს მსტოვრებმა, - და აი, ამის დროც მოვიდა, მთავარი, - მსტოვარმა უბიდან გრავნილი ამოიღო, დაჭმუჭნული პერგამენტი.

- ეგ რაღაა?

- დოკუმენტი ძალზე მნიშვნელოვანი, აურუმის ნოტარიუსს მოვპარე, დუქანში იყო შემოსული, ხილინდარში რა გრავნილებიც იყო, ამოვაცალე. ბევრი უმნიშვნელო წერილები იყო, ეს კი ნამოვიღე. იმავე დღეს განვაში ატყდა, მაგრამ ჩვენ ქალაქიდან გამოვიპარეთ, ჯერ ქარავანს გამოვყვეით, შემდეგ ზემო სოფლებით მოვიარეთ და აი, ნახე.

პეტრიდიდემ გაშალა და წაიკითხა: „მე, სენატის კანდიდატი ოქტავიუსი, მარგორას პოლიტარქი აურუმისგან ნამდვილად ვყიდულობ ზღვის სანაპირო ზოლს - სამათასი ეჯის სიგრძით, ქალაქის სანაპირო პორტუსის მიმდებარედ, შემოგარენის გალავანამდე, რაშიც აურუმს ოცდაათ ტალანტს ვუხდი“.

- ჰა! - ამოიძახა პეტრიდიდემ, ხელმოწერებს, თარიღს და სატიტულო ბეჭდებს დააკვირდა, - გადაირევა კაცი, ამ ამბავს ხალხი როგორ შეხვდა?

- ისევ აურუმის პოლისერებმა იჩინეს თავი, ბუკებს დაბერეს, მოედანზე ხალხი შეიკრიბა, აურუმი გამოვიდა და თქვა, რომი სანაპიროს გვართმევს და ვისაც ხმლის ჭერა შეუძლია, ჩვენი ვალია მიწა-წყალი დავიცვათო.

- ამნისტიით ისევ ციხიდან გამოუშვა ნახევარი ხალხი, სანაპიროზე წასულებს შეურია, ამ ერთ ღამეში შექუჩებულ ვითომდა ჯარს უკან პოლისერები მიყვებოდა, გაყარეს ეგრეთწოდებულ სანაპიროზე, სადაც რომაელების კოჰორტისთან აურუმი საიდუმლოდ მოლაპარაკებული იყო და იმ ღამესვე ჩაახოცინა თავისი ხალხი. ორი კურდღელი მოკლა, სანაპირო მოსაზღვრედ რომი დაიყენა, მაყუთი იშოვნა და ციხეებიც განმინდა.

- ორი კი არა, სამი მოუკლავს, - თქვა კომანდერმა, - ამიტომაცაა ლეგიონის იმედზე.

- რომაელებმა დროშები აღმართეს, შტანდარტები დასვეს და კარვები დასცეს. მარგორაში არ შედიან, სანაპიროს და პორტუსს აკონტროლებენ - რა შედის, რა გადის.

- იმ ხალხიდან კი, ვინც გადარჩა, მოქალაქეებიც იბრძოდნენ რომ სჯერათ, რომ მაგარ საქმეს აკეთებენ. ვინც გადარჩა, პოლისერებმა მოუღეს ბოლო, ზოგი მათ სამსახურში ჩადგა, ზოგი გაიქცა, ზოგიც უკანვე, ციხეში დააბრუნეს, და დილას იმავე მოედანზე, იმ ჭასთან, ბოროტი დევით რომ წყალს არავის ასმევს, დიდი გულისტკივილით გამოაცხადა - გპირდებით, ცოტა ხანში ყველაფერს უკან დაგიბრუნებთო. კოჰორტისი ახლაც იქ დგას.

- თხა! - ზიზღით თქვა პეტრიდიდემ, - გველაძუა და თხა, - პირი მოკუმა, ჩაფიქრდა, ამ ნაბიჭვარზე რა გული შემტკივა, გაიფიქრა, ჩემი შვილი კი არაა.

ზაფრი სიჩუმე მხედართმთავრის ქმენამ გასერა. სახე თანაბრად შეუღურჯდა. მსტოვრებმა შიში იგრძნეს.

– ომი! – იყვირა კომანდერმა, ყელი ჩაიფხანა, თვალები დახუჭა, დაიმანჭა და რუკას დააფურთხა, – მეზიზღება, – ენა გადმოაგდო, თითები ყელზე გაიცურა, – მოემზადეთ! – თქვა დაჭიმულმა, – ლაშქრობას მალე დავინწყებ...

...მარგორაში წინასაომარი, მაგრამ იძულებით საზეიმო განწყობა სუფევდა. მზე ქალაქზე დაყუდებულიყო და მშფოთვარე სიცხეს ადამიანთა დამფრთხალი სიძულვილიც ამწვავებდა, გამონვეული თუნდაც უბრალო ჭორით, რომ მოედანზე ჭა მონამლულია.

ზარდაცემულ მარგორიანელთათვის საომარი მდგომარეობა აღქმული იყო, როგორც აურუმის ძალაუფლება, რის საფუძველზეც მის მიერ გამოცემული ახალ-ახალი ბრძანებები, გაუთავებლად ბევრი რუარტაგები ყოველნამს ქალაქში ინერგებოდა, როგორც ყოფითობის აუცილებელი პირობა. ქუჩებში აბჯარასხმული, სპილენძის ჩაფხუტებსა და გრძელი ოთხკუთხა ფარებით დარკინული, ხმალშიშველი პოლისერები დააბიჯებდნენ, საქმიანად მიმოდიოდნენ და ყველას, გამვლელსა თუ გამომვლელს პირზე აურუმისა და პეტრიდიდეს სახელი ეკერა და ქალაქიც თავისი მოჩვენებითი ზეიმებით, მისი ზედაპირული უტიფრობით, რა თქმა უნდა, იმ უბედურებას ვერ ფარავდა, რასაც ხალხი ხედავდა, რაც ხალხმა იცოდა – გაიძვერობით, თითქოს შეუმჩნევლად აურუმმა მარგორას რაც დაატეხა და რაც ახლა ძრწოლითა და გასაჭირით ადამიანთა ფიქრებში ბობოქრობდა, რადგან ყველა იმ უტიფრობის მოწმე იყო, რასაც აურუმი მოედანზე შეყრილი ხალხის წინაშე გაიძახოდა.

თვალები გადმოკარკვლოდა და თითქოს ოქროს სილამიზნეული თმებიც აშლოდა, ოდნავ შეწითლებული ახალგაზრდული სახე შეშინებულივით ამწყარალიყო მომხვეჭელ მზერაში, მომრგვალებულ სახესა და ავადურად შესიებულ ლოყებში, მიბერილ ცხვირსა და მთლიანად, ტრიბუნაზე მდგარ საშუალო სიმაღლის კაცში, ხალხი თავის სირცხვილსა და უმწეობას ხედავდა და გაუმძღარი სიროსკიპით ნათქვამ სიტყვებს ისმენდა – რომ ჩვენი ომი არც ისეთი დიდი ტრაგედიაა, მის გამო სასონარკვეთაში ჩავარდნა რომ ღირდეს, რომ მარგორა მალე დაიბრუნებს არა თუ სანაპიროს, არამედ ღირსებას, რომ რომთან სასიკეთო მოლაპარაკება შედგა და პეტრიდიდე ქალაქში არ შემოვა, რომ რომის ლეგიონი მალე აქ იქნება, რომ მარგორასთვის ეს დღეები აღმაფრენის სანინდარია და დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, როგორც მშვიდობის სასიხარულო დასაწყისი, გაჭირვების უარყოფა და განთავისუფლება. რა განთავისუფლება? – ფიქრობდა დემოსი, – რა აღმაფრენის სანინდარი? თუ ომია, ომი იყოს! – ფიქრობდა ყველა, ახალგაზრდა თუ მოხუცი. რა დროს მშვიდობაა. ჯერ ომი არ დაწყებულა. მაგრამ ბოლომდე არავის გაეგო რისთვის უნდა ეომათ. ყურმოკვრით იცოდნენ, რომ პეტრიდიდეს, ვილაც მომთაბარე კონდოტიერს, აურუმის მიწების წართმევა განუზრახავს და რომ ის ჯარით მოდის მარგორასკენ. რატომ არ ერევა კეისარი? – ეუბნებოდნენ ერთმანეთს, – რომს ვინ გაუბედავს, ალბათ რამე თუ აქვთ ჩაფიქრებული, – ამბობდნენ, ფიქრობდნენ, ელოდნენ. მათთვის მხოლოდ ის იყო ცხადი, რომ გმირულ ზეიმობასთან შეზავებული ასეთი გაუგებარი აღტყინება უკვე აუტანელს ხდიდა მარგორასადმი ვალის მოხდისა და მამაცობისკენ მიმართულ ყველა მოწოდებას.

მარგორა მზითა და ამღვრეული უიმედობით დაისიცხა, ვერავის გაეგო რა ექნათ, გაქცეულიყვნენ თუ დარჩენილიყვნენ, როგორ ეფიქრათ აურუმზე, თავიანთ თავზე, განსაცდელზე.

ჩვეული შფოთით ილეოდა დღეები, მთლიანი დაძაბულობა. უკვე ის ბენეიც წყდებოდა ზედ დაკიდული მოთმინებით, როცა გაზაფხულის ახსნილ ღამით პეტრიდიდეს ათასკაციანი არმია მარგორას მოადგა.

ქალაქის შემორტყმული გალავნის ტლანქად აზიდული კედლები თითქოს საიმედო სიმშვიდეს პირდებოდა მარგორიანელებს, მაგრამ არათუ უეცრად, არამედ მტკიცედ და მძლავრად, ზემოთ მიმართული, ცეცხლმოკიდებული ისრები ქვევიდან ადგნენ – და ადგნენ სიბნელიდან, ყველა ერთად, ყველა თანაბრად, სამხედრო სიზუსტით და ბრძანების შემსრულებლობის სიმკვეთრით!

ცეცხლთავიანები წამიერად გალავანს ააჩერდნენ, მიზანდასახულნი და გაჭიმულნი, იმავნამს ადგილიდან მოწყდნენ და გაიჭრნენ – ისრების გამჭოლმა მხუილმა, გასხივებულმა ფრენამ სიბნელის შეუვალობა გახვრიტა.

პეტრიდიდემ სურვილი აისრულა. ომი დაიწყო.

გალავნის ზემოდან მარგორიანელები ადულებულ ზეთს ასხამდნენ, მშვილდებს უშვებდნენ, ლოდებს აგორებდნენ, მაგრამ – თქვენი ბედი გადაწყვეტილია! – ატყდა კომანდერის ბილწი ნდომა, – წიიინ! – იღრიალა და მეომრებთან ერთად ფეხით გაიქცა გალავნისკენ. ჩარაზულ კარიბჭესთან ჯოჯოხეთი ამოიძურწა: უმონყალოდ ჩეხვას, კუნვასა და კაფვას განწირული ყვირილი და ხროტინი დაეხვა, პეტრიდიდეს სპაზმით დათრეული მჭახე ხმაც ომახიანად ისმოდა – სახე მისი გიჟად გაცეცხლილიყო, თითქოს ალებით დასახიჩრებული კისერს ჭიმავდა და როცა ყვიროდა: – ალააარ! – დაწყვეტილი ყელის მყესები რკინებად ექცნენ, ანთებულ ხმლებში, შუბებში, შუაგახლეჩილ ტანებში, მოგლეჯილ მაჯებსა და მოჭრილ თავებში, გადახეულ მუცლებში, სისხლთა ტბორებში ის ლალი იყო, მხნედ ბედნიერი.

– ალააარ! – ამოინივლა ცოფით გასისხლულმა და ჩეხვა მეტი სიშმაგით გააგრძელა, მეტი სიაფთრით, მეტი სიკვდილით. თვალები ისევ აუტრიალდა, პირი მოეღრცა, ფეხების წინ და უკან ქნევა დაინყო, მარცხენა ხელიც გაუცახცახდა და ფარიც მოისროლა – ეგრევე გვერდით მოუდგნენ ქეშიკები და ასისთავები, გარშემო ზურგებით დაეფარნენ, – წიინ! – ისევ დაჭეკა საქვესკნელო ძრწოლვით შეპყრობილმა და შეშლილმა, გვერდითა ასისთავს ნაჯახი გამოართვა, ფხიზლად მოერგო ბნედას, ოცულებს ჯგუფებად მიყრა უბრძანა, ასისთავები ფლანგებზე გაშალა, ცხენოსნები გაშვერილი შუბებით ალაყაფის კარებისკენ გატყორცნა, რასაც ბორბლებზე გადებული მორებით გლეჯდნენ, კიბეებიც მიუდგეს და აღსასრულის ნიშნად ბუკებიც დასცეს, დროშები აიშვირეს და ერთდროული მინისმძვრელი იერიშით ქალაქის შესასვლელი შელენეს. ავი წყვდიადის სახიჩარმა ბოროტებამ აიშვა. მარგორა დაეცა. ქალაქი მინას გაერთხა, რამაც მიიღო დახოცილთა სისხლი.

– აბა, ნავედით! – ბრძანა კომანდერმა, ცხენზე შეჯდა და ხმალი აღმართა, – ეცით, ბიჭებო!

ჯარი აღმუვლდა. პეტრიდიდეს გვერდით ასისთავები ჩამოდგნენ.

– სასახლისკენ! – უთხრა კომანდერმა ასისთავებს, – ბიჭები მიუშვით, საქმე ამლამესვე უნდა მოვრჩეთ. დახოცეთ ყველა, – ცეცხლშემდგარ ქალაქს გადახედა, – ეს უკვე ჩემია, – თქვა და ბნედაც დაუცხრა. არცერთი რომაელი ლეგიონარიუსი, გაიფიქრა, და არც სანაპიროს კოჰორტისი, ხომ ვამბობდი, რომი ბოლომდე თავს არ გამოაჩენს-მეთქი. ესეც ასე.

ასისთავების ბრძანებით ქეშიკები ქუჩებში ჯგუფურად განაწილდნენ, აურუმის სასახლისკენ აიღეს გეზი. მხედრებიც ქვაფენილებზე თამამად მიაჭენებდნენ ცხენებს და განურჩევლად თელავდნენ, თუკი ვინმე გადაურბენდათ. ქვეითებს ჩირალდნები ეჭირათ, ალქაჯებს დამსგავსებოდნენ როცა ცეცხლებით დარბოდნენ ღამის წყვდიადში. გაჩირალდნებულმა პროცესიამ ზარბუქი მარშით გაიარა ქალაქი – ერთ სიმაღლეზე დაწყობილი ცეცხლები უკუნეთში ცურავდნენ და სასაკლაოში ჩატოვებული მარგორიანელებიც ნაჯახნი მორჩილებით ხედავდნენ ცოდვას მათი ქალაქის ქუჩებში.

ხანძარი სწრაფად აიზარდა, კივილსა და მოთქმაში ხმლების პირები ელავდნენ...

– სულ ეს იყო ამათი ჯარი? – გაეცინა კომანდერს.

– გალავანთან ყველა ჩაიხოცა, – თქვა ასისთავმა, – შეიძლება სასახლის დასაცავად კიდევ ვინმე ჰყავდეს.

– ეს რა თალია? – პეტრიდიდემ მოედნის შესასვლელს გახედა, – ა, მოედანია? სად ვართ, მოდი ვნახოთ, – ქამარში გაჩრილი რუკა ამოიღო, ასისთავმა ჩირალდანი დაუნათა, – ჩვენ ვდგავართ აქ, – რუკაზე აღნიშნულ მოედანს ამზერა თითი, – გამოდის, რომ აქედან რალაც ორ ნაბიჯში სასახლეა?

– ეგრეა, – თქვა ასისთავმა.

– მოვსულვართ, – პეტრიდიდემ ტყავი გადაკეცა, – დანვით! – თქვა და რუკა მოისროლა.

ქვეითები და მხედრები სასახლის გალავნისკენ გაიქცნენ.

– ისე, ლამაზია, არა? – შესასვლელი თალი ვინრო ქვაფენილებში მიქვაბულიყო, – დღეიდან შენი მოედანია, კომანდერო.

– ეგრეა, ეგრე! – ცხენი მომართა პეტრიდიდემ, გზაჯვარედინზე გამოვიდა და გააჭენა.

თავშეუქცევად გაჯოგდა ჯარიც.

მიადგნენ.

ქვის გალავნის უკან თეთრსვეტებიანი კაცრიელობა გამოჩნდა, გრძელი სამკუთხა სახურავით.

– უყურე შენ? – თქვა მხედართმთავარმა.

– ო, ეს ბერძნული სტილია, – თქვა ერთმა ასისთავმა.

– სტილი არ ვიცი მე, დანვით-მეთქი საქათმე! – სახეზე ზიზლი გადაეგესლა.

გალავნის წინ ქვეითები განაწილდნენ, მშვილდები მოზიდეს და ცეცხლოვანი ისრები აუშინეს, ალაყაფს მხარზემორგადებულები მიცვივდნენ და ძლიერი გლეჯვით ესეც შეამტვრიეს.

– რანაირი სუნია, – ქვეითმა ცხვირზე აიფარა ხელი.

პეტრიდიდე ამაყად შევიდა სასახლის ეზოში, რომლის უკანა მხარეც უკვე ინვოდა, ხოლო წინ კი ფენა-ფენა, სართული-სართულზე ბალი არგულიყო, თითქოს რომ არ იმჩნევდა ომის გახლართულ ბოლს, არც შემოლაგებულ ცხენოსნებს, საკვირველის ხილვით დადობილი რომ უყურებდნენ, ამოყვავილებული კორინთული კაპიტელუმით შემდგარ, თეთრსვეტებიანი სასახლის პრიალად ფართო კიბეებსა და კიბეების ორთავე მხარეს სასახლის სახურავამდე აწვდილ ფინიკის პალმებს, მათ შორის დამსხდარ, კაცისთავიანი ფრთოსანი ლომების ორ ქანდაკებას, კედელზე აყოლებულ სუროებს და ბამბუკის ჭალას გალავნის შიდა ჩაყოლებაზე, ცეცხლი რასაც დაუცხრომლად ამტვრევდა.

– ამ ჩემისას ჯარი შეეგროვებინა, ყვავილები რომ გამიშენა აქ, – კომანდერმა შადრევანს ჩამოხედა, ბრონეულის ხეივანს და კენჭებით მოკირწყლულ ბუჩქნარში მიკლაკნილ დერეფან-ბილიკს, იქვე რომ მოჩანდა ამ სასიკვდილო ღამეში ჩაყურებული შიშველი ძეგლები, ათლეტური აღნაგობისა თუ ღმერთქალთა თლილი ქანდაკებები და სუროებში ჩახვეული გალიაც, სადაც ცეცხლნადები სასახლისა თუ ჩირალდნების ელვარებით, შავად დანინკლული ყვითელი ჯიქი აწრიალებულიყო.

სასახლის დიდი, მოჩუქურთმებული კარი ღუნედ შეიხსნა, შეიარაღებული სპილენძისაბჯრიანი მეომრები გამოვიდნენ, კიბეებზე ჩამოენყვინენ, ყველა ერთნაირ აბჯარში, თავზე მუზარადებით, ზედ ფუნჯად გადაშლილი ცხენის დაწნული ძუებით და გრძელი ოთხკუთხა ფარებით, მოკლე ხმლებითა და მკერდზე შევარდნის სიმბოლოთი.

– ესენი რა, სალამანდრები არიან, ცეცხლი რო არ ეკარებათ? – თქვა კომანდერმა, – ვინა ხართ თქვენა, ხალხო!

– აურუმის პოლისერები ვართ ჩვენ, პირადი დაცვა, – გამოიწია ერთი პოლისერი.

– ვაა, – უღვაშები გაიგრიხა პეტრიდიდემ, – მამ, პირადი დაცვა, არა? აი, სად დაგენძრათ, ჯიგრებო, – დააცემინა, – მართლა, რა სუნია, – ცხვირი მოინმინდა, ფეხზე შეიხოცა ხელი, – ყვავილების სუნია თუ უკვე ჩაისვარა ვინმემ?! – თქვა და ყველამ ერთხლიქად კიბეებზე შეაგდო ცხენი.

ორთვალა ღია ეტლმა სერაფიტესა და ბაჩანას წინ ჩაიქროლა, ხალხმრავალი გზაჯვარედინი მტვერში არია.

– რა უბედური მტვერია, – ბაჩანას თვალეებზე ხელი მიაფარა არქივარიუსმა, – ალბათ ბოლო არასდროს მოელება, ხომ არ მოგმივდა?

– ჯერ არა, – ბალღმა მტვერი დაიბერტყა. დააცემინა, – ცხვირში შემიფრინდა.

– არც დაილაღე, ჰო?

– არა და შენ?

– არც მე. დრო იყო, ამ ქვაფენილებზე პეტრიდიდეს ყაჩაღები მარბიელობდნენ, ახლაც ჩამესმის მათი ცხენების თქარა-თქური, – თქვა სერაფიტემ.

– ომი როცა იყო? – თვალეები მოისრისა ბიჭმა. სერაფიტეს ხელი ჩაკიდა.

– მაშინ შენ დაბადებულიც არ იყავი, მე კი გუშინდელივით მახსოვს. გუშინდელივით კი არა, წამის წინ იყო თითქოს, ბავშვი ვიყავი, ობოლი, სადღაც მიწურებში ვაფარებდი თავს, სანამ სწავლას მივყავი ხელი, არქივარიუსმა გამზარდა, ენებიც მან მასწავლა და ყველაფერი დანარჩენი, მადლობა ღმერთს!

– იმიტომაცაა ნანგრევები, რომ ომი იყო?

– კი. ამბობენ, ადრე, ომებამდე ძალიან ადრე, საკვირველი ქალაქი ყოფილა, ახლა როა მტვერში ამომქრალი, ასეთი კი არა, მაგრამ რას იზამ, – ყური მოიზილა სერაფიტემ, შუბლზე გადაისვა ხელი, აი, ისევ ჩამესმა ხმლების ალესილი ხმა და იარაღის ჟღარუნე, გაიფიქრა, აქ ხდებოდა ყველაფერი, ღამით ჩირაღდნებით დარბოდნენ, ძარცვავდნენ და წვავენ; თითქოს მორჩა ომიც და უბედურებაც გაქრა, მაგრამ, – სერაფიტე შეყოვნდა, ყვირილი და მოთქმა დაესმა ექოდ, მიიხედა, მტვერიც აერია თვალწინ, მაგრამ როცა ქუჩებში გავივლი, ყოველთვის ასეთი ყვირილი ჩამესმის, თითქოს ვიღაცები შველას მთხოვენ, მე კი მათ ვერ ვხედავ, თითქოს არც არაფერი მორჩა, ყოველივე აქაა და ისევ გრძელდება გაუთავებლად.

– რა მაგრამ? – თქვა ბაჩანამ, – დაამთავრე.

– არაფერი, მეტქი, არაფერი მორჩა-თქო, ყველაფერი აქაა და ისევ გრძელდება გაუთავებლად.

ბაჩანა წარბშეკრული იდგა, არქივარიუსის ვერა გაეგო, აქეთ-იქით იყურებოდა.

– ტყუილად იცქირები, – თქვა სერაფიტემ, – რასაც ხედავ, ამის გარდა ვერაფერს დაინახავ. მე დიდი ხანია თავს ვაკვირდები და ჯერჯერობით დანახვით არაფერი დამინახავს, მხოლოდ ჩამესმის და ვიცი, რომ ყოველივე ამ ქალაქში გაუთავებლად მეორდება და წარსული თითქოს სადღაც აქაა ჩამალული, მაგრამ სად, მე არ ვიცი. ამაზე არ იფიქრო, პატარა ხარ, არ გჭირდება. ჯერ იმ ბოშებთან მივიდეთ და თუ მათაც არაფერი იციან, მერე მოედანიც ვნახოთ და სასახლის ნანგრევებიც, აქ ხშირად მანანნალები და ქურდები იყრიან თავს, ისინი მაინც გვეტყვიან რამეს.

– იმაზე რომ თქვი, წარსული აქააო, ვერაფერი გავიგე, – თქვა ბაჩანამ, მაგრამ სერაფიტეს აღარ უპასუხია, თმებზე გადაუსვა ხელი და ბოშებისკენ გასწია. ბაჩანა მის სამოსელს ჩაეჭიდა და მიჰყვა ისიც, თავს არ ანებებდა სერაფიტეს მიერ უნებლიედ თქმული სიტყვა – ნუ გეშინია, მამა. აი, ის სიკეთე, ბაღლი რამაც დააფრთიანა და მარტოობის შეუგუებელი მარყუჟიდან გაათავისუფლა, მამა – სიტყვა, რამაც გულის ყოველი ფეთქვით შეაყვარა იასამნისფერი სამოსლით მოსილი კაცი, ჭაში ჩავარდნას ვინც გადაარჩინა, ვინც თავისთან წაიყვანა, დააპურა და ახლა აღარ უშვებდა ხელს, ვინც დადუმებულიყო და ფიქრობდა: მართლაც ასეა, ყოველთვის ასეა, საიდანღაც ჩამესმის ეს უცნაური ხმები და მესმის იმდენად ახლოს, იმდენად საგრძნობლად, რომ ხელიც კი შემიძლია შევახო. ვინ არიან ისინი? განვლილი დროის აჩრდილები. ვიცი, ვინც არიან. თავს ვიტყუებ. მე ხომ მშვენივრად მესმის რაც ხდება, უბრალოდ არ ვიჯერებ და თავსაც არ ვუტყდები, რადგან ვერ ვხედავ, მხოლოდ მესმის... სიტყვები, სივრცეში მართლაც არაფერი იკარგება და ყოველი საქციელი მომდევნოს ინვესს და ჩემი თავნება მიხვედრილობაც აღარ მანებებს თავს, ჩემი ნების გარეშე რომ რაღაცას მახსენებს, რომლის არსებობასაც ვხვდები, მაგრამ მის საიდუმლო აზრს ჯერ ვერ ვიგებ. იქნებ უიმედოდ რომ ვყოფილიყავი, უფრო თავისუფალი ვიქნებოდი? არქივუმშიც აღარ ვიცხოვრებდი, მახსოვრობაც აღარ შემანუხებდა სიგიჟის ზღვრამდე მისულს, იქნებ ჩემი ცნობისმოყვარეობაა ჭკუიდან ამშლელი? იქნებ და ისაა ყველაზე საშინელი ცოდვათა შორის?

ჭემპარიტების დადგენა იქნებ არცაა ჩვენი მიზანი? იქნებ დიდი საშინელება მაშინ გველის, როცა მას აღმოვაჩინებთ? ჩემი ეჭვები ჩემივე მტერია და ჩემი უეცარი მიხვედრილობა უფრო საშიშია, ვიდრე ამ გამვლელების ხანმოკლე ფიქრი, ყოველდღე რომ სახლებიდან გამოდიან, საქმიანობენ და ისევ უკან შედიან. ვინ მოიგონა ასეთი სიგიჟე და ვინ გაგვჩინა ასეთი ერთიდაიგივეობისთვის? რა საიდუმლო მიზანს ემსახურება მისი ჩანაფიქრი? და მეც ყოველწამიერად რატომ ვგრძნობ ჩემს მალლიდან, თითქოს ზემოდან მოფენილ სუნთქვას, ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სამუდამო მონაცვლეობას. ვინც ყოველწამითობის აზრს მისწვდა და შინაგანად განიცდიდა, ის ალბათ განთავისუფლდა კიდევ, განთავისუფლდა საქციელთა შემოსაზღვრული ალყიდან, ალბათ ასე იყო ეზრაც, რომ გაუჩინარდა, ექსი და დიათესი მისი ნიჭი იყო და დამტოვა მნიგნობრად მტვერსა და ბულში, მგონი რასაც ვხვდები და წამის შეურყვნელი მუდმივობის წესს რაც უფრო ვიგებ, მით მემატება შიშიც და ეჭვიც და განგებას ვევედრები, რომ სიმართლე არ იყოს ჩემი აღმოჩენა.

სახლის კუთხესთან ბოშა ქალები ირეოდნენ, ზურგზე აკიდებული თოთო ბავშვებით, ჭიჭყინითა და მომაბეზრებლობით ეჯაჯგურებოდნენ გამვლელებს ლეგიონარიუსების დანახვაზე ბრბოში იფანტებოდნენ და თითქოს უხილავი ძალით იმავდროულად ერთად აღმოჩნდებოდნენ ბლუჯად. ხელებს იწვდენდნენ, იცინოდნენ, დოყლაპიებს გამოიჭერდნენ და ეცულლუტებოდნენ, ხელების თვალთვლით ფულებს ცინცლავდნენ – გრძელი გზა გელის, დიდი სახლი, ლამაზი ქალი ან უფლისწული შეგეყრება, და მიდი-მოვდივარ, ტყუილები ტყუილებზე, ალაგ-ალაგ სიმართლის ნამცეცებით.

ბაჩანას თვალები ფართოდ გაეღო, ჭრელი, დაბლანდული კაბების მაცქერაღს – დიდი, მრგვალი საყურეები, შავად ჯიშინი თმა და ფერადი ფერუმარილი წაცხოდა მტვერთან ათქვეფილ, ბიჭის წინ გაჩენილ მოჩვენებას.

სერაფიტე კედელთან დადგა. ბაჩანაც იქვე მოიყენა, – თავისუფალი ხალხია, – უთხრა ყრმას, – სამშობლოსა და მიზნის გარეშე, დანიშნულებისა და მომავლის გარეშე, ცა ქუდად და დედამინა ქალამნად – მათზეა ნათქვამი, – მათ წინ კი მკერდმოტიტვლებული, ატლასის რიდეთი თავზე საბურვლად დახვეული ბოშა ქალი გამოილანდა.

– სერაფიტე? – თქვა ბოშამ, – აქ მოხვედი? ჩვენს უბანში რა ქარმა გადმოგაგდო?

– როდის აქეთ გახდა თქვენი უბანი.

– მოხდა რამე? რა ლამაზი ბიჭუნა გყავს? ბანაკში უნდა ჩააბარო? რამდენს აფასებ?

– მომისმინე. დრო არ მაქვს, ბიჭს ბაჩანა ჰქვია, დედას დაეკარგა. გულსუნდაა დედის სახელი, ცისფერი კაბა ეცვა, ქერა თმები აქვს. მეტყვი რამეს?!
– ახლა ქერათმიანები გიტაცებს? – გაეპრანჭა და კბილლიად გაუცინა ეშხით.

– იკბინები ისევ, – ნელზე ხელი სტაცა სერაფიტემ, ახლოს მიიქანა, – თუ რამე იცი, თქვი-მეთქი, თუ არა და...
– თუ არა და რა? – სახეში მიასუნთქა ხმადაბალი ოხვრა, – დამტუქსავ?

სერაფიტემ ხელი გაუშვა.

– ნუ მეზღვირები, – თქვა ქალმა, კაბა შეისწორა, – არ გიცნობდე მაინც, ჩვენები შენთან ვალში არიან, თუმცა შენ სიამაყეს რა გადანონის? სალამომდე მოგიძებნი. სად გნახო? არქივუმში გამოიკეტები?

– იცოდე, თუ მომატყუებ... – თვალეში ჩახედა სერაფიტემ. ბოშას გაეღიმა, ზედ ფიქრზე იგრძნო არქივარიუსის ძლიერი მზერა.

– პირისწყალი კი არ დამშრობია, – ტუჩები გადმოზნიქა ქალმა, – არ იცვლები.

– არც შენ, – მზერას არ აცლიდა სერაფიტე, – შენი ქალები და ეს ლანირაკები დაგზავნე ყველგან, ამბავი გაიგონ და სალამომდე, არა, უფრო ადრე მითხარით პასუხი.

– უფალი ხარ, მაგრამ რაშია საქმე?

– რაც არ გეხება, ცხვირს ნუ ყოფ. გეუბნები, გააკეთე.

– კარგი, ტკბილო, შენი ძველი კოცნა ახლაც გულზე მადევს, – თვალი ჩაუკრა, ანკარა სიცილით მიმოფანტა მტვერი, – სიყვარული მეგობრობად, საქმე საქმედ, – თქვა და ხალხში შეცეკვდა.

ბაჩანა ნალვლიანად უცქერდა სერაფიტეს, უკვირდა და უხაროდა მისი.

– რას მიყურებ? – თქვა სერაფიტემ, – იყო დრო, ეგენი ყველა განსაცდელისგან ვიხსენი, შფოთის გამო შეიპყრეს, პროკურატორს ვთხოვე გაეთავისუფლებინა.

– რატომ დაეხმარე, რომ უყვარდი და შენც გიყვარდა?

– ვის რომ ვუყვარდი?

– ამ ქალს. განა ვერ მივხვდი? – ათამაშდა ბიჭი.

– იყო დრო, – ჩაილაპარაკა სერაფიტემ.

– და შენ რომ თქვი, არქივარიუსმა გამზარდაო, ახლა სადაა?

– ეზრა?

– ჰო. ვინ?

– ჩემს მასწავლებელს ეზრა ერქვა, – შუბლიდან თმები გადაინია, მოსასხამი გადმოიბურა თავზე, – კაცად მან მაქცია, პრეტორიუმშიც მისი წყალობით და პატივისცემით შემესვლება, თავად რომში ჰქონდა განათლება მიღებული, სამყაროს საიდუმლოებანიც მანვე ამიხსნა, ლეგენდები და მითები. ახლა სადაა, არავინ იცის. წავიდა, გაქრა. ჭარმაგი მოხუცი იყო როცა არქივუმში დამტოვა. ამბობდა, ისეთი რამე აღმოვაჩინე, გაოგნებო. ერთი წერილი დამრჩა მისგან და აი, ის ხარის ბეჭი, შენ რომ მკითხე, – სერაფიტემ ბიჭს ხელი ჩაკიდა და ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანა, – ამ ჩიხებით მოკლე გზებით გავალთ, – სახლებშუა მიტეხილ გასასვლელებში სიმყუდროვე და მშვიდი სიცარიელე იყო, მიღმა კი სასახლის ნანგრევები გამოჩნდა, შორეთის აღმურში მკრთალად დადგმული მარტოხელა, თეთრი სვეტები.

სასახლის სარდაფიდან დიდ დარბაზში პეტრიდიდე ამოვიდა, სართულებზე ქეშიკები ირეოდნენ.

– მოდი აქ, – უხმო ასისთავს, – ხალხი შეკრიბე, ბევრი არა, რვა-ცხრა კაცი და ქვევით ჩადით, დერეფნებია. ახლა იქ ვიყავი, გზაჯვარედინივითაა ორი დერეფანი, გრიფონთა ქანდაკებებია დამტვრეული, მე დავლენე. უროები აიღეთ, კედლები დაანგრეთ, სადღაც მანდ კარი უნდა იყოს. უჩემოდ არავინ გაალოს, გასაგებია?!

– ჰო, – თქვა ასისთავმა.

– აურუმის ლეში ხო გადააგდეს?

– ჯერ მოედანზე ჩაატარეს ყველას დასანახად და მერე გალავნის იქით გადააგდეს, როგორც გვიბრძანე.

– თვალყური ადევნე, ვინმემ დამარხვა არ გაბედოს. ჰოდა ისა, – იდაყვი გაიფხანა, – როცა ჩახვალთ, ჩირალდნები ჩაიტანეთ და ენას კბილი დააჭიროს ყველამ. შეასრულე!

ასისთავი ქეშიკებს მიუტრიალდა. ოცეულის მეთაური იხმო.

პეტრიდიდემ სვეტებიანი დარბაზი გაიარა, იატაკზე მოზაიკას დახედა, წრენირით შემოხაზულ ფრთაგაშლილ ფრინველს, მეორე ასისთავი მოიძახა, სასახლის არქიტრავებს და კოლონდას პირდაპირივით რომ აპყურებდა, – მოედანზე ხალხი მირეკეთ, დილისთვის ყველა იყოს და ხვალ-ზეგ ესეც დაანგრეთ, – ხელი ჭერისკენ აღმართა, – დღეისთვის საკმარისია, ბიჭები დაასვენე, რაც უნდათ ის ქნან, – გაჭვარტლულ კედლებს მოარტყა მაძლარი სახე, – ნავსადგურში საგუშაგო დანიშნე, თუკი რამე გემია, კატარდა, ნავი – ყველა აღრიცხეთ და რომში საფრენად მოამზადეთ კაცი, – პეტრიდიდე ქეშიკებთან ერთად, შემომტვრეული კარით, გათელილ ბაღში გავიდა. ირგვლივ ნამწვავები ხრჩოლავდა, მეომრები დატყვევებულ, აბჯარაყრილ პოლისერებს ითვლიდნენ, ტუნიკებისამარა, ხელშეკრულები რომ იდგნენ, ჩუმად თავდახრილნი.

– რა თავი დაგიხრია? – თქვა სერაფიტემ, – მოინყინე?

– არა, – თქვა ბაჩანამ, – მოინიე, ყურში გეტყვი, – სერაფიტემ ყრმასთან ჩაიმუხლა, ყური სახესთან მიუტანა.

– შე კაცო! – გასწორდა სერაფიტე, – ფისი თუ გინდა, არ უნდა თქვა? – ფინიკის ატუზულ პალმასთან მიაყენა, – ქენი.

ბაჩანა ხეს ამოეფარა.

მინიერ მძვინვარებას სისასტიკე შობს, გაიფიქრა სერაფიტემ, მინა აიღო და თითებში გაცრა, – მნიშვნელობა არა აქვს, კაცი მართალია თუ მტყუანი. განრისხებული იოლად ინვევს სიკვდილს, რადგან შესაძლოა იგი მისთვის ერთადერთ სამართლიანობას ნიშნავდეს, უმდარესი ხარისხის ჩვენი საბრალო ცხოვრება, განუვითარებელი და ხანმოკლე სიხარულითაა ზერელედ შემთბარი და რაღა ჯანდაბაა ეს შენი ქეშმარიტებაც; რა არის ის უსახელო, რაც ყოველ ჩვენგანში უნდა იყოს ჩატოვებული? ცხოველს რომ თავის ნაშიერზე ზრუნვას ავალებს და ჩვენ კი საქციელზე ფიქრს. რას ვეძებ? რას ვპოულობ? რას მიაგნო ეზრამაც და როდისლა მოხდება ის დიდი ზეიმი, თუ არა ახლა, ამნამს, ჯერ სანამ გვიან არაა, სანამ კაცი სულ არ შეშლილხარ, – მინიერ მძვინვარებას რომ ველარ უძლებ? – ხელები დაიფერთხა, მოსასხამი ერთ მხარზე გადაიგდო, და თუ მოასწრებ, გაუძლებ, ამოხსნი, გაფიქრდა ისევ, იმ უსახელო დუმილს უპირისპირდები, ბრძენს რაც ალაპარაკებს და უმეცარს დააჩუმებს სამუდამოდ, და მართლაც, თუ რამ იყო კაცში ნათელი, დღეს ყველაფერი არაფრად იქცა და არაფერი კი მრისხანებდა.

– მოვრჩი, – თქვა ბაჩანამ, გამოვიდა, – თუ დედა ვერ ვიპოვეთ, რა უნდა ვქნათ?

– უნდა ვიპოვოთ. მოგბეზრდა ჩემთან ერთად?

– არა, მაგრამ...

– მაშინ, ჩამკიდე ხელი.

– აქლემი რომ იქ დავტოვეთ ბოძზე მიბმული? არ მოიპარავენ?

– დარდი ნუ გაქვს, ხელს არავინ დაადებს, ამ დუქნებს გავცდეთ და მოედანიც ახლოა, – ყრმასთან ხელჩაკიდებულმა სერაფიტემ დუქანთან ჩაიარა.

დუქანში ქეშიკები ეყარნენ, დილა შუადღისკენ იხრებოდა, ისინი კი თიხის წედებს და კათხებს ღვინით ავსებდნენ, სვამდნენ და კედლებს ესროდნენ. ზოგს გოგონა ეჯდა მუხლებზე, ზოგი სკამზე იდო უგონოდ და შუბლი ტაბლასთვის დაემხო, ზოგიც ღრეობდა სულამღვრეული.

დახუთული დუქნის კუთხეში, ორი ქემიკი კოჭს აგორებდა.

– ალჩუ! – სიხარულით იყვრა ერთმა, – ისევ მოვიგე! – იატაკზე დაყრილი ვერცხლები მოხვეტა, – დღესაც ჩემი დღეა.

– დღესაც, – უკმაყოფილო იყო მეორე, – ორი თვეა ქალაქი ავიღეთ და სულ გიმართლებს, დილიდან გიმართლებს, გინდა ქალზე ვითამაშოთ?

– ქალზე? – იკითხა მესამემ.

– ვითამაშოთ რა, – თქვა მეოთხემ, – თუ მოიგებ, ერთ კაი გოგოს მოგიყვან, შენ რომელსაც ხელს დაადებ იმას, თუ წააგებ...

– ჩვენ მოგიყვანოს? – თქვა მეორემ.

– არა, – თქვა მესამემ, პირველს შეხედა, – თუ წააგებ, ჩვენო იღბლიანო, მაშინ ვინმე ბებერი უნდა იხმარო. მოსულა? – გოჭის კოჭი შეათამაშა.

– ბინძური საქმეა, – პირველმა მონეტები შეანჯღღრია.

– აბა, რით გავერთოთ, – თქვა მეოთხემ, – გემინია?

– შიგბოარაგაქ, რისი გემინია, – პირველმა ხელი გაუწოდა მესამეს, – მომე, – კოჭი გამოართვა, ვერცხლები ქისაში ჩაყარა, – ამაგდეთ, არა? ეგრე იყოს.

– მიდი, გააგორე, – მიაძახეს.

– გამოინიეთ, – კედლისკენ შებრუნდა პირველი, მაჯა დაატრიალა, კოჭი ისროლა, ის გაგორდა და...

– თაფი! წააგე! – ტაში შემოკრა მეორემ, – თაფზე დაჯდა!

– როგორც იქნა წააგე? – თქვა მეოთხემ.

– ფუ, – აიღრიცა პირველი.

– ეგრეა, – დოინჯი მომართა მესამემ, – თქვი და გააკეთებ! თუ შეინერ?

– ჰა, იზამ თუ ვერა? – დაუდგნენ წინ.

დუქანში ოცუელის მეთაური ჩამოვიდა, – ე! – ჩამოსძახა ქემიკებს, – აყვარეთ! კომანდერის ბრძანებაა, ვიკრიბებით. ჩქარა!

მეომრები წამოცვივდნენ, ფარებსა და შუბებს, ჩაჩქანებს სტაცეს ხელი, – ააა, – დაიღწავლა ვილაც მთვრალმა, ისიც წამოაგდეს, – წამოეთრე! – ქერში სწვდნენ და დუქნიდან ამოეყარნენ.

– არაუშავს, მერე წავიდეთ, – თქვა მესამემ.

– ჯერ გავიგოთ ვინმე ბებო, – ფარი მკლავზე მოირგო მეოთხემ.

ქემიკები მწკრივში დადგნენ. არეული ნაბიჯით ქუჩაში გაირბინეს.

ქვაფენილზე ბატები ყიყინებდნენ, აბუნტყლოლი კისრები აენელათ და ბარბაცებდნენ, უკან ტიტლიკანა ბიჭუნა ედგათ, წნელს რომ გაკრავდა თავგზააბნეულ ჭუქს, როცა ის ხალხის ფეხებსა და სადარბაზოებისკენ გატორტმანდებოდა.

– მითხარი, ბაჩანა, – თქვა სერაფიტემ, – სასწაულების თუ გჯერა?

– ვის არ სჯერა? – გახალისდა ბაღლი, – ის რა, სასწაული არაა, სიზმარში რომ გნახე? არ გიცნობდი და გნახე, თვალეები გავახილე და შენ იყავი.

– მე გადავწყვიტე, ახალი პერანგი გიყიდო. თუმცა ეს სასწაულთან არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც... ახალი ტუნიკა, – თქვა სერაფიტემ.

ბიჭს ლოყები აენვა, სახე აენტო, მინდა, გაიფიქრა, გულჩათხრობილობაც სადღაც გაუქრა, ბავშვური გაეჭვებაც ჩაუქრა, – დედა რომ დამპირდა, ისეთს? – თქვა სიმშვიდით მონუსხულმა, ადგილზე ახტა, საფეთქლებთან იგრძნო საკუთარი გულისცემა, ხელისგულები შეუნამდა, სერაფიტეს ააჩერდა მინდობით დაღიმებული, – როგორიც მოგეწონება, – უთხრა სერაფიტემ, – და ნანატრმა ფიქრმაც დაიტაცა ყრმა, სასიამოვნოდ აუთამაშა სუნთქვა, აი, დანაპირებს აუსრულებენ, აი, რა კეთილია ეს კაცი, აი, მალე დედასაც ნახავენ და აი, თურმე არც ისეთი საშინელია სამყარო, რომელიც ბაჩანას ისე ესმის და იმდენად გასაგებად, რამდენადაც შეიძლება რომ ის მის წინაშე წარსდგეს, რომ ამ ხანმოკლე დროში უეცარი გულისძგერით შეუყვარდა სერაფიტე, მისგან რომ გაიგო პირველი „მამა“, რომელიც იცავდა და იფარავდა, რომელმაც არ მიატოვა და მასზე თქვა, რომ განსაკუთრებულია, რომ ყოველი შემხვედრი მას საგანგებო პატივით ეპყრობა, რომ ის ძლიერია, მისი მეგობარია, უმალ დაახლოებული მფარველი...

... მაგრამ ბიჭუნას სიხარულს მოულოდნელი ტკივილი ეცა – კაცი და ყრმა მოედნის შესასვლელთან მისულიყვნენ! თალის დანახვისას ბაჩანას ყურები დაეგუბა, – ღამენათევი და დაკარგული, დანაწყენებული თავი გაახსენდა, ჭასთან ჩაცუცქული და თვალედაჭყეტილი! იგრძნო ის სუნიც და ის სიცივეც, ზღვიდან მონაბერი, ღამეში გაჭრილი სუსხი რომ ჩაეჭიდა, მინას დააკრა ფეხები და კაცის ზურგს ამოეფარა.

– რა მოხდა, პატარა? – მოტრიალდა სერაფიტე, – რამ შეგაშინა? რა დაინახე? – მაგრამ ბიჭი ხმას ვერ იღებდა, თავისი ნორჩი ტერფებით მინას დაკრული იდგა, თითქოს უჩინარ კედელს დაეჯახა, ის ძველი, სადღაც სიბნელეში ჩაკარგული შიში ეცა, ისევ აქ რომ იყო და არსადაც წასულიყო, ამ მოედანზე რომ დაძრწოდა ბიჭუნას ძიებაში. მუხლები აუკანკალდა, გაყინული მიაცქერდა შესასვლელ თალს – თითქოს

ურჩხული ედგა ნინ, გრძელი კუდი მოედანში რომ შეენვინა. ღამურას დიდი ფრთები აეკეცა და მღვრიე თვალებით, აპკაგადაკრული მზერით დაჰყურებდა ყროლით დადევნებული უზარმაზარი ხვლიკი, გამობერილი მუცლით, რქებიანი, გრძელკისრიანი და გადახორკლილი, ქვენარმავლის დაჭყლეთილი კანით შემოტმასნილი თავის ორადმეჭრილ შავ ენას რომ გამოაგდებდა და შეაგდებდა.

– რას ხედავ? – სერაფიტე ბიჭის ნინ ჩაჯდა, ხელები ნელზე მოკიდა, – მე აქ ვარ, რა გაშინებს, – უკან გაიხედა, თალის შიგნით ბაზრობაში ხალხი გაჭრელებულიყო, – იქ შესვლა არ გინდა? იმ მთხრებლის და მოდენის ნახვა არ გინდა, მაგრამ დამშვიდდი, ვაჟკაცობა მოიკრიბე, მე შენთან ვარ.

ბაჩანა ჩქარა სუნთქავდა, ხელები უკან დაემალა და რის ვაივაგლახით იკავებდა ქვითინს. სერაფიტემ ჩაიხუტა და შუბლზე აკოცა, – ჩემო ვაჟკაცო ბიჭო, – თქვა ჩუმად, ბავშვის ნორჩი კანის ხალასი სუნი იგრძნო, ნაცრემლი ამოსუნთქვებით რომ იპნეოდა მის ირგვლივ.

– იქ ურჩხული იდგა, დიდი დრაკონი, და ენას მიყოფდა, – აცახცახდა ბაღლი.

– ახლა ხომ აღარაა, – აიყვანა სერაფიტემ, მკლავზე დაისვა, – გაიხედე, ახლა აღარაა, ვირები და ჩორჩები, აქლემები, ადამიანები, სხვა კი არა, ხედავ? – და გაიფიქრა, ღმერთო ჩემო, რამდენჯერაც აქ აღმოვჩნდები, მეც შიში მიტანს, აქ იყო პეტრიდიდეს სისხლიანი დღე, მტვერიც კი იკავებს გლოვის ექოს, – კისერზე გადმომაჯექი, შევიდეთ და ერთი კარგი პერანგი ავარჩიოთ, – კისერზე ჩამოიჯინა, მუხლებზე მოკიდა ხელები და შევიდა მარმარილოჩამოცვენილ თალში, საიდანაც ხალხსავსე მოედანი გამოჩნდა.

მოედანზე უხმოდ შეეყარათ აურუმისგან ისედაც დამცირებული და პეტრიდიდეს ნინაშე დათელილი მარგორიანელები, ცხვრის ფარასავით შექურებული, უმწეო და თითქოს უსახელო, ერთი ბედით ალყაშემორტყმული საკლავზე მიყვანილი ბატკნებივით რომ უყურებდნენ, ჭის გვერდით პეტრიდიდემ, დიდი კუნძი რომ დააყენა და სახალხოდ დააჭრა თავები პოლისერებსა თუ განურჩევლად ყველას, ვინც წინააღმდეგობის განევას, თავის დახსნას ცდილობდა. მაგრამ ვისგან? მომთაბარე ქეშიკების კომანდერისგან თუ ვერცხლმოყვარეობით მოუქარვებელი პოლიტარქისგან? – მარგორა რომ უგულოდ დაესახიჩრებინა და მის მოედანზე ახლა სისხლის გუბები იდგა.

თავები იქვე ტომრებში იყრებოდა და საზიდარზე ლაგდებოდა. დანანევრებული გვამები ქალაქის გარეთ გაჰქონდათ დასანვავად. ყარი და ტკივილისფერი კვამლი სამარცხვინოდ ფერფლავდა ქალაქს, სადაც ქურებსა თუ სახლებში პეტრიდიდეს ქეშიკები ღრეობდნენ, ამტვრევდნენ, კლავდნენ.

მოედანზე კი ხალხი ნერწყვგამშრალი უცქერდა, ბრბოსკენ თუ როგორ გაიშვირა კომენდერმა თითი და ვილაც ორზე ანიშნა. პოლისერებმა, ვინც პეტრიდიდეს სამსახურში გადავიდა, ქვეშევრდომებისთვის მახასიათებელი – დაკავებულთა ხელების გრეხვით, ბრბოდან ერთი ბერიკაცი და ერთი ყმანვილი გამოათრიეს.

– ეს თქვენი ცხოვრებაა, – პეტრიდიდემ მოედანს გახედა, – ეს ბებერი თქვენი წარსულია! – მოხუცისკენ შებრუნდა, კვერთხი მოიქნია და შეუმტვრია შუბლი.

მოკვეთილი მოხუცი კომანდერის ფეხებთან დაეცა, მკვდარი.

– ეს თქვენი მომავალია, – მუცელში გლიჯა კვერთხი. ბიჭი ჩაიკეცა, მუხლებზე დაეცა, ხელები მუცელზე მიიდო, პეტრიდიდემ ტუჩი ნამოჭიმა და უკვე კანზე სილურჯეშეპარულმა თავში დაუქნია კვერთხი. ესეც დაკლა.

მყისვე ატყდა კომანდერი: – თქვენ აღარაფერი გაქვთ! აღარაფერი! – გაყვირა არა მოედანს, არამედ მთელი სამყაროსათვის უნდოდა თითქოს თავისი წყევლა ხმა გაეგონებინა, – ესენი გაროზგეთ, – შუბოსნებს პოლისერებზე უთხრა, – ქლესები არიან ძალღებავით, ამ ორ სანყალს ხელებს უგრეხდნენ, თითქოს მაგათი მეშინოდა.

მოედანს სრესვით დაანვა სიცხეში აზელილი, ოფლითა და ცბიერებით, ტყუილითა თუ საჭიროებით, ფუფუნებითა თუ სილატაკისადმი შიშით დამბლადაცემული, მონეტების ყურისმომჭრელი ჩხრიალის, ქურდბაცაცებისა და სოვდაგრების, დახლებისა და შემატყუებელი ღიმილების გადათქვეფილი ბული. როგორც წარღვნა, ისე წაილეკა ქარიშხლის დაუნდობლობით თუ ზვავის უღმობლობით, ხანძრის მოუთვინიერებლობით დაშანთული ადამიანთა ფიქრი, ვინც კი მოედანზე გაშლილ ბაზრობაზე ისიცხებოდა და ბაჩანაც, სერაფიტეს მხრებზე მჯდარი, ამ ცხრომში მოყოლილიყო... მოდი, მე მაქვს შენ რაც გინდა, – თქვა ორგულმა სახემ, – არა, ჩემთან მოდი, ნახე რა ხარისხია, ნაღდი არაბული, – თქვა აფთრისთვალეზიანმა, – შენ რას ექვ? პერანგს? აბა ეს მოისინჯე, – თქვა ტურამ, – ვიცი, შენ რაც გინდა, ქალი გინდა, მოგიყვან, კაცსაც მოგიყვან, – თქვა ნიანგმა, – ბიჭი მომყიდე, რამდენად მომყიდი? – თქვა მატლმა, – თრიაქი გინდა? – თქვა ჭოტმა, – ნამდვილი საფირონი მაქვს და ზურმუხტი, იაგუნდი. არავის ენდო, – თქვა მელამ, – მაგას ყური არ უგდო, ეს მძივი ნახე, – თქვა ძალღმა, – კეისრის ხელმონერით ცარიელი გრაგნილი არ გინდა? რასაც გინდა დაანერ, – თქვა თხამ, – უკვდავების წამალი მაქვს, შემიძლია ზევსის კვერთხიც გიშოვნო, – თქვა ვირთხამ, – რა მითხარი? ამ ბიჭისთვის პერანგი? აი, ნახე, – თქვა ცხენმა, – ინდური ქარვა, სპარსულ ქარვაში ბუზები და კოლოებია, – თქვა ღრიანკალმა, – სად მიდიხარ, ჯერ შეხედე, ერთი მაგარი მონა მყავს,

გინდა სახლს დაგილაგებს, გინდა ბავშვს გაგიჩენს, – თქვა კუმ, – ფაიფური, – თქვა ჟირაფმა, – მაკედონელის ცხენის ნალები მაქვს, აი ანერია: ბუკეფალ, იაფად მოგცემ, – თქვა ნერომ, – მოდი გიმკითხავებ, – თქვა ობობამ, – სპარტაკის თავის ქალა მაქვს ორი ცალი, ერთი პატარა, ბავშვობაში რომ ჰქონდა, მეორე დიდი, როცა აჯანყება მოაწყობდა და ჯვარს აცვეს, გინდა? – თქვა თოლიამ.

– აქედან ნავიდეთ რა, – ბაჩანამ მხრებზე მოქაჩა სერაფიტეს, თვალები დახუჭა, მხეცებად როცა ეჩვენა გამყიდველთა სახეები.

– იქ ბედუინები დგანან, ჩემი ნაცნობები არიან, – სერაფიტემ დახლებშორის გაძრომა იწყო, – სანდო ხალხია, თან ყოველთვის კარგი რამეები აქვთ.

მოედნის მეორე შემოსასვლელთან მეუდაბნოე ბედუინები იდგნენ, ფირუზად წმინდა ფერით ნალები გრძელ სამოსლებსა და თავზე რიდე, საბურველებში. მინაზე ძოლო გაეშალათ, პერანგები, ტუნიკები, ქალამნები და სტიხარები ეწყოთ. შემოსასვლელ თაღში სამი აქლემი ჩამჯდარიყო, კუზებზე ჭრელი ნოხით დაფენილნი.

– გაუმარჯოს ძმებს, – სერაფიტემ ბიჭი ჩამოსვა.

– ო, დომინე, ღმერთმა გამარჯვება მოგცეს, – მიესალმნენ ბედუინები, – რამდენი ხანია არ გვინახიხარ, ღირსეულო არქივარიუს.

– ჰა, ჰა, – გაილალა სერაფიტემ, – მაგრამ დომინე?

– შენ თუ არა, აბა სხვა ვინ? – თქვეს ბედუინებმა, – დიდად გმადლობთ იმაზე.

– რაზე?

– მაშინ რომ ერთი ჩვენგანი შეიფარე, დასტაქართან რომ გაამწესე, შენ რომ არა, კეთრით მოკვდებოდა. რით შეგვიძლია გემსახუროთ?

– ახალი რა არის ქვეყანაზე, რა ხდება?

– ხომ იცი ჩვენი ამბავი, – თქვა სხვა ბედუინმა, – ჩვენი სახლი გზაა, ვიარეთ, ვნახეთ, შევიცანით, ფათერაკებსაც გადავყარეთ, ანტიოქიაში ვიმოგზაურეთ, კოლხეთშიც ჩავედით, სამოთხეა, მზიური ჯიშის ხალხი ცხოვრობს.

– ბედნიერები ხართ, – თქვა სერაფიტემ, – მე კი მარგორადან ვერ გავალნიე, გაიცანით, ჩემი პატარა მეგობარი, ბაჩანა ჰქვია.

– დაგვენახე, რამხელა ვაჟკაცია, რამდენი წლის ხარ?

– შვიდის, – მიუგო ბაჩანამ.

– დიდი კაცია და შენი ვინაა, მართლა მეგობარია? – ჰკითხეს სერაფიტეს.

– მეორე დღეა რაც დავმეგობრდით, დაიჯერებთ? დედას დაეკარგა.

– ჩვენს დროში ყველაფერი ხდება. ხომ არ მიატოვა?

– არ ვიცი. ვერ ვპოულობთ, თითქოს მინამ ჩაყლაპა, – თქვა სერაფიტემ, ბაჩანას ზურგზე მიადო ხელი, – მიდი, აირჩიე რაც გინდა.

– მოდი, თამამად, – თქვა ბედუინმა, – რაც მოგეწონება შენია.

ბიჭი ერთმანეთზე დახვავებულ ნაჭრებთან ჩაიცუცქა, უკვე აღარ აშინებდა არც ურჩხული და აღარც ის დამთხვეული სახეები. მოჩვენება სიცხეში დაორთქლილიყო.

– პერანგი უნდა, – თქვა სერაფიტემ, – დაძინდილი დადის, დედამისიც პერანგს დაპირებია და გაქრა.

– მამა?

– არ იცის. დედამისს გულსუნდა ჰქვია, რამე ხომ არ გსმენიათ?

– არა, მაგრამ გავიგებთ.

– საბრალო პატარა, ორი ღამე ქასთან ეძინა.

– გამძლე ყოფილა და მამაცი გულის. გულსუნდა აქაური სახელი არაა.

– ვიცი, დედამისი კოლხია, მომიყვა.

– ჰო, იქაური სახელებია მზევინარი, მთვარისა, მაგრამ კოლხი ქალი მარგორაში? როგორც კი რამეს გავიგებთ, გეტყვით. აირჩიე, ბიჭი, აირჩიე, სპარსული, ფინიკიური, ნუ გერიდება.

ბედუინმა გრძელსახელოებიანი შინდისფერი პერანგი ამოაძვრინა, ყრმას გაუნოდა, – ესენი ყველა კოლხურებია, დედუღეთის მხარეებიდან, მოისინჯე.

ბაჩანამ პერანგი მიიფარა და სერაფიტეს ამოხედა.

– შენზეა ზედგამოჭრილი, თუ გინდა სხვა ნახე, – თქვა სერაფიტემ.

ბედუინმა ტუნიკები და სტიხარები წინ გადმოაღაგა, – აი, ესეც კოლხურია, ჩინებული ნაქსოვი, ეტყობა ოსტატის ხელი, აბრეშუმია, – ხელზე გადაიფინა, ყრმას დაანახა.

– შეიძლება ეეს? – ბაჩანამ მორიდებულად განია ნაჭრების გროვა და ქსოვილების ხლართიდან გრძელი პერანგი ამოაცურა, ამოიღო და ხელში თეთრი, წმინდა, თითქოს ერთი ძაფით ნაქსოვი კვართი შერჩა.

– მოგწონს? – ხელები მკერდზე დაიკრიფა ბედუინმა. ბაჩანამ თავი დააქნია, მზერა ეზარდა, სიხარულით აუფეთქდა გული, ხან სერაფიტეს ახედავდა, ხან ბედუინს, ხან თავის პერანგს მიიდებდა მხრებსა და მკერდზე და ნელში სწორდებოდა.

– მოენონა, – გაიცინეს ბედუინებმა, – მშვიდობაში.
 – ქისისკენ არ წაიღო ხელი, თორემ გვანყენინებ, – თქვა სხვა ბედუინმა.
 სერაფიტემ სამოსელი აიკეცა. დონიჯი მომართა.
 – ეგეთებს კოლხეთში ქსოვენ, განა მარგორაში. გალილეაშიც ვიყავით, მაგრამ იქ არ იყო, მხოლოდ იქა აქვთ, ზღვების გადაღმა მზიურში.
 – გაიხადე, ჩაგაცმევ, – სერაფიტემ ძველი, შემორღვეული ტუნიკა ახადა და ახალი, მზითმემთბარი, სპეტაკი სამოსელი ჩააცვა. ბიჭის წნიკა ტანი საყვარლად ათეთრდა მზეზე, სახელოებში ხელები გაუყარა და მიწამდე ჩამოიგრძელა საჩუქარი. სერაფიტემ მაჯებთან აუკეცა კვართი და თითებით მოსინჯა სამოსლის ნაქსოვი სირბილე.
 – ამითაც დამშვენდი, მზეჭაბუკო, – ერთმა ბედუინმა ახალი ქალამნები დაუდო ფეხებთან, – ეგენი გაიხადე.
 – ქალამნებიც?! – ნამოფრინდა ბაჩანა, – დიდი მადლობა, – სწრაფად გაიძრო გაცრეცილი და გახეული საცმელები და ახლებში ჩახტა, თასმები წვივებზე აიკრა.
 – უცნაურად ქერა თმები აქვს და ანკარა თვალები, – თქვა ბედუინმა.
 – ყოჩალი ვინმეა, რაც ჩემთანაა, ერთიც არ უტირია, ჰო, ბაჩანა?
 ბიჭი ოქროსფერძირიან ქალამნებს თვალებით შეეზარდა და პერანგის სახელოებზე დაისვა ხელი, სერაფიტესთან ნელა მივიდა და ჩაეხუტა.
 – კეთილი ხარ და ბრძენი, – თქვა ბედუინმა, – ბავშვს უყვარხარ, მაგრამ რაღაც დარდი გქამს? რატომ დადიხარ დამწუხრებული?
 – არაფერია, – თქვა სერაფიტემ, – თქვენ რას აპირებთ?
 – ალბათ წავალთ ისევ, ინდოეთამდე რომ ჩავიდეთ, ურიგო არ იქნება, ან აქვე, მისრეთში გადავალთ, ანდაც უდაბნოებში მოვძებნით ბედს.
 – მადლობა საჩუქრისათვის, ძმებო, სანამ ქალაქში ხართ, იქნება ყური მოკრათ რამეს, ცოდოა პატარა.
 – დომინე, დომინე, – თქვა ბედუინმა, – ყველაფერს ვიზამთ, რაც საჭიროა, მაგრამ რომ ვერაფერს გავხდეთ, რას იზამ? სადმე გაამგზავრებ?
 – არა, უპატრონოთა ბანაკში ამას ვერ დავტოვებ, ეს სხვა ბავშვია, არ მინდა მამაძალი დადგეს.
 – რა ეშველებოდა ამ ქალაქს, რომ არ ჰყავდე. მშვიდობით, – ხელი ასწია ბედუინმა, – და შენც ყოჩაღად, პატარა მზეჭაბუკო, – ნიკაპზე ნაჰკრა თითი, – ატარე მშვიდობაში.
 მექარავნებს დაემშვიდობნენ. მოედნიდან გავიდნენ, სიცხესა და მახე- დახლებში რომ ლივლივებდა ხალხით დაჭედლი.

რით ვერ დავმშვიდდი? არა, არა, არა და არა-მეთქი! – თითქოს ვინმეს კითხვას უპასუხა პეტრიდიდემ, – მე რომ ვიტყვი არა, ესე იგი, არა! არ მაინტერესებს ვინ და როგორ, მე ვწყვეტ! მე არ მოვკვდები, არ მოვკვდები-მეთქი! მოკვდნენ სხვები, გათავდა, თუ ერთი ნახევარი არ გაჟლიტე, მეორე ნახევარი ჭკუას ვერ ისწავლის, ასე მწამს. გაჟლიტე ყველა და განთავისუფლდები. რა პასუხი უნდა ვაგო, გითხარი ეგრეა, ესე იგი, ეგრეა. ის ნაბიჭვარი, როგორი ათეული ჩავაბარე, ლომები, და როგორ ჩაისვარეს, ყველა დაიხოცა, მაგრამ ის რომ დაბრუნდა, შვილო, რა მოხდა-მეთქი, ხელში ვარო დაჭრილი, მარტო დავრჩი ცოცხლებიდანო. ამან ამშალა, – მარტო დავრჩი ცოცხლებიდან! მერე, რას მოდიოდი-მეთქი? და ხმლებით ავაჩეხინე მოლაღატე. რას ნიშნავს, ცოცხალი ხარ, ომი წააგე და ცოცხალი ხარ?! მოკვდი. მაგის ძმაც უნდა მიმეყოლებინა. მომასწრო, თავი მოიკლა. მე მეომრად გამზარდეს და ამათ თუ თავში არ ურტყი, ხომ ხედავ, ვერ ისვენებენ, რიდი და პატივისცემა მაშინ უჩნდებათ, როცა იხოცებიან და თან რომ სჯერათ, რომ ღირსები იყვენენ! ან ის რომ იყო, ერთი ხურუშიანი, ცოლი უნდა მოვიყვანო, მიყვარსო. რა დროს სიყვარულია-მეთქი. არა, გამიშვი, უნდა შევირთოო, ერთი ოცდაათი წლის წინ იყო და გუშინდელივით კი მახსოვს, მაგისთანები არ მაინწყდება. მაშინ ამხელა ჯარი არც მყავდა, დავდიოდით, სოფელ-სოფელ ხარკს ვიღებდით, მეთქი წინ ბრძოლები გვაქვს, რა დროს ცოლია-მეთქი, არა, უნდა დავრჩეო, ასისთავობა უნდა მიმეცა, ამან კი... თმებში ნავავლე ხელი, თავი ქვაზე მივარტყმევი და მერე ის ქალიც ვხეხე. გამეპარა მაინც, აბა ლაშქრობებში ამათ რომ თვეობით გავყრი მარტო აქლემებს ხო არ... მე რომ ბავშვი ვიყავი, ვინმე რამეს მპატიობდა თუ რა? დედაჩემი თვალით არ მინახავს, არც მამაჩემი, ადრე მოგზაურებს თუ ვილაცებს ვუყიდივარ მარგორაში, ამიტომ ვერ ვიტან მარგორას, და მერე საბერძნეთში ნავუყვანივარ, იქ ვიზრდებოდი. ახალგაჩენილი ვუყიდივარ. გგონიათ თავიდან მომიშორეთ?! მერე კიდევ გავუყიდივარ, კომანდერი იყო ერთი ჩემი გამზრდელი, იმან მზარდა ბავშვობიდან, ჩემნაირებს აგროვებდა, ზოგს რისთვის იყენებდა, ზოგს რისთვის. ცხენებში და ხმლებში ვიზრდებოდი, სანამ კლდესავით არ გავხდი. ნიანგების ხოცვით დავინწყე და აღარ გავჩერდი. ჯერ ათეულის მეთაური, მერე მხედართმთავარი, მერე ის, მერე ეს, მერე ასისთავი და კომანდერი რომ დაგვიბერდა, ჩემი გამზრდელი და კვდებოდა, დაჭრილი იყო, აბა, შენ იციო და ამდენი წელი ვარ პეტრიდიდე! ახლა რამდენის ვარ, სამოცამდე ხომ ვარ? ვარ, მაგრამ დისციპლინა და შიში! ნებისმიერმა ჩემი სახელი თქვას, გინდ აქ არ ვიყო, ყველა ფეხზე ადგება. თუ რომში მიმიღეს და ლეგიონი ჩამაბარეს, გენერალი თუ

გავხდი, მერე ნახე შენ, აურუმის განძიც ბარემ მაპოვნინა და მერე მე ვიცი. სასახლეს დედა ეტირა, ქალაქს დედა ეტირა, მართლა აქ გავჩნდი, მართლა ღირსია ამის, ზღვაზე კოჰორტისიც არ დამხვდა, გადასარევი, გარშემო სოფლები, მიწები ჩემია, გამოდის, რომიც ჩემქანაა? და აბა, თქვენ იცით, მოდით მამათქვენთან, მოდით-მეთქი!

პეტრიდიდე ეშაფოტზე იჯდა, მრგვალ, დიდ კუნძზე, მოედნის შუაგულში.

სუნთქვა ჭირდა. ხალხით დაძვდილი არე დაიგუდა.

– ჩემო კომანდერო, – ქვევიდან ვეზირმა ამოსძახა, – რალაცა ხდება.

პეტრიდიდემ უღვაში ჩამოიგრიხა, ჩამოხედა.

– ვიცი სისულელეს ვამბობ, მაგრამ გუშაგებმა თქვეს, ქალაქის კარიბჭესთან ღორები გროვდებიანო. ნავედი და ჩემი თვალით ვნახე.

– მერე რაო, იმ ღორებმა, რა გვინდაო?

– უამრავი ღორია ერთად მოგროვილი, თანაც ყველა წითელი.

– წითელი? რატო, შეინვნენ?

– წითელი ღორების კოლტი დგას, და რატო ნეტა?

– რა წითელი! რა ღორი! ანძრევთ თქვენ თუ რა ხდება!

და მოულოდნელად ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, ყვირილი და დაფეთებული შეძახილები ისმოდა. შუბოსნები ხალხს აწვებოდნენ. პეტრიდიდემ მტაცებლის მზერა გადაატარა ბრბოს – შემოსასვლელებთან, მდგარ შუბოსნებს კი თითქოს მოედანმა დაუნყო ყლაპვა – ხალხის სიმრავლის გამო პეტრიდიდესთვის ძნელი იყო რამის გარჩევა, ადამიანთა ყვირილს კი საშინელი, ავი ხროტინი ემატა და კომანდერის სახის მტაცებლურობა ეჭვითა და გაოცებით შეიცვალა – ოთხივე შემოსასვლელი თალიდან, პეტრიდიდესკენ თითქოს, ხალხში წითელი ნაკადით, ხროტინითა და აუტანელი ჭყვიტინით ღორები შემოცვივდნენ – ყველა წითელი, ყველა გაცოფებული და აგეშილი. ნაკადი გატლანქდა და გასქელდა, უშველებელი კოლტის გულისწამლები ჭყვიტინი განგმირავად მოედო მოედანს, ხალხი გასასვლელებს მიანყდა. პეტრიდიდე კუნძიდან არ ჩამოსულა, ქარქაშიდან ხმალი ამოაცურა, სული დაეკრა – წითელი ღორები? საიდან? რა ეშმაკმა გადარია? გაიფიქრა და ერთ უცნაურობასაც მოჰკრა თვალი, რამაც მოედანზე შეგროვილნიც განაკვირვა – ღორები ხალხს არ ერჩოდნენ! მათ რიგებში კი რბოდნენ, მაგრამ მხოლოდ პეტრიდიდეს შუბოსნებსა და ქეშიკებს კბენდნენ, მოუქნელად რომ იგერიებდნენ ამ უცნაურ შემოსევას, მაგრამ ღორთა რაოდენობა იზრდებოდა. და გაიზარდა! მეომრებს დაერივნენ, კოჭებში სწვდნენ, თითქოს არც შუბების გამეტებული რტყმევა ეგრძნობოდათ, არც მოქნეული ხმლები, ღორთა რიცხვი არ იკლებდა, მიზანდასახულად მიიწევდა წინ, ოთხივე მხრიდან, შუაში მდგარი საჯალათო კუნძისკენ – პეტრიდიდესკენ!

– დახოცეთ! – დაიყვირა კომანდერმა და ბრბოში ჩახტა, – მიდით! რალას უცდით! – მიაყვირა ერთიც და ხმალი გააქნია.

ღორები ჯოგებად გაიყვნენ, სვადასხვა მხრიდან დაერივნენ საკვდინებელი იერიშით – წვივებს უღრღინდნენ, ნაქცეულებს ყელში სწვდნენ, სახეებს უჭამდნენ, მუცლებს უგლეჯდნენ – ღორულად, თქველევით.

ხალხი გასასვლელებისკენ დაქუჩდა, ვინც გასვლა მოახერხა ქუჩაში მიიმალა, ბევრი სახურავებზე აძვრნენ. ღორები კი ქვაფენილებზე რბოდნენ, პეტრიდიდეს გაქცეულ ქეშიკებს დასდევდნენ, ფხებზე ახტებოდნენ, აგდებდნენ, ხორხს უკბეჩდნენ.

მოედანი წითლად დაბინძურდა.

ხალხის დიდი ნაწილი ქუჩებში გაკრეფილიყო, მცირე ჯგუფები თუ დარჩენილიყვნენ მოედანზე ან გასასვლელებში იდგნენ, თალების ქვეშ და დაშინებულნი იყურებოდნენ – ყველგან დაჯიჯგნილი ადამიანები ეყარა, მათ დინგიანები შეექცეოდნენ... და აქ, დაკბენილი, სისხლში მოთხვრილი კომანდერი წამიერად გახევდა, დაინახა რა, რომ მარტოდ დარჩენილიყო წითელი აღსასრულით დათალხული, გარს შემორტყმული. დაინახა ისიც, რომ გასასვლელებამდე ვერ მიაღწევდა, ვერც ჭერამდე და ვერც საჯალათო კუნძამდე.

– გადით! მომშორდით! – ხრინწიანად დაიძახა, – თავი დამანებეთ, – საწყლად ამოაყოლა და ჰაერში ჩაიქნია ხმალი, თითქოს შეიმშუმნა, თითქოს მის გაღელვებასაც რალაც აკლდა, მის სიცოფეს, განწირულობას – და კომანდერი მიხვდა, დაკრული სუნთქვა დაეხსნა, მაჯა მოადუნა, თითქმის ხმალიც კი გაუფარდა, როცა მიხვდა, რომ აის თავის კრუნჩხვები და ბნედა აკლდა, კანის შეღურჯება აკლდა, სხეულის მარცხენა მხარის გახლეჩვა, თვალების ტრიალი, ცოფი თავისი დუჟით, სიმხნევეც აკლდა, რომ აღბათ პირველად დაშინებული, შეუცნობელი დაუნდობლობის წინაშე მდგარი, ვერ იღზნებოდა მრისხანების სიამოვნებით.

ცხვირიდან სისხლი დასკდა, თითქოს სიფათში ხიეს ის თავისივე კვერთხი და ტკივილიც მუცლამდე ჩაუვიდა, კუჭი ამოუჭამა. დაბნეულად მიმოიხედა – ღორები ბოროტად უმზერდნენ, ბოროტად ქმენდნენ ყოველი მხრიდან. შემდეგ ნელა, თითქოს გემოსაც კი ატანდა და არსად ჩქარობდა, ერთდროულად, ერთდინგად დაიძრა მთელი კოლტი, ნაბიჯსა და ხროტინს უმატა, უმატა სიავეს და მომაკვდინებელ შეპყრობილობას და დაესვინენ პეტრიდიდეს, ფხებზე ეძგერნენ და გამოკბიჩეს.

კომანდერი ყვირილით დაეცა. ხელები გაშალა, მაგრამ ღორები მაჯებში ეცნენ და გამოძიძგნეს, ზურგზე დააგდეს და დაახტნენ, დინგები თხარეს და ამოჭამეს, ამოდუღლნეს მისი ხორცი და ძვალი მთლიანად.

მოედანი საგლოველმა სიჩუმემ მოიცვა. მხოლოდ ღრუტუნი და გულისამრევი თქველფა ისმოდა. ცაც თითქოს მიძიმედ მოიღრუბლა, სისხლიანი მტვრით შეიკრა მოედნის თავზე და ღორებიც მორჩნენ თუ არა თავიანთ სალაფავს, ისევ ერთიანად აჭყვიტინდნენ და გასასვლელებისკენ გაცვივდნენ.

– აქეთ მოდიან! – იყვირეს ხალხში, – გაინიეთ! გაინიეთ!

ღორების ნაკადი ხალხში მიძიგძიგებდა. პირი არაფრისთვის დაუკარებიათ, ყურადღებას არაფერს აქცევდნენ, მირბოდნენ თავიანთის მტვერსა და ბულში, და ქუჩებიც გაიარეს, გასცდნენ თუ არა ქალაქის ჭიშკარსა და გალავანს, იქვე ახლოს ერთად მოგროვდნენ, კბოდესთან შენითლდნენ ათასობით მომრავლებულები, ავად დახრინწული თავიანთი მქისე ხროტინი მორთეს, არასანატრელი და კლდის პირისკენ გაქანებული კოლტი ერთიანად ზღვაში გადაეშვა.

ტალღებმა მათი სინითლე შთანთქა.

თითო-ოროლა მარგორანელი ფრთხილად შემოვიდა მოედანზე, დასახიჩრებულთა შორის ფრთხილადვე გადადგეს ნაბიჯი და იმ წყეულ ადგილას მივიდნენ, სადაც დახოცილი ღორები ეყარა – სადაც პეტრიდიდე აღესრულა.

მინაზე დაგდებული, სისხლში გადღვებილი თავისფერი აბჯარი, ერთადერთი რამ დარჩენილიყო ერთ დროს მრისხანე და ვნებამთხვეული კომანდერისგან. ამის შემყურე, თითქმის ყველამ იგრძნო, რომ მისმა საზარელმა სიკვდილმა შვებით გადაიარა მარგორას თავზე, რომ განმგმირავი ძლიერებით შეინჯღრა, თითქოს ერთი ამოსუნთქვით ამოყოლებული, ადამიანთა თავგანწირული თუ ზიზღნარევი მღელვარება, ამავე მღელვარებით ასროლილი ყველა მათი მისწრაფება, აურუმის მფარველობით განბლებული და ერთიანად გასრესილი, პეტრიდიდეს ნერვიული მერყეობით შეუკავებელი, ავთვისებიანი ციებ-ცხელებით. გასაკვირი არაა, ფიქრობდნენ ისინი, რომ მარგორას დამარცხებამ, მისმა ყოვლისგამრყენელმა უსასობამ, თითქოს უცხო და უცნაურ მხარეში გატყორცნა ადამიანთა გონება, სადაც მათ გრძნობებს მუდამ სდევს სასონარკვეთის დაავადებული ყროლი. გასაკვირი არაა, რომ თითქოს მათივე უსასობის თვითშეგრძნება საყოველთაო ძრწოლვის საფუძველია, რაც სხვა არაფერია, თუ არა მომავლისადმი შიში. ამ გრძნობამ უფსკრულის პირას მიიყვანა ხალხი, ყოველი ადამიანი, დაშინებული და დაბეჩავებული თავისი ბედით. მიიყვანა უფსკრულის პირას, სადაც ინთქმება ყველა იმედი. მაგრამ მარგორანელთა თვითგახრწნის შეგრძნებას ერთგვარი მოლოდინი შლიდა თითქოს, ერთგვარი ბრმა მოლოდინი რაღაც დიდი ბედნიერებისა, რადგან გულში ისინი ომის დამთავრებას ხარობდნენ, ხარობდნენ პეტრიდიდეს სიკვდილს, სიკვდილს აურუმისას, მათი გაუცნობიერებელი სიხარული, ჯერ კიდევ ამ სიკვდილთა ჩრდილებით დამფრთხალი, ბოლომდე მაინც ვერ განთავისუფლებულიყო გამარჯვების და დამარცხების ჭედურობისგან.

იყო მითქმა-მოთქმა, რომ აურუმის ნაყიდი მიწები თავ-თავიანთვის გაიშალნენ, რომ სოფლებმა აუტანელი ხარკისგან ამოისუნთქეს, მშიერი უბედურების კირთისგან დახსნილებმა თითქოს ლაღად იწყეს სუნთქვა, მაგრამ მოხდა ისე, როგორც ხდება ხოლმე ომების შემდეგ – ყოველდღიურობის საშიში ყოფითობის კანონის სრული ლოგიკით და ძალაუფლების მკაცრი ძლიერებით რომის იმპერიუმი, სამყაროს დასალიერამდე გადაწვდილი, მეპატრონის სიდინჯითა და მზრუნველობით დაეფარა მარგორას და თავის პროვინციად გამოაცხადა.

ზღვის მთელს სანაპიროზე, პორტუსსა და მოედანზე თუ გარეუბნებშიც ლეგიონი შემომწკრივდა, იმპერიუმის შტანდარტები აღიმართა, ვერცხლის მონეტები კეისრის პროფილით მოიჭრა, მარგორას ერთ-ერთ ძველ უბანში, ქვაფენილების გადაკვეთაზე, ჩიხში, პრეტორიუმი განთავსდა, სადაც იმპერატორის დანიშნული პროკურატორი დაჯდა, რომელთან ერთად კეისრის რწმუნებული კვესტორი გაიგზავნა, რათა აურუმის ანდერძის ამბავი გამოეძია, მისი განძის ადგილ-სამყოფელისთვის მიეგნო და როცა აურუმის პოლისერები პრეტორიანელებმა შეცვალეს, ხოლო პეტრიდიდეს ქემიკები რომის ლეგიონარიუსებმა, შტანდარტებმა და საყოველთაო დისციპლინამ – რაც ყოველდღიურობას ხმის ამოუღებლად, საკუთარი აქყოფნით აწესრიგებდა, რისგანაც მარგორას ომის დროს განმდგარიყო და საჭირო ჟამს წარმოაჩინა სახე და თათი, გამჭრიახობის სრული სიდიდით, რაც სტიქიურად უღმობელია და რამაც ერთსაფარქვეშ, ერთი კანონით, ერთ სისტემაში მოამწყვდია ადამიანთა ურთიერთობებისგან შემდგარი ყოფითობის შრეები: წესრიგი, თავდაცვა, გარკვეულობა, პატივისცემა, სანახაობა, შრომა და რიდი კეისრის ბეჭდით დანიშნული, რისი შემყურეც – ყველა თამამად ამბობდა, რომ, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის საფეხური, მეტიც, ისინი მასში საბედნიეროდ უკვე კეთილდღეობაში გარდასახულ, ოდესღაც მომხდარ სასიკვდილო დაპირისპირებას ხედავდნენ, რომლის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა, მარგორა იმპერიუმის სავაჭრო ქსელში ჩაებმებოდა, სადაც ხარკის გადახდა ჩვეულებრივი საარსებო პირობითობა იქნებოდა და არა წამგლეჯი მტაცებლობა. დაინყო ლაპარაკი, რომ კეისარი სასახლის ადღგენას დაიწყებდა და მარგორაში უკვე ხუროებიც ჩამოსულიყვნენ. და იმაზეც ჭორაობდნენ, რომ აურუმის ანდერძი, რომელიც პოლიტარქმა

საკუთარი შეპყრობილების სამსხვერპლოზე მიიტანა, მკვდრის აჩრდილივით გადაეფარა მის მემკვიდრეებს, პატარა გაცისა და ახპეროზს.

პერგამენტი კი იმპერატორის რწმუნებულმა გადაბუგულ და თითქმის დანგრეულ სასახლეში მოიძია და პრეტორიუმში პროკურატორს ეახლა.

პრეტორიანელების შავი მწკრივი შიდა ეზოში განანილებულიყო. პროკურატორი ქვის კოლონადაში იდგა, შენობის მეორე სართულზე. თეთრი ტოგა, ნითელი კიდეებით მკლავზე გადაფენილი, ეპოქის სიმბოლოდ მოსავდა ამაყი აღნაგობის კაცს და კვეთილი სახე – წინგავარდნილი ნიკაპით, ტეხილი ყვრიმალეებისა და ზოლად განაოჭებულ შუბლს შორის გაელვებული მზერით, სხარტი გონებისა და შორსმჭვრეტელობის ნიშნით ამტკიცებდა პროკურატორს, ხელით რომ ანიშნა კვესტორს ამოსულიყო.

მას ორი პრეტორიანელი ამოყვა. შავი ტუნიკები კიბეებზე რკინის ყლერადობით ამოხმაურდა, შავადპირილა აბჯრებითა და ჩაჩქანებით, გრძელი ფარებითა და სამუხლეებით.

– დიდება კეისარს, – მარჯვენა ხელი ზეგაიწვინა იმპერატორის რწმუნებულმა, მისი სახის ცივადგანურჩეველი იერი საიდუმლო დალით ამჩნევდა, რომ ამ კაცს წამი არ ჰქონდა ცხოვრებაში უქმად დაკარგული.

– დიდება, – თქვა პროკურატორმა.

ორივენი აივანზე მდგარ ტაბლას მიუსხდნენ. სვეტებს შორის გაკიდული ფარდები ნაზად ირხეოდა და მზის სხივებს მკრთალად ატარებდა. ცისფერ ჩრდილში მეუფის აულელებლობით მოჩანდა კეისრის ბიუსტი და ტაბლაზე დანყობილი გრაგნილები. კვესტორმა ტყავის ხილინდარიდან ნახევრადმიმწვარი პერგამენტი ამოიღო.

– მაჩვენე, – პროკურატორმა გრაგნილი გამოართვა, – რა არის კარგი და ახალი? – თქვა პერგამენტზე მზერადახრილმა.

– რაც კარგია, ის ახალი არაა და რაც ახალია, კარგი, ამიტომ ვერაფერს გეტყვი, – მიუგო კვესტორმა, – ეგ ანდერძია.

პროკურატორი თხის ტყავზე ოდნავ განწვინილი კალიგრაფიით დატოვებულ ტექსტს კითხულობდა: „ვიმყოფები რა საღ გონებაზე, ჯანსაღი და ჯანმრთელი, ნოტარიუსის დამონმებით ვაცხადებ, რომ ანდერძით მთელს ჩემს ქონებას არავის ვუტოვებ, არც მარგორას, არც ჩემს შვილებს. ჩემი საიდუმლო ჩემთანვე დარჩება და მას ვერცერთი სულიერი ვერასდროს მიაგნებს“. – ქვემოთ თვე, რიცხვი, ხელმოწერები და აურუმისა და ნოტარიუსის ბეჭდები ესვა.

– როგორ გაბედა ამ თავხედმა, – ბრაზით ამოთქვა პროკურატორმა, – მასთან მოლაპარაკებულები ვიყავით! პოლიტარქობა რომ მივეცი, ამაზე შეთანხმებულები ვიყავით!

– მარგორა მთლიანად მოვიარე, – თქვა იმპერატორის რწმუნებულმა, – საქმის ძიება ჯერ არ შემინყვეტია, ბევრი ადამიანი დავკითხე, მაგრამ წესიერად არავინ არაფერი იცის. შვილებს რომ არაფერი დაუტოვა, არავისთვისაა საიდუმლო, მიახლოებით სად რას ინახავდა კი, საიდუმლოა, დიათიკეშიც არაფერია ხელმოსაკიდი. ხაზინაც დაინვა, მოლარე მკვდარია, ნოტარიუსი მკვდარია, ეგეც და პირადი მკურნალიც, პეტრიდიდემ ყველა გაჟლიტა. შვილები კი გადარჩნენ, აურუმს დამასკოში მოუსწრია მათი გახიზვნა, ძიძასთან და მცველებთან ერთად. ჩამოვაყვანინე, მაგრამ ძიძამაც არაფერი იცის. მეუღლე სულით ავადმყოფი ჰყოლია, სოფლად ჰყავდა, ახლაც იქაა, მასთან საუბარს აზრი არა აქვს. ძნელია რამის გარკვევა. სასახლე ისედაც მიწასთანაა გასწორებული, ეზრას ვესაუბრე, მთავარ არქივარიუსს, სარდაფებში გადაუმალავს არქივები, მაგრამ აურუმი თავის განძეულობაზე სიტყვას არ ძრავდაო.

– ვიცნობ ეზრას, – თქვა პროკურატორმა.

კვესტორმა ჭიქიდან წყალი მოსვა.

– შეჩვენებული ყოფილა ეს შობელძალი, მის პოლიტარქიას ბოლო მოეღო. იცოდა, რომ ასე დამთავრდებოდა, – განაგრძო პროკურატორმა, – რა შერჩებოდა. მართლაც ასეა, თუ გინდა, რომ ღმერთი გააცინო, შენი გეგმები უნდა მოუყვე. იმაზე რა ხდება?

– პეტრიდიდებზე?

– ჰო.

– ისევ ზღაპრებს ჰყვებიან – ლორებს შეუჭამიათო, ეგეც და მისი არმიაცო.

– ლორებს?

– ნითელი ლორები შემოცვენილანო, ხალხს პირი არ დააკარეს, მარტო იმათ დაერივნენო. ამბავი უცნაურია, მაგრამ სანაპიროზე, კლდესთან უამრავი მძორია გამოორიყული, ხალხმა ქალაქი გაასუფთავა, ქუჩები დარეცხა, ქეშიკებისგან ვინც გადარჩა, გაიქცა.

– რა სისულელეა, გინდა თქვა, რომ პეტრიდიდე ლორებმა შეჭამეს? და მისი არმიაც?

– ეგრე გამოდის. სხვანაირ ახსნას ვერ ვპოულობ. ხალხი დაშინებულია.

– საკვირველია, – შუბლზე გადაისვა ხელი პროკურატორმა, – როგორ ცხელა, საკვირველია, ჩვენ ლეგიონი არ გამოვგზავნეთ, რომის ინტერესებში აურუმის მოშორება იყო, პეტრიდიდეს ხელით უნდა მომხდარიყო და ასეც მოხდა, მაგრამ... დაუჯერებელია.

– პეტრიდიდეს ათასკაციანი ჯარი ჰყავდა, სხვა ლეგიონი დედამინაზე არ არსებობს რომის ლეგიონის გარდა, დავიჯეროთ, ღორები ორიათასზე მეტი იყვნენ? ეს ამბავი გავიკითხე, ხალხში რალაც ბრიყველი ლეგენდა დადის გალილეაში, კაცი გამოჩნდაო, სასწაულებს ახდენსო, ღმერთის შვილიაო, ამბობენ.

– გალილეაში, – ნარბი აჭიმა პროკურატორმა, – ებრაელები თავის დღე და მოსწრება მესიას ელიან.

– ჰო, – თქვა კვესტორმა, – მას გამოურეკავს ეშმაკები სადღაც ლადარინელთა მხარეში, სამარხებში მცხოვრები კაცისგანო, ლეგიონია მათი სახელიო და ღორების კოლტში შესულაო, მე არ მჯერა, მაგრამ...

– იქ პილატეა, ვიცი, – თქვა პროკურატორმა, – მაგათი ყოვლისმცოდნეობაც ყელში ამოვიდა, მაგათ გარდა არავინ ამბობს, რომ ღმერთის რჩეული ერია. გალილეა აქვეა, ყურის ძირში, მაგრამ განა ეს ამბავი ჭკუასთან ახლოა?

– პეტრიდიდეს გვამი რომ ვერსად ნახეს? – ჭიქა დაცალა რწმუნებულმა და დადო, – მისი აბჯარი დავათვალიერე, დაჯიჯგინილია, სხვა ვერაფერს ვიტყვი.

– რა უცნაურ დროს ვცხოვრობთ, – თქვა პროკურატორმა, – კეისარს რა პასუხს გავცემთ? ტიბერიუსს განძი აინტერესებს, ახლა ალბათ მართლაც ვერაფერს ვიპოვით, ჯერ დიდი დროა იმ დღემდე, როცა ჰაინრიხ ფონ შლიმანი ჩამოვა, აქაურობას გადათხრის, ოქროს იპოვის და პრიამოსის განძს დაარქმევს, – თავისთვის ჩაილაპარაკა.

– რა ბრძანეთ, ჰეგემონო?

– არაფერი, შენ არ გეხება, ძიება განაგრძე და რომში დაბრუნდი, იქ საკმარისი ხალხი მყავს, ნანგრევებს გავათხრევენ, ამხელა სიმდიდრე სად გაქრებოდა? აღმასები, ოქრო... ჰო, მართლა, – ჩაახველა პროკურატორმა, – პოლისერებიდან ვინც ცოცხალი დარჩა, თქვეს რამე?

– გონებაშეზღუდული ხალხია, რა უნდა ეთქვათ. ან სად შეკრიბა ამდენი ერთად? თანაც ქალაქში კეთრის სენია და ათამანგი. უდაბნოსკენ გაიხიზნენ დაავადებულები, მათ შორის პოლისერებიც არიან. იქ მისვლა სიკვდილია, ერთმა კი თქვა, მისმა მეგობარმა იცოდაო ალბათ, მაგრამ უეცრად თავი ჩამოუხრჩვია.

– ვინ მეგობარმა, – თქვა პროკურატორმა, – სახელი არ ერქვა?

– ასე ერქვა „მეგობარი“, დოკუმენტში ასეა.

– გასაგებია.

– აი, მისი წერილიც, – რწმუნებულმა დაჭვარტლული პაპირუსი ხელისგულზე დაიდო და ტაბლაზე გამოუცურა, – როგორც სჩანს, სიკვდილის წინ დაუნერია, აურუმის გადამწვარ კანცელარიაშია ნაპოვნი და კიდევ ესეც, – რამდენიმე გრაგნილიც ამოალაგა, – ეს პეტრიდიდეს და აურუმის საიდუმლო გარიგებები და ზავის დოკუმენტებია.

პროკურატორმა პაპირუსი თითით მოიჩოჩა. გრაგნილებს კი თვალი ზერელედ შეაპარა, განზე გადო, – ეს ვიცი, არ მაინტერესებს. თავიდან ჭკვიანად იქცეოდა ჩვენი აურუმი, როგორც ვეუბნებოდით ისე, თავდაუხსმელობის პაქტის იდეა რომ ჩავანვეთეთ, ეს უკვე წარსულია. გინდ მიწების გაყოფა... როგორ სჯეროდა, რომ ყველაფერი შერჩებოდა... მაგრამ აი, ეს კი საინტერესოა, – პროკურატორმა წერილი წაიკითხა: „ჩემს სიკვდილში ბრალი არავის ედება, მაპატიეთ, რომ პოლიტარქის ნდობა ვერ გავამართლე“. – ასეც ვიცოდი, – თქვა პროკურატორმა, – მის ხელს არ ჰგავს, – მაგიდაზე დანყობილი გრაგნილებიდან ერთ-ერთი გახსნა და პაპირუსს შეუდარა, – შეხედე, შენ მოგიმზადე ძველი დოკუმენტები, ეს იმის ნაწილია, ხანძარს რაც გადაურჩა, ეზრამ შეინახა, იმ კაცის ხელითაა ნაწერი, თვითონ შემოსავალია აღრიცხული, აქ კი – მეორე გრაგნილზე ანიშნა, – ნახე, სავაჭრო ამბებია, ფინიკიიდან კედრის შემოზიდვის ნუსხა, სპილოს ძვალი მისრეთიდან, ზუსტი რიცხვებია, მარილი აფრიკიდან, კვიპროსიდან სპილენძი, აბრეშუმი და მენამული ქსოვილები, ბამბა, ნახე ესეც, ოქროსა და ძვირფასი თვლების რამხელაა სიაა, აღმასებიც, ხედავ? თან ბოლომდე არაა, ნახევარზე მეტი დაინვა. გამქრალია უნკიების, ლიტრების, დრაჰმების და ტალანტების ჩამონათვალი. ახლა მითხარი, არის განსხვავება ამ პაპირუსსა და ხელნაწერებს შორის?

– აშკარაა, – კვესტორმა თითი გადაატარა გრაგნილებს.

– ახლახანს მომახსენეს, – განაგრძო პროკურატორმა, – ორი კვირის წინ ჩვენებს ალექსანდრიაში ერთი კაცი აუყვანიათ, დაკითხვაზე აღიარა, რომ აურუმის პოლისერი იყო და ისიც მან მოკლა, მეგობარი, ხაზინას განაგებდა, შიდა საქმიანობას, ხალხიც მეგობარს ეძახდა, მაგრამ იშვიათად გამოჩნდებოდა მათთან. მოკლედ, მას მოუკლავს, ჩამოახრჩო, თავისივე ოთახში, აურუმის ბრძანებით. ამიტომ საქმე საფუძვლიან განხილვას საჭიროებს, – პროკურატორი და იმპერატორის რწმუნებული ადგნენ, – რომში გასამგზავრებლად მოემზადე, იქიდან ალექსანდრიაში ჩადი და როგორც კი რამეს გაიგებ, შემატყობინე. თავისუფალი ხარ.

– დიდება კეისარს! – კვესტორმა ხილინდარი გადაიკიდა, ხის კიბეები ჩაირბინა, შიდა ეზოში გავიდა და პრეტორიუმი დატოვა.

III

აურუმი

დაისის ნარინჯი შენელებით ეფინებოდა მზით ამწვარ ქედებს, მტვრიანი გზებისა თუ ბილიკების კიდეებზე აწურულ, სიცხით გამომწვარ ვებერთელა ლოდებს, აქერცლილ კლდეებსა და გრილ სანაპიროს – თხელი ტალღების შემშრობ მარადნამიან კალთას, რომლის ნესტიანი სურნელი განსაკუთრებით თრობადია ასეთ დროს... დაისის ალერსით სველთვალეებიანი ნამიერი გაბრუება... მოწყენა, თითქოს მიახლოვება... მიახლოვება და მოფერება ისევ თავიდან – დაისის ნარინჯი როცა მდორედ მოცოცავს და არავითარი ხმაური.

მებადურები ნავებს ათრევდნენ და ზღვიდან ბადეები ამოჰქონდათ. ტალღების ქაფსა და სველი ქვიშების ჩქაფუნს თოლიების ჭივილი ერთვოდა, თეთრად რომ ირეოდნენ ცაში.

მებადურები ერთმანეთში საუბრობდნენ:

– არა ჰო, მაშინ რომ მოქცევა იყო, რას ამბობ, ეგეთი ქალაქს არ ახსოვს.

– ღმერთმა დაგვიფაროს, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი.

– მეც. სანაპიროზე მამაჩემი იყო.

– მარტო?

– არა, სხვებთან ერთად და იქ ამბავი ამტყდარა?!

– ჯოჯოხეთით, მე ასე ვიცი.

– ამბობენ, წყევლა იყო.

მებადურები ერთმანეთს ჰგავდნენ – ტუნიკები და შიშველი, გარუჯული ტანები, სახეებიც ზღვით ნაყვავილარი, ზღვისფერი მზერებით, უძველესი ქარების ცქერას ჩვეული. ორი წყალში იდგა მუხლებამდე, ორიც ნავში იჯდა, სადაც ერთად ქურდებოდა გამოთრეული ბადე, რაზეც ლაყურებით უმწეოდ ეძებდნენ სიცოცხლეს ნავში ბრტყელად მოხტუნავე თევზები.

– წყევლა, წყევლა, მხოლოდ ეგ აკერიათ პირზე, – თქვა ერთმა ნავშიმჯდარმა, დანარჩენებზე უფროსმა, მისი კეხიანი პროფილი ხაპივით ამოდებული წვერით ნავთან ერთად ტივტივებდა და ცაზე მირტყმულ ამულეტუმს წააგავდა, – რა წყევლა, რის წყევლა, ტალღებმა სანაპირო დატბორეს, ახლა რომ ასეთი ლამაზი და მშვიდია, აი ეს და სახლები და ნაპირი ჩაიტანეს, ერთი კაცის გარდა არავინ მომკვდარა სხვა.

– რატომ?

– იმიტომ, – ამულეტპროფილიანი ადგა, ბადე გამოქაჩა, – მოქცევა როგორც კი დაიწყო, ყველამ სახლ-კარი დატოვა, ქალაქის სიღრმეში შეცვივდნენ, თქვენ არ გეხსომებათ, პატარები იყავით, მე კი მახსოვს.

– უბედურება იყო, ვიცით, არც ისე პატარები ვიქნებოდით.

– რა მნიშვნელობა აქვს. ღამე, ქარი, წვიმა, თავსხმა, მოედანზე ჭაც პირამდე აივსო.

– ა, გამახსენდა! ვიცი, ვისზეც ამბობ მოკვდაო, ეგეთი სქელი იყო, აიქ ცხოვრობდა, ბავშვობაში ქვებს ვესროდით და არ გრძნობდა.

– მამაჩემიც ყვებოდა, სანაპიროზე სახლები რომ ჩაინგრა და წყალმა დაფარაო, ის მსუქანიც შიგ ჩაიხრჩოო და ველარ გადავარჩინეთო, ორი თუ სამი დღის მერე უნახავთ, უფრო გაბერილი ნაპირზე გამოურიყავსო ზღვას.

– მართალი უთქვამს მამაშენს, – თქვა ამულეტპროფილიანმა, – ზღვა არაფერს იტოვებს ნაპირიდან წაღებულს, მეც მანდ ვიყავი... მაშინ თევზის ჭერაში ვეხმარებოდი... და რომ ამოვართიეთ, მისი სახლი სადაც იდგა, სახლი ერქვა, თორე საღორე იყო, იმ ცარიელ მიწაში დავმარხეთ, ორმოს ამოთხრა არც დაგვჭირდა, ატალახებული იყო, სასაფლაოზე ვერ ნავილებდით. ისეთი ზარმაცი იყო, სულ ეძინა. საფლავის ქვაზე ეპიტაფიოსის დასმა გვინდოდა – განაგრძე ძილი მშვიდად. არავინ ჰყავდა ახლობელი ან ნათესავი ერთი ცოლის გარდა, ან იმასაც თუ ცოლი ერქვა?!

– იძლეოდა?

– აბა, რას შვრებოდა ჩვენი ფატალინა, მაგას შემოვევლე.

– აის ფატალინა? – ერთად აღმოხდათ მებადურებს.

– მაშინ იმისთანა იყო... არ ვიცი, მრუშობა რა არის და სიძვა რა არის, მაგრამ ის ისეთი იყო, დღე და ღამე არიგებდა, თითქოს ვერ ძლებოდა. როსკიპები ყველგან არიან, მაგრამ ის გიჟი იყო ოხერი, ხან სად გაძვრებოდა, ხან სად, ამბობდნენ ძალთანაც წოლილაო.

– რანაირად?

– რაც მისი ქმარი მოკვდა, გობიო...

– აზრზე ვარ, გობიო!

– რაც ეგ მოკვდა, მას მერე არ მინახავს, მგონი არც არავის უნახავს, ჯერ იძახდნენ, ანტიოქიაში არიო, მერე ალექსანდრიაშიო, მერე ვითომ რომშიო, რას გაიგებ, ახლა მოხუცი იქნება თუ აქაა, ან თუ ცოცხალია, მთელი მარგორა ზედ ეჯდა და სხვა რა გითხრათ, – გაჩუმდა. წვერი გაიჩიქნა.

– რას ჩაფიქრდი, შეენც?

– რა?

– შენც ხომ არა-მეთქი?

– ჰო, რა მოხდა, ერთხელ მეც ვიყავი. დიდი ამბავი!

– როგორი იყო?

– გადასარევი. მის ქმარს ერთ მხარეს ეძინა, ჩვენ კი მეორე მხარეს მიდიოდა, თან ორსულად იყო.

– მერე, ეგ შეიძლება?

– თუ საქმე იცი, ყველაფერი შეიძლება. მაგრამ ხვეწნა მაინც დამჭირდა. მაშინ ქალაქში ჰინდუები ჩამოვიდნენ, მისრელებიც იმ დღეს შემოვიდნენ დიდი ქარავნით და იქ ამბები დაიწყეს?.. ორგები და ფულების ხარჯა, ერთს შევხედე, დაბნეული სახე ჰქონდა. იმ აურზაურში და დახუთულობაში ხომ იცით რაც ხდება, სახეები, ფეთიანი სიფათები, კრიალოსნები, ვერცხლი, ოქრო, იქით ხალიჩები, აქეთ ეს აქლემები, შავი აბისინიელები, გველები რომ ჰყავდათ დახვეული, თან ეს მზე, სიცხე, სივინროვე, კივილები, შეძახილები, შერყეული გამოხედვები, კაცი რომ გიყურებს, მაგრამ სხვაგან როა, შენც თავბრუგეხვევა, ტვინი გერევა და მოკლედ, ვხედავ ამ შენ ჰინდუს ძენკვი დაუფარდა.

– აიღე?

– იქ ხო არ დავტოვებდი, მტვერი, სიცხე, ოფლი და მეთქი რატო არა? ავიღე ვითომ არაფერი, ოქროსი იყო, ბეჭედი ება ზედ, ხმაურს შევუერთდი, მეთქი რა ვქნა, ყვირილი არ ატეხოს-მეთქი და გავქრი, სალამოდე ძენკვი არ გამომიჩენია, მერე კი ფატალინასთან გავარდი, თეთრ სვეტებში მისრელები გრიალებდნენ, ფატალინაც იქ გარბოდა, ორსულად ვარო, მეთქი არაუშავს, რა არაუშავს, ორსულად ვარო! მეთქი აი და ეგ იყო სულ, მერე ქარი და წვიმა და მოქცევაც დაიწყო.

– მაგრა დაგიმახსოვრებია, ეტყობა მართლა მაგარი ქალი იყო.

– მართლა ფეხმძიმედ იყო, მალე გააჩენდა.

– და რა ჰქონდა ამისთანა, რო ვერ დაკმაყოფილდა.

– რაც იყო იყო, რას მომყოლებო, ეგ კი არა, ახლა იმისთანა გოგოები დადიან, გავკარი ფატალინას, მაგრამ თუკი არსებობს დიდ ხელოვანი ან დიდი მოაზროვნე ან დიდი მეომარი, ის დიდი ბოზი იყო, – თევზებიანი კალანჩხა გადმოიღო, მეორესთან ერთად ნავი ნაპირზე ამოახოხა.

მთის ფერდობზე ორი პატარა ბიჭი ნახირს მიერეკებოდა. კამეჩები პირუტყვული ღმუილით მიაფლოქვებდნენ. ერთ კამეჩს ყანჩა ეკიდა ზურგზე, მოგრძო ნისკარტით რომ კენკავდა სალამოს ბულს, დაბინდულად რაც ეფინებოდა მთის ძირში ჩაშენებულ ქალაქსა და უნაპირო შორეთამდე გადანვდენილ ზღვას.

ნახირის გასწვრივ მოხუცს სახედარი მიჰყავდა. გამტვერილი სამოსელი მისი, გაკლანკილ შარაზე დაბლანდულიყო. სახედარზე ქალი იჯდა, ჩადრდახვეული, დიდი მუცლით, ორსული.

მგზავრები მეთევზეებთან მოახლოვდნენ, – გამარჯობა ხალხო, – თქვა ბერიკაცმა.

– გაგიმარჯოს ბერიკაცო, – ამულეტპროფილიანი ნავიდან გადმოვიდა, კალთებზე ხელები დაიმშრალა.

– ჩვენ შორი გზა გამოვიარეთ, – ქალაქში ვინმე მკურნალი თუ ცხოვრობს? – თქვა ბერიკაცმა.

– ცხოვრობს, – თქვა მეზადურმა, – აი ესე, ქალაქში შეხვალთ თუ არა, ქვაფენილს გაუყევით და ვაზის ხეივანი გამოჩნდება. იქ იკითხეთ, ნებისმიერი გეტყვით. ახლოა.

ვაზის ხეივანში ბაჩანა და სერაფიტე მოდიოდნენ. ბიჭი ისევ ქალამნების ცქერით ტკებოდა და ახალ პერანგს გემრიელად ირგებდა ტანზე, თავისი ბავშვური ხალასი ღიმილით, – იქამდე ბევრი გზა დარჩა? – ჰკითხა სერაფიტეს, – სადამდე? – უპასუხა სერაფიტემ, – აი, იქამდე, – ხელი გაიშვირა ბაჩანამ, – თეთრ სვეტებთან მივალთო, რომ მითხარი, იქაც ვიკითხავთო, – თქვა ყრმამ, – არა, ბევრი არ დარჩა, ცოტაც მოითმინე და მივალთ, – თქვა სერაფიტემ და გაიბნა ფიქრში: კიდევ უნდა ვიაროთ, ბევრი უნდა ვიაროთ და ისევ იგივე ადგილები, ერთი და იგივე ადგილები და ისევ სიტყვები. ცოტაც და გავალთ, გავაღწევთ, გავექცევით ამ გრძელ დერეფნებს – გაუვალ ლაბირინთს, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს გასასვლელი – უძლები ყოველნამობისგან რაც თავს დამალწევინებს. კი, კაცი უძლებია, როცა სიხარბის ბინდში იკარგება, მონყალე კი ისაა, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს? ახლა დაკარგულთა დროა, ცოცხლად დაკლული და ღალატით გარშემორტყმული ჩემი იმედი სიმტერედაა შერაცხული, დღევანდელიობაც სანახევროდ გამოშიგნულია და მკვდართა მხარედაა ქცეული, დამცირებათა მომხვეჭთა და ტკივილთა შემკრებთა მიერ; ღალატი უძლებობის კანონია, ანგარების დაღმართზე მიგაქანებს და სხვათა წუხილს ხარბად გახვეტინებს, რათა საკუთარი სიღარიბე მიმალო, შიში. აი, დაკარგულთა მოდგმის ხერხემალი, ყველა ტანჯვისა და ყველა სიკვდილის მიზეზი. ყოველი კაცი ანმყო, მეუბნებოდა ეზრა, თუ ცოცხალია ადამიანი – ანმყოც ცოცხალია, თუ არა და მკვდარია სამყარო, ქვეყანა, ჩვენ სათითაოდ, მკვდარია ეს ნამიც.

სერაფიტემ ღრმად ამოისუნთქა, – შუადღეა, გცხელა?

– ჯერ არა, – თქვა ბაჩანამ.

– ზემოთ აიხედე, რას ხედავ?

ბაჩანამ აიხედა, თვალები მოეხუჭა, – ცას, – თქვა ბიჭმა, – ცას და ღრუბლებს.

სერაფიტემაც ზემოთ ამოიხედა, – ამოვიხედე დიახ, ფიქრად ააყოლა, – მაგრამ მეც ცას და ღრუბლებს ვხედავ და ზოგჯერ მოვკრავ თვალს, რა საოცარი ნამია, როცა ამოვიხედავ, ხილვა კი ამოხედვისთანავე

ქრება და ისევ ცა მრჩება თავისი ღრუბლებით, – ქვევით? – თქვა არქივარიუსმა, – ქვევით რას ხედავ? დაიხედე, – ბიჭმა დახედა, – მინას და აი, ჭიანჭველები დადიან, დაცოცავენ, – ბაჩანა ჩაიცუცქა, თითი ჭიანჭველებს მიადო, – რამდენია. რატო? აქ ცხოვრობენ?

სერაფიტე არაფერს ამბობდა, ისიც მინას დაჰყურებდა. დავყურებ და რა? ფიქრობდა ისევ, შავი წერტილები თეთრ მინაზე, შავი ნიშნები, სიმბოლოები, – ხელები ნელა აიფარა ყურებზე, თავი გააქნია, თვალები დახუჭა, სიგიჟეა, გაიფიქრა, დიდი სიგიჟეა, მაგრამ როგორ? როგორ იქმნება სიცოცხლის ასეთი სასწაული? აქვე იყო ექიმის სახლიც და აქვეა კვლავ, გვერდსაც მალე ჩავუვლით მას.

ბაჩანა ჭიანჭველებს აკვირდებოდა და იმავე თითით, მტვრიან მინაზე უცნაურ სვირინგებს იყვანდა.

ქვიშნარიანი მტვერი სინესტით დარბილებულიყო. საღამოს სიმშვიდე ისევ დინჯად ნელდებოდა ჩამავალი მზის ნარინჯით დამცხრალი, შესვენებულს რომ თითქოს დაეგუდა დღე.

სახედარი სახლთან გაჩერდა. ბერიკაცმა ორსული ქალი გადმოსვა, სახედარი ხეს მიაბა და სახლში შესასვლელი ფარდაგი გადასწია: – შეიძლება? – იკითხა მორიდებით.

– შეიძლება, – გაისმა ხმა, – მობრძანდით.

ბერიკაცი და ფეხმძიმე ქალი შევიდნენ – სახლში ერთი საგებელი იდგა და იქვე ტაბლა, ბამბუკებისგან შეკრული. სპილენძის ლოდაკებში ბალახები ენყო, ჯამებზეც მწვანედ მიხორკლილიყო ჟანგი და ტიგელებიც სავეს იყო ფხვნილებითა და მალამოებით. მკურნალი სკამზე იჯდა, მცენარის ფოთლებს ერთად ანყობდა და დანით ჭრიდა. მისი შეგირდი ბიჭიც, დაკვირვებითა და უხმაუროდ, ჯამიდან ჯამში ასხამდა სითხეს, სახურავს აფარებდა და ბამბუკებისგანვე დანულ თაროებზე ანყობდა. მოხუცმა ლოდაკებზე მინანერი წაიკითხა: „შაკიკისთვის“, „ციებისთვის“, „ფალარათისთვის“, „ხველებისთვის“. ოთახში კუდაპრეხილი კატა დადიოდა.

– ჩემი ქალიშვილი ფეხმძიმედაა, – თქვა ბერიკაცმა, – თუ შეგიძლიათ... ჩვენ გადავიხდით...

– მთავარი ეგ არაა, – გაელიმა მკურნალს, – მაჩვენეთ, – ქალს საგებელისკენ მიუთითა, – დანექით.

– მე გარეთ ვიქნები, – მოხუცი გავიდა.

– ყველაფერი რიგზე იქნება, – სახელოები აიკეცა მკურნალმა, ბიჭმა დოქიდან წყალი დაუსხა, ხელები ჯამში ჩააბანინა, – მერვე თვეზე ხართ? მეცხრეზე? – სანოლზე ჩამოუჯდა ქალს.

– მეცხრე მთავრდება, ალბათ სადაცაა... – დამორცხვდა ქალი, ნდობანაგრძნობი სიფრთხილით აინია ჩადრი, სახე ქალწულებრივი სიფაქიზით წარმოუჩნდა, ტუჩებისა და ყელის, ცხვირისა და შუბლის მოკანკალე ანარეკლი, – ნაყოფის მოშორება მინდოდა, – გაენდო, – ბევრი გადავიტანე, – ხმა გარდაუტყდა, კიდეც აქვითინდა, – მაპატიეთ... მაგრამ მე...

– სასირცხვო არაფერია, – მუცელზე ხელი დაადო მკურნალმა, ბიჭს გახედა. შეგირდმა დოქი და ჯამი დადო და სახლიდან გავიდა, ფარდაგი ჩამოასწორა, სახლის წინ პალმის ჩრდილში, ბერიკაცთან დადგა.

მოხუცი კედელთან ახლოს დადიოდა, – ნაძირლები, – ბურტყუნებდა თავისთვის, – გვიშველე, ღმერთო, გვიშველე, – რამდენი წლის ხარ? – მიუბრუნდა ბიჭს, ხესთან მიმდგარიყო.

– თერთმეტის, – თქვა ბიჭმა, – ვსწავლობ, მეც მკურნალი უნდა გავხდე და... ნაძირლებიო, ვიზე თქვით? – სახედარს თავზე დაუსვა ხელი, გრძელ ყურებზე უჩქმიტა.

– ვიზე და... – მოხუცმა ტუჩი გაიკვნითა, – ამათზე, – ხელი გაიშვირა უმისამართოდ, – ეს ჩემი ერთადერთი ქალიშვილია, ეს უბედური, ჩემი ერთადერთი სიხარული, – ქვას დააშტერდა. ხმამალა აფიქრდა, – უნდა გადავიკარგო, ჩემს გოგოს საქმრო მოუკლეს, მის თვალწინ, – მოიღუშა, ყვრიმალნი გაუსველდა ცრემლით, ხმაც გაეზარა და ბიჭს გაარიდა სახე, – ასეთი ცხოვრებას და ტანჯვას სიკვდილი მირჩევნია.

– საგანგამო არაფერია, – სახლიდან მკურნალი გამოვიდა, ქალი გამოატარა, გამოსვლისთანავე მოხუც მამას მიეკრო ორსული, – მალე იმშობიარებს, – თქვა მკურნალმა, – ხვალ ან ზეგ. ჩანს, ბიჭი უნდა იყოს, ისეთი მუცელია. გაქვთ ადგილი, სადაც გაჩერდებით?

– მარგორაში არა, – მამამ თავზე აკოცა ქალიშვილს, – ჩვენ ზემო სოფლიდან ვართ.

– მაშინ, ჩემთან დარჩებით, ბინის ქირას არ გამოგართმევთ, მზად უნდა ვიყოთ.

– დაგლოცოთ ღმერთმა, – ბერიკაცმა ხელი გაუწოდა, ერთდროს ალბათ ძლიერი, ახლა მოცახცახე ხელი.

მკურნალმა ჩამოართვა, ბიჭს მიუბრუნდა, – გაყვი, სახლი აჩვენე, მოასვენე, საჭმელი, სასმელი, წყალი. მიდი მარდად.

– მამა, მამიკო! – მკლავზე გადაადო თავი ორსულმა.

– ჩემო ანგელოსო, – ხელები შემოხვია, – ჩემო ანგელოსო.

– წამო, წამო, – თქვა სერაფიტემ. ბაჩანა ჭიანჭველებთან ხატავდა სიმბოლოებსა და ჩუქურთმებს, – წამო, ვიაროთ, – ბიჭი წამოაყენა, სიარული განაგრძო. შემთხვევაა, განაგრძო ფიქრი, შემთხვევა? ჩემთვის შეიცვალა ამ სიტყვის მნიშვნელობა, – ყრმას ხელი ჩაკიდა, ქვაფენილს ჩაუყვა, ზოგჯერ თუ გახედავდა უკან

მოტოვებული ხეივანისკენ და მიღმა სანაპიროსკენაც, თოლიებით რომ დავსებულებო, – არათუ შეიცვალა, აზრი დაკარგა, გაიფიქრა და ისევ გზას გახედა, – ბევრმა სიტყვამ დაკარგა აზრი, საქციელი, ყოფა, წესი, რა შინაარსს ატარებენ ეს სიტყვები? ადრე, შეიძლება საოცრად ლამაზიც ყოფილიყო დღეს ჩემთვის აზრდაკარგულ სიტყვათა წყობა, მშვენიერი, წმინდა, მართალი, მაგრამ სიღრმეში ასე არაა, ასე არ ყოფილა! რა მოხდებოდა, ჩემი მარგორა არა დაჩრდილული პროვინცია ყოფილიყო, სამყაროს არა ერთი მცირე ნაგლეჯი, არამედ მთლიანად სამყარო, ადამის ძეთა შიშმა და მანკმა ერთად რომ მოიყარა თავი, რა მოხდებოდა ერთ მშვენიერ დღეს რომ გამქრალიყო?.. ყველაფერი, თუკი რამ წამიკითხავს, მსმენია და შემეგრძნია, უფრო დიადი იქნებოდა, მხოლოდ ჩემს არქივუმში რომ არ ეწეროს და იმტვერებოდეს, რომ გაცოცხლდეს, ასევე როგორც მე მინდა, რომ გაცოცხლდე, გამოვიღვიძო, გამოვფიზღდე! დედამინა რომ ჩემი არქივუმი იყოს და დაწერილი სიტყვები – ხორცშესხმული ადამიანები, მთელი ჩვენი მოდგმა, მაშინ რამდენად სრულყოფილი იქნებოდა სამყარო – ჩვენი სამყარო, სავეს საქციელებითა და ურთიერთობებით. ჩვენი მარგორა – გახარებული, ნათელი და აყვავებული... რა ცხოვრება დადგებოდა შურისა და ამპარტავნების გარეშე. მაგრამ ოდესღაც ხომ იყო ასეთი ცხოვრებაც, მე წამიკითხავს, მე ვიცი, მაგრამ არასდროს მინახავს ცხოვრება პირველი და ღვთისნიერი! ხომ იყო? ოდესღაც მეც ხომ შემეძლებოდა იმ სანატრელობის ნაწილი ვყოფილიყავი? ასეთი მარგორა თუკი იყო, რატომ ახლა არ არის. ასეთი მარგორა – ჩვენი, მარგორიანელებით ერთად თავმოყრილი მთელი სამყარო და კაცობრიობა რომ ყოფილიყო და არა იმპერიუმის პროვინცია, მაშ, მისი სულით გაიჟღინთებოდა დროც – ღვთაებრივი, საყოველთაო, აბსოლუტური სიხარული გაჩნდებოდა, მარგორა – სამყარო, მარგორიანელები კი, ჩვენ, სათითაოდ გვერდიგვერდ მდგარი, ხელისხელ გადაკიდებული, როგორც უწყვეტი ჯაჭვი, სისხლითა და გამძლეობით შეკრული და ყრმა ბაჩანაც ბედნიერი იქნებოდა, არა დაღუპული მოდგმის შთამომავალი, არამედ ბედნიერთა მოდგმის კიდევ ერთი მემკვიდრე.

რა უცნაურობა მემართება, – სერაფიტემ ნაბიჯი შეანელა, სახლების კედლებს აადევნა თვალი, – ისევ ის ხმები, გაიფიქრა, ის ხმები ჩამესმის ამ კედლებიდანაც, თავს არ მანებებენ – ჩემს სულსა და გონებას ემართება რაღაც უცნაური. მე ჩემი გზით ვიარე და ჩემივე გზით დავინყე თავის აღმოჩენა, ჯერ სიხარული, შეცნობა და ძიება, შემდეგ ნდობა, იმედი, შემდეგ სიყვარული და რწმენა და შემდეგ ველი სიბრძნეს, ველი მდუმარებასა და დუმბილს, ველი სულმოუთქმელად, თითქოს საბედისწერო მოჩვენებითობასთან, ქეშმარიტების უფერულ ნილაბთან მიახლოებული, ვიცი, რაც შემრჩება, – დიდი გაკვირვება და სხვა არა. გაკვირვება, როგორც იდეა! ყოფითობა, სინამდვილე ჩემს გამოღვიძებას ელის, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევი და ახლაც ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევ, მაგრამ ჩემი გზა არა სწორხაზოვანია – ის სამყაროს შუაგულისკენაა, თუკი არსებობს ის საერთოდ. მაინც ერთია, მაინც ყველამ ყველაფერი იცის და მე მაინც ვაგრძელებ სვლას, დინჯად და მოთმინებით მივიწვევ წინ. ბაჩანას სახით მოდგმის ჯაჭვს გავწყვეტ, თუკი ზუსტია ჩემი ძიება, ჩემი იდეა – რომ არსებობს ყოფითობა, სასრული და უსასრულო, მუდმივი და წარმავალი ერთიდაიგივეობა ერთდროულად. მე თვითონ გზა ვარ, ჩემი იდეა გზაა და მე გზა ვარ და არა მგზავრი ამ გზაზე. მგზავრია ბაჩანა და აჩრდილი მისი, ხოლო მე არა, მეც ვიყავი მგზავრი, როცა ეზრა ჩემი გზა იყო, მაგრამ ის წავიდა და გზას განლევს მგზავრი? დავრჩი მე, ახალი სიტყვები, ახალი სივრცეები, დღეები, შორეთი და მოლოდინი, და მეც ამაყად, სიმამაცით ავსილი, წინ მივიწვევ, განგებას ვევედრები, რომ დავამტკიცო ის, რასაც დავატარებ, რასაც ადვილად ვიგებ და ვხვდები და თითქოს მიჭირს გადმოცემა, რადგანაც განა საჭირო სიტყვებს ვერ ვპოულობ, არა, სიტყვები ირგვლივ არიან – მე დრო არ მყოფნის! აი, ამიტომ. შესაძლოა არც თავისუფლებისკენ მივიწვევდე, არამედ ახალი, შეუვალი და შეუღწეველი ჩიხისკენ, მაგრამ მშობარა არ ვარ და მკურნალის სახლს კარგა ხანია გამოვცდით, სადაც დღევანდელის თავკაცი იშვა – სახელი მისი, ისევე როგორც პეტრიდიდესთან, როგორც ფატალინასა და გობიოსთან რომ მხვდება ლაბირინთის კედლებზე, როგორც ნიშანი მგზავრთათვის გზად, საკვლევად დატოვებული, რათა არ დაიბნეს, არ დაიკარგოს.

სერაფიტემ კვლავ უკან მიიხედა. ისევ ჩაესმა მაბეზარი ხმა, ცას ახედა და თოლიებს, რომ მიმოფანტულიყვნენ შორიშორს, თითო-ოროლად რომ გაითეთრებდა ცაზე, გაფანტული ჭივილითა და თავანყვეტით რომ დააცხრებოდა ტალღას, ახალშობილის თითქოს პირველი ჩასუნთქვა – სიხარულივით სწრაფი.

ახალშობილის ჭყვილმა ბედნიერად ააფორიაქა მკურნალთან შეკრებილები.

– ბიჭია! ხომ ვამბობდი ბიჭია-მეთქი! – თქვა და ბავშვი სათუთად ამოიყვანა, ჭიპლარი გადაუჭრა, მალამო ნაცხო, დედას აჩვენა – თმაგაშლილ მშობიარეს, ოფლით დანამულს, უკვე დამშვიდებულს.

ქალმა ბავშვი მკერდზე მიიწვინა, შიშველი, მრგვალი სიცოცხლე, მთელი ძალით რომ ტიროდა სველით მოთხვრილი. მკურნალმა მოსასხამი დააფარა, თავქვე კიდევ ერთი მუთაქა ამოუდო, ოფლი შეუნმინდა, – ბედნიერი ხარ, შვილი გააჩინე, ვაჟი.

– მამაჩემს უთხარით, გარეთაა, – დედამ გვერდით ჩამოიწვინა ყრმა, ძუძუ მისცა, ხელისგული დაადო. ჩემი შვილია, გაიფიქრა და ბავშვს დაეფერა, მტირალს და სველს, დედის ძუძუს რომ ეძებდა და წოვდა ჯერ გაუაზრებელი, რაღაც იდუმალი, თანდაყოლილი, მხოლოდ მისთვის სანატრელი ნდომით.

ბერიკაცი და მკურნალი სახლის წინ იდგნენ, – ჯანსაღი ბავშვი ჩანს, როგორი საყვარელია, – თქვა მკურნალმა.

– აი, – მოხუცმა ქისა გაუწოდა, – თქვენი გასამრჯელოა, ინებეთ, მადლობა ყველაფრისთვის, განგება იყოს თქვენი შემნე.

– თქვენც მადლობა, – ქისა უბეში ჩაიღო.

– შვილიშვილი გამიჩნდა, – ბერიკაცი დაკარგული ჩანდა, სიხარულით დატყვევებული, ყორეს მიღმა ფინიკის ორ პალმას გასცქეროდა სავსე თვალებით, იქვე აქლემებს და მათ პატრონებსაც, გრძელ სამოსლებში, თოკით რომ ერთ-ერთს ბენვმოძენილი დუკატი ჰყავდა.

– პატარას რას დაარქმევთ?

– არ ვიცი, საერთოდ რას ვიზამ, არაფერი ვიცი. შეიძლება შევიხედო?

– კი, ოღონდ ფრთხილად.

მოხუცი შევიდა.

– მამა! – აღმოხდა ქალს, – ნახე! შეხედე მამა, – ყრმა მკლავთან ეწვინა, კოტიტა მურთხი.

– შვილო, ჩემო სიცოცხლე, – თითქოს თავისით ამოულაპარაკდნენ სიტყვები, სახეზე ყოვლად უცხო და ყოვლად ახალი სინანულის ნირი დაეკრთო.

– ნახე, მამა, – იღიმოდა ქალი, – ჩემი პატარა აურუმი. გინდა აურუმი დავარქვათ? დახე, როგორია, თავზე თითქოს ოქროს სილა აყრია.

– დავარქვათ, რაც გინდა ის დავარქვათ, – მიეფერა მამა, – დედაშენი რომ ვერ მოესწრო ამას, – სკამზე ჩამოჯდა, ცრემლები მოიწმინდა.

ჰო, მათი სახელები, და აურუმიც ამოტვიფრული ლაბირინთის ამ კედელზე, ფიქრობდა სერაფტე, ყველას თავისი, დრო კი თავად ავადობაა, თითქოს ჯერ განუკურნავი. არის ცოცხალი და არის მკვდარი დრო, ის სახიფათოა ცოცხალთათვის და ზოგჯერ მგონია, დრო არც არსებობს, მაგრამ რით ავხსნა ცხოვრების გაუვალობა, როგორ გავერკვე მისივე სააღყო წესებით გარშემორტყმულ ერთიდაიგივეობაში. იქ ადრე, სადღაც წარსულში იზადებოდნენ და იქვე, იმავე წარსულში კვდებოდნენ – აურუმიც ამ წარსულში მოკვდა. აქ კი იზადება და ეს გადმოშენილი ანმყოც იმ წარსულის გაგრძელებაა? რადგან დროდან ამოღებული მოკლე დროები ყოველდღიურობის გაუგებარი კანონითაა გადაადგილებული? და ასეთი საიდუმლო გადაადგილება ერთ მთლიან დროს კრავს? გაუგებარია. ჯერ ყველაფერი გაუგებარია. მოჰყავდა ბაჩანა და ფიქრობდა სერაფიტე, რა უნდა ამ თეთრ სვეტებთან რომ მივყვარ, ფიქრობდა ბაჩანაც, თვითონაც რამეს ეძებს? კეთილია, მიყვარს, ჭიამაია ვარ?

– მითხარი, ჭიამაია ვარ? – თქვა ბაჩანამ.

– რა ჭიამაია? – თქვა სერაფიტემ.

– ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენს დედას გაპოვნინებ, შენც დაკარგე რამე?

– მე არა. ჯერ არა, მაგრამ შეიძლება დავკარგო.

– რა?

– მოთმინება და იმედი.

– რისი იმედი?

– რომ ველარასოდეს გავალწევ აქედან.

– მარგორადან?

– მარგორადანაც.

– და რატომ გინდა, რომ გააღწიო? აქ ცუდია?

– მარტო მაგიტომ არა.

– შენ კეთილი ხარ, ძალიან კეთილი, ყველას ეხმარები და რატომ?

– არ მიფიქრია. არ ვიცი.

– და მე რით განვსხავდები?

– ვისგან?

– შენ თვითონ არ თქვი?

– რა ვთქვი.

ბაჩანა დადგა. სერაფიტეს ააჩერდა, – შენ მამაჩემი ხარ? – უთხრა ალაღად მხნემ.

– არა, – თქვა სერაფიტემ, თვალებში აჰყურებდა ბიჭი, – არა, პატარა, მე შენი მამა არ ვარ, – გული მენვის ჩემო ბიჭუნა, გაიფიქრა სერაფიტემ, მზე უბრძავებდა მზერას, რატომ შენ? და რატომ მე? და რაოდენ შორია ჯერ პასუხამდე, დრო კი არ აყოვნებს, გინდაც ცოცხალი და გინდაც მკვდარი დრო.

– რას მიყურებ, – თქვა ბაჩანამ, – რას ფიქრობ?

– ნავედით, დროს ვკარგავთ, – ბავშვს ხელი მოხვია და გზად თითქოს ნიავემა გაუგრია ნაწყვეტი ფიქრი, მკვდარი დრო კაცს ყველაფერს ავინყებს, განაგრძო სერაფიტემ, დაშტერებული და თავგზააბნეული მკვდარი დროის უსიტყვო მომხრეა და ანგარებაც ამ დროის ერთ-ერთი კანონმდებელია, მომსპარი წამის

მეყოვნე. ამ მომსპარ ნამში აღარავის ემახსოვრება, რომ ოდესღაც ცოცხლები იყვნენ, რომ შესაძლოა დღესაც ცოცხლები ყოფილიყვნენ, რადგან ახლა...

– ვიზე ფიქრობდი? – გაიმეორა ბაჩანამ, – დედაჩემზე? შენზე თუ ჩემზე?

– ვიაროთ, – თქვა სერაფიტემ. ახალდაბადებული იზრდება, შეკუმშული დრო გადადის ნამიდან ნამში და ისევ გაუგებარია ყოველდღიურობის აბნეული არათხრობითობა.

– გასაგებია, – მოიღუმა მკურნალი, როცა პატარა აურუმის გასინჯვას მორჩა, – ჩაიცვი, ოქროს ბიჭუნავ, და ივარჯიშე, ხომ გინდა ძლიერი იყო?

– მინდა, – თქვა ბიჭმა, აურუმმა, ტუნიკა გაისწორა, დედასთან დადგა. აურუმის დედა თავჩაქინდრული იჯდა, თმები მხრებზე გადმოეფინა, შვილს ხელზე ეფერებოდა და თითქოს ამ დედობრივი ყოვლისშემგუებელი მედგარი სიმშვიდით, შვილის ხვედრის დამტევი გულით, ცდილობდა არ ეჩვენებინა სიმწარე რაღაც, ბაღლის წილად რჩენილი. რისთვის გამწირე, ღმერთო, ფიქრობდა დედა, რატომ დამსაჯეთ ასე, – წადი, გაითამაშე, – აკოცა შვილს, – ეზოში გადი, მეც მალე მოვალ.

აურუმი მკურნალის სახლიდან გავიდა. გაირბინა. დედამ თვალი დააყოლა. ცუდი იგრძნო.

– საქმე ისაა, რომ... – წყალი გაუნოდა მკურნალმა, თიხის ჭიქა, – რამხელაა ბავშვი?

– ცხრის ხდება, – წყალი მოსვა.

– რა ჩქარა გარბის დრო, ათი წელი უკვე გავიდა, არადა გუშინდელივით მახსოვს მისი გაჩენა, ორგანიზმი ჯანმრთელი კია...

– პირდაპირ თქვი, დედა ვარ, უნდა ვიცოდე, – ნესტოები და ქუთუთოები შეუწითლდა, კიდეც ეცადა ცრემლის დაჭერას, მაგრამ ვერ შეძლო ცუდის წინათგრძნობით დაჯაბნილმა.

– კიანოზი, – თქვა მკურნალმა, – კანის ფერის შეცვლა მოლურჯო ელფერით, სახის გამომეტყველება, მისი აღნაგობა, მაჯისცემის ხასიათი, არითმია, უეცარი ქოშინი და ბავშვის ადვილად დაღლილობა – მაძლევს უფლებას ვიფიქრო, რომ მძიმედ ავადაა.

დედამ ხელები ყელზე მიიდო, შუბლამდე ააცოცა, ლოყა ამოიკანრა ლამის.

– მე ბევრი ასეთი ბავშვი მინახავს, – განაგრძო მკურნალმა, – ჩვენ ჯერ არ ვიცით ასეთი სნეულება, გული რომ დაავადდეს, ასეთი რამ ჯერ ჩვენთვის უცხოა, თუმცა ბევრი ამდაგვარი შემთხვევა ვიცი და... – მკურნალი გაჩერდა...

– დაამთავრე, – წყვეტილად ჩაიჩურჩულა დედამ. მწარედ.

– ისინი დიდხანს ვერ ცოცხლობენ, ბავშვზე ათმაგი ყურადღებაა საჭირო.

ცივი კბენით დაიჭრჟოლა ქალი. სუნთქვა გაუნწყდა.

„ისინი დიდხანს ვერ ცოცხლობენ“, – კარს მიღმა ესმა აურუმს, ყურმიბჯენილი რომ იდგა, ფარდაგთან გასუსული. ესმა დედის ქვითინი და მკურნალის „მკურნალობაა საჭირო“, „ათმაგი ყურადღება“. ქვითინში შემომძვრალი ტირილი გოდებაში გადაიზარდა, კარს მოცილდა, ეზოში გამოვიდა, მიწაზე ძრწოლით. აურუმმაც უკან-უკან გადადგა ნაბიჯები – თითქოს ახლა უნდა გადანეულიყო შესასვლელის ფარდაგი და პირღია მხეცად გადაქცეული, აკივლებული ხმა გარეთ გამოვარდინილიყო, ბაღლი შეეჭამა, დამფრთხალი რომ მილოღავდა უკან და ხეს დაეჯახა ზურგით, შებრუნდა, პალმას ამოეფარა, დაემალა იმ მტირალ, საზარელ ხმას, დედამისი რასაც გაემწარებინა. ხეს მიეფარა და თითქოს მიხვდა კიდეც, რომ რაღაც აკლია, სასიცოცხლოდ აუცილებელი, მიხვდა იმ დაშინებული სხეულით, რაშიც ჩამალულიყო მისი ავადობაც, რომ ძალზე ცუდს ნიშნავდა მკურნალის სიტყვები, ატირებული დედის წყვეტილი, სლოკინითა და ყელში დამცდარი ნერწყვით ნახლეჩი ხმა, რაც ასე ავად ჩხვლეტდა პატარას გულს, რაც იმ გაურკვეველს ანიშნებდა, უშინაარსოდ მისთვის სახიფათოს – „მძიმედ ავადაა“. ბავშვური გამჭრიახობით, ეშმაკური საგონებელით მიხვდა აურუმი, რომ არაა ჩვეულებრივად ავად – ნამალს რომ დაღვე და მორჩები, მან თავის ხვედრი, თანდაყოლილი რაღაც უკურნებელი, რაღაც მწარე დაინახა – ხვედრი ავადობა, რაც სხვას არა აქვს, რაც სხვებისგან გამოარჩევს. რა მომივა? მოვკვდები? გაიფიქრა და ადგილიდან მოწყდა, თითქოს ვილაცას გაეკიდა, მთელი ძალით გაიქცა, უკანმოუხედავად. მოვკვდები? ფიქრობდა შიშით. ბავშვმა რა იცის, სიკვდილი რა არის, ან იქნებ ყველაზე კარგადაც იცის, რადგან ყველაზე მეტად უხარია სიცოცხლე, ეზოში თამაში, ხეებზე ძრომა, კატებისა და ძაღლების ფერება, ქარავნების დახვედრა ქალაქში შემოსვლისას, მეზადურებთან სანაპიროზე ჯდომა, მინდორში კალიებისა და პეპლების ჭერა, სამყაროს ცქერა იმ გაოცებული ღია სახით, რომელიც იმას ხედავს, რაც უნდა რომ დაინახოს, წარმოიდგინოს, რასაც ვერ დაინახავენ დიდები. რა იგრძნო აურუმმა დედის მოთქმაში, მკურნალის თქმაში ისეთი რა, რამაც ადგილიდან მოწყვიტა ბიჭი და მარგორას მტვრიან ქუჩაში გააქცია, იმ ადგილიდან შორს, სადაც გაიგო სამინლად გაუგებარი, რომ ჯერ არაფერი ესმოდა და სადღაც გარბოდა და ვერც იმას იგებდა, ვისგან გარბოდა, დედა რომ მარტო რჩებოდა ან ძებნას დაუნწყებდა – ბიჭმა სიცხარე იგრძნო თითქოს, საკუთარი სუნთქვის სიცხარე – შიშით რამაც მოცელა უზარმაზარი ცელის წამიერი განივლებით და შეაგრძნებინა ტკივილი თავისივე თავში. მუცელი მტკივა, გაიფიქრა ქუჩების ბოლოს კედელთან მივარდნილმა, სახით ქვითკირის სითეთრეს მიკრულმა, მუცელი მტკივა. პირი გაუმრა, ჩქარა სუნთქავდა, თვალებში ნაცრისფერი

ბრჭყვიალა წერტილები დაეფანტა, ყურები დაეგუბა, ამოსუნთქვასაც ვეღარ ასწრებდა. მეშინია, დედიკო, ეუბნებოდა კედელს, რომ გავიზრდები, მაინც გავიქცევი, შორს გავიქცევი. ცივმა კედელმა მისი მხურვალე ლოყა მიიწება, მისი ფიქრი და მისი სუნთქვა აიმტვერა. ბიჭი მინაზე ჩაჯდა, თავი მუხლებში ჩარგო, ხელები ფეხებს შემოახვია.

მიმყავს ბაჩანა და ისევ დამესმის ზემოდან მონასუნთქი, ფიქრობდა სერაფიტე. ქუჩა ცარიელი იყო, სახლთა კედლებით ვიწროდ გატიხრული. შემალღებული ბორცვიდან მოჩანდა ქვევითა სანაპირო და ქვიშნარიან ნანგრევებთან მიღწეული გალავნის ნარჩენები, ლოდებად რომ მიმოფანტულიყო და მანდვე რომ მისრიალებდა ვრცელი ქარავანი, ან სად მიიწევს ეს ქარავანიც? ფიქრობდა კვლავ, ხალხი და ერები, ისინიც იშვებიან, ცოცხლობენ და ქრებიან სადღაც, იკარგებიან. და ის ქარავანიც სად გაცრეცს და გაქერქლავს ადამიანთა ბედს? ეზრა მასწავლიდა, რომ ერებიც იმავე ენერგიებით იშვებიან, სამყაროებსა და მათ ბედისწერას რაც წარმოშობს. მინდა მჯეროდეს, რომ ასეა, მაგრამ ვინ რას გაიგებს, ანდაც როდისმე გაიგებს ვინმე, რა სიტყვებით იშვებიან ისინი? ბევრი ერი ვიცი, ოდესღაც აღზევებული, დიადი, მაგრამ ბოლოს თითქოს დასასრულის დავიწყებაში გადახვენილი. რა ხდება იქ? ამ პირაკრულ დავიწყებაში რა ხდება ისეთი, რასაც ვერ ვხვდებით? ყველა დასაწყისსა და ყველა დასასრულს ის სიტყვები წარმოშობენ, გარს რაც მარტყია ყოველი მხრიდან? იზადებიან სამყაროები და ერებიც ამ სამყაროებში, რომლებიც ცოცხლობენ მანამ, სანამ ერთი სურვილი ამოძრავებთ – ეძიონ და განვითარდნენ, ეძიონ თავიანთი განვითარების ბოლო, უკანასკნელი წერტილი. ისევე, როგორც მათ კვალს მივსდევ და კარს ვეძებ იმ მეორე მხარეში გასასვლელს და როცა საკაცობრიო ძიებით ბოლო საწყისს მივხვდებით, წრე იკვრება – მხოლოდ მაშინაა აღიარებენ ერთ უჩინარ ქვეყნარს და მასთან ერთად სიცოცხლის დასასრულის უარყოფასაც – მაშინ ერები ქრებიან, ჩვენ არ ვიცი სად, მაგრამ ვიცი, რომ მათი ამქვეყნიური დრო ცოცხალი იყო და მათ ცოცხლად ამოწურეს ის. მაგრამ არსებობს მკვდარ დროში გამქრალი ერიც, ადამიანები – ერთი მოდემისა და სისხლის – ვინც ღმერთის ძიება შეწყვიტა, სურვილი მოიკლა და გულიც დაგვწყვიტა იქნებ – ჩვენი მარგორას უზნეო ჟამისა არ იყოს, რადგან დიდ წინააღმდეგობრიობას დიდი სურვილი წარმოშობს, წინააღმდეგობრიობა მოთმინებას აძლიერებს, მოთმინება იმედის მშობელია, იმედი კი დაუჯერებელს გაჯერებს. მე ალბათ არა არქივარიუსი, არამედ მეოცნებე ერის – რომელიმე უცხო, მეოცნებე ერის შვილი თუ ვარ და ჯერ თითქოს ვერავინ ვნახე ჩემი მოდემიდან. იმ ცხოველი სიტყვების სავანე, იმ ენერგიების სავანე რწმენით, რაც მეხატება, აქაა – სადღაც აქაა, ახლოს და უცნაურად იზრდება, იკუმშება ჩემს გარშემო. ასე არიან ალბათ ერებიც, მათი საარსებო სავანეც მაშინ იზრდება, თუ ერები თავიანთი არსებობისთვის ისეთ საჭიროებას გრძნობენ, რაც სიცოცხლის დასრულების სურვილს ბადებს, ერთი განსაკუთრებული ღმერთის ძიების სურვილს და როცა ვამბობ, რომ ახალი ენა, ახალი სიტყვა მინდა, ამას არ ვგულისხმობ! ამ ღმერთს არ ვგულისხმობ! რა გაამარჯვებინებთ ერებს განადგურებასთან ერთაბრძოლაში, თუკი ყველასთან ერთად საერთო ღმერთი არ გაიჩინონ?! რომლისთვისაც სულერთი იქნება ვინ ვინაა, ვინ როგორ იბრძვის მის საპოვნელად და საერთოდ ეძებს თუ არა მას, ვისაც ადამიანი აღარ სჭირდება, არც მისი საერო თავგადასავალი, იმ წყეულ ერთსახოვან იგივეობაში რომ ჩაიკარგა, ჩაიკარგება და თან ჩაიკარგავს მრავალს, უთავგადასავლო, უსიყვარულო, არათავისუფალ, არაგამარჯვებულ იდეას, ადამიანს, ერს, სიტყვას. მაგრამ დაიტოვებს მკვდარ დროში მოსაჩვენებლად, უმეცრებათა მშვიდობიანი, აფუსფუსებული, ვერაგულად გაყურებული მკვდარი დრო გააქრობს კაცს და საბოლოოდ ერს, სიტყვათა სავანეს – ჟამისა და ათასწლეულების შესაყოვნებელს. დიდი ხანია წუთისოფელს ვაკვირდები, ჩემ წინ რაცაა გადამლილი და მაშინებს ჩემი დაკვირვებაც, წამიერი გააზრება იმისა, თუ რას მიმანიშნებს სუნთქვებიც ჩემ მალლა, ის გარესკნელი და უკანასკნელი, შუაში თეთრი ქვაფენილებით და მასზე მიყრილი შავი მტვრით.

- შენ სულ ჩუმად ხარ და რაღაცეებს ფიქრობ, – თქვა ბაჩანამ, – რაზე ფიქრობ?
- ყველაფერზე, ზოგჯერ საკუთარ ფიქრებში ვიბნევი, ათასი სისულელე მომდის თავში.
- ქარავანს რატომ უყურებ? იქნებ იქაა დედა, მაგიტომ? – ბაჩანამ სერაფიტეს იასამნისფერი სამოსელი მოქაჩა, დასიცხულ შუადღეს, თავზეც რომ გადაეხურა.

ქარავანი სიცხით დაჭმუჭნულ ჰაერში მიჭრილიყო, მიცურავდა და ხალხი მიყავდა – და ბავშვობაში ჩათქმული სურვილით ამტყდარი უკვე ჭაბუკი, უკვე ავადობას შეგუებული, გულში ბოლმადადებული, მაგრამ ფათერაკების მომლოდინე აურუმიც.

თვითონაც ერთ-ერთი, ხალხთან ერთად დამტვერილი, უსახობაში ნაშლილი, აქლემზე მჯდარი, ვინც ახლა ფიქრობდა: ნამოვედი, მორჩა, მე ნამოვედი, – სხვებისგან არაფრით გამორჩეული, ის კმაყოფილი იყო. მხრებდაშვებული, ოდნავ მოხრილი, თვალბითთქოგადმოკარკლული, მსუქნად მოზედილი სახის ჩვეულებრივი ყმანვილი, ისეთივე, როგორებიც თითქმის ყოველწელიწადს ტოვებდნენ მარგორას, აფრიკისკენ, მისრეთისკენ შორს მზერამიპყრობილები, იქნებდა გამიმართლოს ფიქრით, მიდიოდა ხალხი, ვაჭრობდნენ და ოქროს ეძებდნენ.

ბევრი იღუპებოდა, ბევრი იმედგაცრუებული ბრუნდებოდა, ბევრი რჩებოდა და სწამდათ, რომ ყველაფერს სიმტკიცე, ალლო და ბედი წყვეტდა. და ყოველი მათგანი, ურყევე რწმენაში ეჭვშეპარული რომ იქნე და რჩეულია და ბედისწერა მის მხარესაა, გულის სიღრმეში წარმატებისთვის ლოცულობდა.

ქარავანი კი ღარიბი ადამიანებით იყო სავსე, მოუხელთებელი და გაქნილი თაღლითებით, გულგატეხილობაში დაოსტატებული მეძავეებით, ვინც ერთხელაც სცადა ის – იქნებდა გამიმართლოს – და ქარავანს გაყვა იქ, სადაც კარგად ნახმარი ქალის სხეულიც იშვიათობა იყო. ქარავანს თითქოს უფრო იღბლიან მომავალში გადაჰყავდა ხალხი, ქალები, კაცები, ახალგაზრდები, მთლიანად ოჯახები და აურუმიც, ერთი ახალბედა, დამუნჯებული რომ მიჰყვებოდა და ფიქრობდა, ნინ რომ ელოდა მომავალი დიდი ცხოვრება, რომელიც მისთვის ჯერ თითქოს ბუნდოვან უცნობლობაში დაფლულიყო და მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი სიმდიდრის, ფიქრი, რითიც სამყაროს ბატონ-პატრონი გახდებოდა. უცნაურად ჟღერს? ფიქრობდა აურუმი, სამყაროს ბატონ-პატრონი, ცუდი არაა, ამათი არ ვიცი და მე უნდა გამიმართლოს. ამ სამყაროს სხვა გზა არა აქვს, თუ არ გამიმართლა. სამყარო, სახელად მარგორა, მის წარმოსახვაში შემოზღუდულიყო, როგორც უკეთესობის მტკიცების საშუალება და ავადობით გათანგული, ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდა, თუ როგორ გაუჯდა მის ხასიათს ნაკლულობის მოუხელთებელი ბოლმა, საკუთარი არავინობის ბოლმა, რომ აურუმი არ უნდა დარჩეს ვინმედ! როგორ ანამებდა ეს არაფრობა, მე გავმდიდრდები და ყველანი ნახავთ ამას, ფიქრობდა ის, ყველანი განვებით ჩემს ნინ, ყველანი სათითაოდ. მისი დაავადება და თანმყოფი შიში მუდამ აფხიზლებდა და ის სიტყვებიც – მკურნალის სიტყვები, რომ დიდხანს ვერ იცოცხლებს, უხევდა გონებას, შეეძლო კიდევ ათეული წლები ეცოცხლა, ან შეიძლებოდა ახალ წამს მომკვდარიყო, გრძნობით დატვირთული, რომ ისედაც უკვე მკვდარია, ის ნებისმიერ თავის საქციელს გაამართლებდა. ესმოდა კარგად, რომ ავადმყოფობა ბევრ ადამიანს ხვდება წილად და ბევრიც ეგუება მას, ან ებრძვის, ბევრი კეთილშობილი კაციც იღუპება, მაგრამ რა არის კეთილშობილება, სშირად ეკითხებოდა თავს და ვისგანაა ის გამართლებული.

აფრიკაში აღმოჩენილი ალმასების ამბავი რამდენიმე წლის ნინ მოედო მარგორას, მექარავნე სოვდაგრებს როცა შემოჰქონდათ ალმასი, ოქრო და ძვირფასი თვლები, აი, ძალა, აი, გზა, ჩემი გზა გულში, ამბობდა აურუმი, მე გამიმართლებს, დასტაქრებმა არაფერი იციან, რომ აფრიკის მზე, მზე ციებისა და მზე ცხელების, მზე მომავალი ძალაუფლების, სიმდიდრის, ოქროსა და ალმასების, ფულის, დიდი ფულის, რად გადააქცევს აურუმის გულს და რომ მომავალი მის სიჯიუტეზე და ალლოზე იქნება დამოკიდებული – ამ ქარავანს გაყოლილ ყმანვილკაცზე.

ოქროსმაძიებლებით დახუნძლულ ქარავანში, აურუმის დახარბებულ გულთან შედარებით, სხვების იმედი გამდიდრებისა მხოლოდ მიამიტური სურვილი თუ იყო და სხვა არაფერი. არავინ იცოდა, თუ რის შნო ექნებოდა ყმანვილს, ქამარში რომ ჰქონდა ერთი დანა ჩაყოლებული, ზურგზე მოგდებული საგზალი და თიხის ფირფიტა, ნატეხი, ზედ დაკანრული ნიშნულებით, საბადოების მიახლოებითი მაჩვენებლებით, რომლებიც მარგორაში ფარულად იშოვებოდა, ვინრო ქვაფენილებში შემალულ ჩიხში თუ გიმხელდა ვინმე მოგზაური, ან დუქანში მთვრალი თუ წამოაყრანტალებდა ვინმე სოვდაგარი. ვინ რა იცოდა, რომ აურუმი მტკივნეული შეფარვით თუ განიცდიდა საკუთარ სიმხდალეს, ძალამიკარგულ სისუსტეს, რომ ცდილობდა იძულებითი სიმშვიდით დაეფარა განცდა და რომ ცუდად ხმარობდა დანას ან ეს ვინ იცოდა? და ვერც მისი, ყბაში მოდებული მუშტი დააგდებდა ვინმეს, მაგრამ მისი თანდაყოლილი ცბიერება და საკუთარი უსუსურობის დაძლევის, ავადობის არგამოჩენის ჟინი ანრთობდა, რომ ის თავისას გაიტანდა, შეძლებდა და მარგორაში დაბრუნდებოდა პატრონად.

ქარავანს მიყვებოდა ყველა, ვისაც კი გამდიდრების ბრწყინვალეობა იხმობდა; ადამიანები, მონდომებულნი და ნებისყოფით მოჭმულნი, მძიმედ დატვირთულ აქლემებზე მსხდომნი კვეთდნენ უდაბნოებს, მთებს, მდინარეებს, ქვიშებსა და მტვერს, სადაც ღია ცის ქვეშ იძინებდნენ – ფხიზელი, ვერაგი ძილით, თავქვე დანაამოდებული და მათ შორის მიკარგული, ჯერ ყველასთვის არაფრისმთქმელი სახელის მქონე ყმანვილიც ფხიზლობდა სიზმრით... და თითქოს ზმანებამ შეჭამა დრო და მანძილი, არც არავის უკვირდა, რომ სანატრელი ადგილისთვის მიეღწიათ – ძვირადღატქმულ მინაზე მისულიყვნენ, რისდამი რწმენაც – შორიდან გადახიზნულ ქარავანს, ყველაზე სანუკვარ წარმავლობას დაჰპირდა.

მივიდნენ და დაიწყო.

დაიწყო თხრა, ძებნა, პოვნა, – თხრა, ძებნა, პოვნა და სიხარული და ღამეების თევა, მერე ისევ თხრა და ისევ ძებნა და მერე გაცვლა, ყიდვა, შედარება, ჩხუბი, დანების ტრიალი, მოტყუება, პარვა, შლიგინი, გაქცევა, დაკარგვა, დაცვა, დარჩენა, ისევ ძებნა, შეგროვება და სულ ასე... და სულ ასე, ერთი ნდომით მოფხიზლებული ციებ-ცხელება, რომ ქარავანის ნაწილი მარგორაში აღარ დაბრუნდება, გზას გააგრძელებენ, ნაწილი დარჩება, ნაწილი წავა – დაბრუნდება.

საქმეში აურუმიც ჩაება, მაგრამ ჩაება ფრთხილად – ჯერ მყუდროდ მოეწყო მთის ძირას, ღრმად ამოთხრილ ორმოებთან, და ყოველდღე აკვირდებოდა ადგილს, ვრცელ, გაშლილ მიწას, მზით დახეთქილსა და უამრავი დამტვერილი და ბინძური მაძიებლებით ნაჩიჩქნს, იქვე სადაც ეძინათ, იქვე სვამდნენ და იქვე ჭამდნენ, ადლეგრძელებდნენ და ბილწსიტყვაობდნენ და ერთმანეთს ჭრიდნენ დანებით, უმნიშვნელო

დავაზეც კი იმეტებდნენ მოსაკვდინებლად, რადგან უკვე ნათელ იყო, რომ დღითიდღე საშიში ხდებოდა ვინმეს ნდობა. ყველაზე შეძლებულები კარვებში ცხოვრობდნენ, ზოგი მათთან სამსახურში დგებოდა მოლაპარაკებით და მცირე ვადით. საჭმელმა და წყალმა ფასი იმატა, გაძვირდა ქორფა, ახალი, ტყუილ-მართლით ჩამოღწეული მეძავიც, გაჩნდა მცირე ბაზარიც, ადგილზევე დაიწყო ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ აურუმი არ დაინტერესებულა არც ქალებით და არც არაფრით, მას მხოლოდ ოქრო უნდოდა, მხოლოდ ოქრო მინდა, აბა რა? მერე იქნებიან ქალებიც და ვინც გინდა, ფიქრობდა ყოველ ჩაძინებისას და ფიქრობდა გამოღვიძებისას, ფიქრობდა სიზმარში ჩაყოლებული ნდომით, მე ვხედავ ოქროს, ოქროს და ძვირფას თვლებს, ისინი მელიან, ფიქრობდა ყოველ წამით და ყოველთვის უმართლებდა, ყველაზე ადვილად პოულობდა და შეპყრობილივით შრომობდა, მე ვიყიდი სიცოცხლეს და ვიყიდი სიკვდილს, მისი ავადური გულის თითოეული ფეთქვით გრძნობდა საკუთარი შეპყრობილების სიცხადეს და აღმასებიც თითქოს თვითონვე აჩვენებდნენ სამყოფელს – აურუმიც არავის უმხელდა მონაპოვარს, არც იკვებინდა, არც სიხარულს იმჩნევდა, საქმე მხოლოდ ადრეჩამოსულ ბედუინებთან ეჭირა, თითქოს ვნებით დაჯილდოვებულიყო და ამ საშიშ თამაშში ჩაბმული, ყოველთვის მზად იყო ხელსაყრელი პირობა სასიკეთოდ გამოეყენებინა. ცბიერი ალღო არ ღალატობდა.

სარგებლობდა რა ბედუინებთან საქმის კარგადმცოდნის სახელით, ყველაფერს ადვილად გაართვა თავი, შემპარავად და შეუმჩნევლად. თანდათან მიწისმთხრელები დაიქირავა, მწმენდავები, აღმრიცხველები, მცველები... ვერავინ ამჩნევდა და ვინც კი ამჩნევდა ვერ გაეგოთ, თუ როგორ მოახერხა ერთმა, სხვებისგან თითქოს არაფრით გამორჩეულმა ლანირაკმა ამდენი, ანდა როგორ დააარსა ადამიანთა ერთგვარი ჯგუფი, პირადად მასზე რომ მუშაობდნენ და თავიანთისაც იგროვებდნენ საკმაო ქონებას, რაც ასევე ნელა, თანდათანობით, აურუმის საკუთრებაში გადადიოდა. ასევე გაუგებარი იყო, საშუალო სიმაღლის, მხრებში მოხრილი, ოქროს სილით დაბადებიდან თმებზე მიპნეული აურუმი, როგორი მოთმინებითა და სიდინჯით მიიწევდა წინ, ალგზნებული არა ჩვეულებრივი მონდომებით, არამედ უცნაური ფხიანობით, მენარმეობის გარკვეულობით.

თავიდან მოგზაურ ბედუინებს მიჰყიდდა ნაპოვნი თვითნაბადების ნაწილს და ფულს მიწებსა და ძლიერ იარაღებში აბანდებდა, რითიც დიდ სიღრმეებში შეიძლებოდა თხრა. ამოჰქონდა ალმასი და ნაწილს ასევე მისნაირ ოქროსმადიებლებს უცვლიდა, ან მთლიანად მათ ყიდულობდა და თავისთან თემში სთავაზობდა სამსახურს. მან ზუსტად იცოდა, სად მოედებნა ოქრო, მაგრამ როგორ ახერხებდა ამას... ეგ თუ ვუთხარი, ამათ რა გადაურჩება, ოქრო მე მჭირდება, განა ამათ, ფიქრობდა აურუმი, როცა მასზე მიპყრობილ შურიან მზერებს ჩაუვლიდა. თითქმის უკლებლივ ყველას ერთნაირი გრძნობა დაეუფლათ, რომ თითქოს რაღაცა გამორჩათ, გამოეპარათ, რადგან მათ თვალწინ, რამოდენიმე თვეში აურუმი ერთი დიდი საბადოს მეპატრონედ გადაიქცა, გაშალა კარვები და პირველმა შემოლობა თავისი ნაკვეთი, სადაც გამუდმებით შრომობდნენ უკვე გამოჯამაგირებული მადიებლები. აურუმი თავისი ცივადნამიანი თვალებით აკვირდებოდა თითოეული დაქირავებული მუშის ქცევას და ყოველი გვერდითმყოფის საქციელს და მოკლე ხანში უკვე ყველაზე ყველაფერი იცოდა. გაიჩინა პირადი დამსმენები, რომლებსაც კარგად უხდოდა, პირადი მცველები და მტკიცედ შეკრა გონივრულად ჩამოყალიბებული ჯგუფი. ძლიერი ნებისყოფა გამოუშუშავდა, გაიზარდა, დაკაცდა, გამდიდრდა. და ისიც თვალმისაცემი იყო, რომ ბევრი მეგობარი არ ჰყავდა, რომ ბევრი კი არა, საერთოდ არავინ ჰყავდა; მისი ერიდებოდათ, ეშინოდათ და ამბობდნენ, რომ ეშმაკი კარნახობსო ოქროთა სამალავს, მაგრამ აურუმი ფარული სიხარულით ამაცი, სიდინჯითა და სისხლში გამჯდარი დუნე ცბიერებით, დუნე მოთმინებით საქმიანობას აგრძელებდა, რაც არწმუნებდა, რომ ოქროს მიმზიდველობითა და აღმასების გამჭვირვალე ბრწყინვალეობით ნებისმიერი რამ მოხერხდებოდა მზისქვეშ. ერთადერთი, ვინც ახლოს ამოიყენა და საღამოობით მასთან საუბრობდა ან დროს ატარებდა, ასევე მარგორადან წამოსული კაცი იყო, ქარავანს გამოყოფილი და ახლა მისი მარჯვენა ხელი, საქმეების აღმრიცხველი და მომწესრიგებელი, ვისაც ის ბედუინებთან მოლაპარაკებას ანდობდა, ანდობდა საქმის წარმოებას. ყოფილი თოკზემოსიარულე, ვინც მარგორას მოედანზე ართობდა შეკრებილთ, ტანში აჭრილი, მხნე გამოსხედივის მქონე ადამიანი და საყვირზე დამკვრელი, ორ-სამ დრაჰკანს თუ იშოვნინდა დღე-ღამის განმავლობაში და ახლა აურუმთან მომუშავე, მირინოსის სამოსლით დამშვენებული, ყურადღებით უსმენდა მას:

– დღეს კიდევ ერთი ქარავანი გამოივლის, – თქვა აურუმმა, – დიდი არა, ხუთი, ათი აქლემი, ფარდაგები ექნებათ, ქსოვილები, უნდა ვიყიდოთ, მოელაპარაკე.

– კარგი, ვიზამ, – თქვა მეგობარმა.

– მალე ქარები დაიწყება, კარვებია გასამაგრებელი, არ დაგავინყდეს, ხმლებზეც უთხარი, ოქრო მიეცი, იცი რამდენიც, თუ დამასკოს ფოლადია, მით უკეთესი, დაცვას სჭირდება.

– ასეც ვქნათ, – მეგობარმა პერგამენტი გაშალა, კალამი მოატარა, – შემოსავალი თითქმის ყოველდღე გვეზრდება, დილით მუშებმა კიდევ ერთი სპეკალი ამოიტანეს, დიდი ალმასია.

– სანამ განმეიდნენ, მომიტანონ, კიდონტი არ მიაკარონ, ჯერ მე უნდა ვნახო ეგეც და ისიც, მუჭისოდენა ოქროს რომ მითხარი, მერე ქარავანს დახვდი, – აურუმი შებრუნდა, ტიკიდან ჯამში წყალი დაისხა, სახე გაიგრილა.

– სამი დღის წინ გულთმისანი ჩამოჰყვა ქარავანს, – თქვა მეგობარმა, – ქალია, წინასწარმეტყველობს, ყველა მაგასთან დადის. გინდა მოგიყვანო?

– მე რად მინდა, – თქვა აურუმმა, – ისეთი რა უნდა თქვას, რაც არ ვიცი.

– ზუსტად ჯადეგობსო და რა გითხრა.

– მაგათმა რა იცინა, – ადგა აურუმი, – თუ გინდა, მომიყვანე, მე საცავში მივდივარ, – დააყოლა გასვლისას, – მერე იყოს.

მცველების რიგი გაინია, აურუმი საცავში შევიდა – მინის თხრილებში ჩამალულ კარავში. სკივრებში ოქროები ენყო, შემოგველე, ჩაიჩურჩულა, შენ შემოგველე, გაიმეორა და ხელი გადაუსვა, მტევანი გაუთრთოლდა. ოქროს ერთი ნატეხი სახესთან მიიტანა, თითქოს სანატრელ ქალს ეფერებოდა, ცოტაც კიდე და დავბრუნდები, გაიფიქრა, მინებზე კაცს დავტოვებ და მე კი მარგორაში, აქ აღარ, სკამზე განვა, ხერხემალთან იგრძნო კუნთების გაბუყება, მოეშვა, მაგრამ უცებ ნამოხტა ელდანაცემი. მას ხომ არასდროს სძინებია მშვიდი ძილით და არც თავს უტყდებოდა, რომ ყოველთვის ეშინოდა ღრმად ჩაძინების – რომ აღარ გამეღვიძოს?! – იაზრა ნამომდგარმა და თავში ტკივილი შეუვიდა შფოთის სურათით – ხშირად ეჩვენებოდა რალაც ურჩხული მისკენ როცა მოჰქროდა სიზმრად, გოდებითა და გმინვით ფუფქავდა სიზმარს და აურუმსაც თავს ესხმოდა წლების წინ ნათქვამი, მკურნალის სიტყვები, მაგრამ მაშინაც და ახლაც კარავში მდგარმა, გლუვი სიმშვიდით თავში ჩაიმარხა უმწეობა თავისი და წამისწინ ოქროებზე განვენილს შრო მიეცა სხვებისთვის წყევლაძეცუელი, ძალაუფლება მოყვარულობის ავი უნარ-ჩვევა, სხვებზევე მეტად რამაც გაამდიდრა და გაამაგრა მარგორაში დიდად დასაბრუნებლად, ჯერ ცოტას დავრჩები და მერე ნავალ, გაიფიქრა და თავზე დაისვა ხელი, კარვიდან გავიდა.

ბაჩანა ტუჩებმოკუმული აკვირდებოდა სერაფიტეს, მისი მოსასხამისთვის რომ წაეწლო ხელი. რატომაც სულ ჩაფიქრებული, ფიქრობდა ყრმა, ტალღები, ზღვის ტალღები... რომ გავიზრდები, ვიმოგზაურებ, უცხო ქვეყნებში ვივლი მეზღვაურებთან ერთად გემებით, – მე რომ გავიზრდები, მოგზაური გამოვალ, – თქვა ბაჩანამ, – ოღონდ ჯერ დედა უნდა ვნახოთ.

– მოგზაურობა დიდი ბედნიერებაა, – თქვა სერაფიტემ, – გიყვარს ზღვა?

– ძალიან.

– მეც. კაცმა გინდ მთელი დედამინა შემოიარე, იმდენს მაინც ვერ ისწავლი, რასაც ზღვა გასწავლის.

– რატომ?

– გინდ ნაპირზე იჯექი და ტალღებს უცქირე, გინდ ზღვაში შედი, სულერთია, მისგან უფრო მეტს გაიგებ, ვიდრე სხვისგან და ვერსად იპოვი იმას, რასაც ზღვა გაპოვნინებს, მისთვის ყველა ძველი საიდუმლოა ცნობილი, მაგრამ იშვიათად ვინმემ სიტყვა ათქმევინოს, მან მომავლის საიდუმლოებაც წინასწარ იცის და ჩვენ ნიჟარებს ვიდებთ ყურზე, რომ იქნება და, სასწაული ახდეს და მოვისმინოთ ის, რაც ჯერ არ გვსმენია.

– და მერე რა მოხდება?

– როდის მერე? როცა რამეს გავიგებთ?

– ჰო, როცა სასწაული ახდება.

სერაფიტე გაჩუმდა, პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. არ ვჩაქრობ კი არა, არ ვიცი რა ვუპასუხო, იაზრა საფიქრალში. რა უნდა მოხდეს ისეთი, რაც ჯერ არ მომხდარა. ეზრა, ეზრა, როგორ მჭირდები, გამზრდელი ჩემო, შენ გეცოდინებოდა ამ კითხვის პასუხიც, მაგრამ ვინ უწყის შენი ბედი?

ქუჩაში, სახლის კარის წინ ხავედის ნოხები გამოეტანა ერთ დედაკაცს, ჯაგრისით წმენდდა. რატომ არაფერს მეუბნება, ფიქრობდა ბაჩანა, სველი ხავედის ძოლოს გადაახტა, სერაფიტეს წინ გაირბინა.

ოქროს ხავედზე, თავის გაჩირადლებულ კარავში აურუმი წამოწოლილიყო, ჯადეგი წინ ეჯდა შავ სელში ჩაჩრდილი. მწვანედ შეღებილი თვალები სანთლების ალში უხილავს უმზერდნენ თითქოს – აურუმს უყურებდნენ, მაგრამ მის მიღმაც ხედავდნენ ხვალინდელ, ზეგინდელ ყმანვილს და ზოგჯერ მაჯებზე ასხმული სამკაულებიც გაიხმაურებდნენ, როცა ნახშირად დაჟანგებულ თმას ისწორებდა მარჩიელი, თითქოს უსმენდა, დროის გულისხმას აკვირდებოდა, აურუმის ხელისგულებსაც და ყოველ ხაზს მათზე მონიშნულს, ბედით მინანერს... ო, რამდენი ხელისგული უნახავს ამ მაცდურ თვალებს, რამდენი გაბრიყვებულა მისით, თვითდაჯერებით რომ აჯადოვებდა კაცსა თუ ქალს, ბავშვსა თუ ბებერს, ვაჭარს თუ მეომარს და შეყვარებულებს და ქურდებს, მექარავნებს და კიდეც ყველას.

ჯადეგის გრძელი ფრჩხილები კლანჭებად ეჩვენა აურუმს. შავ კაბაში ჩახსნილი მკერდი და წვრილი, წითელი ტუჩები აზრს უფანტავდა. ლოყებზე ჩამოვიწრული ორი ნაოჭი – მრავლისმნახველის ასაკის ნიშნით აიძულებდა მჯდარიყო, მორჩილად მიეცა თავისი ხელები და ურწმუნოება დაემალა, დამცინავობა დაემალა ცნობისმოყვარეობასთან დაქიშპებული.

– შენ ძლიერი ხარ და უფრო ძლიერი შეიქმნები, – კაცისას ნააგავდა ჯადეგის ხმა, – რა გინდა გაიგო, რაც იყო თუ რაც გელის?

– რაც იყო შენზე კარგად ვიცი, ის მითხარი, რაც უნდა ვიცოდე.

– მიაღწევ შენსას. დიდი გზა გელის.

ერთიდაიგივე, როგორც ყოველთვის, გაიფიქრა აურუმმა, ამ მკითხავებმა სხვა სიტყვები არ იციან.

ჯადეგმა აურუმის ხელისგულს ფრჩხილი გაუსვა, – მალე ერთი ქალაქის პატრონი გახდები, – შეხედა, – მზად ხარ ამისთვის?

– რისთვის? – გაეცინა აურუმს.

– რაც გინდა იცოდე.

– შენ თვითონ თუ ხარ მზად, რომ მართალი მითხრა? ჯადეგმა არაფერი თქვა. არც მოაშორა მზერა.

– თქვი, რადგან მე იმდენს გადაგიხდი, რაზეც არც გიოცნებია, მტერი ვინ შეყოლება, როდის რა მელის, თქვი!

– დიდი ომი დაიწყება.

– ვისთან?

– თავიდან მშვიდად იქნები. შენი იქნება ყველა სოფელი, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, იმ შენს ქალაქთან ახლოს რაცაა, რომის დონეზე გადაწყდება შენი საქმეები, გამდიდრდები ყველაზე მეტად, მტერს მოიშორებ და ორი ვაჟი გეყოლება.

– შვილები, – ეჭვით შეხედა.

– შვილები, – ჯადეგმა კიდევ მიუახლოვა მზერა და აურუმიც თითქოს შეიშშშუნა, მისი მწვანედგაღებლი, რალაც არასუფთა თუ მიუჩვეველი მზერით, თითქოს თვალებში არა, არა გულში და გონებაში და არც სულში უყურებდა ის, თითქოს საერთოდ არც უყურებდა, მაგრამ მის იქით ჭვრეტდა, მის ზურგსა და კარვის იქით სათითაოდ დახატულ, მტვრიან აღმურში მაცქერალიც ყოველ საქციელს ადევნებდა მზერას, – არ გჯერა? – ნახშირი თმები სახეზე ჩამოეშალა, – მომავალი წარსულშია.

– მჯერა, – თქვა აურუმმა, თავი მოიფხანა, ოქსინოს დაეყუდა, – მაგრამ ომი?

– პეტრიდიდე თუ გაგიგია, მომთაბარე კომანდერი, დიდი კონდოტიერი?

– რალაც მსმენია მასზე, – წარბი აუხტა.

– მასთან მოგიწევს.

წარბიც აუხტა და სახეც ეცვალა აურუმს, სიზმრად ხილული ურჩხულის გმინვა დაესმა ფიქრზე.

– მაგრამ თუ მოწყალე იქნები, ომი აგცდება.

– მოწყალე. რა იცი შენ, მოწყალეა რა არის!

– არავისთან მინახავს ამხელა ძალა და გამდიდრების სურვილი, როგორც შენთან, მაგრამ...

– მითხარი, მოვკვდები?

– ყველა კვდება.

– როგორ მოვკვდები, მითხარი ჩქარა! – ბრაზი აუხმაურდა სხეულში, ყელში აანვა.

– რად გინდა იცოდე. ამის დროც მოვა.

– მითხარი-მეთქი! – ხელი აკრა, უკანვე შეცოცდა მუთაქებში, ზურგით მიეტმასნა კარვის ტყავს, ბალიშები შემოილაგა.

– ერიდე მამაშენს, – ადგა ჯადეგი, შავი კაბა და მოსასხამი ჩამოეშალა, ხელი გაუშვირა, – მომეცი. მეტს ვერაფერს გეტყვი.

მისი მკაცრი ხმა მგლის ყმუილად ეცა აურუმს. მიხვდა, ის არაფერს ეტყოდა. სიბრიყვეა, გაიფიქრა და მოეშვა.

– შენ შეცდი, – თქვა აურუმმა, – რადგან მე მამა არ მყავს, – ქედმაღლურად გახედა, – რაო ჩემო მისანო? მე მამა არა მყავს! აი შენი შეცდომა, – აურუმიც ადგა, მუთაქებზე გადმოაბიჯა და ქალს ვერცხლები ჩაუყარა ხელში, – ამ ბოდვაში საკმარისზე მეტს გაძლევ და ნადი ახლა, დამეკარგე.

ქალმა ფული გადათვალა. კარვიდან გადიოდა აურუმს რომ გამოხედა.

– მიდი, მიდი, – იცინოდა აურუმს, – ეს შტერები მოატყუე, უთხარი სად გათხარონ.

ქალი კი უყურებდა, როგორც თავხედ ბავშვს გახედავენ, როცა აზრი აღარა აქვს რამით უშველონ მის სიტუტუტუს. კარვის მრუმეში ამონათებულ აურუმის სახეზე მართლად ხელისგულივით რომ გადაშლილიყო ყმანვილის ანწყო, მომავალი და უკვე წარსულიც!

აურუმს ხავედზე განვა, ხელები თავქვე ამოიდო, რა შტერები არიან, არხეინად მიეცა ფიქრს, ჩემი ბრალია, მაგრამ ქალაქის პატრონიო, მომეწონა, გაინებვირა აზრად, თითქოს ჯადეგის ჯადო მოშორდა, ოთახშიც იმატა შუქმა, სანთლები კი ჩვეული ღვენთით ინვოდნენ, მაგრამ ის მძიმე გაბრუება გაფანტულიყო, მწვანედ გაღებლი თვალებიც ჩრდილად მიქრა და აურუმმაც ხელი დაიდო გულზე, რომელი მამაჩემი, აგერ რომი, აგერ ოქრო და აგერ მე, თუ ჭკუით მოიქცა კაცი, მინასაც იყიდის და ცასაც, ფიქრობდა აურუმს შიშებთან, მარტოდ დარჩენილი, დროსაც და მომავალსაც.

შენ თვითონ ანმყო ხარ, საგონებელში გაბნეულიყო სერაფიტე, სანამ ცოცხალი ხარ, ანმყო ხარ და თუ უკვდავებას ეზიარა შენი სახელი, სიკვდილის შემდეგაც ანმყო იქნები. ახლავა ვხვდები თუ რამდენი სიცოცხლე უნდა იცოცხლოს კაცმა და რამდენჯერ უნდა გაიაროს სიკვდილსა და დაბადებას შორის, მხოლოდ ეს ორი კარი რომაა კონკრეტული, განსაზღვრული და ყველაფერი დანარჩენი რომ პირობითია მათ შორის, როგორ შინაარსაც მისცემს მას კაცი – ამ პირობითობას როგორც შეეგუება, ისეთივე იქნება ისიც, შეუფარდებს რა თავის შესაძლებლობებს, ისეთივე იქნება მისი ანმყოც, თუნდაც ათასჯერ მოუწიოს იმავე ხედვებზე და უღელტეხილებზე სიარული, იმავე შეცდომებით, სურვილებითა და იმედებით – და წინ ისევ კვადრილიონი შეუვალი სამყარო, გაუთავებლად ბევრი ერთიდაიმავე მოულოდნელობებით, სანამ კაცი იმ საოცარ წამს არ წაავლებს, თავის ბასრ და ფხიზელ ფიქრს არ მოუჭერს დროის დინებიდან თევზივით ამომხტარ წამს და აღმოაჩენს, რომ უცნაური ამბის მონაწილეა.

უცნაური მხარეა მარგორა, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალი წარსულში აქვს და აურუმსაც ჯერ წარმოდგენა არა აქვს, ჩვენც რომ უკვე ვნახეთ მისი მომავალი, ისევე როგორც წინასწარმეტყველები ხედავენ უკვე დაწერილ სიტყვებს.

ბაჩანასაც დუმილით აეპყრო მზერა, ცას აჰყურებდა, ღრუბლით ჭორფლიანს და სერაფიტესთან გატარებული ის ერთი ღამე გაელანდებოდა ფიქრად, რატომ ამახედა ზემოთ? ფიქრობდა ყრმა, რატომ მითხრა, აიხედეო და თქვი რას ხედავო? აი, წეროა, წერო დაფრინავს და აი, ის ღრუბლებიც, სასახლეებს გვანან, თაღები, აივნები, კოშკები, ღრუბლის სასახლეებია, ნეტავ ჯადოსნური თუა, ან ვინ ცხოვრობს იქ? ანდა ღრუბლებს როცა ქარი გაფანტავს, სასახლეც გაქრება და ის კოშკებიც? როგორც ის თეთრი სვეტები რომაა შემორჩენილი.

სასახლის აივანზე აურუმი იდგა. სტრატულებს გადაჰყურებდა, ერთმანეთზე მიმჯდარ სახლებს, ფინიკის პალმებსა და წეროს, ფრთებგაჭიმული სახურავებს ზემოთ რომ ფრენდა, ისრად გახაზული, ზღვისა და ცის შორეულ ფონზე. პორტუსში ნიჩბიანი სავაჭრო გემები და კატარლები მოჩანდა, ვარდისფერზოლიანი იაქლები, ჩანდა ქალაქის მოედანიც – ოთხი შემოსასვლელი თალი და შუანაშენი ჭა, გრძელი ავაზანით, აქლემები და ადამიანები, მზით დათბილული ქვაფენილები.

წელიწადნახევარი, ფიქრობდა აურუმი, წელიწადნახევარია და რამდენი მოვახერხე... ჯერ სად ხარ, როგორც ჩავიფიქრე ისეა და ისე იქნება, სამოსლად მორგებული ოქსინო მზებზე უბრწყინავდა, ქალაქის სითეთრე გადმოწეულ, წყლიან თვალებს ტკენდა. სახე მტვევნით მოიჩრდილა, ოქროს ნაყმით ნაქარგი მოსასხამიც მხრიდან ჩამოიგდო და სკამზე ჩამოჯდა, სპილოსძვლის საზურგეს მიეყრდნო.

გრილი სიო უნელებდა ფიქრს და კიდევ სკამის უკანმდგარი მონა, პალმის ტოტებით გაჩეხილ საჩრდილოს როცა უნიავებდა პოლიტარქს. ხალხი ბრიყვია, ამათ ჰგონიათ, ამათი ნებითა ვარ პოლიტარქი, ფიქრობდა აურუმი, თქვენს პატრონად გამამეფეთ? რომ თქვენზე პასუხი ვაგო? მეტი საქმე არ მაქვს. ავშარაჯი მოსვა, ზეთისხილი დააყოლა, მოზაიკით დაფენილ იატაკზე გამალა ფეხები და აივნის მარმარილოს მოაჯირს დააყოლა თვალი, ფარშევანგი რომ იჯდა.

ფრინველის ბუმბულის ერთმანეთში გამდნარი ფერადოვნება მედიდურად ერწყმოდა მთლიან მოზაიკას და დიდ, მძიმედ დაკიდულ ფარდებს, თხელი სიო რასაც წამოზნექდა ოდნავ. ნაბიჯის ხმა ეცნო, გამოიხედა – მეგობარი იყო, ადრე თოკზე მოსიარულე, ახლა მისი საქმეების მმართველი, კიბეებზე ამოდიოდა, მოსასხამის კალთები მკლავებზე წაეფინა.

– ბაღში გეძებდი, არ იყავი. მივხვდი, რომ აქ იჯდებოდი, – აურუმის პირისპირ ჩამოჯდა, – უნდა დავილაპარაკოთ.

– რა სიმშვიდეა, არა? – თვალები მოეხუჭა აურუმს, – ავშარაჯი უნაბისაა, მოგადუნებს.

– რაღაც უნდა შეიცვალოს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, – მეგობარმა ზეთისხილი აიღო, წვენი მოსვა და წედა იატაკზე დადგა, – ამათი ცხოვრება ციხეა, ამას არავინ გვაპატიებს.

– ციხეს? – მონას ხელი გაუქნია, მანაც თავი დაუკრა, გავიდა, – აბა, თქვი, რა განუხებს? ჩემს მერე პირველი კაცი ხარ, რომშიც მალე გაგიცნობენ. რით ხარ უკმაყოფილო?

– ისე არ გაიგო, თითქოს შენი პოლიტარქობა მშურდეს, მაგრამ ხალხს რომ ვატყუებთ და თავსაც – ცუდია. რომი დიდია და მისი დასტურით რომ ვართ, ესეც მესმის. სამაგიეროდ, მათ სანაპირო დავუთმეთ, ყველაფერს ვყიდით და ვყიდულობთ და ისევ ვყიდით, რისთვის? ხალხი დაიხოცა, ბევრი უდანაშაულო ციხეში გვიზის, ჩვენც იგივე ბედი არ გვეწვიოს, პეტრიდიდე ცალკე ბობოქრობს და ამ თამაშში კეისარი როგორ მოიქცევა, არ ვიცით. რად გვინდა ამდენი...

– მოიცა, ნუ გააჭენე! ყველაფერს დრო უნდა, საქმე აწყობილია, არსებობს რომი – მორჩა და გათავდა! წილს ვიხდით, ის ჩვენ გემფარველობს და შენ ამათი დარდი გაქვს? პეტრიდიდესაც ეშველება, რატომ ვერ ითმენ. იქნებ თქვა, რომ რამეს უკანონობას ჩავდივარ? წესრიგია, მშვიდობაა.

– ადამიანს სიამაყე მოუსპე. პიროვნებას ებრძვი?

– სახალხო კაცად როგორ აგირჩიეთ, დაგავინწყდა?

– ეგ რატომ თქვი? სენატორებთან გაგზავნილ ძღვენს გულისხმობ?

– ახ, ძღვენი! მაშ, შენი აზრით მათი მოსყიდვა...

– არა, მომისმინე...

– შენ მომისმინე! ჩვენ ერთად ვდგევართ, აფრიკაშიც ერთად ვიდექით და აქაც, წილი ნაყარია, გახსოვდეს მუდამ! ჩვენ ის რუბიკონი გადავედით, რაც ბედმა გვარგუნა.

– რომელი ბედი? მე ამას არ ვგეგმავდი.

– ან არავინ არაფრის ღირსია, ან ყველა ყველაფრის.

– ხალხმა აღარ იცის, რა უნდა, რა ქნას...

– რა უნდა უნდოდეს კაცს გარდა ერთისა, ფული. სხვა რა? – დამცინავად გაიბადრა აურუმის სახე, – რადგან მიეცი კაცს აუცილებელი თავისი არსებობისთვის და ის ცოტა ხანში სიმყუდროვეს მოგთხოვს, მიეცი სიმყუდროვე, ის ფუფუნებას ინატრებს, გინდ ჩამარხე ამ სანატრელ ფუფუნებაში, მალე დაკარგავს მოსვენებას და რალაც გამოორჩეულის, განსხვავებულის ძებნას დაიწყებს. მიეცი, მიეცი ყველაფერი, რაც მას უნდა და ის ბავშვივით აწრიალდება, ტირილს მორთავს და მთელ ქვეყანას გაებუტება, რომ მოატყუეს, რომ დაპირდნენ და არ მისცეს ის, რაც უნდოდა, რომ რაც მიიღო, სულაც არ იყო ის, რაც უნდოდა, ამიტომ ვიცი, რასაც ვაკეთებ, იქნებ სიგიჟისგანაც კი ვიცავ მათ.

– შენთან საუბარი შეუძლებელია, ადრე თითქოს არ იყავი ასეთი, არ ვიცი, თითქოს მართალი ხარ. მაგრამ ხალხი მაინც იღუპება. იყოს ასე, ახლა არ მცალია, უნდა ჩავიდე, კვიპროსიდან გემი დაბრუნდა, უნდა დავხვდე, სპილენძი ჩამოვატანინე, სალამოს კიდევ ერთი გემი შემოვა, აფრიკიდან მარილი მოდის, საუბარი მაინც უნდა გავაგრძელოთ.

– როგორც ინებებ, ბაღში დავსხდეთ, – აურუმმა წვენი მოსვა, – დატკბი ცხოვრებით და მოვლენებს ნუ დააჩქარებ.

მეგობარი წავიდა.

აურუმი მოაჯირთან მივიდა, ბაღს ჩახედა, ბრონეულისა და აკაციის ხეივანს, აუზში თევზები ცურავდნენ. არ გადამიდგეს, გაიფიქრა, თორემ მარტოლა ვრჩები, სასახლის თავზე წერომ გადაიფრინა, თვალი ააყოლა და შემდეგ ფარშევანგს ჩამოხედა მოაჯირზე შემომჯდარს, გრძელი ფერადი კუდი იატაკამდე დაეშვა. მზის ელვარება მწვავედ ცურავდა ფრინველის ბუმბულზე. აურუმი ჩაღონდა, იქნებ დროა, ორიდან ერთი დარჩეს, გაჩხაპნა ფიქრმა, ვნახოთ.

სალამოს ბაღში იასამნის სურნელი იდგა.

პოლიტარქი და მეგობარი პალმის ჩრდილებში მუხის ჰორლებზე იწვნენ, ოქროს ჭედურობა რასაც მირტყმოდა. ღვინოს მიირთმევდნენ და ხილს. ბრონეულის ქალასთან მუსიკოსები უკრავდნენ, დაფისა და ნესტვის ბგერები მსუყედ იბნეოდა ბაღში. აკაციის სირბილეში პეპლები ტორტმანებდნენ და აწონილი ბამბუკების ქვეშ, გალიაში მძინარედ გამხალართულიყო ჯიქი. აუზზე ლოკოკინები მინებებულებიყვნენ და შიგ დაფოთილილი წყალიც ამდროისთვის მიძინებულებიყო უხმოდ.

– პოლისერების სამსახური რომ წამოიწყე, – მეგობარი ჰორლიზე წამოჯდა, – და თავის ხოშზე მიუშვი, მაშინ გითხარი...

– ვიცი, რაც მითხარი, – თქვა აურუმმა, – ყოველთვის მეოცნებე იყავი. სინამდვილეში კი ვერ ხედავ, რა ხდება.

– მე თუ არა, აბა, ვინ?

– ყველგან ზედმეტი ადამიანები გეჩვენება, ან საერთოდ რას ნიშნავს ზედმეტი ადამიანი.

– რას და მარგორას რომ თავიდან ბოლომდე ყიდი, მაგას! ეგ გითხარი, გავჩერდეთ-მეთქი, შენ შენი არ მოიშალე და აი, რა მივიღეთ. იქნებ განგებ აკეთებ? გაუთავებლად პირდები ყველას ყველაფერს, მაგრამ სხვა რამეს სჩადიხარ. და ის ზედმეტი ადამიანი ცარიელი სიტყვა არაა.

– გასაგებად თქვი, შორიდან უვლი.

– ჯერ ერთი, მანანნალა ბავშვები, მათხოვრები, ისინი ადრე არ იყვნენ, ახლა გაჩნდნენ, ეს ბოლო ხანია, სანაპიროზე რაც რომაელები დადგნენ, წვრილი ვაჭრები და ჩარჩები დღედაღამე მოედანზე დგანან და რასაც იქ ყიდულობენ, იქვე ყიდიან, რომ ორი ვერცხლი იშოვნონ, უმუშევრები – არავის საქმე არა აქვს. არაა საკმარისი?

– სისულელეა. უმუშევრები სად არიან? სად?

– ისინი არ სჩანან, რადგან სახლებში სხედან და ღმერთმა იცის, როგორ არსებობენ, რით ცხოვრობენ, მეზადურებიც კი, ზედმეტები არიან, შენზე მუშაობენ, მაგრამ სასაცილო გასამრჯელოს იღებენ ან ხშირად იმასაც არ იღებენ და იგივე უმუშევრები არიან.

– რანაირად? ახლა არ თქვი, მეზადურები არიანო? ჩემზე მუშაობენო?

– მათ მომავალი არა აქვთ ისევე, როგორც ახალგაზრდებს, რომელთაც ასევე სრულიად გაურკვეველი მომავალი ელოდებათ თუ პოლისერებად არ ჩადგნენ, რომ საქმის ძიებაში ისედაც დაუსაქმებელ ხალხს ეცილებიან, ამან უამრავი ჯგუფები წარმოშვა. გამოდის, რომ ზედმეტი თვითონ მარგორაა, გარედან შეღებილი და მოთხიპნილი, შიგნით კი დანგრეული და ცარიელი, და ჩვენ მათ არ ვიცავთ. როდემდე? ან რატომ? დღეს-ხვალ შეიძლება ომის წინაშე დავდგეთ, შემდეგ რალა ვქნათ? მშობლები შვილებს სახლებიდან

ყრიან, ყველა მეძავობაზე და სამარცხვინო ჩარჩობაზეა გადასული, როგორმე რომ თავი გაართვას, უკვე თვითმკვლელობის შემთხვევებიცაა, ერთმა...

- ერთი ეს მითხარი, - გაანყვეტინა აურუმმა, - რა აზრი აქვს მათ ასეთ ცხოვრებას?
- არანაირი.

- ჰოდა, აბა, რა გინდა. გინდა რომ კიდევ გამრავლდნენ? ჯერ მითხარი, ყოველ მოქალაქეს ოჯახების მიხედვით რამდენ დრაჰკანს ვაძლევთ დახმარების სახით?

- სამს, მაგრამ კარგი, მაშინ ასე გეტყვი...
- თვეში! არ დაგავინყდეს, თვეში ვაძლევთ სამს.

- მაგრამ ყოველდღიური გადასახადიც ხომ დანესდა, ხან ერთი დრაჰკანი, ხან ორი, ვინ ვის ეხმარება კიდევ გასარკვევია. შენი ასეთი სისტემა, ყველაფერზე გადასახადების დანესება - ერთნაირად ხოცავს ყველას, გითხარი თვითმკვლელობა-მეთქი და აი, მიზეზი - ველარავინ უძლებს, ნუთუ ვერ ხედავ? ხედავ, მაგრამ თავს იბრმავებ, მარგორა ამას მტკივნეულად განიცდის, შენი მოჩვენებითი სისუფთავე და ზეიმობა ვის რაში სჭირდება ამ შენი პოლისერების გარდა, ან ეგენიც რით ვერ გააძლე, კენტურიონებად რომ მოაქვთ თავი. რა დაგემართა! როგორღა მოვიშორებთ ამდენ ზედმეტს.

- დაამთავრე? გეტყვი როგორ, ოღონდ ჯერ შენ მიპასუხე, არის თუ არა უსიამოვნო მიცემა ან არმიცემა მათხოვრისთვის?

- ვერ გავიგე?

- ვერცხლია, თუ რაც გინდა ის... არის? რა თქმა უნდა, არის, ჰოდა თუ ასეა, ცხოვრებამ თავის საქმე უნდა გააკეთოს, მისი კანონია და მე მას ვერ შეეცვლი, ვერც მშვირებს დავაპურებს, ვერც ბებრებს მივცემ ფულს, თითქოს ვალს ვუბრუნებდე მარტო იმიტომ, რომ ბებრები არიან და ვერც ბავშვებს მივართმევ მათ წინასწარ წილს. არაუშავს, მიეჩვევიან, მალე დაავინყდებათ, აგერ ნახავ თუ არა.

- ბევრი ნიჭიერი ადამიანი იკარგება, ყველაზე სუსტები კი ეწირებიან.

- ცხოვრება ყველას თავის ადგილს მიუჩინს, ზედმეტები წავლენ, დამიჯერე.

- ასე არაა, მიეხმარეთ ნიჭიერებს, უნიჭოებნი თვითონ გაართმევენ თავს და აღზევდებიან, არ გაგიგია? იმ ზედმეტების სახით, ჩვენ ქურდები, ყაჩაღები, მეძავები, მკვლელები გვეზრდებიან.

- ვის ჩვენ? ხვალინდელმა ხვალისა იფიქროს. ვინც მრუშია იმრუშებს, ვინც ქურდია იქურდებს, არაფერია ამაში ახალი და განსაკუთრებული. მაგრამ მათ გარეშე არ შეიძლება.

- შენთვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ქუჩაში არა მხოლოდ ასეთები გამოდიან, არამედ დედები, ხეიბრები, მოხუცები... აქ სხვა მიზეზი უნდა ვეძებოთ, მარგორა დიდხანს ვერ გაძლებს, შენი ძალაუფლება დალუპულ ადამიანებზე დგას, დრო არ ითმენს, მე და შენ ძალზე მოკლე ხანში მივალნიეთ ყველაფერს, მაგრამ ხედავ როგორ შემოგვიბრუნდა? ამ ხალხის ბედი გადანყვეტილია, მომავალში მათი ხელახალი აღზრდა და გონს მოყვანა დაგვჭირდება. ჩვენ ბევრი დავკარგეთ.

- თვითონვე პასუხობ თავს, - გახელდა აურუმი, - ძალიან ბევრი ადამიანი, გინდა არ გინდა, ყოველთვის ზედმეტებს გააჩენენ, ისინი იმსახურებენ ამ ზედმეტობას, მე კიდევ ბევრს ვუძლებ, მათდამი თანაგრძნობა სისულელეა, შეუძლებელია და სასაცილო.

მეგობარმა თავი დახარა, ძლიერნი ამა ქვეყნისა - ვინ გაგაჩინათ თქვენ? - წყენით გაიფიქრა და ჩაილაპარაკა, - ცუდი წინათგრძნობა მაქვს.

- რას ბურტყუნებ, ხმამაღლა თქვი რა გინდა.

- სასირცხვილოა, - თვალბეჭედი შეხედა მეგობარმა, - ადამიანები ნამდვილ, მშვიდ ცხოვრებაზე ოცნებობდნენ და არა იმაზე, რასაც შენ მათ უწყობ. ყალბია, ტყუილია და ყველამ იცის რომ ასეა. ხედავ, სადამდე მივიდნენ? ხმას არავინ იღებს. გაგიჟდნენ? არა, კი არ გაგიჟდნენ, იმედი დაკარგეს, აღარც სასწაულს ელიან, ცოცხალ-მკვდრებს დაემსგავსნენ. ვინც ცხოვრებას ერგება, შესაძლოა ბევრ რამეზე აწერენ ხელს, რასაც სხვები არ იკადრებენ და ამიტომ ზედმეტებში ირიცხებიან, მათთან ერთად კი ისინიც არიან, ვისაც არაფრის უნარი აქვთ, უნიჭო და ზარმაცია, არაა სწორი, ვინც შენ ცხოვრებას მოერგო, მათი შვილებიც ასე მოერგებიან და მათი შვილებიც და მათიც და მათიც, შენი ცხოვრების წესი ობობასავით გაქსელავს ქალაქს სამუდამოდ.

- რა ჩემი წესი? მთელი რომი და მთელი დედამინა ასე იყო ოდითგან და ასე იქნება, აბა შენ როგორ გინდა? ყველა მაძლარი და ბედნიერი?

- ორგანიზაცია იმ ხალხის ხელში გადავა, ვინც მანკიერია. დიდი ბოროტება გაჩნდება.

- დიდი ბოროტება უკვე გაჩენილია, ის ჩვენამდეც არსებობდა.

- და ამიტომაც უნდა შეეგუო? მაკვირვებს. მანკი ყველას ასწავლებს, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს თავისი საქმითა და ნიჭით ცხოვრებაში გზა გაიკვალონ, ჯერ ისინიც ასეთი მანკიერნი უნდა გახდნენ? და ვინც გახდება, თავისუფლად გააკეთებს რასაც უნდა და მასაც თავისუფლად გააკეთებინებენ იმას, რაც უნდა!

- მანყოფს ასე, მაგრამ ვის გულისხმობ?

– სამომავლოდ ვამბობ, ისინი ვინც ამ სისტემას დახვდნენ, მოაჯდებიან და ორგანიზაციას ხელში აიღებენ.

– როგორი მეოცნებე ხარ, – ნიკაპს ხელისგული ამოუდო აურუმაა, – გეუბნები და არ გჯერა, დამიჯერე, აქ არ არის მტყუანი და მართალი, საუკეთესოები ყველაფერს ახერხებენ, ზედმეტები კი – ვერაფერს და იბოლმებიან.

– ბევრი ჭკვიანი ადამიანი ან მიდის ან შიმშილით კვდება, შენ კი ვერ იტან მათ, რადგან თვლი, რომ ხელს გიშლიან.

– თავზე ბევრს ნუ იღებ! ხელს არავინ მიშლის, თუ ჩემზე ჭკვიანები არიან, წავიდნენ, ფული იშოვნონ.

– დღეს ასეთები ვერაფერს შოულობენ, ისინი ამ სისტემაში ვერ ჯდებიან. რა არის, ფარული სიები გაქვს შედგენილი? მე ვწერივარ შიგ?

– გაჩერდი.

– მარგორა მოისპობა, რამე უნდა იღონო, უნდა შეცვალო, მე მოგეხმარები, მაგრამ მთავარი შენზეა, უკვე ცოტა ხნის სიცოცხლე უწერია.

ცოტა ხნის სიცოცხლე უწერია, – ჩაებჭედა ფიქრში აურუმს, ცბიერი გული მკრეხელურად აუძგერდა, ჩრდილი დაედო სახეზე – განზრახვის მფარავ ნილაბზე. დრო მოვიდა, გაიფიქრა, შენც ცოტა ხნის სიცოცხლე გინერია, უკვე ხელს მიშლი, ბევრი იცი და ბედავ, – მოვრჩეთ, – თქვა აურუმმა, – ღამით საქმეები მაქვს, უნდა მოვემზადო.

– ალარც გინდა ბოლომდე მომისმინო?

– როგორ არ მინდა, მაგრამ მალე დაბნელება, კონსულის კაცია რომიდან ჩამოსული, ორი თვის ანგარიში უნდა წარუდგინო, – მუსიკოსებისკენ გაიხედა მთელი ხანი, რომ უკრავდნენ, თითქოს არ არსებობდა დრო.

– რა ანგარიში? – იეჭვა მეგობარმა, – ყველა საბუთი მოგიმზადე და მაგიდაზე დაგიდე.

– უმნიშვნელო რამეებია შესაცვლელი.

– ალარ მენდობი?

– გენდობი, უბრალოდ, შესაცვლელია, დასამატებელი ან ამოსაღები.

– როგორც გენებოს, – თქვა მეგობარმა, შენთან ურთიერთობა საშიში ხდება, გაიფიქრა, – მე ჩემთან ვიქნები, დამიძახე თუ დაგჭირდი, – ფორთოხალი აიღო, ხელში შეათამაშა და წავიდა. იასამნის ბურქნარს მიეფარა, რომლის უკანვე აღმართულიყო აურუმის თეთრსვეტებიანი სასახლე.

ზღვარი, საზღვარი, ფიქრობდა არქივარიუსი, სადაა გავლებული? და შეეძლებ მის გადალახვას? ამ ფიქრმა მოსვენება დააკარგვინა. არქივუმში წლობით შრომისას ვინცე საზღვრების არსებობის მიხედვრაც და ჯერჯერობით სიმამაცეც და გონიერებაც მყოფნის მათ გადასალახავად – გამოღვიძება, გონს მოსვლა, საზღვრის გადაბიჯება თითქოს შელოცვაა, ჯადოა, თითქოს გასაღებია, სიტყვა-გასაღებია და ჩემი ცხოვრებაც თითქოს საზღვართა გადალახვის გაუთავებელი მცდელობებითაა სავსე. არქივუმში გამოკეტვამ, ფიქრმა და თავაუღებელმა კითხვამ მიმიყვანა აქამდე, ამ გადანყვებილებამდე, რომ სასწრაფოდ გასასვლელია საპოვნელი, ალბათ ზუსტად რომ ის, რასაც ეზრამ მიაგნო, მაგრამ განა ვინმემ იცის სად გავიდა? დღითიდღე, სართული-სართულზე ავიწევი ნინ და ახლაც იმავეს ავდივარ, ჩავდივარ, მივდივარ, ჩემს უკან კი აღრეულ დროს ვიტოვებ, წარსულში გადახვნილ მომავალს და ისევ ანმყოს – მათ მოკავშირეს. ყოველთვის დაუღლეელი მივინევ, დაე, განგებაც მომეხმაროს, მომეშველოს თავისი მხედრობითა და ზურგის ქარით, თუკი სურს ჩემი განთავისუფლება. გამოღვიძებისა და გონსმოსვლის შეგრძნებამ თითქოსდა იმ უცხო მხარის არსებობამაც მიმანიშნა, იმ საიქიოზე, რაც სააქაოს თავისი არსობით ერწყმის და მაშინ შევამჩნიე, რომ ყოველი ახალი წამი ახალი სივრცეა და უკვე ვიცი, რომ მონაკვეთის უკანასკნელი ნაწილიც კი თავისივე თავში იმედს და სიკვდილს ერთნაირად იტევს, რასაც ახალი მიღმისკენ მივყავარ, უფრო ფართო თვალხილულობისკენ, ახალი დასაწყისისკენ და ახალი დასასრულისკენ. ამ შეგრძნებებით სავსე – საზღვრების გარღვევისა და გაქცევის შეგრძნებებით სულში გამჯდარი, თითქოს უცნაურ საშუალებად ვიქცევი, იმად, რაც ცხოვრების გასარკვევად გამომადგება, ნიგნოსაცავმა, სიტყვათა სამახსოვრომ, ამ სასუკვარმა არჩევანმა ბნელიდან ნათელში გამომარკვია, ჩიხიდან გასასვლელისკენ, მაგრამ მგონი ვილლები და მგონი ამ სიგიჟისგანაც უკვე დავიღალე. რატომ? როგორ? ვინ? ვინ მოიფიქრა ეს თავგზაამბნევი ლაბირინთი ან რატომ ჩაგვტოვა შიგ? რომ ერთ-ერთმა მაინც მოძებნოს გასასვლელი? აღმოაჩინოს, თუ ვინაა სინამდვილეში და სხვებიც იხსნას? არ ვიცი. არაფერი ვიცი. მე მხოლოდ მარგორიანელი არქივარიუსი არ ვარ, ადამიანი ვარ და ქვეყნიერებას ირგვლივ ისევე აქვს ჩემთან უხილავი კავშირი, როგორც მე ბაჩანასთან, რომ დედა უნდა ვაპოვინო ბიჭუნას და იქნებ მოდგამაც გადარჩეს, ცოცხალ-მკვდარი ძილქუშიდან ამოყვინთოს მშვენიერმა ქალაქმა და სალხინებელმა მარგორამ, მკვდარი დროის ძენი და ასულნი რომ დაეპატრონენ, მაგრამ რატომ მიჩნდება ასეთი სურვილი? რატომ მინდა თავს გადავახტე? ნუთუ არ შეიძლებოდა მშვიდად მეცხოვრა და ყოველი თავსატეხი ცხოვრებისთვის მიმენდო? არც ეს ვიცი. ვიცი ის, რომ გამოღვიძებამ საზღვრის გადალახვისკენ მიბიძგა და ეზრას ბოლო სიტყვები

გამახსენა ვიდრე ნავიდა, – იცოდე, სერაფიტევ, ყველა შენს კითხვაზე პასუხი შენ წინვეა და შენ ხედავ მას, მაგრამ ვერ გრძნობ და ამიტომ ვერ იმახსოვრებ მის ადგილ-სამყოფელს, იგრძნობ მაშინ, როცა დაიჯერებ და საკუთარი არჩევანი არ შეგაშინებს.

– აი, ის ნანგრევები, – ჩვეული უნებლიობით წამოიძახა ბაჩანამ, – აგე, იქ მოჩანს.

– ვხედავ, – თქვა სერაფიტემ, – მალე იმ საზღვრამდეც მივალთ.

აურუმის მეგობარი სასახლის აბანოდან ამოვიდა – კარზე მიღებული, წარჩინებული აზნაურები ჩადიოდნენ, ლამაზმანებთან ერთობოდნენ, ქალაქის ამბებზე ბჭობდნენ თუ ჭორაობდნენ.

ანარეკლებით მოლიპული მარმარილოს დარბაზი გაიარა, თეთრი სვეტები ყინულის იატაკში სადაც ჩასმულიყო თითქოს, უსასრულოდ ღრმავდებოდა და არსად მოჩანდა სარკისებრი იატაკის ზღვარი. ცენტრში წრედ მორგებული მოზაიკა – ფრინველის სიმბოლო, ყინულზევე დასრიალებულიყო და ანარეკლებით დასერილი მარმარილოს იატაკიც უცნაურად ლივლივებდა.

დარბაზში გავიდა.

ვრცელ კიბეებს აუყვა. მოაჯირის აყოლებზე პოლისერები დაყუდებულიყვნენ, აურუმის დაცვის საიდუმლო ქვედანაყოფი.

დერეფანში შევიდა.

ბაზმების შუქებში, დერეფნის სიგრძეზეც, საიდუმლო რაზმის მცველები იდგნენ, ყველა ჩუმად და გაუნძრევლად.

თავის ოთახში ჩაიკეტა. კარი საძალნით გაამაგრა.

ოთახში ბნელოდა. გახსნილი ფანჯრებიდან შემოსული მთვარის ბაცი ნათება გლუვი კონტურებით არბილებდა სიბნელიდან ამოყვანილ სავარძლებსა და მაგიდას, კედელთან მიწყობილ ახალგაზრდა ან წვეროსან ან მელოტ ან დაფნის გვირგვინოსან ბიუსტებს. ვარსკვლავები, ღამეზე მიბნეული, თითქოს ჩარჩოში ჩასმულიყო – ფანჯრის კიდეებზე აყოლებულ სუროებში. სიჩუმეში ჭრიჭინები თამაშობდნენ.

მაგიდას დაეყრდნო. მოსასხამი სკამზე გადააფარა და სველი ვარჯი შუბლის უკან გადაიყარა. მაგიდას დააკვირდა – პაპირუსის შეკვრა სადაც ეწყო, სამელნეები და პერგამენტის გრაგნილები იქვე, გონება გაუნათეთ, ღმერთებო, ფიქრობდა ის და ეჭვიც არ ჰქონდა, მის უკან მიცვალებულის სახით რომ პოლისერი გამობლიგვდა, უხმოდ გამოდნა სიბნელიდან და ზურგსუკან ამოუდგა.

თითქოს სიცივე იგრძნო, ერთი კი განია ნაეჭვი მზერა, მაგრამ იმან სწრაფად შემოუგდო ყელზე თოკი და სამკვედროდ გაქაჩა მარყუჟი. კაცი იატაკზე დააგდო, აქეთ-იქით გააქნია და მოუჭირა ისევ, სპილენძით დააბჯრული დააჯდა ტანზე და დაუჭირა და დაგუდა და დაახრჩო.

წამოხტა, სამუხლედან გრძელი ბანარი ამოიღო, ორად გაკეცა, ჭერზე გადებულ ძელზე გადაკიდა, ყულფი შეკრა და აურუმის მკვდარი მეგობარი კისრით დაკიდა ზედ. ესეც ასე, ხმაურიც არ იყო, ბილწად გაიფიქრა, დახრჩობილს ახედა – შეუმჩნევლად ქანაობდა ოთახის წყვილადში.

პოლისერმა ცარიელი პაპირუსი აიღო, ბამბუკის ღერო სამელნეში ჩაანო და დანერა: „ჩემს სიკვდილში ბრალი არავის ედება, მაპატიეთ, რომ პოლიტარქის ნდობა ვერ გავამართლე“. წერილი მაგიდაზე დატოვა, აივანზე გაძვრა, ბნელში ჩახტა და შეიკარგა.

– გაასრულე? – სიბნელეში აურუმის სასტიკი ხმა გაისმა.

– დიახ.

– აჰა, შენია, – პოლისერის ფეხებთან ქისა დაეცა, – ამღამესვე გემს ალექსანდრიაში გაყვები, – თქვა ხმამ, – ცოლ-შვილს აქ ვიტოვებ, ჭკუით თუ მოიქცევი, მათ არაფერი მოუვათ, ჩემს საიდუმლო ქვედანაყოფში დროებით აღარ ირიცხები, როცა საჭირო იქნები, დაგაბრუნებ.

პოლისერმა ქისა აიღო, სპილენძის სამკლაურები გაისწორა და ბნელშივე შეტყდა.

ამბავი დილითვე სწრაფად მოედო ქალაქს. ყველა უბანში, ყოველ კუთხეში თუ მოდანზე ამაზე ლაპარაკობდნენ... როგორ კაცო? თავი მოიკლა? თავისივე ოთახში? სასახლეში? იქნებ მოკლეს? გაგიჟდი? აურუმი იმის გარეშე ნაბიჯს არ დგამდა... ვინ გაბედავდა? რა ვერ გაბედავდა, ახლა ყველაფერია შესაძლებელი...

ყველაფერია შესაძლებელი? ხომ ამას ნატრობ? თითქოს უცხო უსაზღვრობის ექო ჩაესმოდა აურუმს, ძილშიც რაც არ ანებებდა თავს, თუნდაც წამიერი თვლემის დროს რომ ელანდებოდა და ამინებდა, კი, ამას ნატრობ და შენდაბედად ნატვრა გისრულდება! იმჟამითვე ესმოდა პასუხიც, მისთვის სანატრელი საყოველთაო გამართლება, რამაც ჯერ კიდევ ალმასების ძიებისას, ბედუინებთან, ჯერ კიდევ მაშინ თავის სიმართლეში დაარწმუნა, რომ ფულზე მნიშვნელოვანი ადამიანს არაფერი გამოუგონია, რასაც კაცთა საქციელი დაუკავშირა და მათ გარდა, არც არავის დააჭირვა ეს შენი ფული, არც მხეცს, არც ამინდს, არც ვარსკვლავებს და მაშინ ვისლა სჭირდება ადამიანი? ფიქრობდა აურუმი, თუ არა ამ უფლებას, უთვალავ მონეტებად მოჭრილს, მათხოვარისთვის და მდიდრისთვის ერთნაირად სანატრელს, აურუმი რამაც ალაზევა და იმას ააღწევინა, რასაც ვერ შეელოდა, ვერასდროს დათმობდა, ვერაფერში გაცვლიდა – მან მოკვლის უფლება მიიღო, მხდალს რაც საშიშად აქცევს.

შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად, ამ ნებართვის სახელით კეთდება, რის გამოც დაბრწყინებული მარგორიანელები ბრალს ვერაფერში სდებენ. ეჰ, მარგორა – ერთხმად და თავის მოტყუებით აურუმს დიდკაცად აქებს, რადგან თითოეულმა კარგად იცის, რომ მისი დიდებისთვის შესანიშნავი საკლავი შეიძლება თავად აღმოჩნდეს. აურუმმა კი თითქოს გარეთ გამოყარა საკუთარი შიშები, განკაცებული, ხორცშესხმული ღამის მოჩვენებები, უსულო და უსქესო კაცი-დრაკონები დაასახლა თითქმის ყოველ ოჯახში – სილატაკე და მფლანგველობა, უიმედობა და უპასუხისმგებლობა, ყალბი და ავადმყოფური სიმშვიდე, მახრჩობელასავით რაც ეხვეოდა ადამიანთა სულებს აურუმის თვითნებობას რომ მიმტერებოდნენ, მისი სამეფო ცხოვრებით ნახალისებული უსისტემო მორჩილებით.

მიყრუებული ფიქრით, გაუგებარი, მაგრამ შემაშფოთებელი წინათგრძნობით, მარგორა საზარელ ქეშმარიტებას ხვდებოდა, რომ თავისივე შიშები აურუმს ხელებს უხსნიდა ის ეკეთებინა, რაც თავში მოუვიდოდა, რასაც მისი თვისებანი და მიდრეკილებანი უკარნახებდნენ და ამაზეც თვალს ხუჭავდნენ, რადგან ვერცხლმომყვარობით მიღებული თუ მოპოვებული ის საბედისწერო ნებართვა, რამაც მეგობარი გაანირინა, იმ მანკიერებით გაჯერებულიყო, აურუმის თვითდამკვიდრებისთვის, მისი შინაგანი ძრწოლების, არავინობის დაფარვის საუკეთესო საშუალებად რაც მიეღო. აურუმმა გაიხარა, მაგრამ მის სიხარულს ყორნის ჩხავილივით ჭრიდა ჯადეგის ოდესლაც ნაკარნახევი სიტყვები.

ჟამი მოახლოვდა. ჟამი ომისა, ჟამი განგაშის, ზანზარითა და ხვნეშით ფეხდაფეხ რაც მოსდევდა ჯადეგის წინასწარმეტყველებას.

რა მოხდება შემდეგ? ან რაც უკვე მოხდა, როგორღა მეორდება? სერაფიტე ფიქრით იკვლევდა გზას, როგორღა იცვლება სინამდვილე? როგორ მრავლდება? თაობებს რომ გადაჰყვება უსასრულოდ გასაგრძელებლად. თუ ყოველი ჩვენგანი სიცოცხლის სურვილს ატარებს და ამ სურვილით იმართლებს თავს, მაშ, დაბადებიდან სიკვდილამდე მხოლოდ სურვილია და არა ნება! და მთელი სამყაროც ერთი დიდი სიცოცხლის სურვილია. მაშ, რატომ უნდა ვებრძოლო ჩემს სურვილებს, – აი, ჩვენი აქლემიც, – თქვა სერაფიტემ, – ხომ გითხარი, ხელს არავინ ახლებს-მეთქი.

ძელზე მიბმული აქლემი, დაუღლეი და უდარდელად ჩაბურცული, ამუშავებდა ყბას. მტვრიან შარაზე სახედრები და დუკატები მიმოდიოდნენ, მტვერითვე დადაღული ხეობები, რომის ლეგიონარიუსები და სოვდაგრები.

– ხედავ რა დარჩა ერთ დროს დიდებული სასახლიდან? – თქვა სერაფიტემ და ბიჭს ქუჩის გადაღმა ნანგრევებდარჩენილი თეთრი სვეტები დაანახა.

ხრიოკ ველზე მარმარილოები ეყარა, ქვები, ღორღი და ეკალ-ბარდები, ეულად გამდგარი სვეტები, ზოგი ნაქცეული, ზოგი დაქცეული, დატეხილი. აღარსად სჩანდა მათი უწინდელი სიდიადე, მხოლოდ ვრცელი მიდამო შერჩენილიყო, სანაგვედ რჩენილი ორმოები, მათხოვართა და მანანანალათა თავშესაფარი და მტვერი – მზით გამომხმარი, სამუდამო დავინწყებაში დასახიჩრებულ ლოდებს რომელიც წინწკლავდა.

– ომებმა აღარაფერი დატოვა, – სერაფიტე აქლემთან მივიდა, შეხსნა და ააყენა. ხელი კისერზე დაუსვა. ჩამოძონძილბენვიანმა აყლაყუდამ პატრონი იცნო, შეიფრუტუნა და თავი გააქნია.

– აქ ვის უნდა ვკითხოთ, – თქვა ბაჩანამ, – რამდენი ხალხია.

– უბრალო ადამიანები არიან, – თქვა სერაფიტემ, – ხეობები, სნეულები, არიან ქურდებიც და მათხოვრებიც. მათ სამყოფელად ეს ადგილი გადაიქცა, უპატრონოთა ბანაკშიც აქედან მიჰყავთ შენნაირი ბიჭები. აქ რამეს გავიგებთ. გვერდიდან არ მომცილდე.

სერაფიტე და ბაჩანა ნანგრევებში გადავიდნენ.

ყროლის სუნი და ბუზების სიმრავლე აუტანელი იყო, მაგრამ სერაფიტეს თითქოს არაფერი აწუხებდა, ლაბადის კალთა ცხვირზე მიიფარა და ბიჭსაც პერანგის სახელოთი დაუფარა სახე.

– წადით, შვილებო, ძიძასთან წადით, – აურუმმა პერანგი გაუსწორა თავის ორ შვილს და მხლებლებს ახედა, – წადით. გელოდებათ.

– გაცი, ახპეროზ, მოდით ჩემთან! – დაუძახა ძიძამ.

– გაცი თავისი ხმლით არ მათამაშებს, – თქვა პატარა ახპეროზმა. იდგა დაბღვერილი.

– ნუ ნუნუნებ და ნურც აბულებ, – აურუმმა ცხვირზე ჩამოუკრა თითი, – შენც გექნება ეგეთი ხმალი. წადით, სირცხვილია, ხალხი რას ტყვის, უკვე დიდი ბიჭები ხართ. გაიქეცით.

ბავშვებმა მამას აკოცეს და ძიძასთან მიიბრინეს, – მამას უნდა დაუჯეროთ, – ძიძამ სათამაშო მისცა, ორივეს ხელი ჩაკიდა და სასახლიდან გაიყვანა. მათ პოლისერთა ხუთკაციანი რაზმი გაყვა. თვალს მიეფარნენ თუ არა, აურუმს პოლისერებთან ერთად სასახლის კოლონადაში შევიდა.

– რა ხდება, მოვიდა პასუხი? – თქვა პოლიტარქმა.

– შიკრიკმა მოიტანა ეჯიბთან ერთად, – პოლისერი გვერდით მიჰყვებოდა, – პეტრიდიდეს პატრუცაგია, – გრავნილი გაუნოდა.

აურუმმა ბეჭედი აატეხა, გაშალა და სწრაფადვე მოავლო წერილს თვალი, – მშვენიერია, – გრანგნილი უბეში შეინახა, – ყველაფერზე თანახმაა.

კოლონადას გამოსცდნენ, დერეფანი გაიარეს და სვეტებიან დარბაზში ჩამოიბინეს, სარკის მოლიპულ იატაკზე პოლისერთა მწკრივები განყობილიყვნენ, – ბავშვები და ძიძა როგორც კი დამასკოში ჩავლენ, დაუყოვნებლივ მაცნობეთ.

– არის! – თქვა პოლისერთმა.

– გალავანთან კიდევ გაგზავნე ხალხი.

– არის!

– მზად იყვნენ და როგორც გითხარი, იმათ იარაღი დაურიგე, ვინც ამნისტიით გამოვუშვით.

– არის!

– და სალამოს მოედანზე ყველა შეკრიბე, ვისაც კი ხმლის ქერა შეუძლია.

– არის!

– ჩემი რუარტაგი ნაუკითხე საომარ ვითარებასთან დაკავშირებით.

– არის!

ერთქვად მისმული მწკრივები გაიარეს. დარბაზში რკინის ნაბიჯები ისმოდა მჭახედ.

– ექვსი ვერცხლი მიეცი, ვინც მოხალისედ ჩაენერება, ორი დრაჰკანი, ვინც ნაციხარია და სამი ტალანტი, ვინც მკვლელობაზე ან ყაჩაღობაზე იჯდა და ყველა ერთად გალავანთან გააგდე, მაგათი დანიშნულების ბოლო პუნქტუმი იქაა.

– არის!

– ვინც ჯარში არ დგება, მათი სახელების სია ცალკე შეადგინე.

– არის!

– რა ტვინი ნაილე! არის! არის! – ფიცხად შეხედა აურუმმა. შეჩერდა. შეჩერდნენ უკან აყოლილი მხლებლებიც, ლამის ერთმანეთს შეასკდნენ, – ყურადღებით იყავი!

პოლისერთმა თავი დაუკრა.

– ეჯიბს შემახვედრე, – განაგრძო პოლიტარქმა, – რომიდან პასუხი იგვიანებს, ლეგიონის იმედი არ მაქვს, კოჰორტისიც უნდათ რომ გაინვიონ, შეიძლება მიგვატოვონ, – ორი ნაბიჯი გადადგა, – ვიცი, ჯერ არ ჩაერევიან, მერე კი ერთიანად აგვხვეტენ, – მიბრუნდა, ქვის სახეებს მოატარა თვალი, – შეასრულე! – უბრძანა პოლისერს, მცველებთან ერთად ხვეული კიბით ეზოში ჩავიდა, თავის სამეფო ორთავალა ეტლში დადგა.

სერაფიტე და ბაჩანა ნაქცეული სვეტის ნაგლეჯთან დადგნენ, ხრიოკს გახედეს, სიცარიელის სიბილნე, გაიფიქრა სერაფიტემ და მოშორებით ჩაცუცქულ ვილაცას დაუძახა: – მოსანვევი გჭირდება, რომ მოხვიდე?!

ის ვილაც ადგა, მტვერი ჩამოიბერტყა და აუჩქარებლად წამოვიდა, თითქოს ყოველ ნაბიჯს ზომავდა და ფრთხილობდა.

– მოდი, არავინ არაფერს გიზამს. საქმე მაქვს, – თქვა სერაფიტემ.

მოვიდა. სახე ნაიარევი ჰქონდა, თვალეებს ფხიზლად აცეცებდა, – რა გინდა? შენი არაფერი მომიპარავს, – თქვა ჩუმად.

– ვის რას პარავ, ჩემი საქმე არაა, – თქვა სერაფიტემ, – უნდა დამეხმარო.

– მე? – გაიკვირვა, – მომპარავი არქივარიუსს რაში არგია? ჩვენ პატივს გცემთ, მაგრამ შენი გამოჩენა კარგს უნდა ნიშნავდეს?

– ამ ბიჭს ხომ ხედავ?

– დავუშვათ.

– დედას დაეკარგა. ყველგან ვეძებთ, არსადაა, მე მჭირდება. ასე რომ, მოდით და დაძებნეთ, მარგორას ყველა კუთხე-კუნჭული იცით.

– პრეტორიუმი?

– რა პრეტორიუმი, თქვენ თქვენი ქენით, ცოტა სიკეთე მაქვს თქვენთვის გაკეთებული?

– ეგ მე არ მითქვამს.

– მაგრამ გაიფიქრე. ახლა გამოჩნდება თუ მაგრები ხართ. და-ძმა ბიჭს არ ჰყავს. დედას გულსუნდა ჰქვია, მამა არ ახსოვს, სხვა ვერაფერს გეტყვი. ჭასთან ვიპოვე.

– ერთი რამე მინდა გკითხო.

– მალე თქვი, ამ სუნში დგომა აღარ მინდა.

– მარგორაში არაფერი იმალება, შენ კი ისე ცხოვრობ, ცუდი არავის ეთქმის.

– ამოღერლე.

– როგორ მოიპოვე პატივისცემა, ჩვენთანაც და პრეტორიუმშიც, ქურაშიც და ქალაქშიც.

– საქმეს მიხედვით, – გატრიალდა სერაფიტე, – თუ რამეს გაიგებთ, სალამომდე მითხარით, – ბაჩანას მოკიდა ხელი, ნანგრევებიდან გამოიყვანა. ის ვილაცხაც ცოტა ხანი იდგა მტვერში და დაადევნა თუ არა მზერა აქლემზე ამსხდარ სერაფიტესა და ბიჭს, ნანგრევებშივე შემტვერდა.

უძღვები კაცი? თითქოს ვინმეს კითხვას უპასუხა აურუმმა, რით ვერ დავოკდი? ჩემსას მივალნიე და კიდევ მივალნიე იმას, რაც ჩავიფიქრე, ომი კი არ მანყობს. და ვერც შიმშილს უარყოფს ვინმე და ვერც სიამოვნებას. მე კი ყურით გათრით და ცხოვრების წესად დაგიდეთ ასე აშკარად, ასე პირდაპირ, ყოფის ჩემეული ნორმა, რაც თურმე ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა და ამიტომაც არ ვარ უძღვები კაცი, არც გლახაკთმჭამელი – ჩუმად რომ მეძახიან. ჩემი დაოკება კი ცხოვრებისეული წესის უარყოფაა, მე თავი არ დავზოგე და გავხდი ის, ვინც ვარ. შეგიძლია? – ქენი. არა? – მოისვენე. მაგრამ რომც შეგეძლოს, მაინც ვერაფერს იზამ, რადგან უკვე მოგასწარი და მეორე აურუმს ველარ ავიტან, ამიტომ იცოცხლე ჩემთვის, რომ მოკვდე ჩემთვის და რადგან ადამიანი ხარ, ესე იგი, ბრბოს ნაწილი ხარ, ესე იგი, ტვირთად მანვეები და თავსაც ველარავინ გაიმართლებს, რადგან ბრბო არასდროს მართლდება. სილარიბეში მხდებოდა სული, ხან ვისთან ვეგდე, ხან ვისთან, ხურობთანაც მიზიდავს ქვეები და მეზადურთა ბადეებიც მითრევიან, ყველამ თავს მიხედოს, და ჩემზე იყო ნათქვამი ავადააო? უკურნებელია და დიდხანს ვერ იცოცხლებსო? მარტოდ რომ დავრჩი და ქარავანს გავყევი და სულერთი იყო ყველასთვის ჩამოვალნიევი თუ არა უკან, ამიტომ მათ წუნწუნს გამართლება არ ექნება, ჩემზე თუ მაშინ არავინ ფიქრობდა და რას იზამ, ცხოვრებააო, ამბობდნენ, მეც შემიძლია იგივე ვთქვა – ცხოვრებაა, რას იზამ, როგორც ნადირობა, ჯერ დევნით გაიტანჯები და ბოლოს აუცილებლად უნდა მოკვდე რომ ნადირობის წესი ასრულდეს, მონადირე კი მე ვარ და ტყეს არასდროს დაგიტომობთ. რომს კოპორტისი უკან არ გაენვია აჯობებდა. მე შემიძლია ვიყო მეპატრონე და პასუხიც არასდროს ვაგო, რადგან მოვიშორე ის, რაც ადრე მიშლიდა, რაც ძალაუფლებასა და მორჩლებას შორის იყო გაჩხერილი. მე პასუხისმგებლობა მოვიხსენი და ვარ თავისუფალი, ვარ მე, ერთი აურუმი და თქვენ – ყველა დანარჩენი, რადგან სიკვდილს არ ჰყავს განმკითხველი და მითუმეტეს, როგორ ეყოლება სილატაკეს, დე, მოკვდეს და წარწყმდეს ქვეყანა თავისი უშინაარსო იმედებით, უგრძობლობით და სიბრმავეთ. ღირსია. კაცი არ იცვლება, რაც ადრე უნდოდა, იგივე უნდა დღესაც და იგივე ენდომება ყოველთვის და ვისი სახე და სახელი იქნება ამ მონეტაზე, რა მნიშვნელობა აქვს, და რა დროც არ უნდა გავიდეს და რა ქალაქიც არ უნდა იყოს ჩვენი კოხტა მარგორა, რომი, ალექსანდრია თუ დედანატირები კართაგენი, ყველგან ერთნაირად დაიმშვიდებს თავს მდიდარიც და ღარიბიც, ქურუმიც და პრეტორიც, კონსულიც და სოვდაგარიც, როცა ბედს შესწივლებს და იტყვის – ყველგან ისეა, როგორც ყველგან და ჩვენ რა? არც არაფერი, ეტყვის ჩემნაირი, იყავი დამჯერი და გემინოდეს! გემინოდეს! ერთად იკვრება ბრძენიც და ბრიყვიც, როგორც მონეტის ორი მხარე, რადგან ბრძენის დუმილი თუ ოქროა და ბრიყვსაც ტლიკინი ძვირად უჯდება, გამოდის, ორივე შეფასებულები ყოფილან და ჩემგან რაღა გინდათ, როცა ორივეს ფასი ვიცი და გამოყენებაც შემიძლია და ცხოვრებაზე გავლენილი ოქროს კვეთიც ჩემზე გადის, ამიტომ იყავი დამჯერი და გემინოდეს!

აურუმმა კეფა მოისრისა, როცა ფიქრში გაბნეულს მორიდებული კაკუნი მოესმა. კაბინეტის კარი გაიღო. სეკრეტარიუსი იდგა: – თქვენი პირადი მკურნალია. შემოვუშვა?

აურუმი სავარძლიდან ადგა, წელში გაიზნიქა, – რა უნდა?

– არ ამბობს, დაჟინებით ითხოვს შემოსვლას.

– ამ შუალამეს? ალბათ, ნამლებზე უნდა შემითანხმდეს. მოვიდეს.

სეკრეტარიუსმა თხელწვერიანი კაცი შემოაგარა, თვითონ კი კაბინეტიდან გავიდა. მკურნალმა მდაბლად დაუკრა აურუმს თავი, ქიტონი მოისწორა და მოსასხამი თავიდან გადმოიწია, მხრებზე ჩამოიდო და მკლავებზე დაუშვა.

– უნდა გამსინჯო? – თქვა აურუმმა.

– არა, – მკურნალი პოლიტარქს მიუახლოვდა, – უნდა რაღაც მოგახსენოთ, მნიშვნელოვანი.

– ასეთი რა არის, დილამდე რომ ვერ მოიცდის? – აურუმმა სავარძლებზე ანიშნა, – დავსხდეთ, – მკურნალს შეხედა კაბინეტის სიჩუმეში დანუხებულს. მკურნალმა სამოსელი გადმოფინა.

– რასაც გეტყვით, შესაძლოა უაზრობად გეჩვენოთ, – თქვა ისე, თითქოს ინანა, საუბარი რომ ნამოინყო და საერთოდ რომ შემოვიდა. ქვედა ტუჩი კბილებშუა ჩაიჭირა.

– თქვი, რისი გერიდება.

– საქმე ისაა, რომ ამ საიდუმლოს დიდი ხანია ვატარებ.

– ჩემი ჯანმრთელობის ამბავია რამე?

– თქვენ ხომ მიცნობთ და მენდობით...

– შემდეგ, შემდეგ, – აურუმმა ტერფი გააქნია, ტყავის მოოქროვილი სანდლები.

– სიყმანვილეში ერთ ოსტატს შეგირდად ვედექი, მასთან ერთხელ მოხუცი კაცი და ფეხმძიმე ქალი მოვიდა, ჩემმა მასწავლებელმა მშობიარობა მიიღო.

აურუმი ყინვა სახით ნამოინია.

– დრო გავიდა, მეც დავოსტატდი და ერთხელაც მასწავლებელმა საუბარს მოაყოლა, იმ ახალშობილის შესახებ მოყვა ამბავი, ისიც უკვე გაზრდილი იყო, ფიცი ჩამომართვა არავისთვის მეთქვა, თუ დიდი აუცილებლობა არ იქნებოდა.

აურუმმა თვალეში მიაჭირა უნდობი მზერა, უფრო ცივი და მხვრეტი.

– ალბათ დავისჯები, რომ ადრე არაფერი გითხარით, – ფრჩხილი გაიკვნიტა მკურნალმა, სავარძლის საზურგეს მიეკრო, თითქოს გველის სიცბიერით თვალი-თვალში გასწორებული აურუმის ხედვისგან ეცადა დაძრომა, პოლიტარქმა როცა მახრჩობელის ხვეული, სველი რგოლებით მიუსრიალა და ცხვირწინ ამოუყენა თავისი მაძრუნებელი, შესიებული, თვალეზადმოკარკლული სახე, – ის ბიჭი პეტრიდიდეს შვილი იყო და ის... თქვენ იყავით.

კრუნჩხვამ ფეხები დაუჭირა აურუმს, ბასრი ფოლადის ალესილი პირი შეეხო ყელზე.

– მშობიარეს მამას მოუყოლია ეს ამბავი ჩემი მასწავლებლისთვის.

ტკივილი ტანში დაულრმავდა, მუცლამდე ჩავიდა და ნაწნავებზეც კრუნჩხვადვე მოედო.

– მოხუცს უტარებია შვილი სოფლებიდან ქალაქამდე, ისიც ჩემს ოსტატთან ლებულობდა წამლებს და სიკვდილის წინ უთხრა.

ძარღვები გაენიწენა, კუნთები გადაეგრისა და თითქოს მიწისძვრამ, თითქოს ვილაცამ აგდო აურუმში სავარძლიდან, ხელი შუბლზე მიიღო, პირზე ჩამოაცურა, ნაბორძიკადა, თვალეზი აუნწყლიანდა, ბაგეები დაულურჯდა, რეტი დაესხა... – „ერიდე მამაშენს!“

– უფალო ჩემო, მამათქვენია პეტრიდიდე!

კეტიც ჩასცხეს. დაბნეულად გაუგებარი სიტყვები გადმოყარა. ოთახში გაირბინა დაფეთებულმა, ხაფანგში შეგდებული ნადირის შფოთით და დამანჭა, ხელები მკერდზე მიიჭირა, თავი გაატრიალა, კბილები გაკრიჭა – ყვირილით როცა ჩაესმა ძველისძველი – „ერიდე მამაშენს!“ – გალენილი სახით მობრუნდა და მაგიდის ფეხებთან ჩაიკეცა. დალურჯებული ტუჩების გავლით, ცხვირიდან ნიკაპამდე ჩამოსვრილიყო სისხლის სქელი ხაზი.

კაბინეტის მოჩუქურთმებული კარიც უეცრად გაიღო. სეკრეტარიუსი და დაფეთებული ვეზირი შემოცვივდნენ: – განგამია! – სახეზე აფთრის ფერი ეღოთ, – გალავანს პეტრიდიდე მოადგა ათასკაციანი არმიით!

– არა!!! – მთელი ხმით დაყვირა აურუმმა, ხმასთან ერთად თითქოს შიგნეულობაც ამოიგლიჯა, სული ამოანთხია, ცალი ხელით მაგიდას დაეყრდნო, – არ მჯერა! – სიტყვები ტირილში დაუცურდნენ, აკანკალდა სანყევლად გაფრთხილებული, – „ერიდე მამაშენს!“ – ცხენების რემასავით ჩაუქროლა წარსულის ექიმ და დადევნებულმა ჩხავილმა, არეულ საგონებელში მტვერი რომ დაუყენა, მგლის ყმუილით რომ მოხვდა ოდესღაც გულზე, – „მითხარი, როგორ მოვკვდები... ერიდე!“ – ესმოდა ზურგსუკან და უფრო და უფრო მაგრად იჭერდა ყურებზე და მკერდზე ხელს, ფიქრში ფლოქვების თქარა-თქური და იარაღის ჩხარუნი აერია, ტირილი და კვდომა.

მკურნალმა სისხლი მოწმინდა. პოლიტარქს თვალეზი აეტრიალებინა, სუნთქვაც ზმანებრივი აგონიისთვის გაეყოლებინა ბედისწერის საჯალათოზე, რომლის სიახლოვე არასდროს უგრძვნია, გამარჯობა, შვილო ჩემო, თითქოს ის ეუბნებოდა, მოდი მამიკოსთან! ეუბნებოდა ის სიზმრის ურჩხული, – გინია ჟამმა? შეხვდი ღირსეულად, ფულით მამ ყველაფერს იყიდი? გეშინია. ახლა ბოლოჯერ გეშინია.

– სახლში რომ მოვბრუნდებით, – თქვა სერაფიტემ, – დავისვენოთ, გასადილენ და პასუხს ველოდოთ, რომელიმე მათგანი მაინც გვეტყვის რამეს.

ბაჩანა, სერაფიტეს კალთაში წამოსკუპებული, აქლემის ზურგზე დასმულ სკამში ჩამალულიყო და ქუჩასა და გამვლელებს ჩამოჰყურებდა.

– და თუ სალამომდე ვერაფერი შევიტყვეთ, სხვა გზას მივმართავ, – თქვა და გაიფიქრა, ეზრას წერილს გადავხედავ, მის ანდერძს და დმანისურ ბეჭსაც. ეზრა ამბობდა, პროკურატორმა ბევრი რამ იცისო, მხოლოდ გვეალება ფხიზლად ყოფნაო, რადგან მასთან შეხვედრისას საცდუნებელში არ შეხვიდეთ. ვნახოთ. რადგანაც ამბავი ამბავს ასე გადაება, დღე – ღამეს, წარსული – მომავალს და ჩემი უცნაური მიხვედრილობაც აღარ მასვენებს, მაშ, დრო მოვიდა. არ მინდა ყრმა ობლად დარჩეს, არც ის მინდა, რომ შვება ვერ ვპოვოთ, შვიდგზის მომაკვდინებელი სიცოცხლის ფასად, რომ დედამინის ყველაზე შორეულ ანწყოს გადასწვდება ჩვენი უსუსურობა, არც გიჟად მინდა შევირაცხო, თუ ლაბირინთიდან ვერ გავალწიე და ბალღი სამშვიდობოს ვერ გავიყვანე, სადაც ჩემი რწმენით, უთავბოლო საკაცობრიო ყიალს წერტილი დაესმება.

ბაჩანას სკამის სახელურისთვის ჩაეჭიდა ხელები, სასახლის ნანგრევებს გამოსცქეროდა და მათ უკან გადაქარგულ მოლურჯო ქედებს.

სასახლის საიდუმლო ოთახში, პეტრიდიდე და აურუმის პირისპირ ისხდნენ.

ქვის სკამებზე გადაფენილი წითელი ხავედი და ქვისავე იატაკზე გაშლილი ნაქსოვი ძოლო, კუთხეებში მდგარი ხისგან ნაკვეთი ქანდაკებებით, აკლამის იდუმალებით ავსებდა ცივ სივრცეს, რომელშიც კედლებს მიღმა დაგეშილი მძვინვარება – აღსასრულის ყრუ კვნესა შემოპარულიყო.

– ხომ გინდოდა მარტო დავრჩენილიყავით, – თქვა პეტრიდიდემ, – ჩემი ბიჭები გარეთ დგანან. თქვი, – აგდებული კმაყოფილებით ფეხები გრანიტის ტუმბოზე შემოაწყო, ხავედისავე ტერი რასაც გადაფარვოდა და ვერცხლის სურა იდგა, ვერცხლისავე სინზე – რამდენიმე ბრონეული.

აურუმი სულის ხვნემით იკრებდა ნებისყოფას. სახელოდან დანა გამოაცურა, იქნებ?.. გაიფიქრა.

– ა, შე ახვარო, დანას ხელი უშვი! – ქარქაშზე გასმული ფოლადის ხმა გაისმა. კომანდერმა ხმალი აურუმს მიუშვირა. აურუმი დაშრა. კედლებიც თითქოს მათ ტანებზე სისხლის ასხმას ელოდნენ.

– მე არა... – მშრალ ყელში ნერწყვი დაეწვა, შენი შვილი ვარ, უნდოდა ეთქვა, მაგრამ, – ყველაფერს მოგცემ, – თქვა, – ოღონდ ცოცხალი გამიშვი, არ იცი რას აკეთებ, – ქოშინი აუტყდა, ტუჩები მოუღურჯდა.

– ვის ეუბნები?! – ყელს მიუფარა ხმალი, – თანაც გაგიშვა? ცოცხალი? – გაეცინა, – მაგრამ მიწები? მარგორა ჩემია, ყველაფერი ჩემია, დოკუმენტები, ხელშეკრულებები, თუკი რამეა, უნდა მომცე, და ქონებას სადაც მალავ, უნდა მომცე!

აურუმს ნიკაპმა უწყო თამაში.

– ოღონდ არ ჩაიფსა, – ხმალი დაუშვა კომანდერმა, – ჩემი ხალხი გაგაპარებს, მაგრამ ჯერ თქვი.

– შენებს უბრძანე, ჩემი პოლისერებიდან ორი კაცი მომიყვანონ, მაგათ გავგზავნი, სამალავები მარტო მე ვიცი, ქვეყანას იყიდი იმდენი ოქროა, ვეტყვი და მოგიტანენ, შენი ხალხიც გააყოლე, ოღონდ ჯერ გამიშვი.

– მაიცა, ნუ გაუტიე! – აფიცხდა პეტრიდიდე, – რა პოლისერები, შიგხოარაგაქ, რა ჩემი ხალხი! მაგათ იარაღი მივეცი, თავში ქვა უხლიათ, შენ მე მითხარი, ხვდები?.. თორემ, – სახე ეღრიცა კომანდერს, – ორივე შვილს აქ მოგიყვან და შენვე ამოგარჩევინებ ცოცხალი რომელი დატოვო, და საერთოდ, ეგ დანა მომე აქ.

აურუმმა თითისოდენა ჯაყვა ტარით გაუნოდა. პეტრიდიდემ ქამარში ჩაიდო.

– სიტყვა მოგვეცი, რომ ხელს არ დაგვადებ, – აურუმმა გასასვლელ კარს და ზღურბლიდან შემოწოლილ ბრტყელ შუქს დახედა.

– თქვი, – დამძიმდა კომანდერი.

– ამ კარიდან დერეფანში გადიხარ.

– ვიცი, ახლა გამოვიარეთ. დრო გაგყავს?! – ეცა აურუმს, კედელს მიანარცხა, ყელში დაუჭირა მაჯა, – ნუ მეთამაშები, შტერო.

– გრიფონთა ქანდაკებებია ოთხი ცალი, – ძლივს ამოღერდა აურუმმა, – ჯვარედინად დგანან დერეფნის გადაკვეთაზე, – ოფლი მოადგა, ველარ სუნთქავდა, – მათ ქვეშ კარია, კიბეებით გვირაბში ჩახვალ, შენ ვერ გახსნი, მე უნდა გაჩვენო, მარცხენა გრიფონს ჯერ ფრთაზე უნდა დაანვე, – აურუმი დაიგუდა, გული მოუღუნდა, გაფერმკრთალდა და ტურის სილურჯემაც... – მერე უნდა, – ... ველარ დაამთავრა, თვალები აატრიალა და სილურჯემაც გაუნელა პირი.

– მერე უნდა?! რა! მერე რა უნდა ვქნა! – კიდევ მიაჭირა კომანდერმა, – თქვი, თვალები გაახილე, შე ქვეშაფსია, გაცოცხლდი! – სილა გაანნა და შეანჯღღრია, – ხელებში ჩამაკვდი? – მიაყურადა პეტრიდიდემ, – აღარ სუნთქავს, შე ლაჩარო, რა დროს შენი სიკვდილი იყო, – კბილების წნეხით თქვა გაბრაზებულმა და ხმალი ბოლომდე შეუყვანა გულში, – მოკვდი თუ კვდები.

აურუმის პირიდან ამონთხეულმა სისხლმა პეტრიდიდე გასვარა. კომანდერმა ხელები გაუშვა, უკან გაიწია. აურუმმა ამოიხროტინა, ჩაიკეცა და თავი დააგდო.

კედელი პოლიტარქის სისხლით აისვარა.

– როგორ უდროოდ! არ მანყობდა! – თქვა პეტრიდიდემ და შეცბა. მისთვის აუხსნელმა გულისტქმამ დაზაფრა, თითქოს ეცნო მკვდარი აურუმი, თუ ეცნო მისი მკვდარი თვალები, ღამურას მზერა თუ მზერა საკუთარი, ამღვრეული და უვიაკინთო, მიუბნებოდნენ ავადააო, გაიფიქრა, მაგრამ მე რა ვიცოდი, ასეთი ნაზი თუ იყო, იატაკზე დააფურთხა, კარი გააღო და დერეფანში გაიარა.

– მოუსვით აქედან, ზემოთ დამელოდეთ, – გასძახა ქემიკებს, – ჰოდა ისა... აგერ გდია, – ხელი ოთახისკენ გაიშვირა, – აიტანეთ და სადმე გადაადგეთ, ჯერ ქალაქში ჩაატარეთ, ყველამ ნახოს, – ერთ-ერთს ჩირაღდანი გამოართვა, სახიდან სისხლი მოიწმინდა და ბნელ დერეფანს გაუყვა.

ბაჩანა არქივარიუსის ოთახში, საგებელზე წამომჯდარიყო. სერაფიტეს მაგიდასთან დაეხარა თავი, მანუსკრიპტუმებს დადუმებოდა. არქივუმის სიჩუმე ორთავეს ემოსა და თაროებთან, პაპირუსებთან და პერგამენტის გრაგნილებთან ერთად დაყურებოდა სიჩუმის მტვერს.

სერაფიტემ ზარდახმა გახსნა, ხის კოლოფი. გადაკეცილი პაპირუსი ამოიღო, – გინდა, შენც რამეს მოგცემ. დახატე, – უთხრა ბაჩანას. მაგრამ ის ფიქრით გაბნეულიყო, ხმას არ იღებდა. სერაფიტემ კი ეზრას წერილს ტანში ჟრჟოლადავლილმა მოავლო თვალი: „იყავი ფრთხილად, ჩემი წერილის კითხვისას, სერაფიტე, – დაიწყო კითხვა, – და იყავი ფხიზლად პრეტორიუმში მისვლისას. კანონი თავისუფალი ნებაა, არ გადახვიდე, არ შეცდე. სიტყვა უკვე გამჟღავნებულია და ის კანონიც ამ საიდუმლოს ემყარება! რაც მიწა

გიტხრა, შესაძლოა, ჭკუიდან გადამდგარი კაცის ბოდვად გეჩვენოს, მაგრამ შენ იცი, რომ მე ასეთი არ ვარ, იყავი ფრთხილად, რათა გრძნობას არ აჰყვე, არ შეიბოჭო და გონიც არ აგერიოს. გახსოვს? ადრეც გეუბნებოდი, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ არქივარიუსის საქმეში დაგაოსტატებდი, გეუბნებოდი, ბევრი რამ არსებობს ამქვეყნად აუხსნელი, დაუნახავი და მოუსმენელი. მინდა გახსოვდეს, რადგან მაშინაც ვამბობდი – თუ დადგა ისეთი დღე, როცა შენს გვერდით აღარ ვიქნები, შენი ყოველი კითხვისდაგამო, მარგორას პროკურატორს მიმართე-მეთქი. ამ კაცმა ბევრი რამ იცის და ბევრის გაგებაც ძალუძს, მაგრამ სიბრძნისა თუ წინდახედულობის გამო, არამც და არამც არ დგამს იმ ნაბიჯს, რომელსაც მე წერილის დამთავრების შემდეგ, დღეს გვიან ღამით გადავდგამ, რადგან შეუცნობელის შეცნობა ჩემთვის უფრო მთავარია, ვიდრე ერთი და გივე ყოველდღიურობის დაუღალავი ცქერა. მაგრამ ესეც დაიმახსოვრე – საცდუნებელი ჭეშმარიტების კართანაა ჩასაფრებული, შენვე უნდა აირჩიო, მე ვერ მოგეხმარები, არც ხარის ბეჭი დაივიწყო, თუ ის ალაპარაკე, იმედი რწმენას გაგიმყარებს. ჩემო გონიერო შეგირდო, ახლა უკვე მწიგნობართუხუცესო, თავად არქივარიუსო, არჩევანი შენზეა. მე იმას ვერ გეტყვი, რაც აღმოვაჩინე – თუ ვინ ვარ, ან შენ თვითონ ვინ ხარ, ანდაც საერთოდ, რა ხდება ჩვენს თავს, მაგრამ გულითა და გონებით მნამს, რომ ადრე თუ გვიან ამ საიდუმლოს გასაღებსაც მიაგნებ. სხვა ვერავინ მოგეხმარება, თვითონვე უნდა იპოვნო თავი, მხოლოდ მაშინ დაგეუფლება სამყაროს სიახლოვის გრძნობა, მასთან საერთოობის უცარი შეგრძნება. მუდამ გახსოვდეს ჩემი სიტყვები, რომ ყველა სასწაულს ქვეყნად მხოლოდ ერთი სასწაული ამთლიანებს – აღმოჩენის სასწაული. ჩემი ჟამი ხანმოკლეა და ვიდრე ზღვარს გადავალ, ამასაც გეტყვი – განგებას არაფერი მოუფიქრებია უსულდგმულო, ყველაფერი ჩვენშია ჩანერილი, როგორც არქივუმში ინახება უთვალავი წიგნი და ხელნაწერი, უთვალავი გვერდები, სიტყვებით ნაკვალავი, ასევე ჩვენშივეა – სისხლის ყოველ წვეთსა და სუნთქვის ყოველ მონაბერში, კანის ქსოვილსა და გინდ ოცნებაში, ჩვენშივეა ამ არქივუმით უთვალავი სასიცოცხლო სიტყვა. რაც განგიცდია და გყვარებია, რისიც გჯეროდა, მუდამ შენთანაა და აღმოჩენის სასწაულთანაც. მხოლოდ ეგაა, რომ სალხინებელი ჩვენი მარგორა ამდენი ხანი ინამლება უგუნურთა ბავშვური სიბრყვიით, როცა შეეძლო ასევე ბავშვური სიბრძნით ალალი და ნაღდი ყოფილიყო. რაც მე ვერ შევძელი, შენ უნდა შეძლო, იპოვნე ბოლო და მაშინდა მიაგნებ დასაწყისს, თავი გადაირჩინე და ირგვლივყოფებიც გადარჩებიან.

და როგორც უილიამ შექსპირი იტყვის, სიტყვები, სიტყვები, სიტყვები, ჩემო სერაფიტე, შენც მაგათგან ხარ ნაშობი. შენი მჯერა.

არქივარიუსი ეზრა.

მარგორა. ღამე სასწაულების წინ“.

სერაფიტემ წერილი დაკეცა, თითებში შეაქნია, ერთიც დახედა, თითქოს რაღაცას კიდევ ეძებდა მასზე და ისევ ზარდახშაში ჩადო. ყუთი დახურა.

ის დღევანდელ დღეზე ფიქრობდა, მარგორაზე და ბაჩანაზეც, თავის თავზე და თეთრ მინაზეც, მზით დამთბარ ქვაფენილებზე, შავად მობნეულ მტვერზე, მუდამ რომ ედებოდა ტერფებსა და სამოსზე. ფიქრობდა იმაზე, რაც უკვე ნაფიქრი ჰქონდა და არქივუმის ჭერიდანაც დაესმოდა ყოველთვის განუწყვეტელი სუნთქვა, რომელსაც ახლაც მიუგდო ყური, ჭერს დაუნყო თვალიერება, მაგრამ სხვა ვერაფერი გაიგონა, მხოლოდ უხერხულად იგრძნო ვიღაც უხილავის ჩამობჯენილი მზერა.

პეტრიდიდე დაბალჭერიანი, ბნელი და ნესტიანი დერეფნების გადაკვეთაზე იდგა. ირგვლივ განოლილ გრიფონთა ქანდაკებებს ჩირაღდანს უშვერდა. სიბნელიდან ერთდროულად ამოინია ერთმანეთისკენ სახეებით მიბრუნებული, ოთხი ლომისტანიანი, არწივისთავიანი ფრთოსანი ქანდაკება.

ფასკუნჯი ჰქვია ამას თუ გრიჯემია და თუ რა ოხრობაა, უელვა ფიქრში, აბისინიაში ვბოცავდი ასეთებს, იქ დაფრინავენ, მაგრამ მარცხენა? ჩირაღდანი დაატრიალა, ნისკარტებსა და ფრთებს ააკვირდა, რომელია აქ მარცხენა? ზურგზე გადაკიდული კვერთხი მოიშიშვლა, მტევანში შეაქანა, რამ დამაქლიავა! მიდი და გაიგე! იღრიალა ბრაზით აგეშილმა, ქანდაკებებს ნიხლი მისცხო და კვერთხით გრიფონთა ფრთების ლენვა დაიწყო. ერთს მივარდა, ფრთებზე დაანვა, ისევ დაუქნია კვერთხი, ჩაარტყა და დაამსხვრია, ამ ნაბიჭვარმა ამან, მომატყუა, სიკვდილითაც დამასწრო. მეორე გრიფონს ეძგერა, მესამეს, მეოთხეს, დაუნყო ცემა და მტვერევა, მაგრამ არსად არაფერი. დერეფნებში გლოვის ექოდ ისმოდა ქვიშების ცვენა და ქვების გრუხუნი, რაც მალევე მიჩუმდა და სიბნელის ოთხივე მხარეს მიიკარგა. პეტრიდიდემ დაგდებული ჩირაღდანი აიღო, დანგრეულ ქანდაკებებთან მოიქნია – არაფერი – დაღენილი ქვები, თავები, თათები, კუდები და არა სხვა. სიმწრით გაეცინა ადუღებულს. არაუშავს, ამას მთლიანად დავანგრევივინებ და მერე ვნახოთ, გაიფიქრა პეტრიდიდემ, სიკვდილის წინ რა იკისრა, ხედავ? კვერთხი დაუშვა, მტერი ესა, ტეტრარქიო თუ ვინა ვარო? პოლიტარქი, ჰო, კვერთხი მხარზე გადაიღო და ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით მიიქანცა შავ დერეფანში, უნდოდა, არავის ენახა მისი გაბრიყვებული სახე.

IV გაც და ახპეროზ

მარგორას თეატრონზე სანახაობით დატყვევებული ხალხი, ხმაჩაგდებული უცქერდა წარმოდგენას. სცენაზევე დანთებულ ბიკონებში, ნიღბებსა და მოლებში მსახიობები სპექტაკულუმს მართავდნენ.

სცენის განაპირას, მაყურებლებთან ახლოს, ელინურ წამოსასხამებში ორი ნიღბოსანი იდგა.

– თესვესის ნიღაბში ახპეროზია დაგენიძლავები, – მაყურებლებში ერთმა მეორეს უჩურჩულა.

– ჩუ, ნუ ხმაურობ. მეც ასე მგონია. და ოიდიპოსი გაცია?

– ალბათ.

– ცოტა ჩუმად რა, – გადმოსძახა სხვა მაყურებელმა.

ორი ნიღბოსანი, დანარჩენი მსახიობებით გარემოცული ჩირაღების მოცეკვავე ცეცხლებში აგრძელებდნენ:

... ეგ ზომ ძლიერი ქარაშოტი ალაგ ზნო ვინაც.

ოიდიპოსი:

გნატრობდი, მეფევე და მივხვდი, ამ გზაზე ალბათ

ვიღაც უკვდავმა დაგიყენა შენს სასიკეთოდ.

თესვესი:

ახალი რა არის, ძეო ლაიოსისა?

ოიდიპოსი:

ჩემი სიცოცხლის გარდატეხა, არ მინდა მოვკვდე

და დანაპირი გაგიცრუოთ შენ და შენს ქალაქს.

თესვესი:

რამე ნიშნებით განგიცხადდა ამგვარი ხვედრი?

ოიდიპოსი:

მაცნე ღმერთები მაუწყებენ ამას უცდომლად,

მათი ნიშნები არასდროს გვატყუებს მოკვდავთ...

– ნახე, რა ხმა აქვს, ნალდად გაცია, – კვლავ უჩურჩულა.

– თქვენ მანდ, არ გაჩერდებით?! – გადმოსძახა უკანმდგომმა, – რა არი, რა წესია!

თესვესი:

მაინც რა იყო ეგ ნიშნები, მოხუცო კაცო!

ოიდიპოსი:

გრგვინვა მეხისა მრავალგზისი და უძლეველი

ხელით ნატყორცილი მრავალგზისი ელვის ისრები...

თესვესი:

მე მჯერა შენი, რაც წინასწარ გვითხარი ადრე,

ყველა აღსრულდა, თქვი რას მიჩრევე, როგორ მოვიქცე.

ოიდიპოსი:

ეგვესის ძეო, მე გასწავლი სიბრძნეს, რომელიც

შენს ქალაქს მარად უბერებელ ქალაქად აქცევს...

მოედანზე რომელი ლეგიონარიუსები იდგნენ. ჭასთან და ავაზანთან აქლემები იყო დაბმული და ყველგან ხალხი, ერთხმად დადუმებული, ერთმხერად ქცეული ბედუინები, სოვდაგრები, უბრალო მოქალაქეები და მებადურები და ის ლეგიონარიუსები პრეტორიანელებთან ერთად და თითქმის ყველა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქურდბაცაცა თუ მეზღვარი, პურისმცხობელი თუ დასტაქარი, ვაჭარი თუ დერვიში და მოხეტიალე მუსიკოსიც ამ სცენაზე დგომას ვინც ნატრობდა, ან ვინმე აზნაური, პირზე ღიმილმიყინული თუ აცრემლებული, სუნთქვაგაკრული რომ უცქერდნენ თეატრონს და ასეთი სიჩუმეც მხოლოდ ჩაძინებისას თუ უგრძვნია ვინმეს, მათი ფიქრები რომ ირეოდა ყოველის თავში და არავის უნდოდა წარმოდგენის გასრულებამდე ჯადოსნური სიჩუმე, თავიანთი გატკბილული მთვლემარება დაერღვია, ფიქრობდნენ წყვეტილი აზრით: – „...საოცარია, რა ნიჭიერია, მისი ძმაც ნიჭიერია, მაგრამ ეს უფრო მაგარია, ყველას უყვარს, ახლა სიკვდილის სცენაა, არა, დიდი ოსტატია, მესამეჯერ ვუყურებ და ისევ მაკვირვებს“.

ოიდიპოსი:

შვილებო, უნდა დაჰმორჩილდეთ მოსახდენს და

უნდა დატოვოთ ადგილი, რათა არ ნახოთ

და არ ისმინოთ, რაც არა ხამს ხილვად და სმენად,

არამედ ნადით და საჩქაროდ, მხოლოდ მეუფე

თქვენი დარჩეს, რათა ნახოს, რაც მოხდება.

და ხალხიც, თითქოს აუტანელი, ზარგანმხდელი ხილვა ენახოს, ერთკაცად ახტა, თითქოს მოედანიც შეინძრა. ნილბოსნებმა ჩირაღები ჩააქრეს და ერთადერთი ჩირაღის ქვეშ, რომელიც თესვესის ნილბოსანს ეჭირა, სცენის უკნიდან ამოშვერილი ბუკების დამძიმებული ამოძახილის ფონზე, გაცმა მოხუცი ოიდიპოსის ნილაბი მოიხსნა და მათ წინაშე წარსდგა თითქოს დემონური, თითქოს ბავშვური თუ ანგელოსის უსქესო, საშინელი სილამაზის სახე. არგალიმებული, არც ნამტირალევი, არც ნალვლიანი და არც მედიდური, თხელი, გრძელი თითებით რომ ჩამოიხსნა ნილაბი და გამოანათა სიბნელეში ჩირაღით ზემოდან დაცეცხლულმა, მკვდრეთით აღმდგარმა თვალებმა – სამყაროს დასასრული ენახა თითქოს.

ოფლისგან დანვრილებული თმები, შუბლსა და ჩაცვნილ ლოყებზე მიკვროდა.

– გაცი! – დაიყვირა თეატრონის ახლომდგარმა.

– გაცი! – ერთექოდ გამოსცა მოედნის ღამემ და ატყდა კვილი და ძახილი და ტაში და გაცი! და გაცი! და გა-ცი! გა-ცი!.. გაუთავებლად, ერთ რიტმში, პლაცზე გავლილი სამხედრო მარშით.

ახპეროზი თესვესის ნილბის სათვალურებიდან იჭვრიტებოდა, ჩირაღით ხელში, თავისი ცალმუხლზე დაჩოქილი ძმის გვერდით იდგა და ღამეში შეშავებულ ბრბოს უყურებდა. მინივლებული გულითა და ტურების კვნეხით რაც აფიქრებდა თესვესს ამოფარებულს, რატომ მას ყველაფერი, რატომ მას და მე კი ერთი მადლობაც არა, ერთი თბილი სიტყვაც არა, ამას კი ყველაფერი.

ბაჩანა, არქივაროუსის საგებელზე წამომჯდარი, იგივე გულმოდგინებით ათვალერებდა წიგნებითა და პერგამენტების გრაგნილებით გამოტენილ ოთახს, თითქოს რომ მის გარდა ჯერ არავინ ყოფილიყო ამავე წიგნთსაცავში შემოსული, არქივუმის მყუდრო იღუმალეზას რომ ჯერ არავინ შეხებია უცხო, რომ ჩუმად ცდილობდა ყოფნას და მსუყე ჰაერს ჩუმადვე სუნთქავდა.

გვერდით, თიხის ლოდაკში პურისა და ცხვრის ხორცის ნაჭერი ედო. წედათი წყალიც.

– რატომ აღარ ჭამ, – თქვა სერაფიტემ, – გაცივდება, მერე აღარ ივარგებს. შეჭამე.

ბაჩანამ ლოდაკი აიღო, გემრიელი მონასმით ხორცის ნაჭერი კიდეზე გაუსვა და გაკბინა.

– მიდი, ჩემო ყოჩალო, ღმერთმა შეგარგოს. ძალები მოიკრიბე, – თქვა სერაფიტემ. ისევ უწინდელზე ფიქრობდა, უყურებდა რა ყრმას, ეზრას წერილზე ფიქრობდა, გრაგნილებზე, პაპირუსებზე და ხარის ბეჭზე, რომ უთვალავი ხელნაწერი, გამქრალი და ჯერ არ დაბადებული, დროთა ნაკვალევად დარჩენოდა მის გონსა და მთლიანად არქივუმს, დიდ მეხსიერებით სივრცეს, სადაც სურათებად, ნახატებად და საქციელებად დაწერილიყო დროთა მოუთქმელი ცვალებადობა. სიტყვები, უსასრულოდ ბევრი სიტყვები, საიდუმლოდ შეგროვებული, როგორც ხვაშიადი ჯერ გაუნდობელი, გაულეველი და სიტყვებს მიღმაც მისთვის უცნობი ხმაური, უცნობი სიჩუმე. ეზრა რომ არა, ჩემი დაკვირვებულობა ჩემივე წარმოსახვა მეგონებოდა, გაიფიქრა სერაფიტემ, მისი წერილი რომ არა, მოქმედებისკენ ვერც ვერაფერი მიბიძგებდა, პროკურატორთანაც მივალ, მაგრამ როგორ მივაგნო სიტყვებს შორის გამქრალ კვალს, გინდაც ბაღლის დედას, გინდაც... საღამომდე დავუცდი და ღამით მივალ, ფიქრობდა სერაფიტე, მივალ.

იმღამითვე, დამთავრდა რა წარმოდგენა, სცენაც დაცარიელდა და მოედანიც, მარგორას საპატიო აუდიტორიუმში გაცთან და მსახიობებთან შეხვედრა მოეწყო. აუდიტორიუმის წრედ მომრგვალებული დარბაზი ედილებითა და მაგისტრატუსებისგან გადავსებულიყო. ინტელექტულები, მძიმედ დატვირთული ტვინებითა და სხოლასტიკური მჭერმეტყველებით მომართულნი, აუდიტორიუმის გუმბათიან სიმრგვალეს, თავიანთი ჩუმი დაფიქრებულობით თითქოს კიდეე უფრო ზრდიდნენ და კაცრიელობის ქვით ნაშენი პორტაბები, დორიულად აკვეთილი სვეტები, წრეზე გაშლილი ქვისავე მერხები და საორატორო კათედრა, თითქოს გაცის დასწრებულობით დანუსხულიყო, წრეზე განათებულ ბიკონებში ამაყად რომ ეჭირა თავი.

საუბარი კარგახნის დანყებული იყო:

– ... მე ვფიქრობ ასე, – გაცმა მაგისტრატუსის კითხვას უპასუხა, – მგონი ამომწურავი პასუხი გაგეცით, – მეორე დამსწრეს გახედა, ვინც ხელს იწევდა, – ბრძანეთ.

– მე ედილი გახლავართ, ტრიბუნუსის თანაშემწე, – ადგა კეკლუცი, ტოგა მოიხდინა, – და მაინტედესებს, – დაიწყო ჩორთვით, – თქვენი დამოკიდებულება, სცენული ესთეტიკის ნოვატოლობაზე, დადგანაც თქვენი წინა პასუხებიდან, დომელიც დგეს მოვისმინეთ, ნათლად სჩანს დიდი სუდვილი, შექმნათ ისეთი ფასეული ნადმოდგენა, დაც ნებისმიედი სოციალული ფენისთვის იქნება საინტედესო.

– დიახ, ასეთი სურვილი მართლაც გვაქვს, აქტიორებიც დამეთანხმებიან, – გაცმა გვერდით მდგომ სამ გამხდარ ყმანვილზე ანიშნა, – რომის მოქალაქეობაზე არ ვოცნებობ, თუმცა არ მანყენდა, არაუშავს, ყველაფერს თავისი დროს აქვს, რაც შეეხება ნოვატორობას, ალბათ უფრო ფორმის შერჩევას და ძიებას გულისხმობს. ბერძნული ტრადიციები იცით რაცაა და რაოდენ შრომას მოითხოვს, რათა ყოველთვის აქტუალური დარჩეს.

– თავს ნებას მივცემ, – თქვა სხვა მაგისტრატუსმა, – და როგორც მოაზროვნე კაცს, ისე მოგმართავთ, როგორ გესახებათ ძველი ელინური კულტურა, არც ისე ძველია, მაგრამ მაინც. არის თუ არა დღევანდელი მსოფლიოსთვის სახეცვლილი, როცა რომის მითოლოგია ელინების მითის ფერუმარილცხებული სახეცვლილებია. მადლობა.

- თქვენ გულისხმობთ, სანახაობითობის, ანდაც კონცეპტუალური შინაარსის გაუგებრობას? რაც ზოგისთვის მოსაწყენია?

- დიახ.

- არა, ჩემთვის ასე არაა, რადგან თუ როდისმე რომშიც მიგვინვევენ, იქაც ისეთივე საინტერესო სანახაობას გავმართავთ, როგორსაც მარგორაში გთავაზობთ.

- კითხვა მაქვს, - ადგა უკანა რიგებიდან, - არავისთვის დასამალი არაა, რომ თქვენ პლატონით იყავით გატაცებული და ახლა თქვენს შემოქმედებაში არისტოტელეს კვალი შეიმჩნევა, მე ვგულისხმობ ზნეობისა და კაცის საქციელის ურთიერთშერწყმას, რაც მშვენივრად წარმოაჩინეთ დღეს სცენაზე.

- დიახ, პლატონის დიალოგები აუცილებელი ლუკმასავით უნდა მიიღოს ადამიანმა, თქვენ მომავალი მაგისტრები ხართ, ამ დარბაზში თქვენს შორის ალბათ მომავალი მაგისტრანტიებიც არიან, მომავალი კონსულები, პრეტორები, ტრიბუნუსები, - გაცმა მონუსხულ დარბაზს სიამოვნებით მოატარა მზერა, ო, თქვე ჯუჯუბო, გაიფიქრა და განაგრძო, - მათ გასაგონადაც ვიტყვი, არისტოტელეს თეორიას თუ გავიხსენებთ, ისიც უნდა ითქვას, რომ სოფოკლეს ამ ტრაგედიას - „ოიდიპოსი კოლონოსში“, მას უნდა ვუწოდოთ ადამიანის საქვეყნო კათარზისის ტრაგედია, ჩემი აზრით, დრამა მისტერიათა კათარკტიკული რიტუალის პრინციპზეა აგებული.

- რას გულისხმობთ, როცა ამ პრინციპზე საუბრობთ.

- ადამიანის განწმენდას. ამ დროს არა მხოლოდ ოიდიპოსი იწმინდება, არამედ მოდგმის უდიდესი იდეები, მისწრაფებანი და საქციელი.

- მამის მკვლელსა და ღვთისმოსაობაზე რას იტყოდით? - თქვა სხვა მაგისტრატუსმა, - აქ რაიმე საკრალური სიმბოლო ხომ არაა, ანდაც ერთგვარი გზა, დაბრუნების გზა.

- თქვენ კიდევ უპასუხეთ კითხვას, რადგან მამის მკვლელი, ღმერთების ურჩი ოიდიპოსი, ამ ტრაგედიაში უძღებ ძედ გვესახება, ვინც ზეციურ, პირველშობილ იდეას უბრუნდება, საიდანაც ღმერთების ნება იღებს სათავეს. ჩვენ შევეცადეთ, ადამიანის ღმერთებთან შერიგების აქტი გვეჩვენებინა, კაცის იმ პირველშობილ იდეასთან შერიგება.

- თქვენი აზრით, სოფოკლეს ეს ტრაგედია, თავის იმაგინაციურ განსაზღვრებაში სიმბოლიკების ამოკითხვას გულისხმობს? - გაცის მარჯვნიდან იკითხა სხვამ.

- გარკვეულწილად კი, - მიუბრუნდა გაცი, - მაგრამ ბოლომდე არა, რადგან ჩემი აზრით, დრამატული მითი მაკრო და მიკროკოსმოსის მეტამორფოზის უზოგადეს სტრუქტურაზე უნდა იყოს აგებული, კერძოდ, ქაოსი, კოსმოსი, ლოგოსი. ეს სამი ასპექტი ყოველი ჩვენგანის ხასიათსა და თვისებებს აყალიბებს, სურვილებსა და რწმენას სიცოცხლისუნარიანობაში, საბოლოო ჯამში, ყოველივე წარმავალია და ჩვენ დრო აღარ გვრჩება სიმბოლოების ამოკითხვისას ადამიანი ბუნებრივი, თანდაყოლილი ინსტინქტით უნდა ენდოს სამყაროს, თუ ამას სპექტაკულუმის ჩვენებისას მივალნიეთ - გამოდის, დრო ტყუილად არ დაგვიკარგავს.

- ტრილოგიის გაგრძელებას ხომ არ აპირებთ?

- ანტიგონე გაინტერესებთ?

- დიახ.

- ალბათ ამასაც მოვკიდებთ ხელს, რადგან თუ „ოიდიპოს ტირანში“ კაცის გვემის სანყისი მიზეზია საძიებელი, ხოლო „ოიდიპოსი კოლონოსში“ - მისი ამქვეყნიური აღსასრული, ცხადია, ანტიგონე ტრილოგიის გვირგვინია, სადაც ოიდიპოსის შვილის ამბავია მოთხრობილი, ამბავი ანტიგონესი, რომელიც სიყვარულის ულამაზესი ქმნილებაა და მშობლების ბედს აგრძელებს, თავისი დაწყვეტილი და ცოდვილი მოდგმის ბედს. ვფიქრობ, ადამიანი ადრე თუ გვიან ცოდვას აჯობებს თუ მიხვდა, რასთან აქვს საქმე. ცოდვის ორბუნებრივობას თუ ვაღიარებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში გაღებული მსხვერპლი უზომოდ დიდია და ღირს რომ საერთოდ?

- ცოდვის ორბუნებრივობას? - წინა რიგიდან მაგისტრატუსი ადგა.

- დიახ. სიკეთისთვის ბოროტებაა ცოდვა და ბოროტებისთვის - სიკეთე. მათ უერთმანეთოდ არ შეუძლიათ და არც ადამიანს შეუძლია მათ გარეშე, ბუნებაში კი ის საერთოდ არაა, კაცს არ ძალუძს საქციელის გამართლება ან ვინმეს ძაგება ამ ორსახოვნების გარეშე. ანტიგონეს თავისი სიმართლე ამოძრავებს, მისთვის პოლინიკე ღვიძლი ძმაა, კრეონისთვის კი - იგი სამშობლოს მოღალატეა, მთელი ჩვენი ცხოვრება ასეთი სიმართლეების შეჯახებას ჰგავს და ის ყოველთვის ტრაგედიით მთავრდება.

- მაშ, ცხოვრებას აზრი არა აქვს? - ზურგსუკან თქვეს.

- ცხოვრებას, - დინჯად მიბრუნდა გაცი, - ძალიან ბევრი აზრი რომა აქვს, იქნებ ესაა ტრაგედია, ვიცავთ რა ჩვენს სიმართლეს, საკაცობრიო წინააღმდეგობრობაში ვიკარგებით.

- იქნებ თქვენს ძმაზე, ახპეროზზე გვესაუბროთ, - სულ ბოლოდან თქვა ვილაცამ, - რატომ არ მოვიდა დღეს?

- ახპეროზი ძლიერი პიროვნებაა, - სკამზე გასწორდა გაცი, - ნიჭიერი და შრომისმოყვარე.

– დავამატებ, – ადგა ის მაგისტრატუსი, – მარგორა სანამ რომის პროვინციად ჩამოყალიბდებოდა, ათასი უბედურება გადაიტანა, მამათქვენის სახელი როგორ მოქმედებს თქვენზე? ბოდიში, თუ მეტად პირადულს შევეხე.

– საგანგაშო არაფერია, ისტორიაში აურუმი ისეთ პიროვნებად დარჩება, ვისაც მტკიცე და ძლიერი კაცის სახელი აქვს, მისი პოლიტარქობისას ის ისე იქცეოდა, როგორც დროც იყო და როგორც თვლიდა საჭიროდ, მტყუანს და მართალს დრო განსჯის, მე და ახპეროზს ჩვენი ცხოვრება გვაქვს და არც იმას ვუჩივით, რომ ანდერძით არაფერი დაგვიტოვა. მარგორა საოცარი ქალაქია, ამ ქალაქმა პატიების უნარი გვასწავლა, გვერდში დგომის უნარი. ჩვენ ერთი წარმოდგენა გვაქვს ჩაფიქრებული, საქველმოქმედო ჩვენება კეთრით დაავადებულთა დასახმარებლად, ობლების დასახმარებლად.

– დოგოდც ვატყობ, შეკითხვები ალადაა, – ის კეკლუცი ედილი ანერნეტდა ისევ, – ამიტომ ალბათ ბოლო კითხვას დაგისვამთ, დიდ დღოს ად წაგადთმევთ. დგეს ბევდი ვისაუბდეთ და თქვენ, დოგოდც ყოველთვის, ბდწყინვალე მჭედმეტყველებისა და გამჭდაიხი გონების უნადი და მაგალითი გვაჩვენეთ.

– ო, დიდი მადლობა.

– მაინტედესებს ტდილოგიის საბედისწედო კვანძებზე თუ ფიქდობდით წადმოდგენის შექმნისას.

– ისევ მითოლოგიას მოვიშველიებ, – ხელები მკერდზე გადაიწყო, – კვანძები, რა თქმა უნდა, არსებობს და მათთან ჩვენი დამოკიდებულებაა საინტერესო. გახსოვთ ალბათ, ურანოსმა თავის შვილებს, ტიტანებს მძიმე სასჯელი უწინასწარმეტყველა, ღამემ კი საშინელი მოროსი და შავი კერი შვა, აგრეთვე სიკვდილი – თანატოსი, ძილი – ჰიპნოსი და სიზმრები. მანვე შვა მოირები და კერები. მოირები იყვნენ კლოთო, ლახესისი და ატროპოსი, ესენი განსაზღვრავდნენ ადამიანის გაჩენისას მის ბედს, უბედობას და მომავალს. ღამემ აგრეთვე ნემესისი შვა, მართლმსაჯულების ქალღმერთი. რადგან ბერძნული ტრაგედიის გარშემო ვტრიალებთ, ამიტომ ვახსენე მითოლოგიაც.

– და ამით დაუნდა გეთქვათ?

– ის, რომ ერთი მშობელი თუ ჰყავს მართლმსაჯულებას და ბედისწერას, სიკვდილსა და სიზმრებს, მაშ, რას ვერჩით ადამიანს, ვინც არ უწყის რას სჩადის. რატომ ვასამართლებთ იმ საქციელის გამო, რაც მის დაბადებამდე ეწერა, რომ უნდა ჩაედინა, უფრო გონივრული არაა ის მოიძებნოს, ვინც ადამიანი ასეთ განსაცდელში ჩააგდო?

აუდიტორიუმი გაისუსა. სიჩუმის საბურველი მათ ფიქრებსაც დაეფარა. შემდეგ აქა-იქ შემოიკრა მოკრძალებული ტაში, რაც ფეხზე ადგომასა და შეძახილებში გადავიდა, გაქუხდა და ერთიანად გაისმა ის თამამი: – ვივა გაცი! ვივა!

კათედრიდან გაცი კმაყოფილი მედიდურობით წამოდგა. მსახიობები გვერდიგვერდ მოუდგნენ, მთელი ხნის მანძილზე ხმა რომ არ ამოუღიათ, – აუცილებლად შევხვდებით, – ტაშსა და შეძახილებში მაგისტრატუსებს გასძახა გაცმა, – გელით მომავალ წარმოდგენაზე.

ბაჩანას საგებელზევე ჩასძინებოდა. აღარც არქივარიუსისა ესმოდა, ღია კარში მდგარი ორ ბედუნის რომ ესაუბრებოდა:

– ჯერჯერობით, არაფერი, – ამბობდნენ ისინი, – პატარა როგორაა?

– ახლა ვაჭამე და ჩაეძინა, – თქვა სერაფიტემ, – პერანგს არ იხდის. მაშ, ჯერ ვერაფერი?

– ვერა, ვერაფერი. თითქოს არც არავინ იცნობს. კოლხეთიდან იშვიათად ჩამოდიან ჩვენს მხარეში.

– არაუშავს, ვადროვებ და მერე ალბათ პრეტორიუმში წავალ. მათ ვთხოვ.

– ცუდია, რომ ვერაფერში დაგეხმარეთ, – თქვეს ბედუინებმა, – სად არ ვიყავით.

– დიდი მადლობა, ძმებო, რამეს მოვახერხებ.

– მშვიდობით, , გვაპატიე.

– მშვიდობით, – სერაფიტე კიდევ რამოდენიმე ხანი გაჩერდა ზღურბლზე, ბედუინებს ხელი დაუქნია და არქივუმში შემობრუნდა. ლოდაკი და ნედა მაგიდაზე გადმოილო, ბიჭს გადააფარა და სარკმელთან დადგა. სერაფიტე წინათგრძნობამ მოიცვა, თითქოს მთელი სხეულით გრძნობდა მარგორას დასიცხულ ქალაქში განაბულ მუდამ თანმყოლ სუნთქვას, ზღვის მონაბერთან ერთად რომ აცხრებოდა ქუჩაში სიარულისას თუ ახლა, წიგნთსაცავის ჭერქვეშ დადუმებულს, წინათგრძნობა, უეცრად რომ ეკრობოდა საფიქრალზე და ჯერ ვერ გაეგო, თუ რას მიანიშნებდა მისი გაგუდული ზრახვა, რა იყო თავად წინასწარსაგრძნობი, რაიმე დიდი სიხარული? მოულოდნელობა? თუ კიდევ რაღაც უცხო, უცნობი, ანდაც უკვე ნააზრევი, მაგრამ დაუჯერებელი!

ტერფიდან თხემამდე, სხეულის ავლით, იატაკიდან ჭერამდე, კედლებისა და თაროების ავლით, სტროფებისა და წინადადებების ავლით ის მთლიანად ამ წინათგრძნობაში ჩატივტივებულიყო და შფოთის შეუმჩნეველი ნაპერწკლებით ხელისგულებიც უხურდა, მასზედ ნაოჭებად რჩენილ ხაზებს დასცქეროდა, ნუთუ ყოველივე ეს, ფიქრობდა სერაფიტე, ყოველივე აქაა და ყოველივე ესაა თვითონ? ხელები კალთებზე დაისვა, თავისი იასამნისფერი მოსასხამი ჩაიგდო, სკამის საზურგეზე გადააფინა და ღრმად ჩაისუნთქა. სიმხურვალე არც ჩასუნთქვისას შენელებულა, ხერხემლის ჩაყოლებაზე ჩაუარა წინათგრძნობის

მოუხელთებელმა სუსხმა, ჟრჟოლამ კეფამდეც აქაჩა და სერაფიტემ ჩაისუნთქა ისევ – თითქოს ეცადა არქივუმის დამტვერილი პაპირუსებისა და დანატოვარ ამბავთა, ოდებისა და ამფიბრაქუსების, ეპისტოლეებისა და ანაბასისების, დოქტრინებისა და მანიფესტუმების სიტყვათა, ასო-ბგერათა, სასვენ ნიშანთა, ზმნათა და ყველა არსებით – ცხოველ-სახელთა კვალისა და ანაბექტდის მიქრობას, მისუნთქვას და მიერთებას, თავთან მისისხლხორცებას. ამ საღამო წამს ჩაისუნთქა და თითქოს დილის სუნები ეჩვენა.

დილას გაცის კარზე კაკუნი გაისმა. ატლასის ზენრებში მონებივრეს უკვე გაღვიძებოდა და თაფლის ავშაჯანს წრუპავდა. თავთან ფინიკები ეწყო და შემწვარი რვაფეხა, დიდ სინზე გადახსნილი. მზარეული თუ მობრუნდა, სხვა ვინ უნდა იყოს, გაიფიქრა და ადგა, წამოსასხამი შემოიხვია და კარი გააღო.

სახლში სინათლეს შემოყოლილი დილის ხალისიანი სუნი შემოწვა. ზღურბლზე შავ აბჯარში გამოწყობილი პრეტორი იდგა: – ჰეგემონი გიხმობს, ახლავე უნდა ეახლო, – თქვა მან.

– ხო მშვიდობაა?

– მოემზადე, მე აქ დაგელოდები.

– ახლავე, – წამოსასხამი მოიძრო, ქიტონი ჩამოიკვია და ტუნუკა, სასტუმრო მოსასხამი დაიხვია და სანდლები შეიკრა. მონესრიგდა და გასვლისას სახლს მოავლო თვალი, კედლებზე დაკიდებულ ფარდაგებს, სკივრებსა და ძოლოებს, სასცენო მოლებს, დემონებისა და გმირების ნიღბებს, ჭერიდან ჩამოწულ თოკებზე მოქანავე ქოთნებს, გრძლად ჩამოზრდილ მცენარეებს და იატაკზე მოიმციმე მტვერს, – მზად ვარ, – თქვა გაცმა, კარი გამოიხურა და პრეტორთან ერთად ეზოში გავიდა.

პალმებს შორის გაკიდებული საჩრდილობელი გაიარეს და ბუჩქნარში ჩაშენებული კოხტა აუზიც, ქვითკირის ღობეში ჩასმულ ჭიშკარში გავიდნენ. კარი მცველებმა გააღეს, მამასახლისი, მეზალე და დანარჩენი მსახურები ბილიკთან შეგროვებულიყვნენ, – მალე დავრუნდებით, – სიტყვა დაუგდო გაცმა და პრეტორს გახედა.

გაცის დანახვაზე წივილით წამოიშალნენ კირით გალესილ ამ ბანიან სახლთან ყოველთვის მომლოდინე გოგონები, გაღებულნი, თმებდანწულნი და ჭორფლიანი მოთაყვანეები, – გაცი! გაცი! – ატეხეს და ეცნენ, მაგრამ გზად პრეტორიანელები გადაეღობნენ, კერპთან მიახლოების საშუალება არ მისცეს. აცრემლებულები, გამოწვდილი ხელებით წინ გარღვევას ეცადნენ და ისევ მათ სანატრელ სახელს იმეორებდნენ – გაცი!

– მიჩვეული ვარ, ყოველდღე ასეა, – თქვა გაცმა, გოგონებს ხელი დაუქნია, გაუცინა, კოცნა უგზავნა. ისინი მთლად გადაირივნენ, გაძაგდაგდნენ და განიკვინდნენ, – შევეჩვიე, შუადღისთვის უფრო ბევრი გროვდება ხოლმე, – გაცი ღია ეტლზე ავიდა, გვერდით პრეტორი დაუდგა, აღვირი მოიმარჯვა, – ნავედით, – თქვა და ცხენებს შოლტი გაკრა, მხედრებიც ცხენებს შეახტნენ და გაქუსლეს. ვილაც დაფეთებული გამვლელი კედელს აეკრო ზურგით, ვილაცას გზაც აებნა, მხარზე დადებული კალათი დაუვარდა, ბრონეულები გაეპნა, რომელიღაც კარიდან ტიტლიკანა ბალლი გამოვარდა, იმავე კარიდან ქალმა სტაცა ხელი და უკანვე შეაგდო. სახლების წინ, ქუჩაში გაშლილ დახლებთან, ქოთნებით მოვაჭრენი, მენაღეები და დანის მლესავები, ყასბები თუ აფთიაქრები და გამვლელი და კუდამოძუებული ძაღლიც და ტანადი ლეგიონარიუსიც, გაპრანჭული მეძავეებიც და გაუგებრობაში მოყოლილი ჰინდუც, ქვაფენილებზე ამტყადარ მტვერსა და ბულში, მოთენთილი მზერით აცილებდნენ პრეტორიანელთა ლანდს, კეისრის დაუსწრებელ აუტორიტასს და მათ იღბალსა და კერპს, ორთავალა ღია ეტლზე მდგომ გაცს.

ეზრას რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში გავემწესებინე, ფიქრობდა სერაფიტე, მძინარე ბაჩანას მაცქერალი, საინტერესოა, მაშინაც თუ გამტანჯავდა ჩემი უცნაური ფიქრი? ფიქრი იმისა, რომ სიტყვადმთენილი სამყარო გარს გვარტყია უთავბოლო წრებრუნვით. იქნებ იქ ამის დრო არ მექნებოდა? სერაფიტე საგებელის კიდეზე ჩამოჯდა, ისევ წინათგრძნობის ფორიაქი უბნედა ფიქრს და ვერა და ვერ გაეგო, რა ძალით იყო იგი გამოწვეული. რას მიანიშნებდა. ეზრა ამბობდა, პროკურატორმა ბევრი რამ იცისო, რატომ თავიდანვე მასთან არ მივედი? ან იქნებ მივედი და არ მახსოვს? არა, ამის არ მჯერა, მჯერა იმის, რომ იგივე ადგილები, ხმები და საქციელები და ეს გაუთავებელი სუნთქვაც ისევ და ისევ მახსენებს თავს, სადღაც მიქრება და შემდეგ ისევ მოდის, თავს მანონებს თითქოს, მეხსიერების მწვავე ექოებით მიბრუნდება, მაგრამ მე ვერ გავიხსენებ იმ პირველ, საბედისწერო წამს, როცა გამოღვიძება ვინყე, როცა თავში დაკარგვა ვინყე და არქივუმშიც გადმოსიტყვებული ქვეყნიერება წინ გადამეშალა ამდენი ხელნაწერის წყალობით. რამ მიბიძგა, ყოველდღიურობას ამ კუთხით დავეკვირვებოდი, რითაც ახლა ვუყურებ. არც ის მახსოვს, ჩემი საფიქრალის საწინდარი რა იყო – ვიცი ის, რაც ვიცი, რომ ეზრა აქ არაა, სიცოცხლის საიდუმლოს თუ მიაგნო და შესაძლოა მინიშნებანიც დამიტოვა, მაგრამ ჯერ არაფერი, იქნებ რაიმე საქმეც კი დარჩა აქ დაუმთავრებელი, რის სისრულეში მოყვანაც მე უნდა შევძლო, მაგრამ როგორ? ნუთუ ის, რასაც მე ახლა ვიგებ, ჭეშმარიტია? მაშინ რატომ ვშიშობ, თუკი სწორია ჩემი ძიება, თუკი სწორ გზაზე ვდგევარ? ერთი და იმავე ფიქრით ვიტკეპნი ტვინს და ვიცი, რომ დრო არც ისე ბევრი მაქვს, თუმცა ჯერ კიდევ არის.

მორიდებულმა კაკუნმა არქივარიუსის ფიქრი გაფანტა.

სერაფიტემ კარი გააღო. ქვის კიბეების ძირში, ქუჩაში, მეზადურები იდგნენ.

– გაიგეთ რამე? – თქვა სერაფიტემ.
 – ჯერ ვერაფერი, – თქვეს მათ.
 – აბა რას მოხვედით.
 – მაგიტომ არ მოვსულვართ, ცოტა ხანში ზღვაში გავდივართ, მთელი ღამე, დილამდე ვითევზავებთ, ამიტომ გაფრთხილებთ, რომ არ გველოდო. თანაც ჯერ ვერაფერ ვერაფერი გვითხრა.
 – ასეც ვიცოდი, – თქვა სერაფიტემ, – ილბლიანად ითევზავეთ და ამაზეც მადლობა, – კარის მიხურვას აპირებდა, როცა ერთმა მებადურმა დაუძახა: – გვინდა, რომ ცუდად არ ფიქრობდე ჩვენზე, საქმის ხალხი ვართ და სიტყვასაც ვიცავთ.
 – ჰოდა, მადლობა–მეთქი, სხვა რა გითხარით.
 – თუ პრეტორიუმში მოგიწევს პროკურატორთან შეხვედრა, იქნებ ორი სიტყვა ჩვენზეც შეანიო, ხომ იცი დღედაღამ ვშრომობთ, ოჯახები გყავს სარჩენი.
 არქივარიუსმა არაფერი თქვა, სახლში იყო თითქმის შესული, როცა, – ბოდიში, – დაამატა იმ მებადურმა.
 – რა გაქვთ საბოდიშო, – თქვა სერაფიტემ, კარი მიხურა. ვერც მათ ვერაფერი, გაიფიქრა, ოთახში ჩუმად გაიარა, სარკმლის ფარდები განია, ერთმანეთს გააშორა, მზით დათეთრებულ ქალაქს გახედა, უნდა დაველოდოთ, ჟამს უნდა დაველოდოთ, ფიქრობდა.

– აქ დაელოდეთ, დაგიძახებენ, – უთხრა პრეტორმა გაცს და პროკურატორის მოსაცდელიდან გავიდა.
 პრეტორიანელები კოლონადასა და აივანზე დადიოდნენ. აბჯრები და მუზარადები მზის ანარეკლებით უპრიალებდათ გამქრალ ფონზე, აივნის იქით სამარადისო უსასრულობით რომ გაშლილიყო ყოველთვის იგივე, ყოველთვის ისეთი, როგორც იყო, როგორც არის, ნალდი.
 რა უნდა, რომ მიბარებს, ფიქრობდა გაცი, პირველად ვარ პრეტორიუმში, ეს ხალხი მას ელოდება? იქვე ჩამომსხდარი ადამიანები გადაითვალა, კრიალოსანს რომ ატრიალებს – აბისინელი იქნება, კანის ფერი სხვანაირი აქვს, ის ორი რომაელები არიან, ლაპარაკი არ უნდა, კანდიდატები იქნებიან, ტოგებზე ეტყობათ, ეს ალბათ ხუროთმოძღვარია ან მხატვარი ან არ ვიცი, მაგრამ მე რატომ მიბარებს, მამაჩემის რამე ძველი ამბავი ხომ არაა? ან ანდერძისა ხომ არაფერი გაირკვა? ახპეროზი გაგიჟდება, რომ ვეტყვი, პრეტორიუმში ვიყავი-მეთქი.

პალატიუმის კარი უხმოდ გაიღო, მომცინარი სახის ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, ასევე თეთრი ტოგით მოსილი. გრავინილი გაშალა, თვალი დაატარა. გაცი ადგა.
 – დაგველოდეთ, ახლავე შეგიყვანთ, – თქვა კაცმა და ორ რომაელს პალატიუმში შეუძღვა, – თქვენ კი მოგვიანებით, – იმათაც გაუღიმა, დანარჩენებს. მემგონი, ეს ყველას ასე უღიმის, გაიფიქრა გაცმა. თავის ადგილზე დაჯდა. შეიძლება სენატუსიდან ჩამოვიდნენ? ო, ეს ალბათ არასდროს მორჩება კრიალოსნის ტრიალს, რა ქვებია ნეტავ? ქარვა? ქარვა იქნება ასეთი ოქროსფერი და გამჭვირვალე. ძიძა გვიყვებოდა ძილისწინ ზღაპრებს, ჰელიოპოლისში რომ ქარვის ჯადოქარი ცხოვრობსო, გამახსენდა: „... და უთხრა ჯადოქარმა იმ ბიჭს, რომ თუ გამთენიისას ქარვას იპოვი, დააკვირდი, რამდენი ბუზი ან კოლო იქნება შიგნით, იმდენი სურვილი აგისრულდებაო და ბიჭიც წავიდა ჰელიოპოლისიდან ცხრამთას იქით, ჯადოსნური ქარვის საძებნელად და ერთ ტბას მიადგა, რომლის შუაში ულამაზესი სასახლე იდგა, ხოლო სასახლის გარშემო სირინოზები ისხდნენ და გალობდნენ“. და კიდევ ის, რომ ახპეროზმა უთხრა: „... ოდისევისი ცირინოზებს არ უსმენდა? – კი, ოდისევისი გემის ანძაზე მიება და ისე უსმენდა, – რატომ? – იმიტომ, რომ სირინოზების გალობისგან მოჯადოებული, წყალში არ გადავარდნილიყო, – და ოდისევისი გადარჩა? – კი, ულისე გადარჩა, – და ის ბიჭი? ტბასთან რომ მივიდა, წყალში გადახტება? – არა, ის ბიჭი არ გადახტება. დაიძინეთ და ხვალ კიდევ მოგიყვებით“, – მერე რომ ჰექტორზე ვაყოლებდით და აქილევსზე და ჩემს ხმალთან ერთად ჩახუტებულს მეძინა. კარგი დრო იყო, თუმცა რაც მაშინ მომხდარა, ხალხი ინყვევლება, დიდი გლოვა იყო და იმ ამბების ნახევარსაც ვერც ახლა ვიგებთ და არც მჯერა, როცა ამბობენ მამაჩემი ტირანი იყო და პეტრიდიდეც ღორებმა შეჭამესო, ლეგენდები ყოველთვის იქნება და აი, ჩემზე რომ სიცოცხლეშივე ზღაპრებს ყვებიან, ეს კი კაია – ვერთობი.

პალატიუმის კარი ხელახლა გაიღო, ორი თეთრტოგიანი გამოვიდა, მათ ისევ ის კეთილადმომღმირი გამოჰყვავთ, – მოზრძანდით, – უთხრა გაცს, – ჰეგემონი გიხმობთ, თქვენი საკითხი ჯერ არაა გადაწყვეტილი, დაელოდეთ, – კრიალოსნიანმა ღრმად ჩაისუნთქა და ნელა გამოცალა ჰაერი, გვერდითმჯდომმაც მოუსვენრად გადაიგრიხა თითები.

გაცი პროკურატორთან შევიდა.
 შევიდა და იქვე დადგა. დადგა თითქოს რაღაც განსაკუთრებული უფლებამოსილებით დაჯაბნული, თითქოს ამ უხილავობის დიდებული სტიქია იგრძნო ისტორიაზე ბეჭდად დარტყმული, რისადმი კრძალვა და რიდია საჭირო. ატრიუმს ახედა, რაც ჯერ არ ენახა, მაგრამ არ უკვირდა ასე პირდაპირ ჭერში აჭრილი დიდი არდაბაგი, საიდანაც ოთხკუთხედად მოჩანდა ცის ნაწილი და წვიმის წყალი მის ქვეშ, ზუსტად იმავე ზომის აუზში რომ გროვდებოდა. აჰყურებდა იონიური ჩუქურთმით აყვანილ სვეტებს, ეპისტილიონზე რომ შემდგარა ატრიუმის ოთხივე კუთხეში, რომლის გარშემო პალატიუმის სივრცეს წითლად მოხატული

კედლები ერთგვარად, ერთმანეთში გადახლართული სარტყლები, მოოქროვილი ორნამენტუმის სქელი ზოლი. გაცი ერთგვარი თავშეკავებული მორიდებით უცქერდა პალატიუმის არქიტრაბსებს და ორი სვეტის ახლოს აბჯენილ კეისრის ქანდაკებას, სამხედრო აღჭურვილობით დახვეწილსა და ძლევამოსილს, მარჯვენა ხელი ვისაც გაეწვდინა.

მძიმედვე დაწვენილ მაგიდასთან შემალღებულ კათედრა იდგა.

– ახლავე, – თქვა კეთილადმომღიმარმა, მოპირდაპირე კარში შევიდა, ოთახიდან პროკურატორის ხმა მოისმა, ბოხი, – მივიღებ, კარგია, – ხმის გამოყოლილმა ნაბიჯებმა უფრო ააღელვა გაცი, მაგრამ როცა ტანმალაღი და ტოგამოსილი ჰეგემონი შემოვიდა, გაცმა უცნაური შვება იგრძნო, გულის დარტყმები ერთმანეთს მიეყარა, მუხლები მოუბუყდა.

– იმდენი საქმეა, ველარაფრისთვის ვიცლი, – თქვა პროკურატორმა, – მოდი აქ.

გაცმა თავი დაუკრა და მიუახლოვდა.

– გაგიკვირდა ალბათ, რომ დაგიბარე, სასიხარულო ამბავია, ეს უფრო გაგკვირებს, შენი სახელი შორს გავარდა, რომშიც მიაღწია, მონვევა მიიღე.

– რომიდან? – გაკრთა აქტიორი.

– წერილია შენს სახელზე, სენატუსის კონსულის მეუღლე რომში დასს მფარველობს. მოგეხსენება, კეისარმა ერთი წლის წინ მარსის ველზე ხის ამფითეატრონი ააგო, იქ გიხმობენ წარმოდგენის გასამართად. რამდენი წლის ხარ?

– ოცდათერთმეტის.

– მშვენიერია.

გაცი სასიამოვნო ბურუსში გაიბნა, ო, ღმერთებო, თქვენამდეც ამოვიდა ჩემი დიდება, ეზმანა გონში და ჰეგემონს ნათამაშები თავმდაბლობით არიდა სახე.

– აჰა, ესეც, თეატრონის ხელმძღვანელის წერილია.

გაცმა გრავნილი გამოართვა, – „გვაქვს პატივი საგაზაფხულო ლუპერკალიაზე თქვენი დასი ჩვენთან მოვიწვიოთ რომის სცენაზე სპექტაკულუმის გასამართად, ჰონორარიუსსა და დანარჩენ პირობებზე ადგილზე მოვილაპარაკებთ. ჩვენი მოძებნა ამ მისამართზე შეიძლება. გელით“. – ეპისტოლეს ქვევით ხელმძღვანელის ხელმოწერა და მისამართი იყო.

– ბატონო ჩემო, – შეამხანაგდა გაცი, – მინიშნებული რომ არაა, რა უნდათ? თან ჩვენ დასში ოცამდე ადამიანია. მსახიობების გარდა სცენის მუშები, მხატვრები, მენილბეები...

– დინჯად ყმანვილო!

მოკვდა კაცი. სუნთქვა შეეკრა.

– ხომ არ გავინყდება სად იმყოფები?! – ჰეგემონი კათედრაზე დაჯდა, – ნახვალთ ყველანი, ხარჯებზე თქვენს გარეშეც ნაფიქრია, ჩემი კაცი გაგყვებათ და გაითვალისწინეთ, რომში ტრაგედია არ უყვართ, თვითონვე შეარჩევთ რამეს, მამაშენი იამაყებდა, რომ თვით ჰეგემონის პირისპირ, პრეტორიუმში დგახარ, ამიტომ დინჯად ბალო, დინჯად.

– ნება მიბოძეთ, – ჩაისუნთქა ნაოფლარმა, – მამაზე გკითხოთ.

– რა?

– არ ვიცი. ყველაფერი.

– ანდერძი?

– ჩვენ მაშინ პატარები ვიყავით როცა მოკლეს, სადაა დამარხული არც ვიცი.

– არც მე. ძნელია ოცი წლის შემდეგ რამის გარკვევა, მაშინ სასახლე დაინვა და დაინგრა, ნუ შეანუხებ მის ნეშტს, იყოს იქ, სადაც ასვენია და ნურც თავს დატანჯავთ, – პროკურატორი ადგა, – ტოგის ნითელზოლიანი კალთა გადმოისწორა, – თავისუფალი ხარ.

პალატიუმში ის კეთილადმომღიმარი შემოვიდა, გაცს კარისკენ უხმო. გაცმა თავი დანია და მობრუნდა, კარში გასვლისას ერთხელაც გააგდო ზურგსუკან მეტიჩრული ხედვა – პროკურატორი მარდი ნაბიჯით გადიოდა. ოცი და ოცდაორი წლის წინანდელი ამბავი კი არა, ფიქრობდა ის, ტიბერიუსის დროს მეც ახალგაზრდა ვიყავი, მამამისი რომ ბოგინობდა. კოლონადაში გავიდა, პრეტორიუმის კოჰორტისი შეამონმა, კეისრები ამინდევით იცვლებიან, განაგრძო ფიქრი, ხარბი ტიბერიუსი, ნაბიჭვარი კალიგულა, ღვთაებრივი კლაუდიუსი, მთელი მათი ლაშქრობებით, განსწავლულობით და გარყვნილებით ყელში მაქვს ამოსული, ან ეს პროვინციაც ვილას ახსოვს. პროკურატორი გაჩერდა. მოაჯირს დაეყრდნო, ღია კარს იქით მისი პალატიუმი მოჩანდა, ატრიუმის სვეტებთან მდგარი კეისრის ქანდაკებაც, ამ ნითურ შემლილს უთქვამს, ვილაცასთან საუბრისას, იმას რაღაც ლექსი ნაუკითხავს – დაე, როცა მოვკვდები ცეცხლმა შთანთქოს ქვეყნიერებაო და ამ შემლილს დაუყოლებია, – არა, სანამ ცოცხალი ვარ, ახლა შთანთქოსო! ვაი, რომ რომის დანვა განიზრახა?! იზამს. სამი წლის წინ გახდა კეისარი, ლანირაკი, ადამიანთა ბედს საზღვრავს, შენ ხომ შეპყრობილი ხარ! როგორც შენი წინამორბედნიც. ატრიუმში შევიდა, ქანდაკების ქვეშ დადგა, აათვალიერა, ფიქრით აესაუბრა: შეპყრობილი ხარ, აბა რა, სენატუსში სიტყვას რომ სიმღერით წარმოთქვამ, სხვა რა

გინოდო? აუზის კიდეზე ჩამოჯდა, თავზე გადაისვა ხელი, ტუტუცნო, ბედად სამყაროს საიდუმლო თქვენთვის არაა ცნობილი. კაცი მას მალე ამოხსნის და მალევე მოვა ჩემთან.

კეთილადმომღიმარმა ჩაახველა. შემოსულიყო და მოშორებით იდგა.

– კიდე ვინმეა? – თქვა პროკურატორმა.

– ის აბისინიელია, ორი კვირაა რომ აუდიენციას ითხოვს და ის ოქრომჭედელიც, მალე სამხარის დროა.

ჭეგემონმა სახეზე ხელისგული ჩამოისვა, ნიკაპი მოიფხანა, წლების განმავლობაში რასაც არ მოკლებია ძარღვი, – ვინც გინდა, ის შემოუშვი, – ატრიუმის აუზში მტევანი ჩაათამაშა.

ახპეროზის სახლი მარგორას მთიანი ქედის მაღლობზე მიმალულიყო, პალმებსა და შეფენილ ბანიან სახლებში. ზღვის გამჭვირვალე ყურე მოჩანდა და მოხსნილი ქვიშიანი სანაპირო. ბავშვები დარბოდნენ, ნიჟარებსა და კიბორჩხალებს აგროვებდნენ.

გაცმა კარზე დააბრაზუნა.

– მობრძანდით, – გაულო კარისკაცმა, – მაგრამ თქვენი ძმა...

ძმამ ხელი კრა, ეზოში შეხტა, ბაღში შეირბინა, სახლში შევიდა, – ოთახში არავინ იყო, ისევ ქალი ჰყავს, ქვევით იქნებიან. სახლს შემოურბინა, ქვედა ბილიკით ზღვის მხარეს გასულ არდაბაგიან ოთახთან ჩავიდა, მაგნოლიების ხეივნის ქვეშ. თავი არ ტკივა ამ სუნში? დაჰკრა ფიქრად და შეხსნილ კარში ფეთიანივით შექანდა.

საკმეველის სუნი ეცა. იატაკზე დაყრილ სამოსელში, დოქებსა და ფიალებში ფრთხილად გადააბიჯა, – სად ხარ ე, გაცი ვარ! ვინმე გყავს?

– მოდი თუ მოხვედი, – გაიგონა შიგნიდან. შესასვლელს დაკიდებული ფარდაგი ფარავდა, – მოდი, რას იმალები.

გაცმა ფარდებში შეყო თავი.

– რა კატასავით მეპარები, შემო რა, – გრძელი თმებით, ათლეტურად აწყობილი ახპეროზი, ილიონის გმირის იერით სანოლზე ნამომჯდარიყო. გვერდით შიშველი გოგონა ეწვა, ჩამოკლაკნილი თმები ყურებსუკან ვისაც გადაენია, – ჩემი ძმაა, შებერტყილია, – აკოცა ლამაზმანს, ლოყები რომ ასწვოდა გაცის შემყურეს.

– იქნებ, – ჩაეცინა გაცს, – ცოტა მოგვიანებით?

– ფერი არ გადევს, – ახპეროზმა ფინიკი ჩაკბიჩა და ლამაზმანს ყურებზე აკბენინა, – რა ხდება?

– გააფრენ, ისეთი რამე უნდა გითხრა, გაინძერი, რამე ქენი, ან გარეთ გამო, ან ეს მზეთუნახავი გაუშვი.

ახპეროზმა გოგონას უჩურჩულა.

ლამაზმანი ლოგინიდან ატიტვლდა.

– აუ, – ამოუვიდა გაცს ვინრო წელისა და დაატმებული ძუძუს დანახვაზე.

ტურფამ მსუნავი მზერა მიარტყა და ნაგდებული გავის თამაშით ჩაუარა გვერდით.

– რა ქალებს ითრევ, სალოლ ძმაო.

ახპეროზი საგებელიდან წამოინია. ნავარჯიშევ, დაკუნთულ ტანზე მზის რუჯი დაცხრომოდ, – ქალები არაფერ შუაშია, თუ გონებით ცხოვრობ, ცხოვრება კომედიას ემსგავსება, თუ გრძნობით – ტრაგედიას, უნდა აირჩიო, რას აპირებ! ტრაგიკომედია შაყირია. თქვი, რა ხდება?

გაცი ბამბუკის სკამზე დაჯდა, ფეხები გაშალა, ფინიკი აიღო, – იცი, ახლა საიდან მოვდივარ?

– საიდან?

– პრეტორიუმიდან.

– რაა?

– ჰო, პროკურატორთან ვიყავი. რომში მივდივართ, აი, მონვევა გვაქვს.

– მოიცა, წყნარად, პროკურატორი რა შუაშია, ან მარტო რატომ იყავი. მე რად არ მითხარი? – ბალიშზე გადაწვა.

– რა არ გითხარი, ამნამს მაგის პრეტორი დამადგა, წამიყვანა და ვერაფერი მოვასწარი, შევედი და თვითონ მიმიღო.

– მართლა?

– აბა? ატრიუმიდან გამოვიდა. ეგეთი ატრიუმი აქვს, ძან ლამაზი და აი, ესაა, – გაცმა გრანგნილი გადაუგდო, – ნაიკითხე.

ახპეროზმა ეპისტოლე გაშალა. ნაიკითხა, – აქ მარტო შენზეა ლაპარაკი, – განყრა, გრანგნილი იატაკზე დააგდო, – თავის ფასი რომ იცი, კარგია, მაგრამ ცოტაა, მოთხოვნილებითაც უნდა სარგებლოდე.

– სადაც მე, იქაც შენ! თვის ბოლოს რომში უნდა ვიყოთ, ლუპერკალია იწყება. რომი! აღიარება! ფული, დიდება, შეიძლება კეისარიც დაესწროს, პროკურატორის კაცი გაგყვება და უკანაც ჩამოგვიყვანს. დაფიქრდი, რა ამბებია და რა ხალხია ჩარეული.

– კიდევ რაო. პრეტორიუმში რა ნახე, – გამწარდა ახპეროზი, სულში უკბინა კრაზანამ.

– მეტი რა უნდა მენახა.

ღვარძლიანმა ღიმილმა ახპეროზის სახე დამანჭა, კბილების ბოლმიანი მიჭერით როცა ეკუნთებოდა ყბები.

– ეგრე ნუ მიყურებ, – თქვა გაცმა, – თითქოს პარისი ვიყო და ელენე მოგტაცე. დამცინი? ფულზე არ იფიქროთო, მთელი დასი ჩახვალთო, გასამრჯელოსაც იქ მოგვცემენ და შეიძლება ნერონიც ვნახოთ და ეს რასაც ნიშნავს, ალბათ ხვდები.

– მამაზე არაფერი ჰკითხე?

– კი, მეთქი საფლავი სადაა და არ ვიცითო. რა დროს ეგაა!

ახპეროზმა არდაბაგმი გაიხედა – ნათელ ჭრილში ზღვა ირწეოდა, – მე ასე არ მანყობს, – თქვა მჭლედ.

– რა არ განყოფს.

– ჯერ ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს. შენ მართლა რომის მოქალაქე ხომ არ გგონია თავი, ჩვეულებრივი აქტიორი ხარ და თუ პრეტორიუმში ასე გეძახიან და პროკურატორები პირადად გაძღვევენ მონვევებს, მე ჩემი პირობები მაქვს.

– ახლა არ შემშალო! არ გინდა მარსის ველზე? ამფითეატრონში? რომში გვეძახიან შეჩემა, სხვაგან კი არა. გეუბნები, მე ნაგიყვან, რაც გინდა, ის დავდგათ.

– შენი ნასაყვანი არაფერი მჭირს.

– რა შუაშია.

– თავშია! შენზე ყველას გარეკილი აქვს, ისე ცხოვრობ, თითქოს ვინმე პატრიციუსი იყო და ისე იქცევი, თითქოს წარმატება მხოლოდ შენი დამსახურებაა.

– შენსას არ გადადიხარ ხომ? ეგეთი რა გენყინა...

– გითხრა, რა მენყინა?! – ფიცხად წამოხტა ახპეროზი, გაცივ აკრთა, წინ აზრდილ ძმას შეხედა დაბნეულმა, ქუთუთო აუთამაშდა, რა და მთელი ცხოვრება, გაიფიქრა ახპეროზმა, რომ შენზე უფროსი ძმა მეორე ვარ, აი ეგ! სახეში შესცინა და თქვა: – არაფერი, უბრალოდ, არ ვაპირებ რომ მთელი ცხოვრება ჩრდილი ვიყო.

– თუ ეგრეა, მეც მომისმინე, – თქვა გაცმა, თითქოს სასცენოდ მოიღერა ყელი, – ვიდრემდე წავალ, მათქმევინე ორიოდ სიტყვა, პირში გეტყვი რასაც შენზე ვფიქრობ, რომ მხოლოდ იბოლმები და ქალებს იცვლი, მერე რა, რომ ასე მოხდა? რომ მე დამიბარეს, წერილში არცერთის სახელი წერია, რამ აგშალა, შე შურთანო! ჯერ გვიან არაა, რომი, კონსულები, სენატორები, უფრო მაგარი ქალები. არა? ასეთი დრო შეიძლება მეორეჯერ არც დადგეს. დღეს დასი უნდა შევკრიბო, მათ ვერ გავანბილებ. მოიფიქრე.

გაცმა ცოტაც აყოვნა და კარისკენ წავიდა.

ახპეროზი პირდაკრული უცქერდა ძმას და მისი პირდაკრულობა ის თხელი ზღუდე თუ იყო, რომლის იქიდან ყოველ წამს შეიძლებოდა ამონთხეულიყო ღვარძლიანი სულისრევა.

– შეცდომას უშვებ, – თქვა გაცმა, – პატრიციუსივით მე ვცხოვრობ? თავს შეხედე. შვილიც რომ არ გახსოვს, რომ მიაგდე და აღარ უვლი, ემალები, ჩემზე რამეს როგორ ამბობ.

– მოკეტე, შენი საქმე არაა, ბაჩანა მიყვარს მე.

– ჰოდა, თუ...

– მო! კე! ტე!

– ჰოდა, თუ გიყვარს, ტვინიც გაანძრიე, – გამოხედა გაცმა და გადმოხედა თითქოს ზემოდან, – ქალი მიატოვე, მაგაზე არაფერს ვამბობ, მაგრამ ბავშვი?

– ნუ ფილოსოფოსობ.

– ფილოსოფიამ რა იცის, შულმა სადამდე შეიძლება ძმები მიიყვანოს, აი თურმე, როგორ გნყინდა, ბავშვობაში რომ ჩემი ხმლით არ გათამაშებდი, რას ვიფიქრებდი, მშვიდობით.

– მიდი, მიდი! – მიაძახა წასულს, – მაგრები ხართ. ნერონი კარგად გაერთობა შენნაირი თოჯინით, რა სასაცილოები იქნებით ორი რიჟა რომის ცირკუსში? – სარკასტულად გაიცინა ახპეროზმა და კუნაპეტივით შავი თმა ხელით აიქოჩრა.

გაცი ჩქარა გავიდა ოთახიდან, მეორე ოთახიდან, სახლიდან, მაგნოლიების ხეივნიდან, ბალიდანაც, სადაც კანს მზით იტრუსავდა ტიტლიკანა ქორფა, თვალდახუჭული ვერც რომ ამჩნევდა აქვითინებულსა და გულნატკენს, გაგდებულს ძმის სახლიდან.

ბაჩანას გაეღვიძა. თვალები მოისრისა.

– გაიღვიძე? – მიეთბილა სერაფიტე, – გემრიელად თვლემდი.

ბაჩანამ დაამთქანარა. სანოლიდან წნიკა ფეხები ჩამოყო, ქალამნები მოიჩოჩა, – სიზმარი ვნახე, – თქვა თავისთვის.

– რა ნახე?

– ვითომ ორი ხარი იყო გუთანში შებმული. მეც მინდორში ვიდექი და ის ხარები ხნავდნენ. მაგრამ ერთმა ბევრი მოხნა, მეორემაც მოხნა, პირველმა ხარმა კი ურქინა. მეორემაც ურქინა, იქ ხორბლის თავთავები

გაიზარდა, ბევრი, მთელი მინდორი გაყვითლდა და იმ ხარებმა კი ერთმანეთი რქებით მოკლეს. ცუდი სიზმარი იყო. მე გავიქეცი.

სერაფიტე გვერდით მიუჯდა, – კიდევ გახსოვს რამე?

– დედასთან გავიქეცი, ნავში ჩავჯექით, ზღვაში კი ომი დაიწყო, წყალში მეომრები იყვნენ ყელამდე ჩაძირულები და ხმლებს იქნევდნენ, მე და დედა ნავიდან არ ჩამოვსულვართ, ისინი კი ჩაიძირნენ და წყალზე სამკაულები ამოტივტივდა. დედამ ჩამიხუტა, ირგვლივ კი ყველაფერი გათეთრდა და შენ გამოჩნდი, ვილაცას ელაპარაკებოდი ჩემზე. ის სამკაულებიც გაქრა, მარტო მე, შენ და ის კაცი იყო, შენ რომ ელაპარაკებოდი, დედა კი თითქოს ყველგან იყო ირგვლივ, მაგრამ მე ვეღარ ვხედავდი, მხოლოდ ვიცოდი რომ აქაა და ვუყვარვარ და გამეღვიძა.

– მორჩა?

– ა, კიდევ ისა, – ბაჩანამ ქალამნები შეიკრა, – ვითომ უკან გამოვიხედე და ზღვა აღარ იყო, მაგრამ ლაბირინთით გამოჩნდა დერეფნები, თითქოს იქიდან გამოვივდი, იქ ერთი ქალი იდგა სულმთლად შიშველი და ტანზე ზეთით რალაცას იცხოვდა. ერთი მსუქანი კაციც იყო – მინაში იჩიჩქნებოდა და რალაცებს ქამდა, ერთი აბჯრიანიც დავინახე, ის აბჯარი გაიხადა და მინაში ჩანვა და იქიდან კიდევ ერთი კაცი ამოვიდა, ის ორი ხარი ამოიყვანა, მაგრამ თვითონ ნაწილებად დაიშალა.

– შეგეშინდა?

– სიზმარში არ მეშინია ხოლმე, ვიცი, რომ სიზმარია.

– საიდან იცი?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა და ხელმეორედ მოისრისა თვალები, – რა ვქნათ? – თქვა ჩუმად.

– უნდა დაველოდოთ, – თქვა სერაფიტემ, – ცოტა ხანი კიდევ უნდა დაველოდოთ, ბედუინებმა ჯერ ვერაფერი გაიგეს, ვერც მეზადურებმა, ვნახოთ ბოშები რას გვეტყვიან, თუ არაფერი და მერე მე ვიცი, – სახე კარისკენ შეაბრუნა, ფიქრს მიეძალა, ყრმა სიზმრად თითქოს იმას ხედავს, მანამდე რაც იყო, თითქოს მანამდე ყოფნის ხმები რაც დამდეგს, თითქოს სიმბოლოებით ეჩვენება ბიჭუნას განვლილი დრო, განვლილი სიტყვა – ასე ნაცნობი ჩემთვის, ის ლაბირინთიც, მისი გმირებიც და მისი ბედიც, მაგრამ ის სითეთრე რალაა? და ვის შეიძლება ვესაუბრებოდე? პროკურატორს? ეზრას? ვის?

– გინდა ხატე-მეთქი და არ ხატავ, – თქვა სერაფიტემ, – გინდა მართლა? მოგცემ პაპირუსს და დახატე, ან...

– ჰო, ჰო, – ახალისდა ბიჭი, – მომეცი რამე. დავხატავ.

სერაფიტემ მაგიდაზე ცარიელი პაპირუსები დადო. მოკლე დაშნა ქარქაშიდან ამოიღო, კალამს წვეტი წაუთალა და სამელნესთან ერთად იქვე გააჩოჩა, – მოდი, ფრთხილად ჩაანობ და აქ, – პაპირუსზე მიაწინა, – რასაც გინდა დახატავ, თუ წვეტი წაგიტყდება, მითხარი და კიდევ გაგითლი.

– როგორი მოკლე დაშნა გქონია, – თქვა ბაჩანამ, – ტარზე რომ ფერადი ქვებია, ძვირფასი თვლებია?

– ჰო, ძვირფასი თვლებია, – სერაფიტემ ტარით მოაბრუნა დაშნა, – ეს აღმასია, – მიუთითა ერთ სპეკალზე, – ეს საფირონია, ეს ზურმუხტი და აქ კი იაგუნდი, ხედავ, მოოქროვილიცაა, ქარქაშის ბუნიკი კი ვერცხლია. ბუნებაში ოთხი ძვირფასი თვალია: აღმასი, საფირონი, ზურმუხტი და იაგუნდი, როგორც ოთხი სტიქიონი: ჰაერი, წყალი, მინა და ცეცხლი, – მოკლე დაშნა ქარქაშში ჩადო, ქამარში შეინახა და კარზეც ძლიერი ბრახუნე დაესმა.

ბაჩანა საგებელიდან ჩამოვიდა, კუთხეში დადგა და თაროებში შეიმალა.

– რას იმალეები? – თქვა სერაფიტემ, – აკი არ მეშინიაო, – კარი გააღო. ქუჩაში ბოშები იდგნენ. ის თვალპრანჭია ბოშა ქალიც კიბებთან.

– მოხვედით? – სერაფიტე საფეხურზე ჩავიდა, – რა ამბები?

– არ შემოგვიშვებ? – გაუცინა ქალმა.

– რა გაიგეთ-მეთქი.

– სამწუხაროდ ჯერ არაფერი.

– საერთოდ ვერაფერი?

– ჯერ არა.

– აბა როდის. გაისად იპოვნით რამეს?

– ნუ განწყობები შენი უჟმურობით, – კიბებზე ამოვიდა ქალი, – გულსუნდა აქ არავის სმენია, შენი ვარსკვლავთბიჭუნას დედას თითქოსდა არავინ იცნობს.

– ნახვამდის, – თქვა სერაფიტემ, კარი მოიხურა.

– ნუ გაგვიწყობები, – კარსუკან ხმამაღლა დაიძახა ქალმა.

სერაფიტე ბრაზით შემობრუნდა. სახელური ძლიერად მოქაჩა, კარიც მოგლიჯა თითქოს, გამოალო ძალით, – რა დაგემართათ ყველას! – გარეთ გავიდა. ბოშებმა უკან დაიხიეს, – ერთი რამ გთხოვთ და რა ყველამ პირი შეკარით! მოშორდით აქაურობას და ძებნა განაგრძეთ, ესაა თქვენი მადლიერება? მიდით, ჰე!

ბოშები დაიბღვირნენ. ქალმაც თვალები მოხუჭა, უკან-უკან გავიდა.

– ჰო, რა იყო! თქვე მართლა უნამუსოებო. მეტის ღირსი ვარ, არაფერი ხეირია თქვენგან, – კიბეებზე ამობრუნდა სერაფიტე. ქალიც ამოყვა, შემოაბრუნა, ლოყაზე დაადო ხელი, ყელზე ჩამოუცურა და აკოცა.

– მიყვარდი, – თქვა მხნედ, – მაგრამ თითქოს აღარ მახსოვს როდის და მართალიც ვყოფილვარ, რომ შენნაირ უჟმურს არ შევაკალი თავი, რაც შეგვეძლო ვქენით, მაგრამ შენ თავის გარდა განა რამე გახსოვს? მოგვიტევე, მნიგნობარო, მეტის ღირსი მე ვარ, შენ კი არა, – აღარ აკოცა, გაუღიმა ისე, თავისუფლად, უთვისტომოდ და კიბეები ჩაირბინა. მისნაირებს შეერია და წავიდა.

წავიდნენ, ფიქრობდა ახპეროზი, გაემგზავრნენ და ჩემზე კაცმა არა თქვა, სად არიო. ძალიანაც კარგი, დრო გავა და ინანებს, რომ უჩემოდ წავიდა. ის რჩეულია და მე რა?! ის ოსტატია და მე რა? წავიდნენ და იყოს ასე, როგორც არის, დედის გამორჩეული შვილი არც ერთი ვყოფილვართ, მაგრამ დღეს თურმე ასეა, ერთი ყოფილა გამორჩეული და სათაყვანებელი და მეტი არავინ.

ახპეროზი სანაპიროზე მოაბიჯებდა. სამოსის კალთები აენია. იქვე მებადურები იდგნენ.

– ე, შეხედეთ, – თქვა მებადურმა, წავის ქიმზე იჯდა, – ეს ის არაა?

– გაცის ძმაა, კი, – მეორემ ბადე ამოქაჩა ზღვაში ჩაჭიმული.

– როგორ მოსიერნობს, – მესამემ წავი შეაცურა, წელამდე შევიდა წყალში.

– გამარჯობა ხალხო, – მოვიდა ახპეროზი.

– ღმერთმა გამარჯვება მოგცეს, – მიესალმნენ მებადურები.

– დაიჭირეთ რამე?

– დღეს ბევრი ვერაფერი, თქვენ კი ერთს მოგართმევთ, – მებადურმა წავიდან თევზი ამოიღო, დანარჩენებს დაანახა და ახპეროზს გაუწოდა, – თართია, – თქვა ამაყად.

– მადლობა, მაგრამ რატომ წუხდებით, – თევზი გამოართვა. მეორე მებადურმა წავში კალანჩხა მოძებნა, ამოიღო და ახპეროზის თართი შიგ ჩადო.

– აი ესეც, – სხვა მებადურმა კიდევ ერთი თართი ჩაუღო კალანჩხაში, – გაცს უძღვენიო. ჩვენ ზღვის ხალხი ვართ, ყოველთვის სიამოვნებით გიცქერთ, ყველას უყვარხართ.

– მადლობა ხალხო, გაცი რომში გაემგზავრა, ამიტომ ორივე მე დამრჩება.

– თქვენ? დარჩით?

– დავრჩი. მადლობა და აბა, ყოჩაღად.

– ბედნიერად.

ახპეროზმა კალანჩხა მოიგდო და გზა გააგრძელა, უშუალოები არიან, გაიფიქრა და დანასავით შეესო უკნიდან მონასმენი... მაგრები არიან, გაცი მაგარია, ესეც მაგარია... ესობოდა და ჩხვლეტდა, საკუთარი სულისპნკენა ამნარებდა, ძმის სახელი რომ გაესობოდა აზრში, მომწუხრებულ გულზე ასო-ასო დალურსმნული.

სანაპიროზე მექარავნეს აქლემები დაეყენებინა, ზღვაში შედიოდა საცურაოდ.

სახლშიც მალე ავალ, გაიფიქრა ახპეროზმა, დღეს მარტო მინდა ვიყო, ღამე კი ვნახოთ, შეიძლება გავერთო სადმე, აქლემებს გასცდა და გასცდა თუ არა, იმავდროულად, მოუჭრა ყური ქალისა და ბავშვის ნაცნობმა ხმამ:

– დე, ნახე რამხელაა კიბორჩხალაა, ნიჟარიდან იყურება, – წყალში იცქირებოდა პატარა ბიჭი.

– აქ მოდი, ბაჩანა! არ დასველდე, – დაუძახა დედამ. გადაყირავებულ წავს მიყრდნობოდა.

ადგილზე დაქვავდა ახპეროზი, ელდამ დასცა გულით სმენამდე, გულსუნდა და ბაჩანა, თქვა ჩუმად და მომწუხარდა უნდოდ დაზაფრული, ხომ ვუთხარი, მუცელი მოიშალე-მეთქი, რა ვქნა? ნაბიჯი ფრთხილად გადადგა, მეორეც დააყოლა, ააჩქარა, პალმებში შევიდა, ვერ მხედავენ, აქ ვერ დამინახავენ, რას ვაკეთებ, თავი ეზიზღა პალმის ტანს ამოფარებულს, ნახევარი სახით გამოხედა ქალსა და ბავშვს, როგორ გაზრდილა ჩემი ბიჭი, ტყავის ღვედებით დაეჭირა ტვინზე დაღრღნილი ფიქრი, მე არ მინდოდა შვილი ასე უაზროდ, ოცი წლისა რა ოჯახის შექმნაზე ვიფიქრებდი, ოცი თუ ოცდასამი, რა მნიშვნელობა აქვს, მივიდე? არა – მეშინია? არ ვიცი. რა მემართება. ახლა მისვლა არ შემიძლია, არ ვიცი ქალაქში თუ იყო, წადი-მეთქი მარგორადან, ფულიც მივეცი, არ წასულა. თევზებიანი კალანჩხა ხელიდან გაუვარდა, ზურგით აენება ხეს, სული და სხეული შეეკრა, ტუნკას ქამარში ჩაკიდული ქისა ამოიღო, რამდენია? დრაჰკანები ხელისგულზე გადმოიყარა, საკმარისია, როგორ მივცე? მებადურები.

წავებთან მიიბრინა.

– ძმებო, აი, იმ აქლემებს იქით რომ ამოყირავებული წავია, ხედავთ?

– მობრუნდი? – თქვეს მებადურებმა.

– საქმე მაქვს, იმ წავს ხომ ხედავთ?

– კი, ქალი და ბავშვი როა, მაგაზე ამბობთ? – მებადურმა ხელბადე მოჭიმა.

– ძმურად, თუ შეგიძლია რაღაც გადასცე, ოღონდ არ უთხრა, რომ ჩემგანაა.

– რაზეა საუბარი, როგორც იტყვი.

– აი, ეს ქისა ნაუღე, არ ვიცი ვინ იყო-თქო – უთხარი, თქვენზე მითხრა, რომ მომეტანაო, – ახპეროზმა ქისიდან ერთი დრაჰკანი გადმოაგდო და გაუნოდა, – არ მიწყინო ეს...

– გეკადრება? რა საჭიროა, – მებადურმა ქისა გამოართვა, ის ერთი მონეტაც შიგ ჩააგდო, – ახლავე წავილო? – ახლავე. აქ გელოდები.

მებადური დედა-შვილისკენ წავიდა. იქვე მიმალული ახპეროზი მებადურსა და ქალს უყურებდა რომ საუბრობდნენ, ბავშვს რომ ხელი დაუქნია დედამ, მან რომ მოიბზინა, რომ ლაპარაკობდნენ, მებადური რომ უკან გამობრუნდა, აქლემებს გამოცდა და მოვიდა.

– რა ქენი?

– მივეცი.

– თქვა რამე?

– გაუკვირდა. რაც დამაბარე, ის ვუთხარი, ღმერთებმა გამოგვიგზავნესო, აქეთ-იქით იყურებოდა – მეთქი იქ ჩვენები არიან, თევზს ვიჭერთ-თქო. ნამოვედი. ეგაა და ეგ.

– ძმა ხარ. მეც დაგჭირდებით როდისმე.

– შენ კარგად იყავი.

– მშვიდობით ძმებო, – გატრიალდა ახპეროზი და გაიქცა.

სანაპიროზე გარბოდა, თითქოს ქვიშებზე მოსდევდა ვინმე, უკან არც იყურებოდა, დაკარგვას ლამობდა, თითქოს დამალვას, თავის შვილისადმი, ამ ჯერ ჩამოუყალიბებული და მტკენი სიტყვისადმი დანაშაულის გრძობის მოთლას, გამოდევნილი მღევარსგან მოწყვეტას, ფიქრითა და მყვრალი ვიკინთით დაშანთული ნატრობდა ბნელს, რომ ველარავინ მიაგნოს, რომ ყველას მიაგინყდეს, რომ დაშთეს! უმწედ ნაცემივით მიუსაფარი ის გარბოდა, და გარბოდა დიდხანს, უფრო დიდხანს, ვიდრე შეეძლო წარმოედგინა, ვიდრე ძალა ეყოფოდა და გარბოდა კიდევ.

ნიგნთსაცავის დაუნჯებულ სიჩუმეში, სერაფიტე მანუსკრიპტუმს კითხულობდა. ბაჩანაც სკამზე მჯდარი კალმით თამაშობდა და... როდისღა წამიყვანს დედასთან, გაიფიქრებდა ყრმა. ხომ მითხრა, უნდა დაველოდოთო, აღარ გავიდა დრო?... პაპირუსზე მზესა და მთვარეს ხატავდა, გალერეებსა და მეომრებს, თავის დედას და თავსაც, ახალ პერანგს, ჭას. დახატავდა და არქივარიუსისკენ ააპარებდა თვალს და მის სიჩუმესა და დაფიქრებაში თავისი შუაგამყოლი ხედვით ხედავდა – როგორც ანკარა წყალში ატანდა მზის სხივები და ერთი მეორეში გარდატყდებოდა, თითქოს ისევე ატანდა ამ კაცში ყოველივე ბაჩანას ირგვლივ, ყოველივე ამ ქვეყანაზე, ფიქრი თუ გრძობა, უნარი თუ მოთმინება, სიყვარული თუ ნებისყოფა და ქვეყნიერების დამყოლი დაძაბულობის დაუსრულებელი შთაბეჭდილებანიც. ამ წამს სერაფიტე მისი ყველა იმედისა და ნატვრის გამჭვირვალე შესაკრებლად გამოიწინა და ის უხვი სიმდიდრე, სიმამაცე და ერთგულება, რასაც ამ ადამიანის იერსახე მიელო, თავისი იასამნისფერი სამოსელით თითქოს ბაჩანას წინ საამო სურნელებით შემოპნულიყო არქივუმის მრუდედ მიყურებულ საცავში, იმ სამყაროში, რასაც ყრმა შეეფარა, ენუგეშებინა და მიეხვედრებინა, როგორც ორი დღის წინ მოედანზე სერაფიტესთან შეხვედრისას, რომ რალაც დიდი სიხარულით, ანდაც სასწაულისადმი ბავშვურად მიმნდომი თვისებით, მოულოდნელად გაუთბებოდა გული.

ყრმა სამელნეში ანობდა კალამს და პაპირუსზე ხატვას აგრძელებდა. სერაფიტე კი თითქოს ენამოცარული, ცალი ხელით ზარდახმაზე დადებული, რამიც ეზრას წერილის შფოთი ბორგავდა, მეორეთი კი პაპირუსებზე და მანუსკრიპტუმებში მოქექილი, ფიქრის უღრანში იკვლევდა გზას. მისი ფიქრი და სიმარტოვე, მისივე თავზარდამცემი აღმოჩენებით გაჯერებულიყო, როცა ჯერ თავსაც არ უტყდებოდა, რომ თითქოს გარდაუვალობის პირვანდელ მიზეზს მიაკვლია, მაინც იმედოვნებდა, რომ თუ ვერც იმ ქურდბაცაცას მეშვეობითაც ვერას იპოვნიდა, მაშ, საბოლოო გზა პრეტორიუმში მიიყვანდა, პროკურატორთან აუდიენცია ჩემთვის არაა რთული, ფიქრობდა ის, ეზრას წერილს წავილებ და ყველაფერს ვეტყვი, ვეტყვი როგორ ავირიე, როგორ ამებნა აზრი, ცხოვრების იგივეობას როგორ ჩავაკვირდი და ბევრი ბზარიც ვიპოვნი, ნაპრალეები, და მივხვდი თუ რა არის და რა შეიძლება იყოს ეს შავი მტვერიც ამ თეთრ სივრცეზე მოპნეული. ჰო, ეს შავად ნაცრისფერი მტვერი, ქალაქის ქუჩებსა და ყოველ ბილიკზე სასიცოცხლოდ მოფანტული, საიდანაც ჩვენი მარგორა აყუდებულა როგორც პირქუში ხილვა, ოდესღაც შიშველი, სუფთა და მშვენიერი, ახლა კი მოგონებებში რჩენილი. ვეტყვი, თუ როგორ დამესმის მომაბეზრებელი სუნთქვაც, ყოველწამს და ყოველჯერზე რომ მესმის ჩურჩული და ხმაური, როგორ მიცოცავს უნუგემო დერეფანი, მიცოცავს სადღაც შორს, სადღაც სიღრმეში, როგორ გავდივარ აღრეულ დროს და ამავე დროში წინ რომ დამიდგება შორი წარსულის ამონაშენი კედელი. როგორ ვცდილობ, რომ ბიჭუნას დედა ვაპოვინო, მან კი ამოისუნთქოს და გადარჩეს უკვე დაღუპულთა მოდგმაც, თუკი ჯერ შეიძლება მათი გადარჩენაც, რათა მტვერი დაწდეს და ტკივილებიც გაქრნენ სამუდამოდ. ეჰ, მარგორა, მარგორა, ნუთუ გამოლვიძება აღარ გელირსება?!

მარგორაში, ქუჩებსა და მოედანზე – ქებითა და სიამაყით, სინანულითა და გულწრფელი სიხარულით, რაც ბევრი მარგორიანელის ყოფასა და საკუთარი მნიშვნელობის სიმდიდრეს წარმოადგენდა კაცთა

ბედისწერისა და ოცნებების დედაქალაქის განურჩევლობაში, რისკენაც ქვეყნიერების ყველა გზა მიიწევდა – ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ გაცი და მისი დასი, თითქმის წელიწადი რომ მარგორაში არ დაბრუნებულა, ახლა ჩამოვიდა, გუშინლამით და ხვალ მოედანზე დიდი ზეიმი გაიმართებოდა, რომ რომში საყოველთაო აღიარება მოიპოვა და წარმოდგენას კეისარიც წვევია. პირველი კაცი გამხდარა გაცი, მის საპატივცემულოდ გლადიატორთა საჩვენებელი გამოსვლებიც კი მოეწყო და მეუფის კარზეც კი მიუცია წარმოდგენა და მარსის ველზეც წყლელტვა იყო, შუა წვეულებაზე კეისარს თურმე „ენეიდას“ უკითხავდა ზეპირად, როგორც ვერგილიუსი ავგუსტუსსო, გადაურევია ყველა. ვარდის ფოთლებს აყრიდნენო, გაციმანია დაწყებული რომში – კაპიტოლიუმის ტაძარში, დღესასწაულზე ლექსები წარმოუთქვამს, იუპიტერის სადიდებელი და იანუსის ჩარაზულ კარიბჭესთან დაფნაც დაუდია სიმბოლოურად, რომ ომები შეწყდეს, რის შედეგადაც თავად კონსულმა მოიყენა კუადრიგაზე და თეთრ ცხენებში შებმული ღია ეტილით შეუყვანიათო ტრიუმფალურ თაღში, თითქოს ოპტიმუს მაქსიმუსი ყოფილიყო გამრჯვებული, სენეკასაც შეხვედრიაო, კეისრის გამზრდელს და მათ საუბარს ცალკე ფურორი მოუხდენიაო, ხმები დადის, ეს ცალკე წარმოდგენად ღირდაო.

ვივა გაცი, ამბობდნენ მარგორაში, სახელი გაუთქვა ჩვენს ქალაქს, ვივა!

მოედანზე მუშებმა ხვალისთვის მზადება დაიწყეს. თეატრონის გამართვა, დეკორის აწყობა.

შუადღეს კი გაციის კარზე ახპეროზმა დააკაკუნა. გაცი იატაკზე დაყრილი ტყავის სამგზავრო ხილინდარებიდან სამოსელსა და სხვა ნივთებს ალაგებდა. ოთახში შავტუხა პირადი მცველი შემოვიდა.

– თქენი ძმაა. რა ვუთხრა?

– აქამდე უნდა გეთქვა სახლში არააო, ან რა? მოვიდეს, – ნაჩქარევად მოხიკა ხილინდარები და ამოყრილი სამოსელი, ტოგა, სანდლები, მოოქროვილი დაფნის გვირგვინი და ფერად ქნკვებზე მიბმული ამულეტუმი.

– ბებერო? – ახპეროზი შემოვიდა, ხელები გაშალა.

– დაჯე, მოდი, – ფეხით სკამი გაუჩოჩა გაცმა, – დალევ რამეს? როგორა ხარ? – საგებელზე გამოგორდა,

– თუ არ გეწყინება, ვინვები, ღამენათევი ვარ.

– გუშინ ჩამოსულხარ, გავიგე, – დაჯდა ახპეროზი, – მეთქი გავუვლი, ვნახავ.

– ღამე ჩამოვედით. კარგი ღვინო მაქვს – არ დალევ? იქიდან ჩამოვიტანე.

– მოდი ჰა, შენი ჩამოსვლა აღვნიშნოთ.

– მანდვეა, შენს უკან თაროზე, დაისხი, ნუ ამაყენებ, ნედაც მანდაა.

– იყავი, იწექი, – ახპეროზმა თაროდან განვრილებულყელიანი დოქი აიღო. მუცელზე ლოყებდაბერილი ბახუსი ეხატა, ყურებზე ყურძენჩამოკიდებული. ორი თიხის ნედაც შეავსო.

– არა, მე არ მინდა, შენ დალიე, – თქვა გაცმა.

– მარტო ხომ არ დავლევ? – ნედა ძმას დაუდო საგებლის ძირას, ხირაულზე, – ოდნავ მაინც მოსვი, აბა, გაგვიმარჯოს, – სასმისი დაცალა, თითებით ტურჩები მოიწმინდა, – ზღაპარია, მოყევი რამე, დააჩოქეთ იქაურობა? – კიდევ დაისხა.

– შენ რას შვრებოდი?

– არაფერს.

– კარგად გამოიყურები.

– შენც. თქვი რამე. მართლა ნახეთ კეისარი?

– მე ვნახე.

– მერე?

– არაფერი, თვითონ ამოვიდა სცენაზე, მერე მაგასთან ღრეობა გაიმართა.

– ორგები?

– წარმოდგენას წარმოდგენაზე ვთამაშობდით. „ანტიგონე“ დავდგი.

– ყოჩაღ!

– ჰო, აბა? ხვალ ერთ ნაწილს აქ ვითამაშებთ. ოთხ თვეში უკან მივდივართ, მონვევა გაგვიგრძელეს.

მაგრა უყვარს სანახაობები, თვითონაც მსახიობობს.

– ვინ?

– ვინ და ნერონი.

– მერე?

– რა მერე, ახლა უნდა რომ ხუთწლიანი თამაშები დაიწყოს, მძიმე დროა, ამის გარდა ცირკუსში ქრისტიანებს ახოცინებს.

– ვისა?

– სექტა რაღაც, მეც არ ვიცი ზუსტად.

– და სენეკას შეხვდაო, შენზე რომ თქვეს...

– შენ რა იმასავით მოგდის, – გაიჯგჷმა გაცი, – ერთ სახელგანთქმულ მოცეკვავეს რომ ჰკითხეს, კონცერტზე ფრანსუა მორიაკი თუ ესწრებოდაო, რა ვიცი, ბატონო, იქ მორიაკიც იყო და ადმირალიცო, სენეკაც იყო იქ და ყველა.

– ვაა.

– ჰო, იუპიტერის ქანდაკებასთან ლექსები და ოდები, ქეიფები და ორგიები.

– ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ. და ეს, – ტანზე ეპნკინა ახპეროზს, – და ეს მითხარი, ანტიგონეს შენ თამაშობ?

– აბა სხვა ვინ?

– და... ჩემზე რამე ხომ არ გიფიქრია.

– რა უნდა მეფიქრა, თუ გინდა ჩაერთე, გინდა კრეონი ითამაშე, გინდა ნებისმიერი სხვა. მე არ გიშლი.

ახპეროზს ხელი აუცახცახდა. წედაში ღვინო შეირხა, პნკენამ გულამდე ჩაუღწია.

– ის დრო აღარ არის, ჯიგარო, როცა გეხვეწებოდი, – გაცმა ჭერს ახედა, ფეხები ერთმანეთს გადაანყო,

– ახლა სხვა დროა, დღეს მე ვარ პირველი რომში და მარგორამიც, შენც შეგეძლო, მაგრამ არ ქენი.

გაიხა ახპეროზი. წედა ფრთხილად დადო. ადგა და გავიდა, – მე ნავედი. აბა, კარგად.

გაცმა თვალი გააყოლა, – დაიმახსოვრე, შე ბნელო, – მიაძახა ნასულს, – შენი ბრალია ყველაფერი! შენი ადგილი უკვე სხვამ დაიკავა და მე მუხლებზე არ დაგიდგები, დრო აღარ მრჩება, რომ გეხვეწო, ხომ მიიღე რაც გინდოდა?! ჰოდა მოცოცხე აქედან, შე ლაზო შენა!

ამას არ შეგარჩენ, გაიფიქრა ახპეროზმა, ეგეთი ახვარი რომ გაიზარდე, მაგრა დაისჯები, – შენ კიდე გამატარე რა! – წვეროსან ახმახს ხელი კრა, – კაი კაცივით რომ დამიდექი, – გარეთ გავიდა, ჭიშკარი გაალო, ქვითკირის ლობეს გასცდა და ნავიდა.

სახლთან მომრავლებული გოგონები გაკურდლდნენ.

ახპეროზმა ქვაფენილიანი დაღმართი ჩაირბინა, გზაჯვარედინზე გავიდა. ხვალ ანტიგონე უნდა ითამაშო? შენ ნახე როგორ დაგსჯი, – ფიქრი ეწვოდა, – აღარც ძმა რომ აღარ იცი, ჯერ სადა ხარ.

აქლემმა დაიფრუტუნა.

ვინმეა? წარბი ანია სერაფიტემ. ბაჩანამ კალამი დადო.

გარეთ გამვლელების მეტი არავინ იყო. აქლემი, მიბმული და ჩაკეცილი, ქვედა ყბას ჟღაჟნიდა.

– ვიცი, აქა ხარ, – თქვა სერაფიტემ, – რას იმალები, არავინ გიკბენს.

ჩიხის კუთხიდან, სასახლის ნანგრევებში შემხვედური ვინმე გამოდგა, ფრთხილი ბაცაცა ქურდი.

– შენც არ თქვა, ვერაფერს მივაგენიო, თორემ...

– თორემ? – თქვა ვინმემ, – რას იზამ?

სერაფიტე კიბებზე ჩავიდა. სახე სახესთან მიუტანა, – ურევ? – მისრისა მზერით, – ქამარზე წაავლო ხელი.

– გამიშვი, – გვერდით გაიხედა ვინმემ.

უკანვე მიაქანა სერაფიტემ. მხრებში გასწორდა.

– გულსუნდა კოლხი, ახლახანს უნახავთ მოედანზე.

– ვის?

– ჩვენებს. ბავშვთან ერთად იყო ორი დღის წინ. მანამდე ქალაქში არ გამოჩენილა, ან ისე ცხოვრობდა, რომ არავინ არაფერი იცის, მაგრამ მე ერთი რამეც გავიგე. იცი, ვისზე ამბობენ, მაგ შენი ბიჭის მამა ვინააო? ახპეროზი. გაცის ძმა. რაო, დიდებულო არქივარიუსო, აურუმის შვილისშვილი ითრიე?

სერაფიტემ ისევ ქამარზე დაავლო ხელი, მეორე ხელი ყელში დაუჭირა, – გრძელი ენაც გქონია, წილს ხომ არ ითხოვ? ახლა სადაა, ეგ თუ იცი.

– არა, ეგ არ ვიცი.

– აბა, დანარჩენი მეც ვიცოდი, შენც ტუტუცი ყოფილხარ, მაგრამ ჯანდაბას, გიშვებ.

ის განზე გადაგა. ტუნიკა შეისწორა, დაძენძილი ნამოსასხამიც.

– შენ რამე მაინც თქვი, დანარჩენებმა ვერაფერი ამბავი მოიტანეს, – თქვა სერაფიტემ, – ამაზეც მაღლობა.

სახლში შევიდა.

– მაჩვენე, რეები დახატე? – ბაჩანას მხარზე მოხვია ხელი.

– ესენი არგონაუტები არიან და დედიკოს სამშობლოში მიდიან, – ბაღმა პაპირუსი მოუტრიალა და ნახატზე დაუთითა, – ეს იასონია, ეს ორფეოსი, ეს ჰერაკლე.

– რამდენი გცოდნია, – თქვა სერაფიტემ, – და რატომ მიდიან კოლხეთში ეგ თუ იცი?

– ოქროს სანმისის მოსაპარად. დედიკო მიყვებოდა, ოქროს სანმისს ყველაზე მთავარი სიტყვები აწერიაო. რა არის, სერაფიტე, ყველაზე მთავარი სიტყვები?

– რა გითხრა, ქვეყნად ბევრია ასეთი.

– და ისინი უჩინარიო, თუ ჯადოსნურ მდინარეში არ ჩადებ იმ სანმისსო, ვერაფერს დაინახავო.

თქვა ბაჩანამ და სერაფიტეც, თითქოს სირბილისას ფეხი რამეს ნამოეკრა, მაგიდასთან დაიხარა, თითქოს ეცემოდა ისე დაეყრდნო მას, პაპირუსის მაგივრად მეყსეულად წარმოუჩინდა დმანისური ხარის ბეჭი, თითქოს წამიც შენეღდა, ბაჩანას ლაპარაკი ბუნდოვნად გაესმა, მისი მოძრაობები და კალმის მონასშიც შენეღებით დაინახა და იმწამიერად მოაგონდა ეზრას „დუმილი ოქროა რჩეული, ბრძნად მეტყველება ვერცხლია წმინდა“. მზერა უდიდდა, „ვერცხლია წმინდა“, თითქოს იხილა მალული და ამბის მოულოდნელობით თვითონვე დაბნეულმა ჩაილაპარაკა: – სიმპატიკური მელანი!

სერაფიტეს ჩალაპარაკებამ წამი შენეღებული მიმოქცევიდან დააბრუნა, ბაჩანა ისევ უდარდელად აგრძელებდა ხატვას, – სანმისი მატყლია ხო? – ეკითხებოდა და ხატავდა, მაგრამ სერაფიტემ სიხარულით შეანჯღრია ბალღი, – მადლობა შვილიკო, – ლოყებზე დაეჯაჯგურა და მეორე ოთახში შექანდა, თაროდან ძვალი აიღო, ტაბლაზე ჯამები და ხსნარებით სავსე ლოდაკები განი-გამონია და ერთ-ერთ ტიგელს სახუფი ახადა, – სამეფო წყალი, – თქვა აღელვებულმა, – მხოლოდ შენში იხსნება ოქრო და პლატინა.

ბაჩანას ვერაფერი გაეგო, მაგიდას არ მოშორებია, ყელაჭიმული უცქერდა არქივარიუსს.

სერაფიტემ მოკლე დაშნა შეიხსნა, ბუნიკიდან ცოტაოდენი ვერცხლი ტიგელში ჩათალა და სამეფო წყალში დაქნა, ღრუბელი ჩაანო და ბეჭს სიფრთხილით გადაუსვა, თითქოს სუნთქვაც შეეკრა, კანმაც აიხორკლა და თმებიც ყალყზე დაუდგა, როცა დაინახა თუ ბეჭზე როგორი მოხდენილობით ამოინერნენ ასობები! უხილავობას ამოფარებული სიტყვებიც ამომყდავდნენ და გამთლიანდნენ, ერთიმეორის მიხედვით ჩამომწკრივდნენ შვიდნი.

სუნთქვა შეეხსნა. გოცებულმა თვალი ვერ მოწყვიტა ხარის ბეჭს, – რა ენაა? – თქვა ბეჭზე დაქცერილმა, თითქოს მისგანვე ელოდა პასუხს, – ფინიკიური? – შუბლი გაიფხანა, – არა, ფინიკიური დამწერლობა არაა, – ასობების ულამაზეს მოყვანილობას დააშტერდა, თითქოს თანავარსკვლავედზე მოვლებულ ვარაყს, თითქოს კრისტალოსისა და მინერალების ნაქარგ სიმრგვალებებსა და კუთხეებს, – ბეჭი დმანისიდან, – გაკვირვებისგან ყელში გაეჩხირა სიტყვები, – ეს ხომ უფრო ადრინდელი, იაფეტიური ანბანია! აქამდე დაკარგული და უპოვნელი, – სასწრაფოდ ეტრატები და პერგამენტები გადმოალაგა. გამალა კაბბალაც და ანბანთმრიცხველებიც მოიწყო გვერდით. ყოველ ასოს სათითაოდ დაუნყო შესწავლა და სიტყვათა შიფვრას შეუდგა, სულის სიკვდილის შვიდი სიტყვა, ფიქრობდა ის, ეზრა იამაყებდა ჩემით!

ბაჩანა გაკვირვებული იჯდა. კალამი პაპირუსზე დაედო და თავის ცნობისმოყვარე მზერით ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა. სერაფიტეს აკვირდებოდა, მის ყოველ მოძრაობას სწავლობდა და იმახსოვრებდა, თუ არქივარიუსი როგორ ახვავებდა ეტრატს ეტრატზე, პერგამენტებზე ნიშნულებს სვამდა, მინანერებს ტოვებდა, თითქოს მთლიანად კალმად, პაპირუსად და ბეჭაქცეულს როგორ დაერგო თავი სიტყვებში, სულის სიკვდილის შვიდი სახელი, ისევ დაესმა უკვე ყურში ნაბეჭდი სტროფი და ძველი ეტრატი დახსნა, ფაქიზად დაატარა წინადადებებს თითი, – კაცთა სული სიტყვიერია, – ხმადაბლა ნაიკითხა, – არსება გონიერი, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერი და უკვდავი, არსებანვლილი, უსახო ხატი და მსგავსი ღვთისა, სული ანგელოსი სიტყვიერი და გონიერი და მეორე ნათელი და ემშაკნიცა რომელთაცა თვით დააბნეულეს თავნი თვისნი, სული წმინდა დამბადებელი პირველნათელთა და მიუწვდომელი.

სერაფიტე სკამის საზურგეს მიეყრდნო, კაცის სული სიტყვიერია, გაიფიქრა, კალამი დადო და მაჯები დაატრიალა, – ეზრა, შენ მეუბნებოდი, – თავისთვის ლაპარაკი დაიწყო, თითქოს თავზე ნამოადგა დომინიუსი მისი, – რომ ნერგებიც სულიერად ითქმიანო, რადგან მოძრაობის და აღორძინების ძალნი აქვთო თესლში დატანებული, პირუტყვის სული სამშვინველია სისხლისობითი, განმანათლებლობითი, გრძნობის მქონე და კაცთა სული კი სიტყვიერიო. ამის თქმა გინდოდა, დიდო ოსტატო? მეც მაგათგან ვარ ნაშობი და ყოველივე ქვეყნად, – სერაფიტემ ხელისგულზე ჩამოდო შუბლი, იდაყვებით ტაბლას დაეყრდნო, სული წმინდა და სული ღვთისა და კაცის სული სიტყვა, დაენერა გონებაში, ამიტომაც უპატიებელია მისი გმობა, სიკვდილთა სახელებიც ალბათ ამ სულთა გმობის სახელებია, რაც არ მიეტივება კაცს არც დღეს, არც ხვალ, არც აქ და არც იქ, სახე მოისრისა და საქმე განაგრძო.

ბაჩანა ისევე იჯდა წიგნთსაცავის სიჩუმეს შერწყმული, ოთახის ზღურბლზე გადასვლა კი უნდოდა, მაგრამ სერაფიტეს მკაცრ გაფრთხილებას ვერ გადადიოდა, თვალდაჭყეტილი უცქერდა გადანეულ ფარდაგის მიღმა, იქაც უთვალავი წიგნებისა და თაროებს შორის, გრძელ ტაბლასთან მიმჯდარი და პაპირუსებთან სახეახლოსმიტანილი სერაფიტე როგორი გულმოდგინებითა და რუდუნებით წერდა რალაცეებს მისთვის გაუგებარს, თითქოს სერაფიტე, უცნაურ თავგადასავალში ჩაფლული, პაპირუსებზე კალმის ყოველი მონიშვნით უმოწყალოდ ამიშვლებდა მისთვის დაკარგული წინასწარსიტყვაობის ყოველ ასო-ბგერას, რომელნიც დაპარტახებულ სამყაროში – სადაც უმეცრება, თითქოს უსასობასთან ხელდართული, მთავარ სინამდვილედ წარმოჩნდებოდა და სამყაროს სრული განწირულობით იყო გამთლიანებული – განგების საიდუმლოსკენ მიაკვლევდნენ მას.

გონებისა და გულის ჩაულწვევლ საბადოებამდე დაყვინთულმა, ამოკითხული სიტყვების ფესვებზე აზრწავლებულმა, თითქოს სათითაოდ ამოიტანა და თავისი სხეულის პირზე დაასვენა მელნით შემოსილი შვიდეული, პაპირუსზე გადმონერა სიტყვაგანუხრელი ბეჭის, უკვე ამოცნობილი მომაკვდინებელი ტაეპი.

დანერა და საკუთარმა კალიგრაფიამაც შეაკრთო, გაგებულმა შინაარსმა შეაშინა, რაზეც ეჭვობდა, რასაც ეძებდა და ცდილობდა, ჭეშმარიტად დაედგინა მისი ამქვეყნიური სინამდვილე. ცივმა ოფლმა ზერელედ გაუნამა ხელისგულები, კალამი დადო და სულისბორგვით წაიკითხა ხარის ბეჭზე ამონათებული, სიკვდილის შვიდი სახელი: ნაყროვანება, სიძვა, მრისხანება, ანგარება, შური, ამპარტავნება, მიმონვლილვა. მის გასწვრივ კი მოდგმის მშობელთა და შვილთა წოდებები: გობიო, ფატალინა, პეტრიდიდე, აურუმ, გაც და ახპეროზ.

– ნათელია, – თქვა სერაფიტემ, – სწორ გზაზე ვმდგარვარ, მაშ, ჭეშმარიტებამდეც ბევრი არ მიკლია, მაგრამ... – დაეჭვებით მოათვალიერა ბეჭი, – მოიცა... – პაპირუსს შეუდარა, ბოლო მეშვიდე სიტყვას დააკვირდა და ღრუბელი კვლავ სამეფო წყალში ჩაანო, ბეჭს სული შეუბერა, სამკლაურიც გადაუსვა და ხსნარდაყლენთილი ღრუბელი ფრთხილად დაანო ზედ... მაგრამ ალებისას იგივე უცნაურობამ დაიპყრო, სახელი თითქოს ბრტყელ ძვალზე თამაშობდა, თითქოს ლივლივებდა წყლის ანარეკლივით, ხან ამოჩნდებოდა სანახევროდ ხილული, ხან კი მიიკარგებოდა ძვლის უძველეს ქსოვილში სიტყვა ბაჩანა.

– მადლობა ეზრა, – თქვა სერაფიტემ. ისქესა გასაღები! – მადლობა შენც, დმანისურო ხარო, მადლობა განგებას, – ამოეცინა შვებით, – აი თურმე რა იმედით გავიმყარებ რწმენას, ჯერ არაფერია გადანყვეტილი, ტყუილად არ გავიქენჯნე, – ბაჩანასთან გამოვიდა, მომავალი არავის მიერაა დადგენილი, გაიფიქრა და ყრმა კალთაში გადმოიჯინა, თავით მიიხუტა მკერდზე, – რომ მოსაღამოვდება, პრეტორიუმში წავალთ, – თქვა სიხარულით ამაყმა, – ახლა ყველაფერი შენზეა, ბიჭუნა.

ვინ ვარ მე? თითქოს ვინმეს კითხვას უპასუხა გაცმა, ვინ უნდა ვიყო, უმაღლესი ვარ მთელს მარგორაში და უკვე რომშიც. ო, რომა, რომა, ანუ ყველგან! და აღარავინაა ღირსეული, არც ღმერთი, არც კეისარი. სენეკა რომ პირდაფრენილი მისმენდა, პატარა ამბავია?! იმპერატორი რომ ჩემზე თითით ანიშნებდა კონსულებსა და სენატორებს, არაფერია? მაშ, ვინ გამოვდივარ? ღმერთკაცი? არა, თავს სხვა სახელი უნდა მოვუძებნო, ღმერთკაცობა ნახევარი საქმეა, რადგან კეისარს უნდა ჰერაკლეს გმირობები გაიმეოროს, მე კი არავის ვბაძავ, მე ვთამაშობ და ჩემი დრამა თქვენი ცხოვრებაა, ჩემი ცხოვრება თქვენი ოცნება და მე გჯობნით, რადგან ოცნებები არ მაქვს! განა ვიკვებნი? არა – მე ვარ! თვითონვე ვარ ის სანატრელი, თქვენ რასაც შეჰხარით და გეამაყებათ, რომ ერთ დროს მოგვინია ცხოვრება მე – გაცსა და თქვენ – ყველას, რომ შემიყვარეთ და მეც შეგიყვარეთ, ჩემო სულელო ბავშვებო, როგორ გჯერათ, რომ ოიდიპოსი მართლა ესაუბრა სფინქსს და თუ ასეა, ჩემი სფინქსი თქვენ ხართ და მე თქვენი საიდუმლო ამოვხსენი – მიდით, გადახტით ხრამში. ჩემი სამსხვერპლო სცენაა, მაგრამ თქვენ იქ ვერ ამოხვალთ და ახლა აღარც სიბრძნეა უმთავრესი, ანდაც როცა ნებისმიერი ქალი უსიტყვოდ მოგცემს, რომელ ზეუსზეა საუბარი, მე არ მჭირდება ოქროს წვიმად გადაქცევა, რათა დანაეს ფეხები მხრებზე დავინყო და გმირი პერსეუსები ვსახო, მითი უაზროა და ეჭა, იუპიტერიც, რომში ახალი ზეუსი, არ მინდა არც ის, ის თქვენ გინდათ, ის თქვენი სურვილით არსებობს, მე კი თავს გავინყებთ და სურვილებსაც – მე გაბედნიერებთ! და გათქმევინებთ, რომ მოვალეობაა სიცოცხლე და მოვალეობაა სიკვდილი, მე ბედნიერებაც გარდაუვალი გავხადე და ვარაუდად ვაქციე ყველა ღმერთი – ჩემივე თავია ჩემი იდეა და ვალიარებ, რომ წარმოსახვაა პირველადი, რადგანაც შიში და აკრძალვა ადგილზე გყინავთ, გაბრმავებთ და გაჯერებთ, რომ ადამიანის ბუნება ბოროტია და სიკეთისთვის იბრძვის, იმავე წარმოსახვისკენ მიილტვის, რასაც შიშებთან საქმე არა აქვს, რადგან ვნებას აძლიერებს და სურვილებს წმენდს. თვითონაც ვიცი რასაც წარმოვადგენ, ორგისას ნერონმა რომ თავისი დაფნის გვირგვინი დამადო, შიშისგან სად გავქცეულიყავი, ფეხზე რომ ვიგრძენი თბილი, რომ ჩამიფსია მე ვაგლახს, მაგრამ თავს ცხოვრებით ტკბობა ავუკრძალე მანამ, სანამ ჭეშმარიტს არ აღმოვაჩინდი, ანდაც დიდ სიცრუეს – და? აღმოვაჩინე რომ? თავი ვიპოვნე და ჩემი ძიებაც ამით დამთავრდა, რადგან პირველადი შიში გამოვრიცხე, რამაც ყველა ღმერთი წარმოშვა, ვინაც აკრძალვანი დაანესა და მსხვერპლმენივაც, რაც მე თავგანწირვად ვაქციე. და როცა თავის შეწირვა განვიზრახე, ვიქეცი ღმერთად! გაცად! ვინც საყოველთაო ამაოებისგან გიხსნით, რადგან ყოველი სულიერი ეძებს მისთვის სათაყვანებელს და თავისუფლების დროსაც კი იტანჯება, რათა ასეთი არ ჰყავს, ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად იპოვოს და გამოიგონოს ის, ვის წინაშეც იტირებს, ინუნუნებს, დააბრალებს, სთხოვს და მოსთხოვს, შეევედრება, გაუმხელს და აღიარებს. ასეთი ღმერთი ხელმოსაკიდი უნდა იყოს, ხილული და აი, საოცრებაც – აი, ყველანი დგახართ მოედანზე და მელით და აღარსადაა არც ზეუსი, არც იუპიტერი, იაჰვე, ოსირისი თუ გაცი და გაიმი, ახპეროზი რომ ცდილობს გაიმის ადგილის დაკავებას. ვილას ახსოვს კერპი, როცა წინ ხორცშესხმული გაცი უდგათ, ყველას ერთ სურვილს უსრულებს, მთელი მოდგმის უმთავრესი სატანჯველის დასაბამიდან – მიიღოთ პური საარსებო, ოღონდ ამის გამო არაფერი დაგიშავდეთ! მოედანი სავსეა და წარმოდგენაც იწყება, აიხდება ფარდა და აიხდება ყოველის სული.

თეატრონზე დეკორუმის უკან გამოსაცვლელ ოთახში, ფარდების ღრიჭოდან იყურებოდა გაცი, ანტიგონეს სასცენო კაბით მოსილი, თავზე მოლწამოსხმული.

უკანა კიბით ახპეროზი ამოვიდა. სახეზე ნიღაბი მიიფარა.

სივინროვეში მსახიობები ირეოდნენ, ნიღბებსა და მოლებს ირგებდნენ, იცვლიდნენ, იზომავდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ყველა თავით იყო გართული, სახეებს იხატავდნენ, ივარცხნიდნენ, ოდებს იმეორებდნენ.

ახპეროზმა წვერებიან ახმახებს შორის გაიარა. ძმასთან შევიდა. ნიღაბი მოიხსნა.

– მოხვედი? – გაცმა ნიღბების გუდა სკამზე გადმოილო პირშესხნილი, – ქვემოდან უფრო კარგად დაინახავ, არ გინდა?

– არა, იყოს. მაინტერესებდა რას შვრებოდი.

– ვლელავ და რატო, არ ვიცი.

– ძამიკო ჩემო.

– რა, – შემობრუნდა გაცი.

– იქნებ გვეყო. დავივინყოთ. მინდა ბოდიში მოგიხადო, რომ განყენინე, – ახპეროზმა მხრებზე დაადო ხელები, შუბლი შუბლს მიუდო, – შევრიგდეთ, მაპატიე, – თქვა და გადაეხვია, აკოცა.

მიილო კოცნა გაცმაც და ჩაიკრა ახპეროზი.

– ჩვენს შორის წყენა არ უნდა იყოს, – თქვა გაცმა, – შენ არა, მე, მე მაპატიე, – თმები აუჩქრა ძმას, – თუ ერთმანეთს არ გავუფრთხილებით, არაფერი გამოვა, აქ იყავი, მალე მოვალ, – ოთახიდან გავიდა, – მალე ვინყებთ! – დასძახა მსახიობებს, – ყველა მზადაა?

– გაცი, – მივიდა ერთი მსახიობი, – ტევა არაა. მთელი ქალაქი აქაა.

– ვიცი, სოკრატესგან განსხვავებით, ყველაფერი ვიცი! – გადასცინა თითქოს არეს, – სუბ სპეციე ეტერნიტატის, ძვირფასებო, ანუ მარადისობის ნიშნით, – დასა გადახედა, – და გახსოვდეთ ყველას ხეთური მითი, – კვლავ სავსე მოედნისკენ აქცია მზერა, – მე იშთარის სასნაულებზე ვლაპარაკობ, დაე, ისმინოს კაცობრიობამ, ჩვენ ვინყებთ!

ვივა! აღტყინებით გამოსცა დასმა.

დაჟამებუი ცა კი, მოედანსა და თეატრონს დასწოლოდა. ჩირალების ციციანათელად დაწინკლული შუქები აეთამაშებინა და ახპეროზმაც ნახა, რომ ჯერ კიდევ მარტოა, მოსასხამის შიგნით თეძოსთან ჩამაგრებული პატარა დაწნული კალათი გამალებით შეიხსნა, გაცის ნიღბების გუდისპირზე ამოაბრუნა და უკან გახტა. ყუთიდან გუდაში გველი გადმოვარდა, ნიღბებში ჩაეხვია და ის იყო, რომ მოსასხამი შემოიფარა, გაციც შემოვიდა.

– მე ჩავალ, – თქვა ახპეროზმა, – და აბა, შენ იცი, ბიჭო, აიყვანე მოედანი.

– წარმოდგენის შემდეგ გინდა ერთი მაგრა დავთვრეთ?

– რატომაც არა? – გასასვლელის ფარდაგი გამალებით გასნია, სახეზე ნიღაბი მიიღო, – ჯერ ითამაშე! – მცველებს გასცდა, მსახიობებს შეერია, კიბებზე ჩაირბინა და მაყურებლებში გასულს ზაფრი გაკივლებაც მისწვდა – ამ ავბედით წამს კი, თავისი ძმის ამაზრზენი ამოძახილის გაგონებისას, კმაყოფილად დახუჭა თვალები. ხომ გიკბინა, გაიფიქრა, ახლა ხომ დაისაჯე! აღარც მობრუნდა, თავზე მოლიც გადმოიგდო და ხალხშიც სასწრაფოდ გაძვრა.

დაბინდულ სალამოს, სერაფიტემ პრეტორიუმის კარიბჭესთან დააბა აქლემი. ბაჩანა ჩამოსვა და ხის სარეკელზე მიაკაკუნა. მიკაკუნებისას წინათგრძნობის ნაცნობი ნიშანი იცნო, მუშტი შეახო რა ხის მძიმედ ჩამომდგარ კარს, უცნაური გემო გაუჩნდა პირში, თითქოს ნერწყვი დაშრობოდა, თითქოს მისი ხელი და მუშტად მოკუმული მტევანი, წინ გამაგრებული კარი, ეს ქვაფენილიც და ჰაერიც თვითონვე იყო! თვითონვე იყო ცაც და მინაც, მარგორას ყოველი ქუჩა, ყოველი ჩიხი, სახლი, აივანი თუ სადარბაზო, მტვერიც თვითონვე ყოფილიყო და ერთმანეთზე მიბორგებული ღრუბლებიც. უკან გამოიხედა, გვერდით, ზემოთ, ძირს – ყველგან თითქოს თვითონ იყო – სერაფიტე. ბიჭი კარის გაღებას ელოდა და მისი მოლოდინიც სერაფიტე იყო. ასეთი ჯერ არაფერი უგრძვნია, არ მოუფიქრია, მიაკაკუნა პრეტორიუმის კარს და მიაკაკუნა რალაცის ზღურბლს, და ეს ზღურბლიც თვითონვე იყო, ჯერ გამოუთქმელი, ოდეს განაყოფი მის სხეულებრივ ჩონჩხედსა და იმ ყველაფერთან და ყველა ბგერასთან, რასაც ზღურბლის იქით ჩარჩენოდა დასაბამი. პროკურატორმა ალბათ რალაცა იცის დიდი, გაიფიქრა არქივარიუსმა და ეზრას სიტყვები გაახსენდა, – როცა სამყაროს უცნაურად გაიმთლიანებ ირგვლივ, როცა თავს მიუერთებ ყოვლის არსს... კარს მოაშორა ხელი, ბაჩანას დაადო თავზე. ხელისგული უხურდა, სიმზურვალე შიგნითაც ატანდა ხელისგულიდან იდაყვში, მხარში, ბეჭებში, ფილტვებსა და კუჭში, ზესწრაფვით ყელიც აისრიალა და ტვინამდეც ავიდა, ქვეცემით ფეხები ჩაიარა, მუხლები, კოჭები და ჩავიდა ტერფებში, ქალამნის ძირები გაუდნო თითქოს და პრეტორიუმის შესასვლელთან მიცარიელებულ ქვებით მოკირწყლულ მოედანს მოედო, დაეფლა მასში.

სერაფიტე ძუნწად სუნთქავდა, რადგან სუნთქვები მისი თითქოს სამყაროს სუნთქვად ეჩვენა – წარსულიდან დღევანდელ დღემდე, ყრმასთან ერთად რომ მდგარიყო დამძიმებულ კართან.

კარში შეჭრილი სარკმელი გაიღო. ჩაფხუტიანმა რომაელმა გამოიხედა.

– მე ქალაქის არქივარიუსი ვარ, – თქვა სერაფიტემ, – ჰეგემონი მელის.

– ჩვენ არავის გავუფრთხილებივართ.

– გააღე და დანარჩენი დაცვის უფროსთან გაარკვიე.

სარკმელი დაიხურა. სერაფიტემ გალავანსა და საგუშაგოს გადახედა, პატარა მოედანსა და მიყუჩებულ ჩიხს, გახედა და საერთოობის უეცარ სიახლოვესაც მიუგდო სულისყური, წამისწინ რომელსაც დაეპყრა ყოველი მხრიდან. სისხლის ფეთქვა ყელში მიადგა.

კარი ბოხი სიზანტით გაიღო, პრეტორიანელები შესასვლელის ორივე მხარეს გადადგნენ, კეთილადმომღიმარ თეთრტოგიანს დაუთმეს გზა, – გვაპატიეთ, რომ გალოდინეთ, – თქვა მან, – ბიჭები წესრიგს იცავენ, მოხდა რამე? ჰეგემონი თავისთანაა, ახლავე ავიდეთ?

– ავიდეთ, მე ბიჭთან ერთად ვარ, – თქვა სერაფიტემ.

პროკურატორი ატრიუმში იჯდა. მედიდურ პალატიუმს უშფოთველი დუმილი დანოლოდა, ზღვის შორით მონაბერი აქაც ყრუდ ატანდა. იჯდა, თითქოს განგებ მჯდარი ზღვაურის სასმენად მოცლილი, მისი მომლოდინე, დიდი ხანისა თუ უდროობის შეყოვნებით, ცარიელი ატრიუმის მოკრულ იატაკზე, მარგორას აის საღამოს ჭორფლიანობა რომ მიწოლილიყო, და პროკურატორის მთლიანი ასაკი, ხანში შესული კაცის გამძლეობა დღევანდელი დღისთვის მოეხვეტა, ერთად შეეკრა საბედისწერო ყულფის გასახსნელად. კათედრაზე მჯდარმა წითელქარგიანი თავისი ტოგა აიჩოჩა და შიშველ ტერფებზე ამოცმული ხამლის ღვედები წვივებზე გადაიკრა.

პალატიუმში სერაფიტე და ბაჩანა შემოვიდნენ. ბაღმა შემოსვლისთანავე პირი დაალო, თითქოსდა ჯერ არასდროს ენახა ის, რასაც აპყურებდა და არც არასდროს გახსენებია ახალგაღვიძებულს მისი სიზმარი ისე, როგორც ეუნყა პრეტორიუმის პირმდუმარე სივრცე, – ეს ვნახე სიზმარში, – თქვა თვალუბრაქყეტილმა.

– ამ კაცს ველაპარაკებოდი? – უთხრა სერაფიტემ.

– ჰო, ეს იყო, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი თეთრი იყო, აქ კი...

– ახლა მადროვე, – სერაფიტე პროკურატორისკენ წავიდა.

– პერსონა ნოვა, კეთილი იყოს შენი მობრძანება, – ჰეგემონი კათედრადან ადგა, – პერსონა ნოვა, ჰომო ლიბერ.

– დიდი პატივია ასე რომ მომმართავ, – თქვა სერაფიტემ, – მაგრამ რატომ?

– იმიტომ, – მოკლედ მოჭრა პროკურატორმა, – როგორც ჩვენ ვამბობთ, რომაელები – ლიტერა სკრიპტა მანენ.

– რაც დანერილია, ვერ შეცვლი, – გაიმეორა სერაფიტემ, – უცნაურია.

– ვიცი, – პროკურატორმა ხელი შიდა ეზოსკენ გაიშვირა, – ბაღში გავიდეთ, სიგრილეა და ნუ ჩქარობ, ყველაფერს მოევლება.

– თითქოს გაუგებრად მეტყველებ, ჰეგემონო, – თქვა სერაფიტემ, – მე...

– შენ ყველაფერი მშვენივრად გესმის, – გაანყვეტინა პროკურატორმა, – ჯერ კიდევ ვერ იჯერებ?

– რას?

– იმას, რომ ყველაფერს მოევლება, საქმე ხომ ჯერ არაა გასრულებული.

– საქმე?

– მაგასაც გეტყვი, წინ გაცის ამბავია შერჩენილი და ბოლოსიტყვაობა.

– ესე იგი, მე...

– იმისგან შორს არ ხარ, რის პასუხსაც ეძებ, – იდაყვზე მოქაჩა სერაფიტეს, – მაგრამ შენი მიხვედრილობა მხოლოდ კითხვაა, პასუხს კი აქ ელი. ცოტაც მოითმინე, ამბავი უნდა ჩამთავრდეს, მანამდე კი ბაღში ვისხდებით, აქ ჩვენს მეტი არასდროს არავინ შემოსულა, რაო, ბაჩანა? – ლოყაზე უჩქმიტა ყრმას, – ვაჟკაცი ბიჭი. როგორია მთლიანობის შეგრძნება, სერაფიტე? თითქოს გიხარია და გეშინია ერთდროულად, არა?

– მაშ ის, რაც...

– ის, რასაც დასასრული აქვს, დასაწყისიც უნდა ჰქონდეს. ხომ არ გირჩევნია ლათინურად ვილაპარაკოთ? ჩემსთვის სულერთია.

– ჩემთვისაც.

– მაშ კარგი, – პროკურატორი შიდა ეზოში გავიდა, – ჩვენ ახლა თითქმის დასაწყისში ვართ, გახსოვს როგორ იწყება?

– როცა...

– ხმამაღლა არ თქვა. რასაც ხვდები, იმის ხმამაღლა თქმა არ შეიძლება, არასდროს დაძრა სიტყვა, ჩაგქოლავენ. ვერბა მაგისტრი, სერაფიტე, შენ ხომ ყოველი სიტყვა ასე ღრმად გაქვს შესწავლილი, კიდევ გაკვირვებს მანუსკრიპტუმის უთავბოლოება? იწყება კი ამგვარად, რომ ბაჩანა მოედანზე მდგარია და დედას ელის, ჭასთან იძინებს და ღამით ვიღაც ორნი აუზთან ხელებს იბანენ, სისხლს იშორებენ, გაასრულეს რა საშინელი მკვლელობა, ქალაქიდან გაპარვას ცდილობენ. ეჰ, არასდროს არაფერი იცვლება, გინდა არ გინდა, ჩემო გმირო, ჩვენ ყველანი ომში ვართ ჩათრეულები. ეს ომი სამყაროს დასაბამამდე დაწყებული იყო და ჯერჯერობით მხოლოდ ჭეშმარიტება მარცხდება, არც მტერი, არც მოყვარე, არამედ ჭეშმარიტება. ახლა

ჩამოსხედით და ვაცალოთ ჟამს, დღევანდელი საღამო და ღამე თავისი რიგითა და წესით ჩაამთავროს. მაშ, ახპეროზმა ასპიტი ჩაუსვა გაცს?

გველით დაგესლილი გაცი, საგებელზე პირალმა დაასვენეს მცველებმა.

– ყველას უთხარით, გავიდეს, – ამოღერლა გაცმა, – მოედანზე დაბრუნდნენ.

ახმახებმა გაცს გამოყოლილი მსახიობები ოთახიდან გაისტუმრეს, – დასტაქარს არ დავუძახოთ? – კითხულობდნენ მომხდარით აღშფოთებულნი, – გვითხარით როგორაა? – არაფერია, – მოკლედ პასუხობდნენ წვეროსნები, – გაცმა ბრძანა, ყველა მოედანზე დაბრუნდეთ, – გაყარეს და ეზოს ჭიშკარი ჩარაზეს.

– გველმა დამშხამა, – ამოიკვნესა გაცმა, – ცოტა დრო მრჩება, ყურადღებით მისმინეთ.

ახმახები საგებელზე ჩამოუსხდნენ.

– რომ დაღამდება, შური უნდა იძიოთ, მე ახპეროზმა მომკლა, გუდაში ჩამისვა ასპიტი, მის მეტი არავინ შემოსულა, – გაცი შესივდა, ავად დაასხა ოფლმა, – ველარ მიშველით, მე უკვე მკვდარი ვარ, ამიტომ... – თვალები ჩახუჭა, პირი გაამწლაკა და ისევ მიძიმედ ააცოცა ქუთუთოები, – ჩემს ხილინდარში, აიქ, ქისაა, დრაჰკანებია და ტალანტები, აიღებთ როცა საქმეს მორჩებით, მკურნალს დაუძახეთ და ნადით, ახპეროზი დამანიეთ გზად. მოკალით.

ერთმა წვეროსანმა ნაკბენზე ორ ნახვერტან დანა დაუსვა, ხელი მოუჭირა. სისხლი მდორედ გადმოვიდა. მეორე წვეროსანი კი სირბილით გაქრა ოთახიდან. იმან ჩვარი დაადო გაცის შუბლს, ჭრილობიდან ისევ ჟონავდა ბლანტი სისხლი, ახმახი მძლავრად უჭერდა თავის ტორს, მაგრამ გაცი უფერულდებოდა, ხმასთან ერთად ტუჩებიცა და ხახაც უშრებოდა და მისი დემონური თუ ანგელოსის სამინლად ლამაზი სახე – არც ცოცხალი და არც მკვდარი, არც მიბნედილი და არც ნატანჯი, ნანვალები თუ ნეტარი თითქოს სლაპი მარმარილოს წითელი ანარეკლი, ავადური ყვეყრობით ცამდე ატვირთული, მოძარცული დიდების წინაშე ჯერ კიდევ რომ ცდილობდა ზეცის ვარსკვლავებზე საკუთარი სახელის ამოტვიფრას – უმონყალოდ იჭმუჭნებოდა.

გაქცეული ახმახი მკურნალთან ერთად შემოვარდა.

– ო, ღმერთებო, წყალი, – მკურნალმა ჯამი და თიხის ქილები გაანყო, – რატომ დააყოვნეთ, გვიან არ იყოს, – ფხვნილები ჯამში გადმოყარა, წყალი დაასხა, აზილა, გაცს პირი გაულო, ხის კოვზით კბილები გააშორა და ნამალი ყელში ჩაუსხა. ხსნარი ნაკბენზეც ნაცხო.

გაცმა ამოახველა. ნამლიანი ნახველი ამოაფურთხა.

– გვიანია, – თქვა მკურნალმა, – ვინ იფიქრებდა მის ასეთ ბოლოს, – ახმახები ოთახიდან გავიდნენ, ოთახში მამასახლისი და მეზალე შემოვიდა.

გაცი კი უფრო გასივდა, ოფლად დამბალი კანი დაუნყლულდა, თვალები აატრიალა და თითქოს დიდი სიმაღლიდან დაენარცხა, ისე მიაგდო თავი და სხეული. ჩამოვარდა. დაეცა. მოკვდა.

სადაა შენი ძმა, ახპეროზ? სადაა ჩემი ძმა? ვინმეს კითხვას უპასუხა, არ ვიცი, ჩემი ძმის დარაჯი ხომ არ ვარ, მისი სისხლი თუ ზეცას შეჰვალადებს, მერე მე რა? როგორც მეპყრობოდა, ისე მიიღო, ველარ იმეტიჩრებს ბედის ნებიერი, თავისი რჩეული სახელით ველარ დამთრგუნავს, ახლა მოკვდეს თავისი მოუსვენარი პირველობით. სიცოცხლეში თუ პირველი იყო, სიკვდილშიც პირველი დარჩეს და ვინ რას დაამტკიცებს, გველს ვერავინ მოსთხოვს პასუხს, მე კი სიბრძნე მაქვს, რაც მას არ ჰქონდა, სიბრძნე იმისა, რომ ჩემი დიდება არ დავიკვებნო. მოემზადე, მარგორა, მოემზადე ჩემს შესახვედრად. მოვდივარ. მაყურებელმა ის მიიღო, სცენაზე გამოტანილი მისი მსხვერპლი მიიღო და ჩემი არა? ყელშიც გაგჩხერიათ! თავიდან ვფიქრობდი, მეთქი რა მემართება, თუ სუფთაა ჩემი გული, რატომ ვიტანჯები ასე? მაგრამ მივხვდი, მე უსამართლობას ვებრძვი, უმიზეზო სიმეტიჩრეს. გვეყო, რადგან დაფნის გვირგვინი თუ ორ თავზე ერთდროულად არ იდგმება, დაე, სამართლიანობა აღსრულდეს და განაჩენი ნურავის ეწყინება. როგორც კი მომშორდა მწუხარების მიზეზი, მოვისვენე, ნავიდა ნუხილის დრო, მე ყველა ნიღბისგან განვთავისუფლდი, თუნდაც დღევანდელ სინამდვილეს რაცა აქვს აფარებული, კეთილი ღიმილიც დამცინავად ამავე ნიღბზე მიხატული, ჩვენი გაშეშებული, ცარიელი, უსიყვარულო სინამდვილე რომ ამაყად დაატარებს და ძილისპირულივით ვერაგულად მილიღინებს – თურმე ყველაფერი დასწრებაზეა და ნანყენი არ უნდა დავრჩე. კარგადაც ვხედავ, რომ არაფერი ღირს ტკივილების მოსათმენად, მათ ასატანად, არცერთი დიდი იდეისთვის ღირს თავის მოკვლა ან კოცონში ჩახტომა, რომლის ცეცხლიც დიდების სამსხვერპლოშია შენთებული და ხელებსაც არავინ ითბობს შენზე.

ახპეროზი ბოლთას სცემდა, სახლის ქვედა სართულზე წრიალებდა, სადაც მაგნოლიების ხეივანი მთვრალი სურნელით ებჯინებოდა ზღვისპირა მხარეს. კატაა? გაიფიქრა, როცა არდაბაგთან ფხაკუნე გაიგო. უნდოდა ფარდა გადაეხსნა, მაგრამ კეფაში ძლიერად მოხვედრილმა მუშტმა გააბარბაცა, ტაბლას ფეხი გაკრა და ნაიქცა, ზურგზე წვერებიანი ახმახი დაახტა, ხელები ამოუგრინა, კეფაზე ჩააჭირა მუხლი, არდაბაგიდან მეორე ახმახიც შემოხტა, – გაინიე, – უყვირა თანამესაქმეს და უბიდან დანა გააძრო, იმან

მკერდით ამოაბრუნა ტუჩებზე სისხლით გათხუპნული ახპეროზი და დანიანმაც მუცელში შეუყვანა ცივი ფოლადი, თავის დიდი ტორი პირზე მიაფარა.

ახპეროზი გაიკრუნჩხა, გადაბრუნდა, მკვლელს ნიხლი აცხო, მეორე ახმახის მკლავებიდანაც ამოიგდო თავი – წამოდგა, მაგრამ იმან მეორეჯერ ატაკა დანა და კიდევ მესამეჯერ და მეოთხეჯერაც, – მოკვდი, მოკვდი შენი! – ამოეჭრა ხმა და ერთიც შეცა, ვადამდე შეუყვანა გულში და ამოაძრო, – გაუშვი, – უთხრა მეორეს.

დაკლული ახპეროზი დაფხრენილი მკერდით განერთხა იატაკს.

– ჩაძალდა, – ამოისუნთქა ახმახმა.

– როგორ იყო, გამატარეთო? ხელებს რომ გვკვრავდა? – თქვა მეორემ, – ეგდოს, ძალეც მიაკვდა.

– სისხლით ვარ დასვრილი, მალე ალბათ გემიც გადის, უნდა ვიჩქაროთ.

– ზღვაზე დავიბანოთ?

– არა, ლეგიონარიუსები შემოვლაზე იქნებიან.

– აბა, მოედანზე ჩავიდეთ?

– ჰო, მოკლე გზებით, ჭაში დავიბან. ასეთი სისხლიანი გაცთან ვერ მივბრუნდებით.

– გაცთან ჩემი მტერი მიბრუნდა, ისიც მკვდარია.

– ფული უნდა ავიღოთ.

– იმ მკურნალს რას ვეტყვით? იქ ალბათ ხალხიც იქნება უკვე.

– არაფერს ვეტყვით, წამო, – ახმახები არდაბაგიდან გადაძვრნენ.

ლამის ცივმა ნიავმა ფარდები შემოხვერა, იატაკზე სისხლის მუქ გუბეში დაგდებულ ახპეროზზე გადაიფერა, კრანხანაკბენი მისი გამწარებული სული გადევნა თითქოს და უკანვე შეირხა დაკიდებული.

გაცი შეუძლოდ გამხდარა, სახლში წაუყვანიათო, ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა იყო, როცა მოედანზე წარმოდგენა ჩაიშალა, მაგრამ მსახიობები ოდებს კითხულობდნენ და მათთან ერთად წინასწარდაუგეგმავი სანახაობის მონაცვლეობით ხუმარები, თოკზე მოსიარულენი თუ ის მარტოხელა მოხეტიალე მუსიკოსიც, ადრე სცენაზე დგომას ვინც ნატრობდა, ახლა რომ თავის გამოჩენის ხელსაყრელი წამი არ გამოტოვა – ართობდა მაყურებელს. მონაწილეები ერთმანეთს ქაოსურად ცვლიდნენ, ყაყანსა და ფორიაქში სადღაც ვილაციები ლექსებს ისროდნენ, სტვირითა და დაფით, ცეკვა-ცეკვით ირეოდნენ, დუქნებში ჩადიოდნენ და გაცის მოულოდნელი გაუჩინარებით გულგატეხილი მაყურებელიც, მოედნის ოთხივე შემოსასვლელი თაღებიდან, მარგორას ქუჩებში ნელ-ნელა იქსაქსებოდა.

მუშებსაც უკვე აეღოთ დეკორი და თეატრონის ხის დასაშლელი იატაკიც, როცა ღონემიხდილმა ღამემ და გაცის ამბავმაც თავისტკივილად მოხვეული ხალხის შფოთი ერთიხელისმოსმით მოუხსნა მოედანს, ცარიელ სიბნელეში მიფანტული ნაბიჯებით რაც დათქვეფილიყო და დახუთული უკუნეთიც ზღვაურის ნესტით დაიჟღინთა.

– რა უცვებ აალაგეს, ნახე? – თქვა შორს ერთმა მთვრალმა.

– მაგრები არიან, დილიდან ბაზარი იშლება და ხო არ დატოვებდნენ, – უპასუხა მეორემ და სიმღერ-ღმუილითა და არეული ნაბიჯით მოედნის სიბნელეში გაბოდიხლდნენ, რის თავზეც ვარსკვლავებით აკოჭრილი ცა ზღვისპირა ქალაქს დამიშვლებოდა, ქვის ფილებით დამრგვალებულ მოედანსა და ჭას, რომლის თითქოსდა უძირო ღრმულშიც, ცის ერთი ციციქნა დატალღული ჩრდილი ირეკლებოდა, მისი ცქერით დაღლილი, ორღამენათევი ბიჭი სადაც ჩამჯდარიყო, დედისმომლოდინე და პერანგს გიყიდი, ახლავე მოვალ, ფეხი არ მოიცვალო, დედამისის სიტყვები დასტრიალებდა ფიქრად უკვე მეორე დღე, რომ სჯეროდა, ანდა ვის არ სჯერა, რომ დედა ახლოა და მოვა, ის კი არ ჩანდა, ჩანდა ყველა, ოღონდ ის არა... რომ დამპირდა, მოვა. რომ არ მოვიდეს? არა, თუ დაპირდა, უნდა მოვიდეს, სიზმრების კიდეზე ტიტვლდებოდა ბაღის მოლოდინი, რითიც ცდილობდა ღამისთვის გაეძლო, ებრძოლა, დედას დახვედროდა, მაგრამ თვალეები დაეხუჭა, დაიღალა, ჯერ კი აშინებდა ღამეში დაყურებული სიბნელე და მისმა სიგრილემაც გვერდი წაჰკრა, დედამისის ხმა ეცნო? არა, ხმა არ იყო, უფრო სურვილი, მისი გამოჩენის დიდი სურვილი, რამაც ერთ ადგილას გაყინა პატარა ბიჭი და ჭასთან მდგარს თვალი არ მოახუჭინა, მაგრამ ახლა ღამის სიჩუმით დაფარებული, თითქოს საუკუნო მდუმარებას დანდობილი, ცივ ქვაფენილზე ჩანვენილიყო და ნესტიან ავაზანს მიყრდნობოდა. იმედით დამძიმებული თითქოს დანებდა, მორჩილად ჩაბარდა ტყვედ მის მკაცრ პატრონს – სიმარტოვეს, მის უკანასკნელ, ამ უკანასკნელ დღემდე გზის მანათობელ ვარსკვლავს, ცაზე იეროგლიფად აწერილ ნიშანს, თვალმუდგამი სიმაღლიდან ყოველთვის რაც განუგებებს, რომ ყველა კეთილშობილი ოცნება აგიხდება ბოლოს და სიხარულით ამოისუნთქავ კაცი, რადგან მთავრდება ტანჯვა და მთავრდება შფოთიც და თურმე დასასრული არ ყოფილა მხოლოდ დასასრული, სევდიანი, მაგრამ დიდებული; ის ზეიმი, სამყაროებისა და ბედისწერათა გზაჯვარედინებზე ამოსული მზეებისა და ჩასული მთვარეების ზეიმი, ყველა იმედის, ყველა ნატვრის, ყველა შვილის და სიყვარულის ნუგეშისმცემელი. მაგრამ ბიჭი ბაჩანა ჯერ ძილში ყვინთავდა, ჭასთან, ცარიელ მოედანზე დატოვებული, სიზმარი სადღაც შორიდან რომ მიაქანებდა და აბრუნებდა, შემდეგ ისევ გააფრენდა და აბრუნებდა, მტვერსა და ბუღში ურევდა გზაკვალს, ეთამაშებოდა და სიბლავდა.

ეძინა ღრმად, მშვიდი და ამოუღწეველი ძილით.
იმ ორმა კი ხელები დაიბანეს, სისხლი მოცილეს და გაქრნენ, ისევე უხილავად და უხმოდ, როგორც თავიდან, ჩრდილებიდან თითქოს როცა ამოცურდნენ.

V პრეტორიუმ

– ჭეშმარიტებას მხოლოდ ის არ ამახინჯებს, ვინც გზას ბოლომდე ხედავს, – თქვა პროკურატორმა, – ხომ ხედავ, ამბავი ისევე გასრულდა, როგორც დაიწყო... იმავე სიტყვით. თქვენ იარეთ და ისევე აქ მოხვედით, საიდანაც დაიწყეთ.

სერაფიტემ ფოთოლი მოწყვიტა, ბაღში გაიარა ხმაამოუღებლად და მისი სიარულიც ფოთლების რხევას თუ წააგავდა, რადგან იგი ისევე თავისი უჩვეულო შეგრძნებით შემთბარიყო, ფოთოლის ჭერისას რომ თითქოს განსაკუთრებული სიახლოვე იგრძნო ყოველის სულთან. ხმას არ იღებდა. დაყურებული და წარბშეკრული, ეჭვით გარინდებული, ბუჩქებსა და მცენარეებს ახებდა ხელს, კანის ყოველი ნაოჭითა თუ ღარით, ბენვითა და თმით თავს უცნაურად აიგივებდა მინასთან და მცენარეებთან, ბაჩანასთან და მტვერთან. ხელისგულზე ფოთლის მტვერი გაეპნა, დახედა და დაისუნთქა, – ეს მე ვარ, – თქვა ხმადაბლა, – მე ვარ. ახლა ყველაფერს მივხვდი. სიგიჟეა, – მოიხედა სერაფიტემ, – ხმები ყოველი მხრიდან, ნაცნობი სურათები, უკვე მომხდარი დრო, შეუძლებელია, მაგრამ ეზრა მართალი ყოფილა.

– ყური მიგდე, – ადგა პროკურატორი, – ადამიანი მარტო იბადება, შიშველი, მშვიერი და სველი და შენ იცი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, ქვეყნად ისეთი რამეები არსებობს, რომელიც ჯობია ყველამ არ იცოდეს, მე ხალხს ვგულისხმობ, ვისაც შენზე და ჩემზე წარმოდგენა არა აქვთ. ზერელედ გვიცნობენ, მათთვის უმჯობესია ასე გააგრძელონ. წამოდი, რალაცას გიჩვენებთ, – თქვა უშუალოდ, კიბეებისკენ წავიდა, – მომყევით, სართულით ზემოთ ავიდეთ.

შიდა ეზოდან კაცრიელობის მეორე სართულამდე ქვის კიბეები ანონილიყო. საფეხურებზე ჯერ პროკურატორი ავიდა, – ამოდით, – კარი გააღო. შევიდა და რომაულ ყაიდაზე ნაქარგი ვეებერთელა კრეტსაბმელი ახსნა, კარის კიდეს მიუბა კაუჭით.

სერაფიტემ ბაჩანა აუშვა წინ. ბიჭმა კიბეები მარდად აირბინა და შესვლისთანავე დაინახა, რომ პროკურატორი უცნაური სითეთრით განათებულ ცარიელ პალატიუმში იდგა, რომელსაც ერთი კედელი არ ჰქონდა – ჰქონდა, ოღონდ უშველებელ არდაბაგად გადაქცეულიყო ღია ამონაჭერი, ხუთი საყრდენი ბოძით ჭერში შემდგარი. დარბაზის მთელ სიგრძეზე ამოკვეთილ არდაბაგს არც ფარდები ეფარა, ნიავის მოფარფატე სტვენაც მიმქრალიყო, აღარც ზღვაური ისმოდა, არც ქარის სუსხიან მონაბერთან ერთად შორიდან მოტანილი ექოც, თითქოს ამ დარბაზში აღარ იყო ხმა, ხმა წასულიყო დუმილის მხარეში და თან წარეტანა ყოველის არსი, დრო თუ მოლოდინი.

შემოვიდა სერაფიტე, არეს თვალი გაავლო. სამოსის კალთა მოსასხამითურთ მკლავზე გადმოიკეცა. ბაჩანა კი თეთრ სიცარიელეს ასცქეროდა და ჩუმად იმეორებდა, – ასეთი ვნახე სიზმარში, და ჭასთანაც რომ მეძინა ასეთი თეთრი ცა მესიზმრა, – ბიჭი შეხტა, არდაბაგის ქვის მოაჯირთან მიიბრინა და იქვე გაჩერდა ბოძთან, ხოლო სერაფიტეს – სანამ მივიდა და იქ გაიხედა, ისევე დააჟრჟოლა მისმა ამ საყოველთაო ნაცნობობამ, ტერფით თხემამდე დასერა ხილული სითეთრის საიდუმლო სიახლოვემ, რაც თითქოს მისივე ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სიმზურვალით გამომწვარიყო. დაუჯერებლად პირაკუმულიყო სივრცე, ერთი შეხედვით თითქოს ქვით ნაშენი, მაგრამ უკვე გამჭვირვალე! ნაბიჯის ხმაც არ ისმოდა, იატაკი ინოვდა ბგერებს და სერაფიტესაც ასე ნაცნობი, აის საკუთარი მიხვედრილობა ექაჩებოდა წინ – დიდ არდაბაგში მაცქერალი პროკურატორისკენ, ამავე მიხვედრილობას ძლიერად წაევლო მისი სულისთვის და უკვე ჩაენნა, მთელს სხეულში ჩაეჭირა და კიდევ ერთი ნაბიჯით გაქაჩა, უხილავ და უსმენო ძალას მიყავდა მისი ფიქრი და სუნთქვა, სხეული და სული – მიყავდა ქვეყნიერების კიდესთან, მის ზღურბლს მიღმა რომ უნდა დაინთქეს დასასრულიც. თვალებში ახლა არ იყო მისი იასამნისფერი იერის მზერა შორიდან მოფრენილი, სამშვივნელსაც გუგები მოწყდნენ, ორი სამკაული – მძივების ასხმას, მოწყდნენ, დროების ხერხემალზე გადაგორდნენ და იმ ხრამის პირას – ქვეყნიერების კიდეზე გაჩერდნენ, საითკენაც არქივარიუსი მიიწევდა, პირველქმნილი ბგერის აკვნისკენ, დუმილის ხმოვანებამ სადაც თან ჩაიყოლა ადამიანთა ნატვრა.

სერაფიტე მოაჯირთან მივიდა, ღია არდაბაგის კბოდესთან და მოიყენა რა ბაჩანა გვერდით, სხეულით იგრძნო, რომ თეთრი სილიავის ქვემოთ ცათამბრჯენი სიმაღლეები იცრიცებოდა. გახედვა ჯერ ვერ გაბედა, სიმაღლის შიშმა გააკავა? არა – ეზრას ჩაგონებამ – „იყავი ფხიზლად!“

– გაიხედე, ნულარ გაჩერდი, – თქვა პროკურატორმა, – თამამად.

სერაფიტემ ფრთხილად გადადგა ნაბიჯი, ხელებით მოაჯირს დაეყრდნო და მთელი ტანით გადაინია იმ სითეთრეში... მყისვე შემობრუნდა, ზურგით აეკრო ქვის საყრდენ ბოძს, სახეზე ხელები მიიფარა, რადგან

იხილა ის, სადაც მოკვდავთათვის შესვლა საშიშია! ერთხმად აუძგერდა გული, ფიქრი, სულიც და სიმამაცესთან ხელდართული სიამაყეც, ახლის გაგების უსაზღვრო წყურვილი, შეუცნობელის თანმდევი მოულოდნელობა – თითქოს მზეს შეხედა, მზერა გაენვა, სუნთქვაც მიუქვავდა ფილტვებში და აეყუდა თუ არა მოაჯირს, მიხვდა – კი, მან მართლაც რომ სამყაროს კიდე იხილა.

აქ არ იყვნენ მთები, უდაბნოები, სოფლები, ქარავნები, აქ არ იყო ზღვა და არც წარსულის ქართი ლეგენდებში გადახვეტილი შუამდინარეთი, არც მისი მარგორა იყო აქ, მტვერში ამოგანგლული პირქუში ხილვა, დროების ხმაურს რაც იკრებდა თავის ოთხთაღიანი მოედნით, არ იყო მისი ნიგნოსაცავი, არც ზეცა იყო, არც მზე და არც არაფერი, – სად ვართ, – შიშმა დაუარა მკერდზე, – და რატომაა ყველაფერი თეთრი?

– თვითონაც იცი, – მხარზე ხელი დაადო პროკურატორმა, – უკვე ხედავ კიდეც, რომ სამყარო სასრულიცაა და უსასრულოც თავის თავში, – ხელები ჩამოაშვებინა, – ნუ გეშინია, არ დაბრმავდები, თვალები გაახილე და ყურადღებით მისმინე, ზღურბლის მიღმა არაფერი იზომება, აქ არაა დრო, არაა ადგილი, აქ არავინაა, მტვერიც კი არაა. გაიხსენე შენი ფიქრი, როცა მარგორას ქუჩებში ნაცნობი ხმები გესმოდა.

– საიდან იცი?! – გაეჭვდა სერაფიტე.

– ჩვენთვის ბევრია ცნობილი, თითქმის ყველაფერი, რაც აქ ხდება ან უკვე მოხდა. გაიხსენე გარესკნელი და უკანასკნელი, შენ ხომ იცი ეგ რასაც ნიშნავს, რომ ამბობდი ლაბირინთიდან გასასვლელი არსებობს და მე მას ვიპოვნე.

სერაფიტე ბაჩანასკენ ნელა შემობრუნდა, კისერზე ჩამოუდო ხელი, ეზრას წერილი დაედო ფიქრზე: „კანონი თავისუფალი ნებაა, არ გადახვიდე, არ შეცდე, სიტყვა უკვე გამჟღავნებულია“. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, – ის, რისიც ასე მეშინოდა, ჭეშმარიტება ყოფილა, – თქვა თვალგამტერებულმა, – ეზრას ეს უპოვნია. მორჩა, ძიება დამთავრდა, გარესკნელი და უკანასკნელი, ჰე, – გაელიმა და თავი გააქნია, – შუაში კი მოდგმის სახელები – გობიოდან ბაჩანამდე, – ქვის უცნაურად გამჭვირვალე მოაჯირს თითი გადაატარა, მის გაღმა რომ მითეთრებულიყო არაფერი – ყველაფერი, განზომილების აჭრილი საფარველიც რომ მიყურებოდა, თითქოს კბოდე, საიდუმლო კიდე ჩვენსა და იმათ შორის ჩახერგილი შეუვალი სითეთრე, კანონი სამი საიდუმლოთი გაცხადდება, ისევ დაესმა ეზრას ჩაგონება, თითი ისევ გამოატარა მოაჯირს და ჩაილაპარაკა, – მამ, ნიგნი ვიყავ და ნიგნად ვიქცევი?

– მინა იყო და მინად იქცა? – ხელები მკერდზე გადაიწყო პროკურატორმა, – ნულარ გამოფოთებს შენივე თავი, ის ჭეშმარიტებას გამცნობს, გარესკნელი და უკანასკნელი, არქივარიუს, ნიგნის ყდა, პირველი და ბოლო გვერდი. ვინ იცის მერამდენეჯერ მიწევს შენი გაფრთხილება.

– მერამდენეჯერ?

– შენ ნიგნის გმირი ხარ და გგონია აქ პირველად დგახარ? არსებობს ვერსარე, რის მიხედვითაც ნიგნის ბოლოს ყველაფერს ივიწყებ, რათა გზა თავიდან გაიარო. უცნაურია? როგორც სიზიფოსის ქვა. უაზრო ბედისწერა სამუდამოდ. მაგრამ ეგეც მითია. არ მჯერა.

– საგნებს და მოვლენებს თავიანთი არსი აქვთ და გონებას მათი ნვდომა ძალუძს, – სერაფიტემ საფეთქლებზე მიიდო თითები, – ლოგიკით, ან... – თითქმის ნაბორძიკდა, სიტყვა გამჟღავნებულია, ის ჩვენ შორისაა, ეზრას წერილი ეწერებოდა ფიქრად, არ დაჰყვე საცდუნებელს, არ შეხვიდე შიგ, ჩაისუნთქა, ის გაქვავებული ფილტვები თითქოს ახლა მიეფშვნა, მოაჯირს დაეყრდნო, – ლოგიკით, ანდა თავისთავად, – განაგრძო მძიმე სუნთქვით, – მოულოდნელად, უეცარი გამონათებით.

– ეჰ, სერაფიტე, სერაფიტე, – თავი გაიფხანა პროკურატორმა, ძირს დაიხედა, მარმარილოს იატაკიც გამჭვირვალდა, მის ქვეშაც გათეთრდა არე, – გონებისა და ფიქრის სისწრაფით დიდ მანძილებს ნამში დაფარავ, აზრის იდეალური თანმიმდევრობით საწყისი ფიქრის, სიტყვისა და საქციელის დასაბამს მიაღებები, რაც უკვე ვნახეთ ბაღში ჯდომისას.

– და სამყაროს ნრებრუნვითი უსასრულობა ლოგიკაშიც აირეკლება, საკვირველი უბრალოება მანდა და გრძნობაშიც ალბათ, რადგანაც მისგან თუ წარმოიშობა წინათგრძნობა, რაც მქონდა კიდეც ეს ბოლო ხანია. მქონდა, – თქვა დამაჯერებლად, მშრალად, – მე აღმოჩენის სასწაულის წინათგრძნობა მქონდა.

– არაა საჭირო ქვეყნიერების შემოვლა, რათა რამე გაიგო, – გაუღიმა პროკურატორმა, – ამ წინათგრძნობითაც შესაძლებელია ჭეშმარიტების ნვდომა და მისი არსიც მაშინ გეხსნება, როცა ჭეშმარიტების გაცნობიერებისას მიღებული შედეგი, შენში მყისიერ გამოძახილს ჰპოვებს, როცა არსის დანამდვილებითი იდეა ისეთ ჰიპოთეზის შობს, რითაც ლოგიკას გაამყარებ. სფინქსი და ოიდიპოსი, არქივარიუს, როცა გამოცანა იხსნება, სფინქსი კვდება, როცა ოიდიპოსი ბედისწერით ჩადენილი საქციელის მიხვედრას იწყებს, სიკვდილიც მაშინ ჩნდება, თუ ამისთვის მზად არაა კაცი, შესაძლოა ყოველივე ტკივილითა და სავალალო შედეგით დამთავრდეს, მაგრამ ჭეშმარიტების მოულოდნელ დარტყმებთან ეგ არაფერია, აღმოჩენის შესაძლებლობებს ბოლომდე ვერც წარმოიდგენ, აიბნევი. ორივემ ვიცით, რომ ეჭვები დამლუპველია, მითუმეტეს მაშინ, როცა დროის, ადგილის, მოვლენის, ჭეშმარიტების არსი შეიგნე. შენ სიტყვა ხარ, სერაფიტე, ამ თეთრ მინაზე ჩაწერილი, ბაჩანას რომ ძირს ახედებდი, როცა ხვდებოდი, რომ

თეთრი მინა მანუსკრიპტუმის გვერდია და შავი მტვერი მასზე მოპნეული სიტყვები. უცნაურია ზოგჯერ პაპირუსზე ამოყვანილი სიმბოლოები.

– სასწაულია, – თქვა სერაფიტემ, – ნივთიერებისა და ენერჯის შენახვის კანონის გვერდით, დროის შენახვის კანონიც არსებობს? განვლილი დრო არსად ქრება, ის აქვე არსებობს, ისიც ნამდვილია და მისი ხმაც იმიტომ თუ დამესმის ყოველნამს. აქვე სწერია, ამავე დღეს, ამავე გვერდზე და უხილავი ტიხრებითაა შემოსაზღვრული, ყოველივე არა მხოლოდ ვინმეს ან ჩემი ან ჩემივე არქივუმის მეხსიერებაში ინახება, როგორც კაცობრიობის მთლიანი მეხსიერება, წარსულისა და აწმყოს ბედი, ერთი წინადადებით გადაბმული, სავსე უღელტეხილებით. რატომ მე?

– რადგან შენი არსია ასეთი, – ტოგა გადაიკეცა, – თითქოს რალაც არაამნიგნიურია შენში, რადგანაც განუხებს ის, რაც ყველასთვის ამაზრზენია, მაგრამ ყველა მიჩვეულია, ამაღ გმფარველობდა ეზრა და ჩვენი ინტერესების საგანიც შენ ბრძანდები, შენ ხომ ის შეძელი, რაც ბევრს არც დასიზმრებია, თავი აღმოიჩინე და ახლა კი ბიჭუნას გადარჩენაზეც ფიქრობ. გვინდა რალაც შემოგთავაზოთ.

– ჯერ მითხარი, ეზრა სადაა!

– ეზრამ აღმოაჩინა რა თავი და მიხვდა რომ სიტყვაა, გზაც აღმოაჩინა ბიბლიოპოლისისკენ.

– რისკენ?

– ერთი ძალზე საინტერესო მხარისკენ, სადაც ნიგნის გმირები იყრიან თავს, სიტყვები, შეიძლება ითქვას, რჩეული სიტყვები. ეზრა იქ გაემართა სიტყვათა დასაბამში, თავდაპირველ საბადებელში. მან განთავისუფლება მოახერხა, შენ კი ძიება გიანდერძა და ის ეპისტოლეც, ახლა უბეში რაც გიდევეს, გაფრთხილებს, რომ ჩემთან არ მოხვიდე, – პროკურატორმა ნიკაპზე მიიღო თითი, – ო ეზრა, – ამოაყოლა სუნთქვას, – ისიც მეოცნებე იყო, სრულყოფილ სამყაროზე ოცნებობდა, გობიოებისა და პეტრიდიდების გარეშე, აურუმების გარეშე, შესაძლოა, მიაგნო კიდეც, ყველგან ცდუნებას ხედავდა, ჩემშიც კი. ჩვენ ბიბლიოპოლისში არ შევდივართ, იქ მხოლოდ საგანგებოდ მომზადებული აგენტისები იგზავნებიან, ეზრა კი წავიდა, მაგრამ როდისმე უცილებლად დაბრუნდება, რომელიმე მანუსკრიპტუმში აღმოჩნდება სიტყვით, რომელიმე სამომავლო გარდასახვაში დაიბადება, როცა კი საჭირო გახდება მისი სიბრძნე.

– თქვენ?

– რა ჩვენ? ვინ ვართ?

– და ყველაფერი როგორაა თქვენთვის ცნობილი?

– დავგიძახე ილუმინატები. უფრო ზუსტი ლათინურით – ილუმინატუსები, – იდაყვზე ისევ მეგობრულად მიადო ხელი, – ჩვენ მაშინ გავჩნდით, როცა ფიქრი გაჩნდა, ოლონდ ერთი ნაბიჯით გვიან, როცა სიტყვამ ხორცი შეისხა და ბედისწერით შემოიხაზა, მაგრამ ამაზე მთავარი ჩვენი კოდექსია – სიბრძნის შენარჩუნება და საიდუმლოს მალვა, – ისევ და ისევ ადამიანთა გამო, რომ უგუნურებამ სამყარო არ განიროს.

– ილუმინატუს, – თქვა სერაფიტემ, – აქამდე როგორ ვერ მივხვდი. განათლებულნი.

– ჩვენ უხსოვარი დროიდან ვარსებობთ, ბრძენ სოლომონამდეც ვარსებობდით, ოლონდ სხვა სახით, დღეს რომია სატახტო ქალაქი, პრეტორიუმი კი ერთ-ერთი ჩვენი ადგილი, საიდანაც თეთრსა და შავს ვანონასწორებთ, სალუს პოპული სუპრემა ლექს ესტო, ოლონდ ეს ფაქიზად კეთდება, ასე ვთქვათ, სილენტიუმ სინე ლოკო.

– დუმილი ადგილის მიუნიშნებლად? – თქვა სერაფიტემ, – მართლაც, როგორც ნიგნებში მითითებისას და ისიც... სალუს პოპული... საზოგადო კეთილდღეობა უმაღლესი კანონია. გინდა გამაკვირვო?

– გავა დრო და სახეს ვიცვლით, მაგრამ კოდექსი ყოველთვის უცვლელი დარჩება, იცვლება მხოლოდ სახე, სერაფიტე. ჩვენ ისტორიას მიმართულებას ვაძლევთ, რადგან ყოველთვის ვჭვრეტთ მომავალს. ჩვენ ვქმნით სკოლებსა და რელიგიებს, მშვიდობასა და ომებსაც ჩვენ ვუდგენდით დროს, ერებსა და ქვეყნებს ერთი მიმოქცევით ვწვრთნიდით, ბევრმა მეფემ ისე გაასრულა თავისი ჟამი, არც კი იცოდა ჩვენი არსებობა, ჩვენი მარადიული არსებობა კი ჩვენივე ადაპტაციოს თანდაყოლილი უნარია. ხომ მიმიხვდი სიტყვებს?

– უკვე რიცხვებსაც, – თითებზე დაიხედა სერაფიტემ, ერთმანეთში გადანა, დააგრიხა და ხელები დაუშვა.

– კარგად შენიშნე, – თქვა პროკურატორმა, – საუკუნეების წინ მოსემ, დანიელმა და აკიბამ კაბბალა შექმნეს. ამბობენ, მოსეს ღმერთმა გაანდო საიდუმლო, დანიელმა ბაბილონის ტყვეობის დროს სისტემა შექმნა, აკიბამ ნიგნი დაწერა, ალექსანდრიულმა სკოლამ ახალი იდეები დაუმატა, ფილონი, პითაგორა, პლატონი... შეიქმნა ახალი დოქტრინა – ემანატიზმი, თავდაპირველი იდეები კი, შენც კარგად იცი, რომ მომთაბარე ასტრონომებთან ჩაისახა, ქალდეველებთან. ნატურალურ რიცხვთა მწკრივი ნულიდან ცხრამდე, რომელიც ღმერთის პირადი საჩუქარია, თითქოს ადამის დაბადების დღეზე, ისევე როგორც სიტყვები სამყაროს სულია, მისი აზრი, სიტყვები როგორც სისხლი, რიცხვები, როგორც ჩონჩხი. კაცობრიობამ მრავალგზის უნდა შემოუაროს დედამიწას, რომ ზედაპირზე ტივტივის ნაცვლად, სიღრმეში ჩააღწიოს, ემანატიოს შედეგად ახალი ელემენტი წარმოიქმნება, სერაფიტე, რადონი, ყველაზე ბოლო იმ ექვსი ინერტული აირიდან, რომელიც პერიოდული სისტემის ნულ ჯგუფში იქნებიან, აქედან იმ დღემდე ბევრი

მთვარე შეიცვლება, როცა კი ადამიანი სისტემას აღმოაჩენს – ჰელიუმი, ნეონი, არგონი, კრიპტონი, ქსენონი და რადონი. ილუმინატუსებს გვესმის ჭეშმარიტება, – თავმოშონედ ანია ნიკაპი პროკურატორმა, – ზოგი ნიგნი კვდება, არქივარიუს, დროს ვერ უძლებს ან მკვდრადშობილია, ზოგი უკვდავია. არსებობს სიტყვათა ისეთი სისტემა, რომელსაც ნიბელუნგები ჰქვია, ვეფხისტყაოსანი, რამაიანა, მობი დიკი, არის ბიბლიაც, რომლის ტექსტების კაბზალის საშუალებით გახსნა საოცარ მნიშვნელობას იძენს. ემანატიოს შედეგები განა ვინმეს აქვს სწორად გაგებული? დაშლა, სინთესისი, ისევ დაშლა, ადრე თუ გვიან ახალი ენერგია წარმოიქმნება. ენერგიის უღვევი წყარო შეიქმნება – ატომური.

– თითქოს სიკეთე გინდათ, – თქვა სერაფიტემ, – მაგრამ...

– რალა მაგრამ, მნიგნობარო, საზღვრები არ არსებობს, ადამიანის ცოდნა უსასრულოდ ვითარდება...

– სანამ ატომი არ იფეთქებს და სიკეთისგან მომაკვდინებელ საფრთხეს არ გააჩენთ, შემოქმედმა იქნებ ამიტომ დაადო ედემის ცოდნის ხეს ვეტო.

– მაგრამ მაინც საგანგებოდ მიუნიშნა შვილებს – არ გაეკაროთო? სერაფიტე, გონიერი კაცი მგონიხარ, მაგრამ მაინც სადღაც ფრენ. დაეშვი დედამინაზე. გნებას კაბზალით, გნებას ნებისმიერი სხვა ნიშნისა და საშუალების გამოყენებით ჩვენ არათუ დროსა და სივრცეში, სიტყვასა და მდუმარებაშიც ვაღწევთ, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ მზე კაბზალურად სამასსამოცდახუთია და მე, თუნდაც ახლა, შენ გესაუბრები.

სერაფიტემ პალატიუმში გაიხედ-გამოიხედა: – გამჭვირვალედ მოთეთრებული დარბაზი, სიჩუმე და საბედისწერო სიცარიელე. გულს მიენდე, ფიქრში ენუგემა ეზრა, გონებამ არ დაგაბრკოლოს, მომაგრდი რწმენით.

– თხელი ტიხრებით გამოყოფილ საზღვრებს შორის, – თქვა სერაფიტემ, – რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდება და ყოველთვის წარსულის სიტყვებს მაგონებს, ამბებსა და საქციელთ, ამ სივრცეებს შორის შენებური დიფუზიო ნელა და თანდათანობით ხდება, მაშინ უეცარი გაელვება რალაა, – ჰეგემონს მიადგა პირისპირ, – უეცარი ნიჭი, მეხის დაკვრას რაც მაგონებს, ანდაც როცა უბირი ადამიანი დიადი სიბრძნით ამეტყველებდა? დიფუზიოთი გადასვლას, შეღწევას, მაგიითა და კაბზალით ტელეპათები აღწევენ, მჩხიბავები, შამანები, მისნები, მეცნიერებიც! ალქიმისტებიც! მაგრამ სიტყვაში ვერცერთი შედისართ ღრმად, ატომის, ანუ ასო-ბგერის გახლეჩვას რწმენით ვერ ახდენთ, მხოლოდ გონებით, ეს კი ზედაპირზე ტივტივია. იყავით ილუმინატუსები, დე სამყაროს წარმომშობი სიტყვებიც იცოდეთ, შემოქმედებით ენერგიათა ემანატიოც, დე ასე იყოს, მაგრამ რწმენას ფილოსოფიური იდეა მაინც ვერ სწვდება და ადამიანებსაც არც ამისგანა აქვთ შვება. ვშიშობ, რომ საქმე სხვაგვარადაა, – სერაფიტეს კიდევ უნდოდა გაეგრძელებინა, მაგრამ გონებაში ისევ ეზრას ხმა დაუბრუნდა: „სამი საიდუმლო... შენც მაგათგან ხარ ნაშობი“... თავი დახარა, კედელს მიეყუდა და ნელა ჩაკეცა მუხლები, იატაკზე ჩაჯდა, – საქმის გამოსასწორებლად, – თქვა თვალდახუჭულმა, – ჯერ კიდევ არის დრო. მითხარი, თუ მართლაც ყველაფერი დანერილია, რისთვისღა ვიტანჯებით? ან როგორღა შეიცვლება ის, რაც სწერია.

– დანერილს დრო ვერაფერს უზამს, – ლაპარაკისას მოიღუმა პროკურატორი, – რაც ჯერ არ სწერია, ის უნდა შეიცვალოს და შემდეგ იქცეს ანმყოფ.

– ბაჩანას მომავალი, – სერაფიტემ ყურებზე მიიფარა ხელები, თითქოს საგონებელში არ შეუშვა ცნობამოყვარული გაეჭვება.

– დაახ, არქივარიუს, უკანასკნელი ყრმა თავისი მოდგმიდან. მის ჯერ დაუნერელ საქციელზეა მომავლის ბედიც, იმაზე, რაც გარესკნელსა და უკანასკნელს მიღმა იშობა და რაზეც თავისი ხელი არ დაუღია აუტორს.

– ვინაა აუტორი? – სერაფიტემ პროკურატორს ამოხედა.

– ახლა და ამნამს, დასასრულისა და დასაწყისის კიდევ მდგარნი, ჩვენ ვერ გადავალთ სითეთრის მიღმა. ის თუ არსებობს, მისი სახელიც იქ უნდა იქებო. ესაა ჭეშმარიტება.

– რა? – წამოდგა სერაფიტე, – არსებობს თუ არა აუტორი? ჭეშმარიტება ღმერთია და სიტყვები, სამყაროში მოზნეული. მამ აუტორის არსებობაზე რატომ ეჭვობ? შენ იცი ვინაა, თქვი.

– იგი ალბათ, – ხელები უკან დაიჭირა პროკურატორმა, მოაჯირთან გაიარა, – ისაა, ვინც თქვენ საქციელს ერთი ბედისწერით შეკრავდა, თქვენს ნაკვალევ სიტყვებს ხორცს შეასხამდა, ჯერ გამოგიგონებდათ და აქ დაგასახლებდათ, ამ დროში, ამ მიწაზე. ეს სამყარო არასრულყოფილია, მის არსებობაშიც ამიტომ მეპარება ეჭვი, მაგრამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები კი არსებობს, თან სრულყოფილად. არ მიყვარს გაუთავებელი წინააღმდეგობრიობა, – პროკურატორმა ჩაახველა და თითქოს სხვა ხმით განაგრძო, – აუტორი რომ არსებობდეს, ყველაფერი მასზე იქნებოდა დამოკიდებული, მისი ნების წინააღმდეგ ვერავინ ივლიდა, სადღა იქნებოდა შენი თავისუფლება? ნუთუ ის ასე განირავდა თავის გმირებს, ასე აურევდა თავგზას? რისთვის? რა საიდუმლო გეგმა აქვს მოფიქრებული? აბსურდუს, მხოლოდ ეგ. ხოლო თუ აუტორი არ არსებობს, რა გამოდის? რომ ყველაფერი ჩვენზეა. თუ გინდა, გამოსცადე, ახლავე აგიყვან პრეტორიუმის სახურავზე და გადმოხტი, თვითონვე ნახავ, რომ შენამდე არავისა აქვს საქმე. ნება და

თვითნებობა, აი, მთავარი სიტყვები, – პროკურატორმა ბაღს ჩამოხედა, – რაო, ბაჩანა? ჩუმად ხარ, გაკვირვებული.

– მე დედასთან მინდა, – თქვა ბაჩანამ.

– დედაენა გენატრება? მალე ყველაფერი გასრულდება, – სერაფიტესკენ აქცია მზერა, – ყველაფერი რიგზე იქნება, თუ ჩვენი მნიგნობარი სწორ არჩევანს გააკეთებს.

– რას გულისხმობ? – გადმოინია ბაღისკენ.

– ჯაჭვი უნდა შეიკრას, – პროკურატორი მოაჯირისკენ შებრუნდა, უსაზღვრო სითეთრის ხალასი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ხელები გაშალა, – მარადიული იგივეობა აქ სრულდება, ეზრამ ნიგნამდე გზარდა, ამ მანუსკრიპტუმამდე გზრდიდა და გასწავლიდა რაშიც წერიხარ, ამიტომაც არაა ის ნიგნში და ალბათ არც არასდროს იქნება, ისევე როგორც ბიჭუნას დედა, ნიგნამდე არსებული კოლხი გულსუნდა. მხოლოდ ერთ პატარა ეპისოდში ჩანს, ზღვის სანაპიროზე, როცა დაბნეული ახპეროში თევზებს დააგდებს და მისთვის ფულის ჩუქებას გადაწყვეტს. ესეც ნიგნის საიდუმლოა, როგორ აღმოჩნდა იქ? დროით თანმიმდევრობას თავისი კანონები აქვს, – შემობრუნდა მათკენ სახით, – გულსუნდა პირველმობილ უხილვობაშია, სადაც ყოველი მიისწრაფის, სადაც სიტყვებიც ახლიდან იბადებიან და რაც ყოველივეს მიზეზია, ბრმა სტრიქონი და სტიქიონი და არა შენი პერსონიფიკირებული აუტორი, მითი ან ლეგენდა, ხალხთა სამართავად ჩვენ მიერვე მოგონილი. მანუსკრიპტუმი ისტორიაა, დედა კი პრეისტორიული მუდმივობა, ნიგნმა ის დაიფარა, საყოველთაო უბედურებისგან დაიცვა, პერნიკიოზუს, ჩემო სერაფიტე. იმდენად ფაქიზი იყო ამ სიტყვის არსი, რომ სიგიჟეს დამსგავსებულმა თავგზაბნეულობამ ვერაფერი დააკლო, ბაჩანა კი შვა ცოდვის შვილი, მისი ბუნება, მისი განურჩევლობა და სტიქიონური მუდმივობაც ამას ამტკიცებს, რომ სიტყვათა მოდგმის მშობელი გაუნონასწორებულობას ვერ იტანს, – პროკურატორი ახლოს მიუდგა, სახე ლოყასთან მიუტანა და ყურში ჩასჩურჩულა, – ახლა მიხვდი, რომ ბავშვი აქ დარჩება? – თქვა და ზურგიდან მოუარა, მეორე მხარეს დაუდგა, – მაგრამ შენც შეგიძლია დარჩე, ერთ-ერთი ჩვენგანი გახდე. ნება მიეცი სამყაროს, თავისი გზით განვითარდეს, ბაჩანამ თავისი გვარის ბედით იაროს, შენ კი, რადგან რჩეული გახადე საკუთარი თავი, რადგან საიდუმლოზე პასუხს მიაგენი, ბარემ ჩვენი კოდექსიც აღიარე და მიიღე. მემგონი, დაგარწმუნე, რომ ცუდი ილუმინატუსებს არავისთვის გვინდა, ყველაფერი შენი იქნება, რასაც კი მოისურვებ, იცოცხლებ სამარადისოდ და კეისრის კვერთხით ხელში, გინდა ქვებს აქცევ პურებად, გინდა მინას გაიდებ ფეხქვეშ, განათლდები. ეს მოდგმა განწირულია, არქივარიუს, ბავშვი ველარასდროს შეხვდება დედას, ნულარ გატანჯავ დაპირებებით, იმედით და მოლოდინით, მიუშვი ყოველივე თავის ნებაზე და დააკვირდი რა მოხდება, მოხდება კი ის, რაც ყოველთვის ხდებოდა, დღე ღამეს შეცვლის, წარმავალი – მომავალს, ჯაჭვი უნდა შეიკრას, სერაფიტე. ბაჩანა მისი ბოლო რგოლია და მან თავისი ნიშნით უნდა იცხოვროს.

– მისი დანაშაული რაღაა? – თქვა სერაფიტემ, – მხოლოდ ის, რომ დალუპულთა მოდგმის შთამომავალია?

– მისი ნიშანი ცნობისმოყვარეობაა, არქივარიუს, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა, მიმონვლილვა, ისევე როგორც შენი. გიკვირს? შენც ხომ ცნობისმოყვარე ხარ? რას იზამ, ადამიანს არ შეუძლია მიმონვლილვის გარეშე. შენ კი გინდა, რომ ის სასოებით შეიცვალოს?

– საიდან მოიტანე, რომ ასეა? რომელი მიმონვლილვა?

– ხარის ბეჭი, მნიგნობარო, არქივუმში საგულდაგულოდ შენახული, ხომ არ გგონია, რომ შენს მეტმა არავინ იცის? სასაცილოა, როგორ გჯერა, რომ ამპარტავნებას სიმდაბლე უპირისპირდება და მასზე იმარჯვებს?! ან ანგარებას მოწყალება, სიძვას – უმანკობა, მრისხანებას – სიმშვიდე, ნაყროვანებას – მარხულობა და შურს – სიყვარული? გინდა სამყარო იხსნა? მაგრამ სამყაროს უნდა რომ? ვინმემ გთხოვა? გჯერა, რომ ბაღლი ირწმუნებს და თავისი მიმონვლილვით ადამის საქციელს არ გაიმეორებს? დამიჯერე, რომ წამოიზრდება, ის ქექვას დაინყებს იქ, სადაც ყარს, თავისი წარმომავლობის გაგებას რომ მოისურვებს, ორივემ ვიცით, რომ კარგს ვერაფერს ნახავს. მიიღე ჩემი სიტყვა და სამყარო დალაგდება.

– ბაჩანას ბედი ჯერ დანერილი არაა, – თვალბში შეხედა სერაფიტემ, – ჯერ არავინ არაფერი იცის.

– მართლაც რომელიმე მეოცნებე ერის დაკარგული შვილი ხარ, – პროკურატორმა ისევ დარბაზში გაიარა, – ასე არ უნოდებ თავს? – ტოგის კალთა კვლავ მკლავზე შეისწორა, – ქვეყნად ძალიან ბევრი ნიგნია, კავკასიიდან ინდოეთამდე, შორეული ზღვების შემოვლით, გინდ აფრიკიდან მარგორამდე, მესოპოტამიიდან რომამდე თუ იერუსალიმამდე ერთი საიდუმლო კანონი მოქმედებს, სიტყვათა არსებობის კანონი, თავისთავადი და უცვლელი, რომელსაც ვერავინ ხედავს და სადაც ჩანერილი საქციელნი თავიანთ საზღაურს ჰპოვებენ, გამჭრიახობა არ გაკლია, მან წინათგრძნობით აგანთო, მაგრამ ჩვენ ბიჭუნას გამო ვერ ვიმარჩილებთ. სამყაროში ერთადერთი ჭეშმარიტებაა – თვითნებობა.

სერაფიტემ არაფერი თქვა, ბაჩანას მოკიდა ხელი, მანაც დარბაზში გაიარა და ტერფებსა თუ ხელისგულზე ისევ აეკრო უწინაგრძნობი მხურვალება, თითქოს მეტყველების უნარიც სხეულში მიემალა, ბაგეები შეხსნა, მაგრამ ცხელი ამონასუნთქი ამოყვა, არა ხმა და არა ბგერა, ჰეგემონის მბრძანებლურ სახეს მიაჩერდა, ნინ რომ ედგა თეთრი ტოგით შემოტმასნილი, მის ზურგსუკან, ვეებერთელა ღია არდაბაგში, გამუდმებული თეთრი მდუმარებით. სიმხურვალემ სისხლში დაუარა, ძვალში შეაღწია და სული აუნთო

თითქოს ახალი ძალით, თითქოს შიგნიდანვე მოესმა ეზრას დანატოვარი ყოველი სიტყვა, ასო-ბგერა, მისი ხმის ახლობელი სიტბო, წამიერად მიმალული უნარი, რამაც დაუბრუნა და მახსოვრობის ბიძგით მიახვედრა კიდე ჭეშმარიტი, ქვეყნიერების ის კბოდე, სადაც საკრალურობის გამხელის ადგილია.

– პასუხს ველი, – თქვა პროკურატორმა, – დიდხანს იქნები ჩუმად?

– შენ ერთი რამ გამოგრჩა, – სერაფიტეს მზერა აუცოცხლდა, უკან მოუბრუნდა აის შორიდან მოფრენილი იასამნისფერი გუგები, ხმაში სიმხნევე მოაწვა, – ჟამის მეთვალყურე, – თქვა ხმამალლა.

– რა? – შეკრთა პროკურატორი.

– ის, ვისი სუნთქვებიც თავს არ მანებებს და მუდამ დამესმის ჩემს ზემოდან, ვინც ახლა აქაურობას ადევნებს თვალს და ყველაფერი ესმის, ვისაც ჩვენი მანუსკრიპტუმი უჭირავს და ალბათ ელიმება, რომ მის შესახებ რაღაც ვიცით, ეს თეთრი მინა შავი მტვრით, ერთი სკნელით შემოკრული, მის წინ რომაა გადაშლილი და ყოველ ჩვენს საქციელსა თუ გულისზრახვებს კითხულობს, – სერაფიტემ და ბაჩანამ ზემოთ ამოიხედეს, ჭერიც იატაკის და მოაჯირის მსგავსად გამჭვირვალდა. შენ ამოგხედეს! – მე ყოველთვის ზემოთ ვიყურებოდი და ბიჭსაც ვახედებდი, – თქვა შენი შემყურემ, – მეყსეულად ვხედავდი მის სახეს, ის ხშირად იცვლება, ხშირად იგივეცაა, მაგრამ მაშინ ხილვადვე მრჩებოდა და ცა ან ღრუბელი მიფარავდა, ახლა კი არა, – სერაფიტემ ბაჩანას თავზე დაადო ხელი, – რადგან კანონს შენ არ ქმნი, – მიუბრუნდა პროკურატორს, – ისევე როგორც ეს სამყარო შენი შექმნილი არაა, თუ ჟამის მეთვალყურე არსებობს, ესე იგი, აუტორიც იქვეა და წიგნი კანონით იწერება მის მიერ, კანონი გრამატიკეა, მეცნიერება ენის აგებულების შესახებ, სამ გაცხადებულ საიდუმლოს რაც ეყრდნობა, მიკვირს შენგან, ნუთუ პირველად გესმის? – სერაფიტე მოაჯირისკენ გავიდა, – ფონეტიკე, – თქვა თითქოს გულის სიღრმიდან, – სიტყვის ბგერითი ალქმა, მორფოლოგია, სიტყვის ფორმითი ალქმა და სინტაქსისი, სიტყვებით წინადადების აგება! – მოაჯირს დააყრდნო ორივე ხელი, – აი სამყარო, რომლის არსება და მასში ჩვენი არსებობა მაშინებდა, არ მჯეროდა. მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ აღმოჩენის სასწაული მართლაც დიდია და ესეც დაიხსომე, რომ შენც ტექსტში წერხარ, შენც იმან შეგქმნა, ვინც ამ კანონით ყოველი სიტყვა, მტვერის ყოველი ნაწილაკი წარმოშვა. ლოგიკას თუ გავყვებით, მივიღებთ, რომ ყოველივე აქ და ამჟამად აუტორის მიერაა შექმნილი და ადამის ძეთა ცხოვრებას, გზას, მთელ მათ მოდგმას თავისუფალი ნება განმარტავს, მისი ნაბოძები კანონი.

– და შენ გგონია, ეგ ჩვენ არ ვიცით? – გაეცინა პროკურატორს, – არაფერი შეიცვლება, ახლა ჩვენი მეუფებაა, ნებაც და თვითნებობაც, ამქვეყნიური წესი. ჯერ ალბათ კიდევე ვერ აცნობიერებ, სად შეტოპე. მომეცი ბავშვი!

სერაფიტე ბაჩანას გადაეფარა, კალთის უკან მოიყენა, – მოგვშორდი, განვედ ჩემგან! – თქვა მშვიდად და ასეთი სიმშვიდეც, რასაც სერაფიტეს სიტყვების ხმოვანება მიელო, განმგმირავად დაეცა პროკურატორს.

– მაგას მე მეუბნები?! – თავი გვერდზე დახარა, – სადაც ამდენი იცი, ისიც გეცოდინება, რომ აქედან ველარ გააღწევთ. მიმოიხედე ირგვლივ, – ჰეგემონმა კედლებისკენ მიანიშნა, – კრეტსაბმელი დაილუქა, ჩვენ კიდეზე ვდგავართ, გზა აღარსადაა, სანამ მე არ ვისურვებ თქვენს გაშვებას, – წინ გადმოდგა ნაბიჯი, – აბა, დამაკვირდი, ვერაფერს ამჩნევ?

სერაფიტემ ოდნავ უკან განია თავი, წარბები შეეკრა და მზერა მოექმუნხა, რომაულად გაპარსულ ნებისყოფიან სახეს მიაცქერდა.

თითქოს არაფერი იყო განსხვავებული, ანდა საერთო, არაფერი ისეთი, რასაც მისი გაკვირვება შეეძლო. სახე, როგორც სახე, ძლიერი მზერით, მაგრამ თითქოს ამ სახის მიღმა იმალებოდა ვილაც, ვისაც ნიღბით დაეფარა ჭეშმარიტი ვინაობა. სერაფიტეს მიხვედრილობამ აქ გაიდგა ფესვები, ამ უცნაური შეხვედრისას მისმა ჩუშმა სიხარულმაც აქ დაივანა, ამ წარმავალ წამისას, მისმა გულჩათხრობილობამ და მახსოვრობამ პრეტორიუმისა და წიგნთსაცავის ის მთავარი არტერია გახსნა, სადაც ბედისწერა გაედინება, რაც მის ხელთაა და ყოველთვის მასთან იყო, რომ მთელს სამყაროში, წამის წინ თითქოს საკუთარი მდუმარებით რაც შეივსო და გამთლიანდა, უკვე რომ შესაძლებელი გახდება უთვალავ სიტყვათა სასიცოცხლო გულისფეთქვის გაგონება, ჯადოსნური და ბუნდოვანი ხმოვანება, სისხლის მიმოქცევა, სუნთქვა და ფიქრი, მეტყველება, საქციელი და გამარჯვება, როგორც ჯილდო არჩევანისთვის. სერაფიტემ წვერი გაიფხანა, ბრძოლა საკუთარ თავთან, ჩემივე სიტყვაში, ამაზე მაფრთხილებდა ოსტატი ჩემი, მთავარი საცდუნებელი, მთავარი სტეზა, გაიფიქრა და თქვა: – შენ, ეს მე ვარ? – ბაჩანას წელში მოკიდა ხელი და აიყვანა.

– მანდ არ მიხვიდე! – იყვირა პროკურატორმა, – მე იქ ჯერ არავინ გამიშვია!

სერაფიტემ ყრმა მოაჯირზე შემოსვა, მის სიმშვიდეს ახლა იმედიც დაესაძირკვლა. მოახლოებული გახარების შეგრძნება.

– რას აკეთებ! – სახე აენვა პროკურატორს, – ბავშვს აქ დატოვებ! – თითქოს კრიჭა შეეკრა, სხეული დაეჭიმა, – ბრიყვივით იქცევი!

სერაფიტემ გულზე მიიკრა ყრმა, თავზე აკოცა, – ნება შენია, პატარა, – უთხრა ჰეგემონისკენ ზურგით მდგარმა, – ეს დასასრულია, ბიჭუნა, დედა აქაა, უნდა აირჩიო, მასთან დაბრუნებისთვის ნახტომი უნდა ქნა, უნდა მიენდო, – ხელი გაუშვა და გამოინია, – შენ იცი, ყოჩალო მეოცნებე.

– რადგან ასე გინდა, – უკნიდან მოესმა პროკურატორის ზიზლით დაბოხებული ხმა, – ემზადე ომისთვის!
– ამოიძახა ქვეყნიერების ფსკერიდან, – კიდევ შევხვდებით, მანამდე კი პარა ბელუმ! – დაიყვირა დარბაზში.

მაგრამ სერაფიტეს არ მოუხედავს, ის ბაჩანას უყურებდა, მის ანოპილ ტანსა და ნნიკა ხელებს, ვეებერთელა მოაჯირზე მდგარს წარბები რომ აქაჩა და შიშითა და ნალველით გაზრდოდა თვალები, ხელები რომ გაეშალა, უფერო, უსასრულო, უშველებელი ნათელის შესაგებებლად, რასაც მანამდე არსებული სითეთრე მიეფანტა და დაენათლებინა ქვეყნიერების საბედისწერო ზღურბლი.

– არაფრის შეგეშინდეს, – თქვა სერაფიტემ და ბაჩანამაც, უკვე ზღურბლს მიღმა გადახრილმა, მონატრებული სითბო იგრძნო, მონატრებული ხმა ესმა და ნუგეშიც იქვე, თითქოსდა, მართლაც მიღმა მდუმარება, უსასრულოდ დაანათებული, ის სანატრელი და სანუკვარი იყო, სულმოუთქმელი რასაც ელოდა – ცარიელი, თეთრი გვერდი წიგნის ბოლოს, რითიც სიტყვა უნდა შეიმოსოს, რის წინაშე შიშველი უნდა წარდგე კაცი. აჰა, ესერა კიდეს მიღმა სულდგმული პირველშობილება, წმინდა და სპეტაკი, ჯერ უწერელი საფარველი და საბადებელი, მთელი მისი მოდგმის განსანმენად შობილი ბაჩანა რომ გაუშვა პირველი სიტყვებისა და სასვენი ნიშნების კვალდაკვალ, ბოლო გვერდამდე, აქ, სადაც ელოდა – ბაღის მშობელიც ესაა და თეთრი პერანგიც.

ყრმამ დედის სურნელი იცნო, – მე არ მეშინია, – თქვა ბიჭმა, ფეხი ფრთხილად გაახოხა, ტანზე სილალე ეკრო, ფეხის თითებზე აინია, – მე მიხარია, სერაფიტე! – აუნყა წვრილი ხმით, – მჯერა! – და გადაეშვა ნათელში.

დედამ ჩაიკრა შვილი. ჭეშმარიტად, გულში.

ზღვარი მოაჯირსა და პალატიუმზე გადანათდა და ისევ სითეთრით შეივსო. ხუთი საყრდენი ბოძი ისევ წარმოჩინდა კბოდეს პირზე, ჭერში შეყუდებული. სერაფიტეს გარდა იქ აღარავინ იყო, არც პროკურატორი და ცხადია, აღარც ყრმა. გვერდით მიიხედა, – მხოლოდ სიცარიელე, მიაყურადა, – მხოლოდ სიჩუმე და საგონებელში ჩარჩენილი, პროკურატორის მძვინვარე – პარა ბელუმ! თვალებზე ხელისგულები მიიფარა და მყისვე გარს დაუბრუნდა დარბაზის გაქერქლილი სივრცე, სიცარიელეში ამოთეთრებული პრეტორიუმის კედლები, თავბრუსხვევისას რაც წიგნთსაცავის თაროებში გადაინწა, ფოლიოები, პერგამენტები, იეროგლიფები და რიცხვები – ნულიდან ცხრამდე, თიხის ფილები, ლურსმული დამწერლობის ანაბეჭდი, ლათინური და ბერძნული, ასირიული და ფინიკიური შრიფტი, თანავარსკვლავედზე მოვარაყებული იაფეტური ანბანი, მის არსებაში სასოებით, სიყვარულითა და სამარადისო სარწმუნოებით გაცხადებული, ფოლიოებზე სიტყვებს შორის გაჯერებული თხელი ტიხრები, ნისლეულის სიფერმკრთალით თითქოს შუაგამდინარე, ქვიშები და ქარავნები, ზღვები და იალქნები, მონეტები, ხმლები, ადამიანთა სახეები, ერთმანეთის მონაცვლეობით. ახლა სერაფიტე თითქოს მთლიანად თავის არჩევანს შეეთვისა, სუნითა და სმენით, გემოთი, ხედვითა და შეხებით ბოლომდე შეერწყა საკუთარ თავბრუსხვევას, ამწამიერად რამაც მიახვედრა, რომ მისი წინათგრძნობის ყოველი მარცვალი აქედან იღებს სათავეს, რომ ფესვებსაც აქ იდგამდა და რომ ამქვეყნად ერთი ბედისწერაა, რომ ყოველი ცოცხალი სიტყვა თავისი ბედით, სამყაროს კანონით ცოცხლობს და არსადაა უმაღლესი ბედი, მისთვის უმაღლესი, მხოლოდ ნებაა, რასაც სერაფიტე დაჰყვა.

ბაჩანაზე მემკვიდრეობით გადასული ნაცოდვარი წილი, გაიფიქრა სერაფიტემ, როცა თავბრუსხვევა ოდნავ მინელდა, ხომ სასოებით დაიძლევა, ის ხომ ამავე დროს, კანონის, სამიდან ერთი სიტყვაა, ერთი ქვაკუთხედი, ერთი საყრდენია, რაზეც ნება დგას, რასაც ის ემყარება, თქვა და საფიქრალში ეზრას ეპისტოლეს შრიალი ესმა, ის საკრალური ბგერა, როცა წერისას კალამს ახებდა პაპირუსს – სამი საიდუმლო! გამუდვებული სიტყვა – მადლობა ღმერთს, მართალი ვარ, ახლა ვიცი – თქვა სერაფიტემ, – სასოება და სიყვარული და სარწმუნოება, – თქვა და თავბრუსხვევაც საბოლოოდ მიწყდა, ბრუნვით გაბზრიანებულ წამში მიიღია, ბაჩანას დედასთან შერწყმა ამ სამი სიტყვითაა ჭეშმარიტი, გაიფიქრა გადაღლილ სხეულში, უმანკო ბავშვის მომავალი ცოდვისგან განთავისუფლება, ლაბირინთიდან გასვლა და ჯაჭვის განყვეტა, აქამდე რაც შემოჭდილიყო ადამის ძეთა სულელებზე. ასე უცებ? და ასე საოცრად? დაფიქრდა ისევ და ფიქრთან ერთად იგივე შეგრძნება ეზღუნდა, როგორც აქ შემოსვლისას და კარზე მიკაკუნებისას, ისევ მოუბრუნდა მისი განფენილობა, როგორც არქივუმის სარკმელთან, მაგიდაზე თავდახრილს რომ უცქერდა ბიჭი და მის სიჩუმესა თუ გაფიქრებაში თავისი შუაგამყოლი ხედვით ხედავდა, როგორც ანკარა წყალში ატანდა მზის სხივები და ერთიმეორეში გარდატყდებოდა, თითქოს ისევე ატანდა ამ კაცში ყოველივე ბაჩანას ირგვლივ, ყოველივე ამ ქვეყანაზე, ფიქრი თუ გრძნობა, უნარი თუ მოთმინება, სიყვარული თუ ნებისყოფა და ქვეყნიერების დამყოლი დაძაბულობის დაუსრულებელი შთაბეჭდილებანიც, როგორც მაშინ, ახლაც და ამწამს სერაფიტე ყოველი არსის, იმედისა და სიტყვისა თუ ნატვრის გამჭვირვალე შესაკრებლად გამოიწინა და ის უხვი სიმდიდრე, სიმამაცე და ერთგულება, რასაც სერაფიტეს იერსახე მიეღო თავისი იასამნისფერი სამოსლით, თითქოს ახლა ელოდა თავის ბედს. გმირობისთვისაც მზად იყო, იმ ერთადერთი საქციელისთვის, რასაც არქივარიუსის არსება მთლიანად დაეტაცებინა, წიგნი ვიყავ და წიგნად ვიქცევი, გაიგონა ფიქრად, მალე გასრულდა ამბავი, ფიქრისთვის აღარ მცალია, ქვეყნად მართლაც ერთი მთავარი სასწაულია, თავის აღმოჩენის სასწაული. რა დაინყება შემდეგ? რას უნდა ენიოს ჟამი? კიდევ ერთი ახალი

სამყარო? ერთხელ გამართლებული და აქამდე დაუსრულებელი წარმოსახვის, ნების, სურვილის წარმატებული ჩანაფიქრი.

ზღვარს მიღმიდან დასხივებულმა დიდმა სინათლემ მზერა დაუბრმავა, ფიქრი მიუფანტა და გააბრუნა ანაზღად მფრთხალი. სხეულში სიმსუბუქე ეფინა და როცა მეყსეულად პრეტორიუმის კრეტსაბმელს მოცილდა, მიხვდა, რომ ისევ იქ იდგა, სადაც აქლემი მიაბა, სადაც ბაჩანასთან ერთად კარზე მიაკაკუნა და ქვეყნიერებასთან ნახორცალი და ნასისხლარი მთლიანობა შეიგრძნო. იყო ღამე, თითქმის გარიჟრაჟისკენ მიღვიძებული, ირგვლივ კი არავინ. რა მოხდა ჩემს თავს? აქლემთან მივიდა, კისერზე დაუსვა ხელი, ამდენი ხანი იქ ვიყავი? აქ ვიყავი? წიგნი თავისი ნებით მატარებს, ვიცი რასაც ვიზამ. მხნეობა ემატა, აქლემზე შემოჯდა, გამართა და აღვირი მოქაჩა, თენდება, რა მშვიდად თენდება. წინათგრძნობით დაფრთიანებულმა ქალაქის მთავარი მოედნისკენ აიღო გეზი, მიზანმიმართულმა და მთლიანად ამ სწრაფვადქვეულმა განაპირა გზით გაარბინა აქლემი, საიდანაც მარგორას ღამის ცა გამოჩნდა, შეფენილი სახლებისა და მთებს მიღმა, აღმოსავლეთით უკვე შენათებული, ზღვაურთან ერთად რიჟრაჟში მკრთალი სამყაროს გაბრუნებული კვალი.

მოედნისკენ შემავალ ვინრო ქვაფენილებს მალე მიადგა. აქლემიდან ჩამოხტა, იქვე მიაბა და სახლებს შორის დერეფნებში... არა, სიტყვებსშორის დერეფნებში, გაიფიქრა, ... გაირბინა, მოედნის ერთ-ერთ შესასვლელ თალში შევიდა.

ხალხი დახლების განყოფას იწყებდა, ბაზარი იშლებოდა ჯერ გამოუღვიძებელი გამთენიისას, მცოცავი ჩრდილები რომ იწელებოდნენ მინაზე და მანანწალა ძაღლებიც ნარჩენების ძიებაში რომ ყნოსავდნენ მათ. დილის ნოტიო ბინდიც მდორედ გამოშრა, ნახევრად ამოსული მზის რბილი სიმსურვალით და ადამიანებმაც კოთხივე მხრიდან მოედნის მზადება იწყეს. სერაფიტე შუაში დადგა. ჭასთან.

– მისმინეთ! – დასძახა ხალხს, – მოდით ახლო!.. ყველანი. მე გეტყვით იმას, რაც გაგაოცებთ და გაგათავისუფლებთ.

... ეს ჩვენი არქივარიუსი არაა? ჰკითხეს ერთმანეთს, სერაფიტეა, მაგრამ ამ დილაადრიან რამ მოიყვანა?

– ძმანო და დანო, ჩვენ... – ნამით სერაფიტე გაჩერდა შუაგაჩხერილი სუნთქვით, გარდაუვალია რაც მოხდება? იფიქრა მოედანს მაცქერალმა, ვიცი, რაზეც მივდივარ, დაე, აღსრულდეს ნება. ადამიანებმა კი მის გარშემო შეგროვება იწყეს. ნელა მოახლოვდა ხალხი. სასწაულები მაშინ დაიწყება, როცა მათ დანახვას ვისწავლით, ფიქრობდა სერაფიტე, თავის პოვნას, განთავისუფლებას, საზღვრის გადალახვას, მაშინ ბაჩანაც სხვა მომავლისთვის იშვება კაცად. თუკი აქ დიდი გამოცდა გვინერია, სასწაულებიც ამ დილის შემდეგ თუ დაიწყება, როცა სამყარო სიტყვას გაიგებს, თუკი ოდესმე მეც თავს დავაღწევ ბედის განმეორების მარადიულ დაბრუნებას. უბიდან ეზრას წერილი ამოიღო, რასაც ვაკეთებ, რაც მინდა ვთქვა, ვართ ამისთვის მზად? როგორ გაუძლებს კაცი სიმართლეს? შიშმა აიტანა, ცივად გაოფლა კრთომამ, დაცრეცილი პაპირუსი ამოაბრუნა, ხელისგული ჭის მინაშენ აუზში ჩაყო და მინაზე გაპნეული მტვერი მოფერვლა, ახალი დროება ახალ სიტყვას შობს, ახალი აღთქმა იდება ადამიანსა და სამყაროს შორის, ახალი აღთქმა ახალი წიგნის დაწერას მოითხოვს, გაფიქრდა სერაფიტე და ირგვლივ მიმოიხედა, მოედანს მდორედ ეცხებოდა დილის მზის განახლებული შუქი, ეცხებოდა სერაფიტესაც, სიმარტოვესთან პირისპირ რჩენილს, ყველას ყველაფერი გვეპატიოს, ოღონდ სიტყვათა სულის გმობა არა, ოღონდ ამ სინმინდის გმობა არა, გაიფიქრა და განმტკიცდა თავში, სასოება, სიყვარული, სარწმუნოება, ახალი სიტყვა გამჟღავნებული უდროობის მდუმარებიდან, იმეორებდა გონებაში და ჩქარ-ჩქარა უძგერდა გულიც, სულო ჩემო, გამამაგრე, ევედრა თავს, მიხსენი განსაცდელისგან და ღმერთო, შენც შეიბრალე ჩემი ნდომა. სიტყვას ნაზიარებმა, გაფითრებულმა და გარდაუვალობას მინდობილმა, თავისდა საბედისწეროდ, თავისივე რჩეულობა გააცნობიერა, თავისივე დაჟინებული შემართება, უკანასკნელი წამისთვის მზაობაც და ამავე წამის მკვდრეთით აღდგომის იმედიც, გააცნობიერა და ეჭვებიც მიექარწყლა, ისედაც უკვე სანახევროდ მოცილებული, ბიჭი არ შეუშინდა, არ შევშინდები მეც, დე, მიმილოს ახალი აღთქმის მხარემ, ახალმა ზეცამ და ახალმა მიწამ. პაპირუსის უკანა ცარიელ გვერდს თავისი მტვრიანად სველი, თითებგაშლილი მტევანი დაადო და დაელაპარაკა, მას გაანდო სანუკვარი ბოლოთქმა: „თუ წიგნმა თქვენამდე მოაღწია და ახლა ჩემს გზავნილს კითხულობთ, ნიშნავს, რომ ამდროისთვის უკვე ცოცხალი აღარ ვარ და იმ მხარეს, რომელსაც აქ აღწერილი ამბების გავლით მივაგენი, ცაზე ვარსკვლავად ნანახი უკანასკნელი სასვენი ნიშანი ამხელს“. – პაპირუსის გვერდი განერწყვა და მინათქვამი, გზავნილით ზემოთ, დააკრო მიწას. პაპირუსზე მტვრიანი უფერულობიდან სერაფიტეს ნათქვამი სიტყვები და ასოები ამოჩნდნენ – მთლიანი ტექსტი მთქმელის სუნთქვით მიმაგრებული.

სერაფიტემ ხელები დაუშვა და ზეცაში აავდო მზერა, დილას შერჩენილ ვარსკვლავს ახედა და ჩაისუნთქა, თითქოს ჩასაყვინთად მოემზადა. ამ ერთი ჩასუნთქვის გარდა, ღრმად ჩასათრევ მორევში თან ვერ ჩაიტანდა ვერაფერს, მისით უნდა გაეძლო ფსკერზე და მეორეჯერ ვედარ გახსნიდა პირს. ჩაისუნთქა და თქვა – თქვა ის, რაც ამოიცნო, რასაც მიხვდა და ეზიარა, რაზეც პრეტორიუმში გააფრთხილეს, რომ ჩაიქოლებოდა, არ ექადაგა, რაშიც ადრე თავს არ უტყდებოდა, – მე არ ვიცი ახლა რა დროა სინამდვილეში, – მოხედა გარშემომყოფებს, – რა ადგილია ან სად ვართ საერთოდ, – კრთომა მოექარგა, ცარიელი ხმა დარჩა და კიდევ ცეცხლი, რითიც მისი სული ანთებულიყო, – ჩვენ წიგნში ვწერივართ, ხალხნო! სიცოცხლისა და სიკვდილის წიგნში!

ყოველდღიურობა წინადადებაა და სიტყვები, მათ ჟამის მეთვალყურე ძრავს ადგილიდან, ახლა ვინც დაგვყურებს და ესმის ჩვენი! ეს მტვერი – სიტყვებია.

ბრბო, გაჩუმებული, როგორც იყო, ისევ დარჩა. წამით გვიან თქვა ვილაცამ: – ამას სულ გაუფრენია... რეებს ბოდავს? – გასძახა მეორემ, – ესაა, ბრძენიო? ან არ გეძინება? წადი რა, შე ოჯახაშენებულო, საქმე ნახე, – თქვა კიდევ ერთმაც და ქვა მოუქნია, – გიჟიო, ტყუილად კი არ ამბობდნენ მაგაზე, რა ოხრობა შეუჩნდა, უნდა, რომ დაგვხოცოს, – ერთმაც ქვა ააძრო ქვაფენილს, ააძრო და ესროლა.

– ამას ნუ სჩადით! – ადგილზე დატრიალდა სერაფიტე, – ბოლომდე ისმინეთ. ეს დილა სასწაულს აახდენს! – მინაშენ აუზზე შემოდგა და მთელი ძალით, იმ ღრმად ჩასუნთქული სიცოცხლის უკანასკნელად ნაცადი ძალით ნაზიარები, ერთადერთი და ჭეშმარიტი სიტყვა დაიყვირა. სხეულიდან ამოუშვა ასო-ბგერათა ის მეტყველი გენეტიკოსი, რაც ყველა მისი კითხვის პასუხი იყო, რაზეც დუმდა, რაც არ გამოითქმის, არც ინერება და არც შეიძლება იქნებ ჯერ მისი მოსმენა, ის ერთი სიტყვა, რასაც ჭეშმარიტების დუმილი გულში ინახავს, რითაც დაუსაბამობა და სამყარო შეიქმნა, რამაც სიბრძნე შვა და სიხარული, ერები და სისხლი.

ბოროტმა გაოგნებამ მოედანი დაჭედა. თითქოს გალიები დაეშვა ოთხივე შემოსასვლელ თაღში. ხალხი ურწმუნო ჩრდილით დაიფარა და ხმა გაიკმინდა სამყაროში.

... გაიგონეთ რა თქვა? – თქვეს ბრბოში; შავად სარიტუალო სიჩუმე ავი ყეფით ატყდა აქა-იქ, თითქოს ფერი იცვალა ხალხმაც, ერთსხეულად გამთლიანდა ბრბო, უსულოდ დამახინჯებული, – რაო?.. რა თქვა?.. – გაიმეორა სასიკვდილოდ დალდასმულმა შეჯგუფებამ, გაგონილ სიტყვით მხეცად მოგეშილმა, – მართლა?.. ეგ თქვა?.. მოკალით! – იღრიალა განგმირავი წნეხით და მიწას ეცა, – ჩაქოლეთ მტერი! – გინებითა და გეშით, ქვაფენილებიდან ქვები ამოყარეს და დაუშინეს ყოველი მხრიდან, გარშემო წრე შეუკრეს და პირზე დუჟმომდგრებმა გამეტებით დაუნყეს სროლა. გაგონილმა სიტყვამ ბნელში შეკრა ყოველი აქმყოფი, მათ ხომ ის ესმათ, რასაც გაექცნენ, რისთვისაც იყვნენ მონოდებულნი, მაგრამ უარი თქვეს, არ დაიტიეს გულით, არც გონებით და არც სულითა თუ ძალით, ყველაფერი ეპატიებათ მართლაც, ყოველი ზრახვა თუ საქციელი, სიტყვათა სულის გმობის გარდა, იმ სინმინდის გმობის გარდა, რაც მომაკვდინებელია დაუბრუნებლად, უპატიებლად და რადგანაც გაგონილმა სიტყვამ, სერაფიტეს სხეულიდან აღმოცენებულმა, სასიკვდილოდ განირა მთქმელი, დაე, მისკენ იყოს განგება და სიკვდილის შემდეგ აღადგინოს ოდესმე, მისი ოცნება გაანათლოს და აღასრულოს სასწაული, რაც ამ დაღვრემილ დილას მარგორას ჭასთან ჩაითესა. დღეს, ბრბოდშობილი ჯგუფი მთლიანი ხალხის ნაწილი იყო და არა თვითონ ხალხი, ადამიანები – იმედით გვერდიგვერდ მდგარნი, ხელჩაკიდებულნი, ეს მხოლოდ ავადური ნაწილი იყო, ვისაც ყოველთვის თავისი გააქვს ამქვეყნიური ტკობისთვის მოსარგებად. ეს ის ნაწილი იყო, ვინც მხეცთა სახეებად ეჩვენა ბაჩანას და ვინც შხამით შეავსო სასმისი. ესენი ისინი იყვნენ, მათთვის თქმული სიტყვა რომ ახლა სმენადახშულებმა მოკლეს, ყოველთვის კლავდნენ და ჯვრებს აცვამდნენ, თავებს აჭრიდნენ და ქოლავდნენ, ხვრეტდნენ და ივინყებდნენ – აღსრულდეს სიტყვა, ნება, ოცნება, აღსრულდეს, ოღონდ მათ გარეშე, ახლა რომ მარგორაში, კეისარ ნერონის დროს, მართალთა დევნის ჟამს, სერაფიტესაც ესროდნენ მუხლებსა და მკერდში, ზურგსა და თავში, სახეში, შუბლში, უშენდნენ შმაგად, უშენდნენ ბევრს და უშენდნენ კრულვით, სანამ არ ნააქციეს და ნიხლებით არ შედგნენ ზედ.

– მიუტევე მათ, – ძლივს ამოლერლა პირქვე დაგდებულმა, დასისხლიანებულმა და ძვლებდამტვრეულმა, – არ იციან რას სჩადიან, – თქვა, თითქოს იცოდა, რომ შეუერთდება დიადს.

– ვის ელაპარაკები?.. მოკვდი! გაჩუმდი! – ისმოდა ჯოჯოხეთიდან, ისმოდა ცუდი. ხელკეტებიც ურტყეს და ქვები ისევ, ნიხლები და დანები. ნაგვემი და დაქოლილი, ჭის პირზე აათრიეს, ზიზლითა და ფურთხებით ჰკრეს ხელი და ჩაადგეს შიგ, იმ ღრმა უფსკრულოვანში, რისთვისაც სუნთქვა მოიმზადა თავგადადებულმა, რაშიც დასასრული იწრიტება, სადაც თავის დასაბამს დასაწყისი იღებს, სიტყვას როცა განუტევენ და აღდგება მტვრეთით...

შუადღისას კი, დახლებსქვემოთ, ხალხის ფეხებქვეშ მიძვრებოდა ოთხზემდგარი ბაჩანა, თავბრუსხვეული, ძალადაცლილი, მოედნიდან გასასვლელს კი ვერ პოულობდა, სადაც არ უნდა მისულიყო, მიცოცებულიყო – ყველგან საზიდრები, ხალხი, დახლები, ბამბუკის ღეროებზე გადაფენილი საჩრდილობლები. ცოტა კიდევ გახობდა, დიდი მონდომებით, თავისი სუსტი, პატარა ხელებით ვილაცის ფეხები გასწი-გამოსწია და ისევ იმ წყეულ ადგილას აღმოჩნდა, მისი მიტოვების ნიშანთან – ჭასთან. მოედანზე დაგუბებულმა ზმუილმა ბოროტად მოუჭირა, ტკივილისგან შეწუხებულმა ხელები აიფარა, ძალა მოიკრიბა და დაიყვირა სიმწრით. ხმა არავის გაუგია, ან ვინ გაიგებდა, მოედანი იკუმშებოდა, ყველა ერთმანეთს ეჭყლიტებოდა... გალიზიანებული და აცრემლებული ჭაზე აძვრა, მაგრამ მის პირზე შემდგარმა თავი ძლივს შეიკავა – მოედანი გარს დაუტრიალდა და ბაჩანამ ნათლად დაინახა ქალაქის ქუჩები, ყველა აქეთ, შემოსასვლელი თაღებისკენ, ოთხივე მხრიდან როგორ მოიკლაკნებოდა, დაინახა თუ რა ახლოს ყოფილა გასასვლელები, მაგრამ გაბრუებულს, დაბუჟებულს, ჭის სველ პირზე ფეხი დაუცდა და წამით, თითქმის ჩავარდნილი და სუნთქვაშეკრული ჰაერში ჩაეკიდა... ვილაცის ხელზე.

ჩაეკიდა ვილაცის ხელზე, ზევით აინია და როცა მიწა იგრძნო და ის ხელებიც ლოყებში მოხვედრილი – ჩაისუნთქა. თვალები ახსნა.

მომღიმარი კაცის სახე მდორედ ჩამოიკვეთა ბაჩანას ზემოდან. ბავშვი ხმას არ იღებდა, გაკვირვებული აჰყურებდა და აკვირდებოდა მის თვალებს, თითქოს სადღაც ნანახ, რაღაც ნაცნობ, მანუგეშებელსა და ძალზე ახლობელ მზერას, ოდნავ კეხიან, მაგრამ სწორ ცხვირსა და მძიმე ნიკაპს, და რაც პირველივე შეხედვით თვალმისაცემი იყო – მისი დიდი შუბლი, უკან გადაყრილი, თითქოს იასამნისფერი ჩრდილით დატალღული თმებიდან ამონათებული, თავისი სიმძიმით მთელს სახეს რაც აწვებოდა. ეცნო ეს ნათელი ღიმილიც, სევდიან, თითქოს შორიდან მოფრენილ მზერასთან ერთად.

ბაჩანა აჰყურებდა კაცს და ფიქრობდა, სიზმარში ამ კაცთან ერთად კენჭებს ვისროდი ზღვაში, ბევრ კენჭებს ვისროდი.

.....
.....